



საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ნატა თეთვაძე

XX საუკუნის 40-იანი წლების ეროვნული მოძრაობა
(სამანუალები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი
ვახტანგ გურული,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თბილისი

2020

სარჩევი

ანოტაცია (ქართულ ენაზე)	3
ანოტაცია (ინგლისურ ენაზე)	4
შესავალი	5
თავი I. „ასპირანტთა საქმე“	6
§1. შეთქმულების აღმოცენება	6
§2. სიკვდილმისჯილნი	16
§3. სიკვდილს გადარჩენილები	77
§4. რეაბილიტაცია	126
თავი II. თუშთა შეთქმულება	139
§1. თუშების ჩაბმა შეთქმულებაში	139
§2. თუშ შეთქმულთა მოღვაწეობა	162
დასკვნა	181
დანართი	184
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა	222

ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომში, საარქივო მასალების საფუძველზე, წარმოჩენილია 1942 წლის შეთქმულების ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხები. ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული მასალები, რომლებიც საინტერესო ცნობებს გვაწვდიან 1942 წლის შეთქმულებისა და მასში მონაწილე პირების შესახებ. მათზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა იმდროინდელი ისტორიული სურათის აღდგენა, გამოვლინდა, აგრეთვე, საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული სასტიკი რეპრესიებისა და ბოლშევიკური რეჟიმის მანკიერი მხარეების დღემდე უცნობი დეტალები.

1942 წლის შეთქმულებამ დაადასტურა, რომ ქართველ ერი, ბოლშევიკური პროპაგანდისა და ტერორის მიუხედავად, სამშობლოს დამოუკიდებლობაზე ფიქრს არ წყვეტდა. საქართველოს ინტელექტუალური ძალები კვლავ ცდილობდნენ, ხელსაყრელი დრო ეპოვათ და აღედგინათ დაკარგული სახელმწიფოებრიობა.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყება (1941 წლის 22 ივნისი) სწორედ ასეთ შესაფერის დროდ მიიჩნის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტებმა და ავჭალის პოლკის სამხედრო მოსამსახურეებმა. გერმანიის ჯარების ყოველდღიურმა წარმატებამ მათ იმედი ჩაუსახა. შეთქმულების მონაწილენი ვარაუდობდნენ, რომ საბჭოთა კავშირი დამარცხდებოდა და გერმანიის დახმარებით საქართველოს გათავისუფლება შესაძლებელი გახდებოდა. შეთქმულება თუშეთშიც გავრცელდა. საბჭოთა ძალებმა სტრუქტურებმა შეთქმულების კვალს მიაგნო. 1942 წლის იანვრიდან დაპატიმრებები დაიწყო. შეთქმულთა საქმის გამოძიება 1942 წლის სექტემბრამდე გაგრძელდა. 1942 წლის სექტემბერში ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა შეთქმულთა საქმე განიხილა. სულ 33 შეთქმული გაასამართლეს. აქედან 17 ახალგაზრდას დახვრეტა მიუსაჯეს, 3 სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს, ხოლო დანარჩენები გადაასახლეს.

1942 წლის შეთქმულებას, დამარცხების მიუხედავად, უკვალოდ არ ჩაუვლია. შეთქმულებამ გარკვეულწილად გავლენა იქონია მეორე მსოფლიო ომისშემდგომ ქართულ ეროვნულ მოძრაობაზე, სტიმული მისცა ქართველ პატრიოტ ახალგაზრდობას.

Annotation

The dissertation, based on archival materials, covers important issues in the history of the 1942 conspiracy. When working, we used materials stored in the archives of the Ministry of Internal Affairs of Georgia, which give us interesting information about the 1942 conspiracy and the persons involved in it. On their basis, it became possible to restore the historical picture of that time, as well as the previously unknown details of the violent repressions carried out by the Soviet government, and the vicious sides of the Bolshevik regime.

The 1942 conspiracy proved that the Georgian people, despite Bolshevik propaganda and terror, did not stop thinking about the independence of the Motherland. Georgian intellectual forces were still trying to find a favorable time and restore the lost statehood.

Such a suitable time was considered the beginning of the Soviet-German war (June 22, 1941) by graduate students of Tbilisi State University and military personnel of the Avchal Regiment. The daily successes of the German troops gave them hope. The conspirators assumed that the Soviet Union would be defeated and that Georgia could be liberated with the help of Germany. The conspiracy spread to Tusheti. Soviet law enforcement agencies discovered traces of a conspiracy. Arrests began in January 1942. The investigation of the conspiracy continued until September 1942. In September 1942, the military tribunal of the Transcaucasian Front examined the conspiracy case. A total of 33 conspirators were convicted. Of these, 17 young people were sentenced to death by firing squad, three were released from the courtroom, and other were relocated..

The 1942 conspiracy, despite its defeat, did not go unnoticed. The conspiracy had some influence on the Georgian national movement after World War II, giving impetus to the patriotic youth of Georgia.

შესავალი

1. **პრობლემის აქტუალობა.** 1921 წლის თებერვალ-მარტის საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის სამხედრო კამპანიას შედეგად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსია და ოკუპაცია მოჰყვა. სწორედ აქედან იწყება ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი, რომლის მიზანი დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენა იყო. 1924 წლის ეროვნული აჯანყება საბჭოთა ხელისუფლებამ, მართალია, სისხლში ჩაახშო და ამბოხებულებს სასტიკად გაუსწორდა, მაგრამ ქართველი ხალხის თავისუფლების სურვილი საბოლოოდ მაინც ვერ ჩაკლა. პოლიტიკური რეჟიმის გამკაცრებასთან ერთად სულ უფრო ძნელი ხდებოდა ეროვნულ ძალთა კონსოლიდაცია და ერთიანი ცენტრის შექმნა. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა შეიქმნა XX საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც მასობრივმა ტერორმა სხვებთან ერთად ეროვნული მოძრაობის ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენელი შეიწირა. ამ ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1942 წლის შეთქმულება, რომლის შესწავლის გარეშე შეუძლებელია XX საუკუნის (1921-1990 წწ.) ქართული ეროვნული მოძრაობის გააზრება. 1942 წლის შეთქმულება, გარკვეულწილად, შემაერთებული ხიდია XX საუკუნის 20-30-იანი წლები-სა და 40-80-იანი წლების ეროვნულ მოძრაობას შორის. ყოველივე ეს განაპირობებს 1942 წლის შეთქმულების ისტორიის შესწავლის აუცილებლობას.

2. **პრობლემის ქრონოლოგიური ჩარჩო.** საარქივო მასალების მიხედვით 1942 წლის შეთქმულების მონაწილეებმა იდეური და ორგანიზაციული გაერთიანებისათვის პირველი ნაბიჯები ამავე წელს, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყების შემდეგ გადადგეს. ცხადია, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ შეთქმულება 1941 წლის 22 ივნისის შემდეგვე აღმოცენდა, თუმცა ამ დროიდან შეთქმულებს იმედი მიეცათ, საქართველოს გათავისუფლებისა ბოლშევიკური რეჟიმისაგან. შეთქმულების მონაწილეებს ეს იდეა, ცხადია, 1941 წლამდეც ჰქონდათ, მაგრამ უმკაცრესი პოლიტიკური პირობების გამო ამის განხორციელება წარმოუდგენელი იყო. „ასპირანტთა საქმის“ მონაწილეთა დაპატიმრება და მათი საქმის ძიება 1942 წლის იანვარში დაიწყო, თუმცისაც – ამავე წლის ბოლოს. პირველის განაჩენი 1942 წლის სექტემბერში გამოიტანეს, ხოლო „თუშთა საქმის“ შესახებ – 1943 წლის იანვარში. ამრიგად, „ასპირანტთა საქმისა“ და „თუშთა

შეთქმულების“ მიხედვით სადისერტაციო ნაშრომის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად 1942 წლის იანვარი, ხოლო ზედა ზღვრად 1943 წლის იანვარი უნდა მივიჩნიოთ.

3. პრობლემის შესწავლის მდგომარეობა. პრობლემისადმი ინტერესი ყოველთვის დიდი იყო, თუმცა საარქივო დოკუმენტებისა და მასალების გამოქვეყნება, შეიძლება ითქვას, საწყის სტადიაში იყო.

ა. გამოქვეყნებული წყაროები. სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა როცა დავიწყეთ, საკვლევი მასალის ირგვლივ გამოქვეყნებული იყო ქვემოთ მითითებული წყაროები: **ლადო სულაბერიძე.** „ვიგონებთ სიამაყით და გულისტკივილით“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1985, 1 მარტი); **კიტა ბუაჩიძე.** „შავი წიგნი“ (თბილისი, 1990); **ლოტე ლაბაძე, მირანდა ტყემლაშვილი.** „კოტე ხიმშიაშვილის „საბედისწერო ღამე“ (გაზ. „კალმასობა“, 2003, N2); **თინათინ თუმშალიშვილი, ლევან კვაჭაძე.** „1942 წლის შეთქმულთა მოსაგონრად“ (ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“, 2007, N23); **თამარ შაიშმელაშვილი.** „ვარ უმტკიცესი რვალისა“ (ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“, 2007, N15); **მოსე გვასალია.** „კოტე ხიმშიაშვილი“ (ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“, 2007, N10); **ხატია შევარდნაძე.** „სიზმრად ვნახე საქართველო“ (ჟურნ. „პირველი სხივი“, 2008, N27); **ომარ ბატიაშვილი.** „საზღვარგარეთ რომ არ გამიშვეს, მაშინ გავიგე მამაჩემზე სიმართლე“ (ჟურნ. „გუმბათი“, 2009, N42); **მემუარები, რომელიც შევიდა კრებულში „კოტე ხიმშიაშვილი“** (თბილისი, 2010); **დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორია.** „კოტე ხიმშიაშვილის დახვრეტა ადრეც უნდოდათ, რადგან მიხეილ ჯავახიშვილმა შეაქო“ (ჟურნ. „გუმბათი“, 2010, N1); **ომარ ბატიაშვილი.** „17 ოქტომბერი, 17 პატრიოტი“ (ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“, 2012, N21).

ბ. პრობლემის ისტორიოგრაფია. 1942 წლის შეთქმულების ისტორიის შესწავლის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის **როსტომ ჩხეიძეს**. მისი ნაშრომი „**დაწყვეტილი თაობა**“, რომელიც საარქივო დოკუმენტებსა და მასალებს ეყრდნობა, ორ წიგნად გამოვიდა (1992 წ., 1995 წ.). ქართველმა საზოგადოებამ ამ გამოცემებით შეიტყო სიმართლე 1942 წლის შეთქმულების შესახებ და გააღვიძა ამ მოვლენისადმი მკვლევარებისა და საზოგადოების ინტერესი.

2004 წელს გამოიცა **გიორგი ცოცანიძის** ნაშრომი „**თუშთა შეთქმულება**“. ავტორმა დოკუმენტებსა და მასალებზე დაყრდნობით შეძლო თუშეთში შეთქმულების აღმოცენებისა და მონაწილეთა მოღვაწეობის ისტორიის საინტერესოდ გაშუქება.

1942 წლის შეთქმულების ისტორია რევაზ კვერენჩილაძემაც შეისწავლა. ამ თემის შესახებ ავტორმა რამდენიმე სტატია და წიგნი გამოსცა. ესენია: „საბუთები ღალატებზე“ (2007 წ., მე-2 შევს. გამოც., 2011 წ.), „რეპრესირებული პოეზია“ (2013 წ.), „წამების გზა. დახვრეტა, გადასახლება, დევნა“. წიგნი 1 (1999 წ., მე-2 შევს. გამოც., 2014 წ.) და წიგნი 2 (2005 წ., მე-2 შევს. გამოც., 2017 წ.). ავტორი წლების მანძილზე სწავლობდა საარქივო მასალებს. ამ დაუღალავი შრომის შედეგია ზემოხსენებული ნაშრომები, რომლებიც დღემდე შეუცვლელ სამაგიდო წიგნად რჩება ჩვენ მიერ განსახილველი საკითხით დაინტერესებულთა შორის.

2016 წელს ირაკლი გიორგაძემ დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: „ეროვნული მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში (XX საუკუნის 20-90 წლებში)“. ნაშრომის III თავი – „ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა და მისი თავისებურება XX საუკუნის 40-70-იან წლებში“ – თუშთა შეთქმულებას ეძღვნება.

2018 წელს ჟურნალ „საარქივო მოამბეში“ (N19) დაიბეჭდა ლია კერესელიძისა და ნინო ყიფშიძის ნაშრომი. გამოკვლევა ეყრდნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში მოპოვებულ დოკუმენტებსა და მასალებს, რაც ზრდის მის მეცნიერულ მნიშვნელობას.

4. სადისერტაციო ნაშრომის სიახლე. ცხადია, უკვე არსებული მემუარული ლიტერატურა არ იყო საკმარისი გამოკვლევის დასაწერად, ამიტომ დავიწყეთ აქამდე შეუსწავლელი სამუზეუმო და საარქივო მასალების მოძიება და დამუშავება. აღნიშნული თემის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის არქივში დაცული შეთქმულების ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, კოტე ხიმშიაშვილის მეუღლის, ნუნუ ქადეიშვილისა და მისი დის, დოდო ხიმშიაშვილის პირადი მიმოწერა და მათი თხოვნა კოტე ხიმშიაშვილის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. ეს მასალები დღემდე გამოუქვეყნებელი იყო.

სადისერტაციო ნაშრომის დასაწერად აუცილებელი დოკუმენტები და მასალები მოვიპოვეთ აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში. 1942 წლის შეთქმულების შესახებ არქივში დაცული მასალები პირობითად ორ ნაწილად არის გაყოფილი: „ასპირანტთა საქმე“ და „თუშთა შეთქმულება“. დოკუმენტები მხოლოდ რუსულ ენაზეა. „ასპირანტთა საქმეში“ მონაწილე 38 შეთქმულიდან (განაჩენი გამოტანილია 33 შეთქმულზე) ყველა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი არ

ყოფილა, ასპირანტი იყო მხოლოდ 11 პირი, მაგრამ საქმეს ძიების პროცესში „ასპირანტ-თა საქმე“ უწოდეს. ჩვენც ნაშრომში ამ პირობით სახელწოდებას გამოვიყენებთ. „თუშე-ბის შეთქმულების“ საქმეში ბევრი (რამდენიმე სოფლის) პირი იყო გარეული, რომელ-თაგან 50 ადამიანი სიკვდილით დასაჯეს.

არქივში „ასპირანტთა საქმე“ და „თუშეების შეთქმულების“ საქმე მოცულობით ერთმანეთისაგან განსხვავდება. ამ უკანასკნელის მასალები გაცილებით მეტია „ასპი-რანტთა საქმესთან“ შედარებით. დოკუმენტების ნაწილი დაწერილია გაუმართავი ენით, მათში ბევრია კორექტურული შეცდომა და ა. შ.

საარქივო მასალებიდან ცალკე გამოვყავით შეთქმულთა რეაბილიტაციის საქმე. მართალია, ბრალდებულთა რეაბილიტაცია ძალზე გვიან მოხდა, მაგრამ, რადგან ისიც შეთქმულების ისტორიის ნაწილია, მას ჩვენ გვერდს ვერ ავუვლიდით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული მასალების მნიშვნელობაზე მიუთითებს ის, რომ მათმა შესწავლამ და ანალიზმა საშუალება მოგვცა, გაგვეაზრებინა მთელი 1942 წლის შეთქმულების ისტორია მისი აღმოცენები-დან სამხედრო ტრიბუნალის მიერ ბრალდებულების განაჩენის გამოტანამდე.

საკვლევ თემაზე მუშაობისას:

I. „ასპირანტთა საქმე“ –

1. დავადგინეთ შეთქმულების ჩასახვის დრო და პირობები;
2. დავადგინეთ თავდაპირველ შეთქმულთა ვინაობა, მათი ბიოგრაფია და მოღვა-წეობის დასაწყისი;
3. დავადგინეთ შეთქმულების განვითარებისა და მასში ჩაბმული ახალი პირების ისტორია;
4. დავადგინეთ თითოეული შეთქმულის დაპატიმრების ზუსტი თარიღი და ოფიციალური მიზეზი, ასევე ძიების დაწყების თარიღი;
5. დავადგინეთ თითოეული შეთქმულის ბიოგრაფია დაბადებიდან სამხედრო ტრიბუნალის მიერ განაჩენის გამოტანამდე.

II. „თუშთა შეთქმულება“ –

1. დავადგინეთ თუშეთში შეთქმულების ჩასახვის ზუსტი თარიღი და პირველი შეთქმულების ვინაობა;
2. დავადგინეთ შეთქმული თუშების სამოქმედო პროგრამა;

3. დავადგინეთ შეთქმულთა ორგანიზაციის ზრდის სტატისტიკა;

4. დავადგინეთ ის სოფლები, რომლის მცხოვრებნიც სხვადასხვა ეტაპზე ჩაებნენ შეთქმულებაში;

5. დავადგინეთ „თუშთა შეთქმულების“ მონაწილეთა დაღუპვისა და სიკვდილით დასჯის ისტორია.

თავი I. „ასპირანტთა საქმე“

§1. შეთქმულების აღმოცენება

XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულისა და 40-იანი წლების დამდეგისათვის საბჭოთა პოლიტიკური სისტემის არსებობის პირობებში საქართველოში ეროვნული მოძრაობის აღორძინებისათვის, შესაფერისი ვითარება არ იყო. სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ადამიანები ვერ ეგუებოდნენ კომუნისტურ რეჟიმს და ხელსაყრელ პირობებს ეძებდნენ, როგორმე აღედგინათ 1921 წელს დაკარგული დამოუკიდებლობა და დაებრუნებინათ თავისუფლება.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ბევრ რამეს ფარდა აეხადა, ბევრი მივიწყებული ან ზოგისთვის საერთოდ უცნობი სახელი და ფაქტი, ადრე დამახინჯებული და გაყალბებული, გაცოცხლდა და ქართველი საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა. ერთ-ერთი ასეთი მოვლენა იყო XX საუკუნის 40-იანი წლების შეთქმულება და „სამანელთა“ მოძრაობა, რამაც დაადასტურა, რომ ამაო ყოფილა საბჭოთა იმპერიის მცდელობა, ქართველ ერში ჩაეკლა ეროვნული დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის სურვილი.

XX საუკუნის 30-იან წლებში წარმოუდგენელი იყო საქართველოში ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობის დაწყების მიზნით არალეგალური ორგანიზაციის ან, თუნდაც, ჯგუფის შექმნაც კი. 1941 წლის 22 ივნისს დაწყებულმა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომმა სტიმული მისცა ქართველ პატრიოტებს. საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების დიდმა მარცხმა 1941 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე და გერმანელების მიერ საბჭოთა კავშირის დასავლეთი რეგიონების სწრაფმა ოკუპაციამ გააქარწყლა მითი წითელი არმიის უძლეველობის შესახებ. ადამიანები დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა პოლიტიკური ხელმძღვანელობის განცხადებები ქვეყნის საზღვრების ხელშეუხებლობის შესახებ მტკნარი სიცრუე იყო. ადამიანები დაფიქრდნენ: შეძლებდა კი საბჭოთა კავშირი გერმანიის დამარცხებას და გერმანიის ჯარების მიერ დაკავებული ტერიტორიის გათავისუფლებას? ეს კითხვა დაისვა არამარტო საბჭოთა რეჟიმისადმი მტრულად განწყობილ სოციალურ ფენებში, არამედ საბჭოთა იდეოლოგიის პირობებში აღზრდილ

ადამიანებშიც კი. ომის პირველმა თვეებმა, განცდილმა მარცხმა მნიშვნელოვანწილად შეცვალა ფსიქოლოგიური კლიმატი ქვეყანაში. ყოველივე ამან ანტისაბჭოთა ეროვნულ მოძრაობას სერიოზული ბიძგი მისცა. ქართველ პატრიოტებს სამშობლოს გათავისუფლების იმედი ჩაესახათ. დიდი მოძრაობა იყო ევროპის ქვეყნების ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში, თუმცა, იდეური ერთიანობის მიუხედავად, რაიმე ორგანიზაციული კავშირი ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასა და საქართველოში დაწყებულ ანტისაბჭოთა მოძრაობას შორის 1941 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე არ დასტურდება. ეს კავშირი ცოტა მოგვიანებით დამყარდა.

დაიწყო თუ არა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომი, ბევრი ქართველი გაიწვიეს საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში. 1941 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე გერმანიის არმიამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, მაგრამ 1941 წლის დეკემბერში მოსკოვთან გერმანიის ჯარების მარცხის შემდეგ ქართულ ეროვნულ ძალებში ოდნავი იმედგაცრუება შეინიშნებოდა, თუმცა ამას ეროვნული მოძრაობა არ შეუსუსტებია. ისევე როგორც ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მოღვაწენი, საქართველოში არსებული პატრიოტულიად განწყობილი ადამიანების უმრავლესობა დარწმუნებული იყო, რომ საბჭოთა კავშირი ომში დამარცხდებოდა. სწორედ ამ განწყობილებით აიხსნება ის, რომ საქართველოში საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყებიდან სულ მალე პირველი ნაბიჯები გადაიდგა ეროვნული შეთქმულების ორგანიზებისათვის.

ტონის მიმცემი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო, სადაც არსებობდა სტუდენტთა და ასპირანტთა ეროვნულად მოაზროვნე და ანტისაბჭოურად განწყობილი ჯგუფი, რომლის თითქმის ყველა წევრს ვიღაც ჰყავდა რეპრესირებული: გიორგი ახობაძესა და მიხეილ საბაშვილს – მამა, თურმან შანშიაშვილსა და ზურაბ მისაბიშვილს – მამა და ნათესავები, გიორგი თარგამაძეს, აბო ფარეშიშვილს, კიტა ბუაჩიძესა და ლევან კვაჭაძეს – ძმა...

პატრიოტულად განწყობილი ქართველი ახალგაზრდების პირველ ნაბიჯებს დავით იუკურიძე ასე ახასიათებს: „ყველაფერი კი მართლაც 1941 წელს დაიწყო, ომის გაჩაღებისთანავე, უნივერსიტეტსა და ავჭალის ქართულ დივიზიაში. თავდაპირველად შეთქმულებმა უნივერსიტეტში შექმნეს პოლიტიკური ორგანიზაცია „სამანი“, რომელშიც გაერთიანდა პროფესორ-მასწავლებლების, ასპირანტებისა და სტუდენტების მცირე ნაწილი. „სამანს“ დღეს სხვადასხვანაირად შიფრავენ: „საქართველოს აყვავებისა-

თვის მებრძოლი ინტერნაციონალი“, ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ამ ორგანიზაციას „სამანი“ კი არა, „სამნო“ ერქვაო და ასე განმარტავენ: „საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლი ახალგაზრდული ნაციონალური ორგანიზაცია“ (იუკურიძე 1997:3).

შეთქმულება, რომელიც 1941 წელს ჩაისახა, იმავე წელს გასცეს. 1942 წლის იანვრიდან მათი დაპატიმრება დაიწყო. დააპატიმრეს და გაასამართლეს 33 ადამიანი. აქედან 17 დახვრიტეს, ხოლო სხვებს გადასახლება და პატიმრობა მიუსაჯეს. შეთქმულთა მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო. მოვიტანთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულ ერთ-ერთ დოკუმენტს:

„საბჭოთა კავშირთან ჰიტლერული გერმანიის ომის დაწყების პირველივე თვეებში მობილიზაცია გამოცხადდა. 35-ე და 83-ე სათადარიგო მსროლელ პოლკში შეაღწია ანტისაბჭოურად მოაზროვნე ელემენტებმა. მობილიზაციამდე ავჭალის 35-ე სპეციალური დანაყოფი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტები ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობაში იყვნენ.

იმ პერიოდში, როცა წითელმა არმიამ დროებით უკან დახევა დაიწყო და ფაშისტური არმია მოსკოვისკენ მიიწევდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტების ჯგუფი დებდა ფსონს გერმანიის გამარჯვებაზე. მათ აქტიურად დაიწყეს არალეგალური მუშაობა და ფაშისტურ-მეამბოხე კონტრევოლუციურ ორგანიზაციაში დასახლებული პოლკის ყველა მეთაურისა და ასევე მათი ახლობელი სამოქალაქო პირების ჩართვა.

დასახლებული არალეგალური კონტრევოლუციური ორგანიზაცია, საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით, ემზადებოდა შეიარაღებული აჯანყებისთვის, თუკი გერმანელები აიღებდნენ ქ. მოსკოვს და გამოაცხადებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას გერმანიის პროტექტორატის ქვეშ. აჯანყებულებს უნდა აეღოთ თბილისი, დაემხოთ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში, რადიოთი უნდა გამოეცხადებინათ ამის შესახებ და აღედგინათ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

შეიარაღებული აჯანყების დაწყების პარალელურად გლეხებიც უნდა გამოსულიყვნენ რაიონებში. ეს ასე უნდა მომხდარიყო:

ა. 35-ე სათადარიგო მსროლელი პოლკი თბილისს შეუტევდა ავჭალის მხრიდან და გზად ღრმა-ღელეში მდებარე იარაღის საწყობს ხელში ჩაიგდებდა;

ბ. განაიარაღებდნენ ავჭალაში დისლოცირებულ რუსულ ნაწილებს. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, მათ გაანადგურებდნენ;

გ. აჯანყებულებს ხელში უნდა ჩაეგდოთ ფოსტა და ტელეგრაფი, რადიოკვანძი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობა, საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შტაბი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბი;

დ. უნდა დაეპატიმრებინათ მთავრობა, არმიის მთავარსარდლობა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლების წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ისინი ფიზიკურად უნდა გაენადგურებინათ;

ე. გერმანიის ჯარების მეთაურებთან კავშირის დასამყარებლად უნდა აღედგინათ რადიოხაზი;

ვ. რადიოთი უნდა გამოეცხადებინათ საბჭოთა ხელისუფლების დამხობა საქართველოში, ებრძანებინათ ქვეყანაში დისლოცირებული სამხედრო ნაწილებისათვის, ერთგულების ფიცი დაედოთ ახალი მთავრობის წინაშე“ (სმსსა,1:11-12/ სტილი დაცულია/).

როგორც ვხედავთ, შეთქმულთა გეგმით, გერმანული არმიის საქართველოში შემოსვლის შემდეგ გერმანიის მთავრობის პროტექტორატის ქვეშ საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგებოდა.

ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი მწერალი კოტე ხიმშიაშვილი იყო, რომელიც 35-ე სათადარიგო პოლკში მსახურობდა. ეს პოლკი იმხანად კიროვაბადში (დღევან. განჯა) იყო დისლოცირებული. აქ მან გაიცნო უმცროსი ლეიტენანტი გიორგი იმერლიშვილი და სხვები, რომლებსაც გარკვეული გეგმა უკვე ჰქონდათ საქართველოს გათავისუფლების შესახებ. მოგვიანებით შეთქმულთა პოლკი ავჭალაში გადმოვიდა. მათ თავიანთი ჩანაფიქრი პოლკის სხვა წევრებს და თბილისში მყოფ მეგობრებსა და ახლობლებს გაანდეს. შეთქმულებს სხვა თანამოაზრეებიც გამოუჩნდათ. ორგანიზაციის დაარსებაში აგრეთვე დიდი წვლილი მიუძღვით ახალგაზრდა მწერლებს: კოტე ჯოგლიძეს, შალვა შავიანიძეს, გიორგი ძიგვაშვილსა და მიხეილ იმერლიშვილს. მათ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ იდეურ ხელმძღვანელ კოტე ხიმშიაშვილთან და გიორგი იმერლიშვილთან. ორგანიზაციის თავმჯდომარე კოტე ჯოგლიძე იყო, ორგანიზაციის მდივანი კი – შალვა შავიანიძე.

ორგანიზაციის წევრების პაროლი იყო შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნიდან“ – „ვარ უმტკიცესი რვალისა“, მათი უმთავრესი ლოზუნგი – „საქართველო ქართველებისათვის“, პოლიტიკური პლატფორმა კი ასე გამოიყურებოდა:

1. საქართველოს დამოუკიდებლობა გერმანიის პროტექტორატის ქვეშ;
2. საკოლმეურნეო სისტემის მოშლა და მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემა;
3. სიტყვისა და პრესის თავისუფლება;
4. ეროვნული თვითშეგნების ამაღლება – საქართველო ქართველებისათვის (ყიფშიძე 2018:47).

კოტე ჯოგლიძე აპირებდა, მომავალი პარტიისათვის „სამნო“ (საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლი ნაციონალური ორგანიზაცია) დაერქმია, რომლის სახეცვლილება „სამანი“ შემდგომში შეთქმულთა საქმის გამგრძელებელ ორგანიზაციას ეწოდა, რომელსაც სათავეში ადამ ბობლიაშვილი ჩაუდგა.

კოტე ხიმშიაშვილს მისმა პედაგოგმა ერეკლე ტატიშვილმა პოეტ ალექსანდრე საჯაიას (რომელსაც ჭლექი ჰქონდა და ამიტომ სამხედრო სამსახურში არ გაუწვევიათ) ხელით გაუგზავნა გერმანელი მაღალჩინოსნის მიერ დაწერილი დაშიფრული წერილი, რომელიც მას გერმანელების თბილისში შემოსვლისას კომენდანტისთვის უნდა წარედგინა. აჯანყებულებს ამ წერილის საფუძველზე გადმოიბირებდნენ. ამავდროულად ამბოხებულებს უნდა მოშველებოდა ვერმახტის ქართული პოლკის დანაყოფი გივი გაბლიანის მეთაურობით, რომელიც ამ პერიოდში ჯარით უკვე კავკასიასთან იდგა. საქართველოში აგრეთვე შემოვიდოდა გენერალ შალვა მაღლაკელიძის მეთაურობით ვერმახტის ქართული პოლკის ძირითადი შემადგენლობაც. ამ ამბავს ასე გადმოგვცემს როსტომ ჩხეიძე თავის ნაშრომში „დაწყველილი თაობა“ (1992 წ.):

„ეს გეგმა რამდენად რეალური იყო, არავინ იცოდა, ან როგორ განხორციელდებოდა, ესეც კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა.

ახალგაზრდები, რომლებიც შეთქმულების სახელით დააპატიმრეს, ხალხის მტრად მონათლეს. მათ ახლობლებს ფსიქოლოგიურ შიშსა და მუდმივ თვალთვალში ამყოფებდა საბჭოთა ხელისუფლება. პროტესტის გრძნობა თუ ჰქონდათ, ხელისუფლების შიშით ხმის ამოღებას ვერავინ გაბედავდა“.

რეპრესირებული თინათინ თუშმალიშვილი და ლეო კვაჭაძე ასე იხსენებენ საკუთარ თავზე გადავლილ ამბავს ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე: „მეორე მსოფ-

ლიო ომის მძვინვარების ჟამს ქართველ ინტელექტუალთა არაერთ წარმომადგენელს გაუჩნდა იმედი არსებული პოლიტიკური სიტუაციის საქართველოს სასიკეთოდ გამოყენებისა. თითქოს დადგა დრო-ჟამი, საქართველოს რეალურად მიეღწია თავისუფლებისათვის.

ამ მხრივ გამოირჩეოდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტებისა და ახალგაზრდა მასწავლებლების ჯგუფი. მათი ფიქრი და ოცნება იყო სამშობლოს თავისუფლება, ხოლო „სამოქმედო“ პროგრამა ეფუძნებოდა ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-გამათავისუფლებელ იდეებს, რომელთა ხორცშესხმა მათ მაშინ შესაძლებლად მიაჩნდათ“ (თუმშალიშვილი 2007:25-28).

ამ ყველაფრის შემდეგ ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა, ე. წ. შინსახკომმა, აგენტების დახმარებით შეთქმულება გამოააშკარავა, დაიწყეს წევრების დაპატიმრება: „1942 წლის სექტემბერში, თბილისში, საქართველოს დედაქალაქში, დაიწყო სასამართლო პროცესი. სამხედრო ტრიბუნალს თავმჯდომარეობდა სამხედრო პირი, რუსეთიდან მოწვეული ვინმე ფომინი, მდივანი იყო პეტროსიანი, გამომძიებელი – მარქაროვი. გამომძიებას ხელმძღვანელობდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ირაკლი ნიზლაძე. პროცესი მიმდინარეობდა რუსულად. თარჯიმნობას ეწეოდა ვიღაც უგერგილო ენის უცოდინარი კაცი. საქმის გამომძიება წარიმართა ყოველგვარი პროცესუალური და სამართლებრივი წესკანონების დაცვის გარეშე“ (თუმშალიშვილი 2007:25-28).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სასამართლოს პროცესს წარმართავდნენ და დადგენილებას ხელს აწერდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი ავქსენტი რაფავა, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უმცროსი ლეიტენანტი მირიან თავდიშვილი, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი დოლიძე, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის ლეიტენანტი ყრუაშვილი.

მამასადაძე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაცული დოკუმენტებიდან ვგებულობთ, რომ 1941 წლის 22 ივნისს დაწყებული საბჭოთა კავშირ-გერმანიის

ომის პირველ დღეებსა და თვეებში ჩამოყალიბდა ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომელსაც ჩაფიქრებული ჰქონდა შეთქმულება საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ. მათი მიზანი იყო საქართველოს გათავისუფლება კომუნისტური რეჟიმისაგან და დამოუკიდებლობის გამოცხადება. ამ დაჯგუფებაში შედიოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ-ასპირანტები და პედაგოგები. შეთქმულთაგან 17 პირი დახვრიტეს, რაც დიდი ზარალი იყო ქვეყნისთვის, რადგან ეს განათლებული ახალგაზრდები თავის ნიჭსა და ცოდნას საქართველოს წინსვლას მოახმარდნენ და ღირსეულ მომავალ თაობას გაზრდიდნენ.

§2. სიკვდილმისჯილნი

1. დიმიტრი ბურდიაშვილი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტების მიხედვით შეთქმულებიდან ყველაზე ადრე, 1942 წლის 2 იანვარს, **დიმიტრი ბურდიაშვილი** დააპატიმრეს.

ავჭალის სამხედრო ნაწილში, სადაც იგი მსახურობდა, სიის ამოკითხვისას მისი გვარი არ დაუსახელებიათ. დიმიტრი ბურდიაშვილს როცა მიზეზი უკითხავს, უთქვამთ, რაღაც გაუგებრობაა და ვიდრე გაირკვევა, შეგიძლიათ წახვიდეთო. სახლში დაბრუნების დროს, როგორც დეზერტირი, შეიპყრეს (**ჩხეიძე 1992:114**).

1956 წლის 20 აგვისტოს, საქმის გადასინჯვისას, გაირკვა, რომ გამცემი ყოფილა **ილია იმერლიშვილი**, რომელიც „უშიშარის“ აგენტურული სახელით იყო ცნობილი. მას უცნობებია დიმიტრი ბურდიაშვილის ჯარიდან გაქცევა (**კვერენჩილაძე 2007:58**).

ჟურნალ „საარქივო მოამბის“ მიხედვით, **დიმიტრი ბურდიაშვილი**, „დაბადებული 1914 წელს ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში, დაოჯახებული, უმაღლესი განათლებით, დაამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტი, სპეციალობით პედაგოგი, დაპატიმრე-

ბის დროს 35-ე პოლკის უმცროსი ლეიტენანტი“ იყო და ის გაქცეული დააპატიმრეს ყვარელში, როგორც დეზერტირი“ (ყიფშიძე 2018:48).

დიმიტრი ისაკის ძე ბურდიაშვილის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის მიხედვით მასალებში მოპოვებული დადგენილების (ფორმა N1) მიხედვით, როგორც აღვნიშნეთ, 1942 წლის 2 იანვარს დააპატიმრეს. დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი **ავქსენტი რაფავა** და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უმცროსი ლეიტენანტი **მირიან თავდიშვილი**. დოკუმენტის მიხედვით, დიმიტრი ბურდიაშვილი, რომელიც 1914 წელს იყო დაბადებული ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში, უმაღლესი განათლებით, 1941 წლის 22 ოქტომბერს გაიქცა წითელი არმიის რიგებიდან (კერძოდ, 35-ე ბატალიონიდან), იყო დეზერტირი და იმყოფებოდა კანონგარეშე. ამავე მასალების მიხედვით დიმიტრი ბურდიაშვილი ირიცხებოდა მეამბოხურ-რევოლუციურ ორგანიზაციაში. წითელი არმიის რიგებში ყოფნის დროს იგი აქტიურად ეწეოდა კანონსაწინააღმდეგო საქმიანობას.

დიმიტრი ისაკის ძე ბურდიაშვილს შეეფარდა პატიმრობა. ხელს აწერენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე** და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უმცროსი ლეიტენანტი **თავდიშვილი (სშსსა, 9:4-5)**.

ფორმა N2-ის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებდა აღკვეთი ღონისძიების შეფარდებას რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე და 158-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 44-ე და 49-ე მუხლებით, ვგებულობთ: დიმიტრი ბურდიაშვილი იყო საქართველოს სსრ-ის მოქალაქე, ეროვნებით ქართველი, დაბადებული 1914 წელს სოფ. შილდაში, ყვარლის რაიონში. სამუშაო ადგილი – რადიოკომიტეტი, უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, იმყოფება კანონგარეშე. ეჭვმიტანილია დანაშაულში საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ. 2 და 58/11 მუხლების მიხედვით (სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ.2-ის მიხედვით სამართლდებოდნენ ის პირები ვინც ეწეოდა პროპაგანდას ან აგიტაციას, რომელიც მოუწოდებდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას; ასევე, ნებისმიერი მოქმედება, რომელიც მიმართული იყო კონტრრევოლუციური მიზნებისაკენ და მასში

მონაწილეობისკენ, რაც ითვალისწინებდა სსრ კავშირის ტერიტორიების ნებისმიერი ნაწილის ხელში ჩაგდებას ძალადობრივი გზით. ამავე მუხლით ისჯებოდა ღია აჯანყების მცდელობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რაც სამართლებრივად გულისხმობდა სხვა შემავალ რესპუბლიკებს შორის დადებულ ხელშეკრულებებსაც, რომელიც განსაზღვრავდა ზემოთ ჩამოთვლილ ქმედებებს.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის 58/11 მუხლის მიხედვით ის პირები სამართლებრივად აღიარებდნენ, რომელიც ნებისმიერი სახის საორგანიზაციო საქმიანობას ეწეოდნენ და მიზნად ისახავდნენ კონტრევოლუციური დანაშაულის მომზადებას. ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას და ქონების ჩამორთმევას, კონფისკაციით).

დიმიტრი ბურდიაშვილს შეეფარდა პატიმრობა რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლით და ამის შესახებ გამოეცხადა დაკავებულს (რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ყველა შემავალი რესპუბლიკებისათვის წარმოადგენდა კავშირის ძირითად კანონს. რსფსრ-ს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის გათვალისწინებით გამომძიებელი წყვეტდა ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის საკითხს. ხოლო, რადგან ქმედება განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე, ამიტომ საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლი ავალბდა საქართველოს შესაბამის ორგანოებს თავიანთ იურისდიქციას მიკუთვნებულ შემთხვევებში გამომძიების ჩატარებას, განაჩენის გამოტანასა და აღსრულებას).

ასლი გაეგზავნა პროკურორს და ციხის უფროსს პატიმრის პირადი საქმის გასაცნობად და მასში დასართავად რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე მუხლით და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 50-ე მუხლით (რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე მუხლი წყვეტდა ბრალდებულის შინაპატიმრობაში დატოვების საკითხს, მეთვალეურობით ან უმეთვალეუროდ; საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 50-ე მუხლი განსაზღვრავდა სამართლებრივი საქმის აღძვრის პროცედურებს). ხელს აწერენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე** და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უმცროსი ლეიტენანტი **მირიან თავდიშვილი** (სშსსა,1:8-9).

დადგენილება (ფორმა N3) ბრალის წარდგენის თაობაზე თარიღდება 1942 წლის 28 თებერვლით. იხელმძღვანელებს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე მუხლებით და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლით და ბრალდებული პასუხისგებაში იქნა მიცემული (რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 123-ე სამოქალაქო სარჩელის არსებობის შემთხვევაში, გამომძიებელი ვალდებულია განიხილოს მხარის შუამდგომლობა, შეადგინოს დასაბუთებული გადაწყვეტილება დაზარალებულად ცნობა არ ცნობის შესახებ. ხოლო, რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ გამომძიებელი შემოიფარგლება საგამომძიებო მოქმედებების წარმოებით და საქმეს განსახილველად გადასცემს შესაბამის ორგანოს). დოკუმენტის მიხედვით დაკითხვას აწარმოებდნენ და ხელს აწერენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიზლაძე** და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი **ლეიტენანტი არტაშეს მარქაროვი**.

დოკუმენტის მიხედვით, დიმიტრი ბურდიაშვილი 1941 წლის მობილიზაციით იმყოფებოდა წითელი არმიის რიგებში, იგი შევიდა არალეგალურ-მეამბოხურ ორგანიზაციაში, რომლის მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა შეიარაღებული აჯანყების გზით და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

დიმიტრი ბურდიაშვილი გადაიბირა მისმა ახლო მეგობარმა **გიორგი იმერლი-შვილმა**.

დადგენილების მიხედვით **დიმიტრი ბურდიაშვილი** დამნაშავედ ცნეს საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ. 2 და 58/11 მუხლების მიხედვით.

რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლისა და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის მიხედვით დადგენილების ასლი გადაიგზავნა პროკურორთან.

დადგენილებას ხელს აწერს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი **ლეიტენანტი არტაშეს მარქაროვი** (სშსსა, 1:90-91).

დეზერტირობისათვის დაპატიმრებულმა **დიმიტრი ბურდიაშვილმა** აღიარა დანაშაული. მისი ჩვენებით, იგი „გიორგი იმერლიშვილმა გადაიბირა არალეგალურ მემბოხე ორგანიზაციაში, რომელიც შეიარაღებული აჯანყების გზით საბჭოთა ხელისუფლების დამხობასა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას გეგმავდა“ (ყიფშიძე 2018:49).

ეჭვს გარეშეა, რომ ორგანიზაციის წევრები დიმიტრი ბურდიაშვილს ძალოვანების ზეწოლით დაასახელებდნენ. სწორედ მისთვის უნდოდათ შეთქმულების გაცემა დაებრალებინათ (ჩხეიძე 1995:114).

ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალის N194 განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებული, ვიდრე სამხედრო ნაწილიდან გაიქცეოდა, მას გიორგი იმერლიშვილმა დაავალა, გადაებირებინა სამხედრო ნაწილიდან უფროსი მეგობრები – **კანანაძე და დვალი** არალეგალურ მემბოხე ორგანიზაციაში (ეს პირები ფრონტზე წავიდნენ) (სშსსა, 14:17-29). „დიმიტრი ბურდიაშვილს დავალებული ჰქონდა იარაღის ადგილსამყოფელის მიგნება და შესწავლა“ (კვერენჩილაძე 2017:67).

ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა 1942 წლის 20 სექტემბერს დიმიტრი ბურდიაშვილს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – **დახვერეტა** ქონების კონფისკაციით (სშსსა, 14:17-29)

2. ლევან თორაძე

1942 წლის 10 იანვარს რამდენიმე ადამიანი დაუკავებიათ. არქივში დაცულ დადგენილებაში (ფორმა N1) აღნიშნულია, რომ **ლევან ივანეს ძე თორაძის** დაპატიმრებას ხელს აწერენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე** და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი **ლეიტენანტი არტაშეს მარქაროვი**. პროკურორის მიერ საჩქცია დაპატიმრების თაობაზე გაცემულია 1942 წლის 10 იანვრის 24:00 საათზე.

დოკუმენტის მიხედვით ლევან თორაძე დაბადებული იყო 1915 წელს, თელავის რაიონის სოფელ წინანდალში, უცოლშვილო, უპარტო, ეროვნებით ქართველი, საქართ-

ველოს სსრ-ის მოქალაქე, საშუალო განათლებით, უმცროსი ლეიტენანტი, აგროტექნიკოსი, 35-ე პოლკში ოცეულის პოლიტხელმძღვანელი.

ლევან თორაძის დანაშაულებრივი საქმიანობის შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ იგი იყო „ფაშისტურ-კონტრრევოლუციური“ არალეგალური ორგანიზაციის აქტიური წევრი. ცალკეული პირების გადასაბირებლად აქტიურად მუშაობდა.

დადგენეს: ლევან თორაძე დაექვემდებაროს ჩხრეკა-დაპატიმრებას (სშსსა,14:61-62).

ლევან თორაძის შესახებ ჟურნ. „საარქივო მოამბეში“ (N19, 2018 წ.) ვკითხულობთ: იგი დაბადებულია ქ. თბილისში, საშუალო განათლებით, დამთავრებული ჰქონდა ბაკურციხის ღვინის წარმოების ტექნიკუმი, ნასამართლევი არ ყოფილა.

დადგენილება (ფორმა N2) ლევან თორაძისთვის აღკვეთი ღონისძიების თაობაზე, გამოტანილი რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის საპროცესო 145-ე და 158-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 44-ე და 49-ე მუხლების მიხედვით, დათარიღებულია 1942 წლის 10 იანვრით. დოკუმენტში ასახულია ლევან თორაძის დანაშაულებრივი საქმიანობა (რსფსრ-ს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 158-ე მუხლით, თავდებობის ან გირაოს მიღებისას გამომძიებელი ადგენდა ოქმს, რომელიც ხელმოწერილი იყო თავდების ან დამგირავებლის მიერ. ოქმი მათ გადაეცემოდათ ასლის სახით. რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ყველა შემავალი რესპუბლიკებისათვის წარმოადგენდა კავშირის ძირითად კანონს. რსფსრ-ს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის გათვალისწინებით გამომძიებელი წყვეტდა ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის საკითხს. საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 44-ე მუხლის საფუძველზე განმარტებული იყო, რომ დანაშაულის ან დანაშაულის დაგეგმვასთან დაკავშირებული განაცხადი შეიძლებოდა გაეკეთებინა მოქალაქეს წერილობით ან ზეპირად, ოქმი ხელმოწერილი უნდა ყოფილიყო ორივე მხარის მიერ. განმცხადებელი ინფორმირებული იყო ყალბ დასმენაზე პასუხისმგებლობისათვის. საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 49-ე მუხლით განმარტებოდა, რომ სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრა არ ხდებოდა ხელმოწერად და ასეთი საქმის არსებობის შემთხვევაში საქმე ნებისმიერ ეტაპზე წყდებოდა).

დადგენილებას ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი **ავქსენტი რაფაეა** და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უმცროსი ლეიტენანტი **მირიან თავდიშვილი**.

ფორმა N2-ის მიხედვით ლევან თორაძე დაბადებულია 1915 წელს თელავის რაიონის სოფელ წინანადალში, პროფესიით აგროტექნიკოსი, 35-ე პოლკში ოცეულის პოლიტხელმძღვანელი, საშუალო განათლებით, უცოლშვილო, საქართველოს სსრ-ის მოქალაქე, ქართველი, ბოლშევიკური პარტიის წევრი, მისამართი: ავჭალა, 35-ე პოლკი.

მომიებული ინფორმაციით, ლევან თორაძე ექვმიტანილია დანაშაულში საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის **58/10 ნაწ. 2** და **58/11** მუხლების მიხედვით. მას შეეფარდა პატიმრობა რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლით და ამის შესახებ ეცნობა დაკავებულს. გადაწყვეტილება მიიღეს იმის საფუძველზე, რომ ლევან თორაძის თავისუფლებაში ყოფნამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გამოძიებაზე.

გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნა პროკურორს და ციხის უფროსს პატიმრის პირადი საქმის გასაცნობად და მასში დასართავად რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე მუხლით და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 50-ე მუხლის მიხედვით.

თანხმობაზე ხელს აწერს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე (სშსსა, 14:172-173)**.

ლევან თორაძისათვის ბრალის წარდგენის თაობაზე დადგენილება (ფორმა N3) გამოიტანეს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე მუხლებით და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლი საფუძველზე. დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე** და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი **არტაშეს მარქაროვი**. დოკუმენტი დათარიღებულია 1942 წლის 28 თებერვლით.

ფორმა N3-ის ასლი რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლისა და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის ძალით პროკურორთან გაიგზავნა.

საგამომიებო საქმის (N1964) ინფორმაციით, 1942 წელს **ლევან თორაძე** მობილიზაციით გაიწვიეს წითელ არმიის რიგებში. მოსკოვზე გერმანელთა ჯარების შეტევისას ის შეუერთდა არალეგალურ ნაციონალისტურ-მემამბოხე ორგანიზაციას, რომელიც მიზნად ისახავდა შეიარაღებული აჯანყების გზით საბჭოთა ხელისუფლების დამხობასა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. ის გადაიბირა ახლო მეგობარმა **გიორგი იმერლიშვილმა**. მასაც, თავის მხრივ, დავალებული ჰქონდა სხვა პირების გადაბირება.

დაადგინეს: ლევან ივანეს ძე თორაძე ცნეს დამნაშავედ საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის **58/10 ნაწ. 2** და **58/11** მუხლების მიხედვით. ბრალდებულს გამოეცხადა მიღებული გადაწყვეტილება.

რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლისა და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის ძალით გადაწყვეტილების ასლი პროკურატურაში გაიგზავნა. ბრალდებულ **ლევან თორაძეს** ხელი მოაწერინეს (სშსსა,1:84-85).

ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა 1942 წლის 20 სექტემბერს ლევან თორაძეს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – **დახვრეტა** ქონების კონფისკაციით (სშსსა, 14:17-29).

3. შალვა შავიანიძე

1942 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილის, **შალვა შავიანიძის** შესახებაც მასალები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში მოვიძიეთ. მათზე დაყრდნობით შევძელით, წარმოგვეჩინა მისი მოღვაწეობის ბევრი დღემდე უცნობი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც ნათელს ჰფენს შეთქმულების აღმოცენებისა და შეთქმულთა მოღვაწეობის ისტორიას.

შალვა შავიანიძე დაიბადა 1915 წელს, ქალაქ ქუთაისში, საკათედრო ტაძრის ღვთისმსახურის (1916 წლიდან ქუთაისის საკათედრო ტაძრის მთავარდიაკვნის, 1929 წლიდან ქუთაისის მწვანეყვავილას წინამძღვრის, 1957 წლიდან ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსის) **ნაუმ შავიანიძის** ოჯახში. **შალვა შავიანიძე** 1935 წელს შევიდა თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეუფლებოდა ფილოლოგიის პროფესიას. უნივერსიტეტი დაამთავრა 1940 წელს. სახელმწიფო-საგამოცდო კომისიის 1940 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით, შალვა შავიანიძეს მიენიჭა ფილოლოგიის კვალიფიკაცია, სპეციალობით – ქართული ენა და ლიტერატურა. 1940 წელს შალვა შავიანიძის სახელზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გასცა წარჩინების დიპლომი (სშსსა,14:76-77). უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ **შალვა შავიანიძემ** სწავლა განაგრძო ასპირანტურაში, რომლის დამთავრებაც ვეღარ შეძლო.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყებასთან დაკავშირებით 1941 წლის 27 აგვისტოს შალვა შავიანიძე საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. უმცროს ოფიცერთა მოსამზადებელი კურსების შემდეგ მას მიენიჭა უმცროსი ლეიტენანტის სამხედრო წოდება. მსახურობდა ავჭალის მსროლელთა 35-ე სათადარიგო პოლკში. 1942 წლის 10 იანვრის 24.00 საათზე იგი დააპატიმრეს შეთქმულებაში მონაწილეობისთვის და გამოიტანეს დადგენილება (ფორმა N2) **შალვა შავიანიძისთვის** აღკვეთი ღონისძიების შეფარდების თაობაზე რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და 158-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 44-ე და 49-ე მუხლების მიხედვით. დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი **ავქსენტი რაფავა**, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე** და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უმცროსი ლეიტენანტი მირიან **თავდიშვილი**.

დადგენილებაში ვკითხულობთ, რომ შალვა შავიანიძე იყო „არალეგალური კონტრრევოლუციური „ფაშისტური“ ორგანიზაციის აქტიური წევრი“. აგენტურული მონაცემების მიხედვით, მას ბრალად ედება შეთქმულებაში მონაწილეობის მიზნით ადამიანების გადაბირება და აჯანყებისათვის მზადება. 1942 წლის 10 იანვარს, ისევ 24.00 საათზე ავქსენტი რაფავას შუამდგომლობის საფუძველზე პროკურორმა შალვა შავიანიძის დაპატიმრებაზე სანქცია გასცა. ბრალი წაუყენეს საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის **58/10 ნაწ. 2** და **58/11** მუხლების მიხედვით. იმის გამო, რომ, გამომძიებლისა და პროკურატურის აზრით, **შალვა შავიანიძეს** შეეძლო გავლენა მოეხდინა გამოძიების მსვლელობაზე, მას რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის ძალით პატიმრობა მიესაჯა

და ამის შესახებ ეცნობა დაკავებულს. ასლი გაეგზავნა პროკურორს და ციხის უფროსს პატიმრის პირადი საქმის გასაცნობად და მასში დასართავად რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლით და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 50-ე მუხლის საფუძველზე (სშსსა,14:78-79).

1942 წლის 28 თებერვალს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსმა, კაპიტანმა **ირაკლი ნიბლაძემ** და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსმა ლეიტენანტმა **არტაშეს მარქაროვმა** დაამტკიცეს საბრალდებო დასკვნა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ **შალვა შავიანიძე** წითელი არმიის რიგებში სამსახურის დროს შევიდა „კონტრევოლუციურ, არალეგალურ, ნაციონალისტურ, სამხედრო-მემამოხე ორგანიზაციაში, რომელიც მიზნად ისახავდა შეიარაღებული გამოსვლის გზით საბჭოთა ხელისუფლების დამხობასა და „დამოუკიდებელი საქართველოს“ შექმნას“. საბრალდებო დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ **შალვა შავიანიძე** გადაიბირა მისმა ახლო მეგობარმა **კონსტანტინე ჯოგლიძემ**, რომლის დავალებითაც იგი სამოქალაქო პირებსა და წითელი არმიის სამხედრო მოსამსახურეებს შორის ეწეოდა აგიტაციას. გამოძიებამ **შალვა შავიანიძისათვის** ბრალის წაყენების დროს იხელმძღვანელა რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე მუხლებისა და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლის შესაბამისად და **შალვა შავიანიძე** პასუხისგებაში იქნა მიცემული. რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლისა და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის ძალით 1942 წლის 28 თებერვალსვე ეს დადგენილება პროკურორს გადაეგზავნა. **შალვა შავიანიძე** საბრალდებო დასკვნას გაეცნო და დოკუმენტზე ხელი მოაწერა (სშსსა,1:88-89).

ძიების დასრულების შემდეგ **შალვა შავიანიძისა** და სხვა შეთქმულთა საქმე განიხილა ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა. სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა 1942 წლის 11-20 სექტემბერს. სულ სასამართლოს წინაშე წარდგა 33 პირი (31 მამაკაცი და 2 ქალი). სამხედრო ტრიბუნალის განაჩენში აღნიშნულია: **შალვა ნაუმის ძე შავიანიძე**, დაბადებული 1915 წელს, საქართველოში, ქალაქ ქუთაისში, უმაღლესი განათლებით, წითელ არმიაში გაწვევამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი, ნასამართლევი არ ყოფილა, წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს 1941 წლის 27

აგვისტოს. ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალმა შალვა შავიანიძეს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – **დახვრეტა** ქონების კონფისკაციით (**სშსსა, 14:17-29**).

განაჩენის გამოტანის შემდეგ შალვა შავიანიძემ ოჯახის წევრებთან წერილი გაგზავნა და შველა სთხოვა:

„დედიკო, დეიდა!

მე დახვრეტა მომისაჯეს, თუ რაიმეს მოახერხებთ, კარგია: დეპეშა გააგზავნეთ მოსკოვში (**სტალინთან** და **ცინცაძესთან**). მე კარგად ვარ. ნუ იდარდებთ. შეწყალების უფლება მაქვს. ამის მომტანს 100 მანეთი გამოვართვი და მიეცით.

გკოცნით ყველას.

21. IX. 42 წ . თქვენი შ. შავიანიძე“.

შალვა შავიანიძის საქმე არ გადაისინჯა.

4. გიორგი ძიგვაშვილი

„40-იანი წლების მძიმე პოლიტიკური რეალობა და ახალგაზრდათა ერთი ჯგუფის, მათ შორის გიორგი ძიგვაშვილის პოლიტიკური მოწიფულობა – ფიქრი თუ მცდელობა, რომ ამ მძიმე სიტუაციიდან ქვეყანა გონივრულად გამოეყვანათ, რომ გერმანელების შემოსვლას პოლიტიკურად მოუმზადებელნი არ დახვედროდნენ... მაგრამ მათ შორისაც ერია ერთ-ერთი იუდა“, – ასე აღწერს ამ პერიოდს მარინე რევიშვილი თავის წერილში – „პოეტის მონატრება (გიორგი ძიგვაშვილი)“ (**„ომეგა“ 2002:85**).

გიორგი ძიგვაშვილი ერეკლე ტატიშვილის გამორჩეული ასპირანტი იყო, ის კარგად ფლობდა ინგლისურ ენას.

„გიორგი ძიგვაშვილი ჯერ კიდევ 1940 წელს გაუწვევიათ არმიაში, მონაწილეობა მიუღია დასავლეთ უკრაინის საბჭოთა კავშირთან შემოერთების კამპანიაში და მალე დაბრუნებულა. დიდი ომის დაწყებისთანავე ისევ არმიაშია“ (**კვერენჩილაძე 2017:77**). ჟურნალ „ჩვენ თაობაში“ გამოქვეყნდა არმიაში გატარებულ პერიოდზე დაწერილი ლექსი „შეხვედრა დასავლეთ უკრაინაში“.

ანტისაბჭოთა ორგანიზაციის ინიციატორებად და დამაარსებლებად კონსტანტინე ხიმშიაშვილი, გიორგი იმერლიშვილი, კონსტანტინე ჯოგლიძე, შალვა შავიანიძე და გიორგი ძიგვაშვილი სახელდებიან.

კოტე ჯოგლიძემ დაავალა გიორგი ძიგვაშვილს, „კარგი იქნება, ინგლისელთა მფარველობის ქვეშ თუ ვიქნებით და საინტერესოა, ვიცოდეთ მათი აზრი ამის თაობაზე. დაუკავშირდი შენ, როგორც ინგლისურის მცოდნე, ინგლისელთა სამხედრო მისიას და მოელაპარაკეო.

შეთქმულები იმითაც უნდა დაინტერესებულიყვნენ, როგორი შეიარაღება ჰქონდა ხელისუფლებას და გიორგი ძიგვაშვილი აპირებდა 7 ნოემბერს პარადს დასწრებოდა, რათა თვითონ ყოფილიყო მხილველი ტანკების დათვალიერების; ოღონდ რადგან სამხედრო ნაწილიდან მისვლა-მოსვლა მთლად იოლი არ იყო, სხვას – თბილისში იმყოფებოდა – გაანდო შეთქმულების არსებობა და პარადზე დასწრებაც საგანგებოდ სთხოვა, რათა მერე შთაბეჭდილება ეამბნა“ (ჩხეიძე 1992:111). როგორც ირკვევა, ეს ყოფილა კიტა ბუაჩიძე, რომელიც 7 ნოემბრის აღლუმზე უნდა წასულიყო, მაგრამ ეს დავალება არ შეუსრულებია (კვერენჩილაძე 2007:81).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დადგენილების (ფორმა N1) მიხედვით გიორგი ძიგვაშვილი დაუპატიმრებიათ 1942 წლის 10 იანვარს. დაკითხვას წარმართავდნენ და დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელწიფო უშიშროების კომისარი ავქსენტი რაფავა, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი ირაკლი ნიზლაძე და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი არტაშეს მარქაროვი.

დადგენილებას ხელს აწერს პროკურორი. დაკავების უფლება გაცემულია 1942 წლის 10 იანვრის 24:00 საათზე.

დაპატიმრების დადგენილების (ფორმა N1) მიხედვით, გიორგი მიხეილის ძე ძიგვაშვილი დაბადებულია 1917 წელს, სოფ. ზედა ციხესულორში, საქართველოს სსრ-ის მოქალაქე, უმაღლესი განათლებით, ასპირანტი, კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წევრი, ავჭალის ბატალიონის შტაბის მუშაკი, უმცროსი ლეიტენანტი.

მოძიებული მასალიდან გიორგი ძიგვაშვილი „ფაშისტური მემბოზურ“-არალეგალური ორგანიზაციის აქტიური წევრი იყო. გამოძიების ინფორმაციით, ის აქტიურად იყო ჩაბმული ცალკეული პირების გადმოხივებაში (სშსსა, 14:171-172).

დადგენილებას (ფორმა N2) გიორგი ძიგვაშვილის აღკვეთი ღონისძიების შეფარდების თაობაზე, გამოტანილი რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და 158-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 44-ე და 49-ე მუხლების მიხედვით, ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი **ავქსენტი რაფავა**, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე** და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უმცროსი ლეიტენანტი **მირიან თავდიშვილი**.

დადგინეს: გიორგი ძიგვაშვილი ექვმიტანილია დანაშაულში და ბრალი წარუდგინეს საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ. 2 და 58/11 მუხლების მიხედვით. რადგან მისი თავისუფლებაში ყოფნა გამოძიებაზე უარყოფითად იმოქმედებდა, ბრალდებულის შეეფარდა პატიმრობა რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის საფუძველზე, რის შესახებაც მას ეცნობა.

ასლი გადაეგზავნა პროკურორს და ციხის უფროსს პატიმრის პირადი საქმის გასაცნობად და მასში ჩასართავად რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლისა და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 50-ე მუხლის მიხედვით (სშსსა, 14:173-174).

დადგენილება (ფორმა N3) გიორგი ძიგვაშვილისთვის ბრალის წარდგენის თაობაზე დათარიღებულია 1942 წლის 3 აპრილით.

დადგენილებას ხელს აწერენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე** და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი **არტაშეს მარქაროვი**.

საგამომძიებო საქმის (N1964) განხილვის შემდეგ ვგებულობთ, რომ 1941 წლის დამაბულობის პერიოდში, როცა გერმანელთა არმია მოსკოვისკენ მოიწევდა, გიორგი ძიგვაშვილი იმყოფებოდა წითელი არმიის რიგებში. ამ დროს იგი შევიდა ნაციონალურ

არალეგალურ მეამბოხე-კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში, მიზნად დაისახა შეიარაღებული აჯანყების გზით საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და „დამოუკიდებელი საქართველოს“ აღდგენა. ის გადაბირებული იყო ამავე საქმეში მხილებული თავისი ახლო მეგობრის კონსტანტინე ჯოგლიძის, ასევე შალვა შავიანიძისა და იმერლიშვილის მიერ.

დადგენილების (ფორმა N3) მიხედვით ცნობილი ხდება, რომ გიორგი ძიგვაშვილი პასუხისგებაში მისცეს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე მუხლებისა და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლის ძალით. იგი საბრალდებო დასკვნას გაეცნო და დოკუმენტზე ხელი მოაწერა (სშსსა, 1:62-63). ამავე დადგენილების ასლი გაუგზავნეს პროკურორს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლი და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის მიხედვით.

ფორმა N3-ის მიხედვით ცხადი ხდება, რომ გიორგი ძიგვაშვილი კონსტანტინე ჯოგლიძის მიერ არის გადაბირებული. გიორგი ძიგვაშვილმა, თავის მხრივ, გადაიბირა დრამატურგი ნიკიტა ბუაჩიძე, რომელსაც დიდი ნაცნობობა ჰქონდა მსახიობებთან, დაკავშირებული იყო საზღვარგარეთ მცხოვრებლებთანაც. მან, აგრეთვე, გადაიბირა გიორგი კალანდაძე, გიორგი არსენიძე, ვახტანგ ჭელიძე (პიონერთა სასახლის თანამშრომელი). მის აზრით, რაც მეტი თანამოაზრე ეყოლებოდათ, მით უფრო ადვილად შეძლებდნენ მიზნის მიღწევას.

„თუ ერთი გაბზარული თაობა დამხვრეტს, მეორე მკვდრეთით აღმადგენს. სიცოცხლე არც დაბადებით იწყება და არც სიკვდილით მთავრდება“, – გიორგი ძიგვაშვილი“ („მწერლის გაზეთი“ 2018:16).

გიორგი ძიგვაშვილს ამიერკავკასიის სამხედრო ფრონტის ტრიბუნალმა 1942 წლის 20 სექტემბერს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა ქონების კონფისკაციით (სშსსა, 14:17-29).

ხალხის მტრის სახელის ტარება მძიმე ჯვარი იყო საბჭოთა რეჟიმის პირობებში ახლობლებისათვის. მისი ძმის, სულიკო მიხეილის ძე ძიგვაშვილის განცხადებას მივაკვლიეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში (განცხადება არის §4. რეაბილიტაციაში შეტანილი).

გიორგი ძიგვაშვილის რეაბილიტაცია გვიან, მაგრამ მაინც მოხდა.

5. კონსტანტინე (კოტე) ჯოგლიძე

შეთქმულთა ორგანიზატორებიდან საინტერესო პიროვნებაა კონსტანტინე ჯოგლიძე. მას გამბედაობა, ვაჟკაცობა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული ოჯახიდან მოჰყვებოდა. მისი ბიძაც პირველი მსოფლიო ომის დროს ბაქოში დაუხვრეტიათ (ცნობა მოგვაწოდა კოტე ჯოგლიძის შვილიშვილმა თეა ებრალიძემ). სხვა შეთქმულთა მსგავსად მისი დიდი სურვილიც იყო დამოუკიდებელ საქართველოში ცხოვრება. კოტე ჯოგლიძეს სურდა, შეექმნა პარტია, რომელიც გერმანელთა შემოსვლის შემდეგ ხელისუფლების სათავეში თუ არ მოექცეოდა, პარტიად მაინც დარჩებოდა.

შეთქმულთაგან ჩამოყალიბებული იყო სამკაცრიანი ჯგუფები, რომელთა წევრები სიფრთხილის გამო ერთმანეთს არ იცნობდნენ. მათი აზრით, ეს მეამბოხე ორგანიზაცია საქართველოში შემოსულ გერმანელებს უნდა დახვედროდა და მათ დახმარებოდა.

კოტე ჯოგლიძემ ამ ორგანიზაციას „საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლი ნაციონალური ორგანიზაცია“, ანუ „სამნო“ უწოდა.

კოტე ჯოგლიძის მემკვიდრეების საოჯახო არქივში ინახება შალვა შავიანიძის წერილები, რომლებიც მას კოტესათვის ქუთაისიდან გამოუზგავნია. აი, რას წერდა შალვა შავიანიძე კოტე ჯოგლიძეს: „შენ მწერ, საჭიროა, პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის შესწავლას წინ უნდა უძღვოდეს სამოქალაქო ომებისა და პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის ღრმა ცოდნაო. უნდა გითხრა და შენც კარგად იცი, რომ პედანტური ცოდნის სასტიკი წინააღმდეგი ვარ. საჭიროა მთავარი მოვლენები იცოდე და შემდეგ კაცს ორიენტაციის ნიჭი გქონდეს“ (საოჯახო არქივიდან). მეგობრების მიმოწერიდან ჩანს, რომ ისინი ცდილობდნენ, ამ მძიმე ბრძოლას თეორიულად მომზადებული დახვედროდნენ.

კოტე ჯოგლიძე დაბადებულია 1915 წელს, სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშში. როგორც მისი ნათესავები იხსენებენ, სკოლაში ძალიან კარგი მოსწავლე ყოფილა. სკოლის დამთავრების შემდეგ კოტე ჯოგლიძემ სწავლა განაგრძო პედაგოგიურ სასწავლებელში, შემდეგ კი, 1935 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლო-

გის ფაკულტეტზე ჩააბარა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ **მიხეილ ზანდუკელის** ასპირანტი გახდა.

ომის დაწყებისთანავე, **კოტე ჯოგლიძე**, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, ბაქოში ოფიცერთა სასწავლებელში გაგზავნეს. მან რუსული ენის არცოდნა მოიმიზეზა და უკან დაბრუნდა, რის შემდეგაც იგი ავჭალის ქართულ დივიზიაში მსახურობდა.

კოტე ჯოგლიძე კარგად ფლობდა გერმანულ ენას, რომელიც, ახლობლების თქმით, დამოუკიდებლად შეისწავლა გერმანელებთან კავშირის დასამყარებლად, თუმცა მას ინგლისელების იმედი უფრო ჰქონდა. ამიტომ მან დაავალა **გიორგი ძიგვაშვილს**, ინგლისური ენის კარგ მცოდნეს, დაუკავშირდი სამშვიდობო მისიის ჯარებს და მოელაპარაკე, რა აზრზე იქნებიანო (**ჩხეიძე 1992:111**).

დადგენილების (ფორმა N1) მიხედვით **კოტე ჯოგლიძე** 1942 წლის 10 იანვარს დააპატიმრეს.

საქმეს უძღვებოდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი **ავესენტი რაფავა**, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე** და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი **არტაშეს მარქაროვი** და უმცროსი ლეიტენანტი **მირიან თავდიშვილი**. დოკუმენტს ერთვის პროკურორის რეზოლუცია დაპატიმრების თაობაზე.

დოკუმენტის მიხედვით, **კონსტანტინე ჯოგლიძე** არის აქტიური ხელმძღვანელი კონტრრევოლუციური არალეგალური ფაშისტური ორგანიზაციისა. ის აქტიურად მუშაობდა სხვა წევრების გადმოსაბირებლად.

კონსტანტინე ჯოგლიძე ეჭვმიტანილია დანაშაულში საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის **58/10 ნაწ. 2** და **58/11** მუხლებით. იმის გათვალისწინებით, რომ მან თავისუფლებაში ყოფნით შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს გამოძიების მიმდინარეობაზე, დადგენილების (ფორმა N2) გამოტანისას **კონსტანტინე ჯოგლიძის**ათვის აღკვეთი ღონისძიების შეფარდების თაობაზე იხელმძღვანელეს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და 158-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 44-ე და 49-ე მუხლებით. მას შეეფარდა პატიმრობა რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45 მუხლით და ამის შესახებ ეცნობა დაკავებულს.

დადგენილებას ხელს აწერენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე** და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უმცროსი ლეიტენანტი **მირიან თავდიშვილი**. დასკვნა გააცნეს ბრალდებულს და ხელი მოაწერინეს (**სშსსა,14:82-83**).

რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 50-ე მუხლით, გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნა პროკურორსა და ციხის უფროსს პატიმრის პირადი საქმის გასაცნობად და მასში ჩასართავად.

სახელმწიფო უშიშროების უმცროსი ლეიტენანტის **მირიან თავდიშვილის** მიერ განხილული მასალების მიხედვით კონსტანტინე სერგოს ძე ჯოგლიძე – დაბადებული 1915 წელს, სამტრედიის რაიონის სოფელი კულაშში, ავჭალის 35-ე პოლკის უმცროსი ლეიტენანტი, ოცმეთაურის თანაშემწე, ასპირანტი, უპარტიო, უცოლშვილო, ეროვნებით ქართველი, საქართველოს სსრ-ის მოქალაქე – ეჭვმიტანილია დანაშაულში საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის **58/10** ნაწ. 2 და **58/11** მუხლებით.

კონსტანტინე ჯოგლიძე დააპატიმრეს, რადგან თავისუფლებაში მისი ყოფნა გამოძიებაზე უარყოფითად აისახებოდა (**სშსსა,14:80-81**).

დადგენილების (ფორმა N3) გამოტანისას იხელმძღვანელებს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე მუხლებით და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლით, რის საფუძველზეც კონსტანტინე ჯოგლიძე პასუხისგებაში მიეცა. მას ბრალი წარუდგინეს 1942 წლის 28 თებერვალში.

დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე** და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი **არტაშეს მარქაროვი**.

დოკუმენტში აღნიშნული ინფორმაციით, 1941 წლის ზაფხულში მსჯავრდებული კონსტანტინე ჯოგლიძე მობილიზებული იყო წითელი არმიის რიგებში. მან ჩამოაყალიბა არალეგალური ნაციონალისტური სამხედრო-მეამბოხე ორგანიზაცია, რომელმაც მიზნად დაისახა შეიარაღებული გზით საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და „დამოუკიდებელი საქართველოს“ აღდგენა. მიზნის მისაღწევად **კონსტანტინე ჯოგლიძემ** გამოიყენა ქვეყანაში არსებული დამაბული ვითარება, როდესაც გერმანელთა ჯარებმა საბჭოთა კავშირის დიდი ტერიტორია დაიპყრეს და დღითიდღე წინ მოიწევდნენ. ის

აქტიურად იბირებდა კონტრევოლუციურ ორგანიზაციაში როგორც სამოქალაქო, ასევე 35-ე პოლკის სამხედრო პირებს.

დადგენილების მიხედვით კონსტანტინე ჯოგლიძე დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის **58/10 ნაწ. 2** და **58/11** მუხლებით.

რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლისა და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის საფუძველზე დადგენილების ასლი გადაიგზავნა პროკურორთან.

დადგენილებას ხელს აწერს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი **არტაშეს მარქაროვი (სშსსა,14:98-99)**.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კოტე ჯოგლიძე მიხეილ ზანდუკელის ასპირანტი იყო. ამის გამო 1943 წლის ივლისში დაკითხეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, რომელმაც განაცხადა: [კოტე ჯოგლიძე] „ჩემი ასპირანტი იყო, კარგი დამოკიდებულება გვქონდა ერთმანეთთან, როგორც მასწავლებელს მოსწავლესთან. 1941 წელს ჯარში გაიწვიეს და მერე აღარც მინახავს“ (**კვერენჩილაძე 2017:191**).

კოტე ჯოგლიძეს ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა 1942 წლის 20 სექტემბერს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – **დახვრეტა** ქონების კონფისკაციით (**სშსსა, 14:17-29**).

განაჩენის შესახებ კოტე ჯოგლიძის ოჯახის წევრებს არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდათ. თავდაპირველად კოტეს ძმა ფიქრობდა, რომ ავჭალის შინსახკომის ციხეში ჰყავთ დაპატიმრებულიო. შემდეგ იმედოვნებდნენ, რახან გერმანული ენა კარგად იცის, ალბათ თავი დააღწია საბჭოთა ხელისუფლებას და რომელიმე გერმანულენოვან ქვეყანაში ცხოვრობსო. სიმართლე მხოლოდ 15 წლის შემდეგ გამოჰყდა.

6. გიორგი იმერლიშვილი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის 1942 წლის მიების მასალების მიხედვით, „**გიორგი სიმონის ძე იმერლიშვილი** დაბადებულია 1914 წელს, ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში, საქართველოს სსრ-ის მოქალაქე, უპარტიო, დაო-

ჯახებული, გლეხის ოჯახიდან, უმაღლესი განათლებით, სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ასპირანტი, დაკავების დროს იყო 788-ე პოლკის უმცროსი ლეიტენანტი, ნასამართლეს არ ყოფილა, ჰყავს ცოლი და შვილი, წითელი არმიის რიგებში არავინ ჰყავს, თბილისში მცხოვრები მისამართზე: რევაზოვსკის ქ. N3“ (სშსსა, 14:296).

გიორგი იმერლიშვილი მოსკოვის ასპირანტურაში სწავლობდა, 1939 წელს კი თბილისში გადმოვიდა. მან გადაწყვიტა, რომ ჯარში სამსახური და იარაღთან სიახლოვე გამოეყენებინა არა საბჭოთა წყობილების დასაცავად, არამედ საქართველოს გადასარჩენად და სამშობლოსათვის ნგრევისა და მსხვერპლის თავის ასარიდებლად.

წინააღმდეგობის ჯგუფის შექმნის იდეა გიორგი იმერლიშვილს გაუჩნდა, შეთქმულების იდეური ხელმძღვანელი კოტე ხიმშიაშვილი გახდა, შეთქმულების ერთ-ერთი ორგანიზატორი კი – კოტე ჯოგლიძე.

გიორგი იმერლიშვილმა შეთქმულების მონაწილეებს სამშობლოს გადარჩენის გეგმა გაუზიარა. საბჭოთა არმიის დამარცხების შემთხვევაში გერმანელებისთვის წინააღმდეგობა არ უნდა გაეწიათ და მათთან მოლაპარაკება გაემართათ.

გიორგი იმერლიშვილს სჯეროდა, რომ როცა გერმანელები საქართველოში შემოვიდოდნენ, მათ გრიგოლ რობაქიძე და ზურაბ ავალიშვილი – ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო ფიგურები – შემოჰყვებოდნენ. შეთქმულთა აზრით, ისინი იყვნენ ქართული სახელმწიფოს მეთაურობის საუკეთესო კანდიდატები. როგორც ჩანს, ეს გიორგი იმერლიშვილისა და შეთქმულთა ვარაუდი და სურვილი იყო, თუმცა საქართველოში გერმანიის შემოსვლის შემდეგ ეს ვარაუდი გამართლდებოდა თუ არა, დაბეჯითებით არავინ იცოდა (კვერენჩილაძე 2007:89).

გიორგი იმერლიშვილი ქ. კიროვბადში (დღევან. ქ. განჯაში) დისლოცირებულ სამხედრო ნაწილში იყო გაგზავნილი. ჯარში გაწვევის შემდეგ იქ კოტე ხიმშიაშვილიც მოხვდა.

ძიების მასალებში დაცულია შემდეგი ინფორმაცია: ჯარში გაწვევის შემდეგ კიროვბადის სამხედრო ნაწილში ჰიტლერულ გერმანიასთან ომის დაწყების პერიოდის პირველ თვეებში მობილიზაციით 35-ე და 83-ე სათადარიგო მსროლელ პოლკში ანტისაბჭოურად განწყობილმა ელემენტებმა შეაღწიეს. ავქალის 35-ე სპეციალური დანაყოფი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაჯგუფება ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირდნენ.

კონტრრევოლუციურად განწყობილმა კონსტანტინე ჯოგლიძემ, შალვა შავიანიძემ, გიორგი ძიგვაშვილმა და სხვებმა, კიროვაბადის 83-ე მსროლელი პოლკის ოფიცრებმა გიორგი იმერლიშვილმა, ილია სეფაშვილმა (ფრონტზე წავიდა), ვახტანგ შიხაშვილმა და სხვებმა წითელი არმიის დროებითი უკან დახევის დროს, მაშინ, როდესაც გერმანიის ჯარები მოსკოვს მიაღწენ, მათ ფსონი დადეს გერმანიის ჯარების გამარჯვებაზე, დაიწყეს კონტრრევოლუციურ-არალეგალური ორგანიზაციაში აქტიური მუშაობა.

აღნიშნული არალეგალური სამხედრო-მეამბოხე ორგანიზაცია აპირებდა შეიარაღებულ აჯანყებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუ გერმანელები აიღებდნენ მოსკოვს და გამოაცხადებდნენ გერმანიის პროტექტორატის ქვეშ საქართველოს დამოუკიდებლობას.

„Основной упор в вопросе свержения Сов. власти в Грузии, организация делала на захват г. Тбилиси, как центра республики, с последующим обнародованием по радио «о падении Сов. власти и создании независимого грузинского государства».

Практическое проведение плана вооруженного восстания с расчетом на одновременное выступление. крестьянства в районах, в основном, сводилось к следующему:

а. наступление 35-го ЗСП из Авчалы на Тбилиси, захват по пути склада боеприпасов в Грма-Геле;

б. разоружение и уничтожение русских частей, дислоцированных в Авчалах, в случае сопротивления повстанцам со стороны этих частей;

г. захват почты и телеграфа, радио-узла, арсенала, КП(б) Грузии, НКВД и Штабе Зак. Воен. Округа;

д. установление радио-связи в процессе вооруженного восстания с командованием германских войск, в целях поддержки вооруженного выступления;

е. провозглашение по радио о свержении Сов. власти, издание приказа по войскам, находящимся на территории Грузии – о присяге новому правительству» (სტილი დაცულია) (სშსსა,1:11-12).

როგორ ვხედავთ, შეთქმულთა ვარაუდით, გერმანელები საქართველოში შემოვიდოდნენ და ამ გზით შესაძლებელი იქნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გერმანიის პროტექტორატის ქვეშ.

გიორგი იმერლიშვილი ჯერ თავის ნათესავებს გაენდო (ამიტომაც შეთქმულთა შორის რამდენიმე **იმერლიშვილს** ვხვდებით), შემდეგ – რამდენიმე მეგობარსაც. ბრალის წარდგენის შესახებ დადგენილებაში აღნიშნულია: [შეთქმულები] „ქმნიდნენ კონტრ-რევოლუციურ-მეამბოხე ორგანიზაციას, რომელიც უნდა შემდგარიყო წითელარმიელი ქართველი მეთაურებისგან. ისინი საჭირო დროს სამხედრო ამბოხებას შეუერთდებოდნენ. ბრალდებული გიორგი იმერლიშვილი თავისი ზრახვების განსახორციელებლად თანაგუნდელებთან ერთად აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა. როგორც საქმის მასალებიდან და ბრალდებულების ჩვენებებიდან ჩანს, გიორგი იმერლიშვილმა, ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში ყოფნისას, 1941 წლის აგვისტოდან სექტემბრამდე, ჩაითრია კონტრრევოლუციურ-მეამბოხე ორგანიზაციაში წითელი არმიის ყოფილი მეთაურები: **დიმიტრი ბურდიაშვილი** (რომელმაც 1941 წლის 22 ოქტომბერს თვითნებურად დატოვა სამხედრო ნაწილი. ის დააკავეს 1941 წლის 20 დეკემბერს), **მიხეილ იმერლიშვილი**, **ლევან თორაძე**, **რომან ბატიაშვილი**, ასევე სამოქალაქო პირები: **გიორგი ქადაგიძე**, **სოლომონ იმერლიშვილი**, რომლებსაც გააცნო ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები და დაავალა ხალხის შერჩევა. შეთქმულთა ამოცანა იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი დამხობა სამხედრო ამბოხების გზით, მიზანი: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გერმანიის პროტექტორატის ქვეშ (**სმსსა, 5:8-9**).

გიორგი იმერლიშვილს მეტის გაკეთება არ დასცალდა, სულ მალე ფრონტზე გაგზავნეს და ყველაფერი **კოტე ხიმშიაშვილს** გადააბარა. იგი იძულებული გახდა, ბედს დამორჩილებოდა და შეთქმულებას მისი სურვილის გარეშე ჩამოსცილდა. შეთქმულების წამომწყები ასე დარჩა განზე. ფრონტიდან გამოგზავნილ ყველა წერილს საბჭოთა სპეცსამსახურები საგანგებოდ ხსნიდნენ და ამოწმებდნენ, რაც **გიორგი იმერლიშვილმაც** იცოდა, მაგრამ სიფრთხილეს მაინც არ იჩენდა. ეს კარგად ჩანს, 1942 წლის 6 დეკემბერს ყირიმიდან მეუღლისადმი გამოგზავნილ წერილში: „... დღეს 6 დეკემბერია და გემის მოლოდინში ვართ. აი, რამდენი საათი თუ დღე და შავი ზღვის ბოზოქარი ტალღები ჩემს სიცოცხლეს სასიკვდილოდ დაედინება. ვკვდები მიზანმიუღწეველი... მშვიდობით“.

„ვკვდები მიზანმიუღწეველი“ – ეს ფრაზა მისი ოცნებების მსხვრევასაც ნიშნავდა, ადამიანური ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნასაც, სხვის მიწაზე დალუპვის პერსპექტივასაც, შეთქმულებისაგან მოწყვეტასაც და იმ იმედის გაქრობასაც, რომ მისი

იდებით წამოწყებულ ეროვნულ წინააღმდეგობაში თავად ვერ მიიღებდა მონაწილეობას... თუმცა სასჯელს ვერ გადაურჩა“ (ჩხეიძე 1992:148-150).

მალე გიორგი იმერლიშვილის კვალი გაქრა, მასზე ძეგნაც გამოცხადდა.

თბილისის მოლოტოვის რაიონის სამხედრო კომისარიატიდან ოჯახს შეატყობინეს, რომ 1942 წლის თებერვალში გიორგი იმერლიშვილი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. სინამდვილეში სამხედრო ნაწილში არავის გაუგია, ან შეიტყვეს და არ გაახმაურეს ის ფაქტი, რომ სპეცსამსახურის თანამშრომლებმა გიორგი იმერლიშვილი ფრონტის წინა ხაზიდან თბილისში გადაიყვანეს. გზაში გიორგიმ გაქცევა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. თბილისში იგი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ციხეში მოათავსეს. 1942 წლის 27 იანვარს მან გამომძიებელს პირველი ჩვენება მისცა. ამას ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დადგენილება (ფორმა №1) მისი დაპატიმრების თაობაზე (სშსსა, 14:100). იგი, ამ დოკუმენტის მიხედვით, მხილებული და დასახელებული იყო არალეგალური, კონტრრევოლუციური, „ფაშისტურ“-მეამბოხე ორგანიზაციის ყველაზე აქტიურ წევრად ავჭალის სამხედრო დაჯგუფებაში. გიორგი იმერლიშვილი აქტიურად ცდილობდა ასევე სხვადასხვა ადამიანების გადაბირებას. ამავე დადგენილების მიხედვით მისი გადაბირებულები იყვნენ: **სოლომონ იმერლიშვილი, მიხეილ იმერლიშვილი, დიმიტრი ბურდიაშვილი** და სხვები.

დადგენილების (ფორმა N3) მიხედვით გიორგი იმერლიშვილისთვის ბრალი წარუდგენიათ რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლით 1942 წლის 28 მარტს (სშსსა, 1:92-93). დოკუმენტის ასლი გაიგზავნა პროკურორთან რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის საფუძველზე.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ გიორგი იმერლიშვილმა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში გადაიბირა და გააწევრიანა სამხედრო და სამოქალაქო პირები. მისი მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. მან გამოიყენა ქვეყანაში არსებული დამაბული მდგომარეობა და სურდა, შეიარაღებული ამბოხების გზით დაემხო საბჭოთა ხელისუფლება. მისი თანამოაზრეები იყვნენ ავჭალაში განლაგებული 35-ე სათადარიგო პოლკიდან: **დიმიტრი ბურდიაშვილი, ამირხანოვი, მიხეილ იმერლიშვილი, ლევან თორაძე, რომან ბატიაშვილი, ზოგველიშვილი**. სამოქალაქო პირებს – გიორგი

ქადაგიძესა და სოლომონ იმერლიშვილს დაევაღათ თელავში, ყვარელსა და დუშეთში თანამოაზრეების მოძებნა.

ვახტანგ შიხაშვილისთვის ბრალის წარდგენის დადგენილებაში გიორგი იმერლიშვილის შესახებ ვკითხულობთ: „ჯერ კიდევ ანტისაბჭოურად განწყობილი, 1938 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტის დაჯგუფებაში მყოფი, რომელიც მობილიზაციით გაიწვიეს გერმანიასთან ომის დაწყების დროს წითელი არმიის რიგებში, 1941 წლის ბოლოს ჩაერთო უკანონო კონტრრევოლუციურ “ფაშისტურ“-მემბოხე ორგანიზაციაში, რომელიც მიზნად ისახავდა „დამოუკიდებელი საქართველოს“ აღდგენას საბჭოთა ხელისუფლების დამხობის გზით.

მან გადაიბირა **გიორგი ახოზაძე**, რომელსაც იცნობდა ავჭალის სამხედრო ნაწილიდან. იგი თავისი მეგობრის რადიომიმღებიტ, რომელიც მას უკანონოდ ჰქონდა, მიღებულ პროვოკაციულ ამბებს გიორგი იმერლიშვილს ატყობინებდა“ (**სშსსა, 13:46**).

1942 წლის 20 აგვისტოთი დათარიღებულ დოკუმენტში საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსის, **კაპიტან ირაკლი ნიზლაძის** ჩვენებაა დაცული:

„დამირეკეს უმაღლესი სასამართლოდან, მომიყვანეს **ილია იმერლიშვილი**. მან მითხრა: „ჩემი ბიძაშვილი, უმცროსი ლეიტენანტი **გიორგი იმერლიშვილი** ჩემთან სახლში ვიღაცას ელაპარაკა – ავჭალაში რაღაც ჯგუფია და მონაწილეობა მივიღეო.

ეს დავაწერინეთ ამ იმერლიშვილს, თან ჩამოვართვით ხელწერილი – „**უშიშარის**“ აგენტურული სახელწოდებით ჩვენთვის ემუშავა. დავარიგეთ, გ. იმერლიშვილს არ მიეძალოო.

ამ „უშიშარმა“ გვაცნობა, აგრეთვე, შილდელი **დიმიტრი ბურდიაშვილი** ჯარიდან გამოიქცაო. დავაპატიმრეთ **ბურდიაშვილი**. მან ჯერ ჯარიდან გამოქცევა აღიარა, მერე ორგანიზაციის არსებობა. ასე დავიწყეთ დაპატიმრებები“ (**კვერენჩხილაძე 2017:58**).

გიორგი იმერლიშვილი უგზო-უკვლოდ დაკარგული ეგონათ და პენსიასაც აძლევდნენ დედასა და ცოლს. ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ისე წამოიყვანა სევასტოპოლიდან, რომ ნაწილის ხელმძღვანელობამ ვერ გაიგო და უგზო-უკვლოდ დაკარგულებში ჩათვალა“ (**კვერენჩხილაძე 2017: 85**).

1942 წლის 20 სექტემბერს გიორგი იმერლიშვილს ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – **დახვრეტა** ქონების

კონფისკაციით (განაჩენი N194) (სშსსა, 14:17-29). ეს ამბავი ოჯახმა 1990 წელს პრესიდან შეიტყო.

7. თურმან შანშიაშვილი

თურმან შანშიაშვილი, გერმანული ენის სპეციალისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კონსტანტინე კაპანელის ასპირანტი იყო. იგი ჟურნალ „ოქტომბრელის“ გამომცემლობასა და მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ფრონტის დაზვერვის შტაბის თარჯიმნად მუშაობდა. **კოტე ჯოგლიძის** დავალებით, ცდილობდა, რადიოკავშირით გერმანელებთან კონტაქტი დაემყარებინა.

დადგენილება (ფორმა N1) თურმან შანშიაშვილის დაპატიმრების თაობაზე დათარიღებულია 1942 წლის 23 იანვარს. დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი **ავესენტი რაფაეა** და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი **არტაშეს მარქაროვი**. დაპატიმრება სანქციონირებულია, რასაც პროკურორი ამოწმებს ხელმოწერით, 1942 წლის 26 იანვრის 22:35 საათზე.

ფორმა N1 გვამცნობს, რომ თურმან მოსეს ძე შანშიაშვილი დაბადებულია 1914 წელს, მცხოვრები თბილისში, საქართველოს სსრ-ის მოქალაქე, დაოჯახებული, უმაღლესი განათლებით, კომკავშირელი, მუშაობს კავკასიის ფრონტის შტაბში.

მოპოვებული ინფორმაციით, თურმან შანშიაშვილი გადაბირებული იქნა კონტრ-რევოლუციურ-„ფაშისტურ“ ორგანიზაციაში და ეწეოდა არალეგალურ მუშაობას. იგი მხილებულია **გიორგი ძიგვაშვილისა** და სხვათა აღიარებითი ჩვენებების საფუძველზე.

დაადგინეს: თურმან მოსეს ძე შანშიაშვილი დაექვემდებაროს ჩხრეკა-დაპატიმრებას (სშსსა, 2:30-33).

დადგენილება (ფორმა N2) თურმან შანშიაშვილისთვის აღკვეთი ღონისძიების შეფარდების თაობაზე დათარიღებულია 1942 წლის 23 იანვარით, რომელიც გამოტანილია რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და 158-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 44-ე და 49-ე მუხლების საფუძველზე.

დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი **ავქსენტი რაფავა**, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე** და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი **არტაშეს მარქაროვი**.

თურმან შანშიაშვილს შეეფარდა პატიმრობა რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლით, რის შესახებაც ეცნობა დაკავებულს.

დადგენილების ასლის გაეგზავნა პროკურორსა და ციხის უფროსს პატიმრის პირადი საქმის გასაცნობად და მასზე დასართავად რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 50-ე მუხლის ძალით (**სშსსა, 2:18-19**).

მოპოვებული ინფორმაციით თურმან შანშიაშვილი ექვმიტანილია დანაშაულში საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის **58/10 ნაწ. 2** და **58/11** მუხლებით. იგი დააპატიმრეს, რადგან მისი თავისუფლებაში ყოფნა გამოძიების მსვლელობაზე უარყოფითად იმოქმედებდა.

დადგენილება (ფორმა N3) თურმან შანშიაშვილისთვის ბრალის წარდგენის შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 14 მარტით. ფორმა N3-ის გამოტანისას იხელმძღვანელებს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლით.

დადგენილებას ხელს აწერენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე** და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი **არტაშეს მარქაროვი**.

ამავე დადგენილების ასლი გაიგზავნა პროკურორთან რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის საფუძველზე.

საგამომძიებო საქმის (N1964) მიხედვით, თურმან შანშიაშვილი მხილებული იყო, როგორც არალეგალური კონტრევოლუციურ-მემპოხე ორგანიზაციის წევრი, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მომწყობი. გადაბირებული იყო

1941 წელს თავისი მეგობრის, კონსტანტინე ჯოგლიძის მიერ. მისი დავალებით კავკასიის შტაბის მუშაობის შესახებ გადასცემდა საიდუმლო ინფორმაციას და ცნობებს, რომლებსაც ღებულობდა უცხოური რადიომალაქმეობიდან ასევე თავისი მეგობრის, ბრალდებულ გიორგი ახოზაძის დახმარებით, რომელიც ასევე იყო არალეგალური ორგანიზაციის წევრი.

თურმან შანშიაშვილმა თავი დამნაშავედ სცნო. იგი გაასამართლეს საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ. 2 და 58/11 მუხლებით (სშსსა, 2:20-21).

1942 წლის 20 სექტემბერს ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა თურმან შანშიაშვილს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა ქონების კონფისკაციით (განაჩენი N194) (სშსსა, 14:17-29).

8. გიორგი ქადაგიძე

გიორგი ქადაგიძე მიხეილ ზანდუკელის ხელმძღვანელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში სწავლობდა. მამამისი კულაკი იყო, რის გამოც დაიჭირეს. ვახტანგ კოტეტიშვილმა დაკითხვაზე დაასახელა გიორგი ქადაგიძის გვარი, როგორც მის მიერ საქმეში ჩართული.

გიორგი ქადაგიძე დაიბადა 1914 წელს ახმეტის რაიონის სოფ. ზემო ალვანში, ეროვნებით ქართველი, უმაღლესი განათლებით, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი, მეცნიერ-მუშაკი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი, კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წევრი 1939 წლიდან, მცხოვრები რაკეტის შესახ. №5-ში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია დადგენილება (ფორმა N1) გიორგი ქადაგიძის დაპატიმრების თაობაზე, რომელიც დათარიღებულია 1942 წლის 27 იანვრით.

დადგენილებას ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი ავქსენტი რაფავა, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების

უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე** და ამავე განყოფილების უმცროსი ლეიტენანტი **მირიან თავდიშვილი**.

პროკურორის მიერ დაპატიმრების სანქციის გაცემის თარიღია 1942 წლის 28 იანვარი, 2:10 სთ.

დაკავების ოქმიდან ვგებულობთ, რომ **გიორგი ივანეს ძე ქადაგიძე** არის არალეგალური კონტრრევოლუციურ-მემამოხე ორგანიზაციის წევრი, რომელიც გადაიბირა ამავე ორგანიზაციის აქტიურმა წევრმა **გიორგი იმერლიშვილმა** (ბოლოს აღიარა). გარდა ამისა, **გიორგი ქადაგიძე** რეპრესირებულმა **ვახტანგ კოტეტიშვილმა** იგი დაასახელა 1938 წლის 7 იანვრის აღიარებით ჩვენებაში: „... კიდევ ვიცი შემდეგი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ახალგაზრდა წევრები სახელმწიფო უნივერსიტეტიდან... **გიორგი ქადაგიძე**, პოეტი, 1936 წელს დაამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტი. გადავიბირე 1936 წლის გაზაფხულზე. მას ჰქონდა სურვილი, ემუშავა ასპირანტურაში, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო. ამის გამო უკმაყოფილო დარჩა და კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მუშაობას იოლად დათანხმდა. ქადაგიძის გადაბირებას ესწრებოდა მიხეილ ზანდუკელი, რომელიც მასთან მეტად დაახლოებული იყო“.

დადგენილების (ფორმა N2) გამოტანისას **გიორგი ქადაგიძისთვის** აღკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ იხელმძღვანელებს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და 158-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 44-ე და 49-ე მუხლების მიხედვით. ხოლო რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის საფუძველზე **გიორგი ქადაგიძე** დააპატიმრეს, რის შესახებაც მას აცნობეს (**სშსსა, 2:76-77**).

დადგენილების (ფორმა N2) ასლი გადაეგზავნა პროკურორსა და ციხის უფროსს პატიმრის პირადი საქმის გასაცნობად და მასზე დასართავად რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 50-ე მუხლის ძალით.

დადგენილება (ფორმა N3) **გიორგი ქადაგიძისთვის** ბრალის წარდგენის თაობაზე, გამოტანილი რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლით, დათარიღებულია 1942 წლის 14 მარტით. დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე**

და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი არტაშეს მარქაროვი.

დოკუმენტის მიხედვით გიორგი ივანეს ძე ქადაგიძე 35-ე პოლკის არალეგალური ნაციონალისტურ-მემბოხური ორგანიზაციის წევრებიდან გამოირჩეოდა. მას მიზნად ჰქონდა დასახული საბჭოთა ხელისუფლების დამხობა შეიარაღებული აჯანყების გზით. ის გადაიბირა ამავე საქმეზე ბრალდებულმა მისმა მეგობარმა კონსტანტინე ჯოგლიძემ, რომლის დავალებით გიორგი ქადაგიძემ, თავის მხრივ, გადაიბირა ადამ ბობლიაშვილი და ალექსანდრე ჭელიძე. გიორგი ქადაგიძემ თავი დამნაშავედ სცნო.

სასამართლომ დაადგინა: დამნაშავე გიორგი ქადაგიძეს მიესაჯოს საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ. 2 და 58/11 მუხლები. რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის ძალით ასლი გადაიგზავნა პროკურორთან.

გიორგი ქადაგიძეს დადგენილება გააცნეს და ხელი მოაწერინეს (სშსსა, 14:31-32).

სრულად მოგვყავს გიორგი ქადაგიძის დაკითხვის ოქმი:

„ბრალდებული გიორგი ივანეს ძე ქადაგიძე. 1942 წლის 7 ოქტომბერი.

სოფელი ზემო ალვანი, ახმეტის რაიონი, ქართველი, უმაღლესი განათლებით, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, 1939 წლიდან კომუნისტური პარტიის (ბ) წევრი, მცხოვრები რაკეტის შესახ. №5-ში.

კითხვა: მოგვეცით ჩვენება თქვენი არალეგალური მოღვაწეობისა და კავშირების შესახებ.

პასუხი: 1941 წლის ივლისის ბოლო-აგვისტოს დასაწყისში ჩემთან სახლში ჩამრთეს არალეგალურ სამხედრო-მემბოხე ორგანიზაციაში, რომლის მიზანიც იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. იმ შემთხვევაში, თუ გერმანელები მოახერხებდნენ საქართველოს საზღვრებთან მოახლოებას, ქვეყნის ტერიტორია არ უნდა გადაქცეულიყო სამხედრო მოქმედებათა არენად.

იმასთან დაკავშირებით, რომ არალეგალური სამუშაოს გამო მე მქონდა საუბარი ორ მეგობართან – კონსტანტინე ჯოგლიძესა და გიორგი იმერლიშვილთან, რომლებიც გაწვეულები იყვნენ წითელი არმიის რიგებში, არ მახსოვს, პირველმა რომელმა გადამიბირა არალეგალურ ორგანიზაციაში, მაგრამ ვადასტურებ, რომ ორივე მესაუბრებოდა არალეგალური ორგანიზაციის მუშაობის აუცილებლობაზე. ორივეს წინადადებზე

თანახმა ვიყავი. **ჯოგლიძემ და ხიმშიაშვილმა** შემომთავაზეს, ვისაც ვენდობოდი, ჩამერთო ორგანიზაციაში.

როცა **იმერლიშვილმა** მომცა დავალება ხალხის ჩართვაზე, მან მკითხა: რომელ ამხანაგებს შემიძლია ვანდო ეს საქმეო. მე მას ვუპასუხე: **ალექსანდრე ჭელიძეს**, დუშეთელს-მეთქი.

ამის შემდეგ, მგონი, აგვისტოს თვეში ჩემთან სტუმრად მყოფ თანასოფელელ **ადამ ბობღიაშვილს**, რომელთან ერთადაც თელავის საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, შევატყობინე ჩვენი საუბრის შესახებ როგორც **ჯოგლიძის**, ისე **იმერლიშვილის**, რომ ორივე უკანონო საქმეს უძღვებიან და მეც ჩამრთეს ორგანიზაციაში, რომელსაც მიზნად აქვს დასახული საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და „დამოუკიდებელი საქართველოს“ აღდგენა-მეთქი. მე ვკითხე ბობღიაშვილს, ამასთან დაკავშირებით რა აზრის იყო. ის დამეთანხმა **ჯოგლიძესა და იმერლიშვილთან** კავშირზე უკანონო ორგანიზაციაში.

ერთმანეთს როცა ვკითხეთ, ვის შეიძლება გავუმხილოთ და ჩავრთოთ ჩვენ ჯგუფშიო, ორივემ ერთად დავასახელეთ ავეჯის ფაბრიკის სასწავლებლის პედაგოგი **ალექსანდრე ჭელიძე**. აღარ მახსოვს ახლა, ვინ შემატყობინა, თვითონ **ჭელიძემ** თუ **ბობღიაშვილმა**, რომ **ჭელიძე** თანახმა იყო ჩვენთან არალეგალურ ორგანიზაციაში მუშაობაზე.

დასმულ კითხვაზე გპასუხობთ, რომ მე, **ბობღიაშვილი, ჭელიძე** და ჩვენი უკანონო დაჯგუფების სხვა თანამოაზრეები ხშირად ვიკრიბებოდით, მაგრამ არა სპეციალურად, ხან ჩემთან ვიყავით, ხან **ბობღიაშვილთან** (არსენალის რაიონში, №7, ქუჩა არ მახსოვს), ან **ჭელიძესთან** (უნივერსიტეტის ახლოს, ჟორესის ქუჩაზე) და საუბრები გვქონდა სხვადასხვა თემაზე, ანტისაბჭოთაზეც, მათ შორის.

ყველა ჩვენგანი დარწმუნებული იყო იმაში, რომ საბჭოთა კავშირი დამარცხდება გერმანიასთან და ომის დამთავრებისის შემდეგ ეს უკანასკნელი აუცილებლად გამარჯვებული დარჩებოდა. ჩვენ ვსაუბრობდით კერძო საკუთრებაზე, განსაკუთრებით სოფლად, და რომ ვინმემ ხელი უნდა შეუშალოს ამ საქმესო. ხშირად ვკამათობდით, რა სახელი დაგვერქმია ორგანიზაციისათვის. ბევრი ვარჩიეთ. პირადად მე ვთავაზობდი, დაგვერქმია „**ერეკლეს ხმალი**“ და ასე შემდეგ, მაგრამ სახელი ვერ მოვიფიქრეთ.

მალე, სადღაც სექტემბრის თვეში, ჩვენს დაჯგუფებაში შემოაღწია **ვლადიმერ ბალაურმა**, ეროვნებით ხევსურმა, პროფესიით პოეტმა, რომელსაც ვიცნობდი 1940 წლი-

დან, გავიცანი თავის ქორწილში, სადაც **ალექსანდრე ჭელიძემ** წამიყვანა. ის პატარძლის ძმა იყო.

ბალიაური მოგვიყვანა **ჭელიძემ** და, როგორც ჩანს, მან უთხრა **ბალიაურს**, რომ ვქმნიდით უკანონო ორგანიზაციას და ის თანახმა იყო თუ არა, ჩვენს დაჯგუფებაში ჩართულიყო.

ერთხელ მე, **ბობღიაშვილსა** და **ჭელიძეს** გვქონდა საუბარი თემაზე, თუ ვინ შეიძლება გაგვეწევრიანებინა ჩვენს დაჯგუფებაში და გადავწყვიტეთ დავკავშირებოდით **მიხეილ ივანეს ძე იმედიძეს**, ჩემს თანასოფელს, რომელთანაც ერთად ვსწავლობდი თელავის საშუალო სკოლაში. ის ახმეტაში ტყის მცველად მუშაობდა.

იმედიძის ჩართვა მე ჩემს თავზე ავიდე. ასევე გადავწყვიტეთ, რომ ჩვენს დაჯგუფებაში ჩაგვეერთო **გიორგი ჭიაბრაშვილი**, მცხოვრები დუშეთში, თელავის რაიონის სოფ. ახმეტაში, საშუალო სკოლის პედაგოგი. ის გავიცანი 1936 წელს, როცა ვცვლიდი მას დირექტორის თანამდებობაზე სოფელ ალვანში, მაგრამ **ჭიაბრაშვილი ალექსანდრე ჭელიძის** უფრო ახლო ამხანაგი იყო.

ახლა აღარ მახსოვს, ზუსტად როდის, მე წავედი ჩემს სოფელ ალვანში და იმედიძეს შეხვედრისას შევატყობინე ჩვენი ჯგუფის შესახებ და შევთავაზე ჩართვა. იმედიძე დამთანხმდა და მითხრა, რომ შეეცდებოდა ჩაერთო **გიორგი ჭიაბრაშვილიც**. **ჭიაბრაშვილის** ჩართვაზეც დავალება მე მივეცი.

ჩემი თბილისში დაბრუნების შემდეგ ყოფილი ვერის ბაზართან შემხვდა **ჭიაბრაშვილი**, რომელმაც მითხრა, მე და „**ფანცალაშ**“ (**მიხეილ იმედიძემ**) ვესაუბრეთ და მას აინტერესებს, ვინ შედის ჩვენს ჯგუფში? დავუსახელე ჩემი თავი, **ჭელიძე, ბობღიაშვილი** და **ბალიაური**, ვისგანაც გვიცნობდა მე და **ჭელიძეს**, ხოლო დანარჩენებს არ იცნობდა. ამის შემდეგ **ჭიაბრაშვილმა** შემოგვთავაზა, პირველად შევკრებილიყავით და მოგველაპარაკა და ა. შ. მე, **ბობღიაშვილი, ჭელიძე, ბალიაური** და **ჭიაბრაშვილი** შევიკრიბეთ **ბობღიაშვილის** ბინაში, სადაც ერთხელ ვიმსჯელეთ ჩვენი ჯგუფის სახელწოდებაზე, კერძო საკუთრების დაცვაზე იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა ხელისუფლება დამარცხდებოდა და გერმანია გაიმარჯვებდა და ა. შ. **ჭიაბრაშვილის** წასვლის შემდეგ ჩვენი ჯგუფი ჩავარდა და მეც მალე დამაპატიმრეს. კიდევ, ჩემს დაპატიმრებამდე, როცა სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ასპირანტების **ჯოგლიძისა** და ა. შ. დაპატიმრებები დაიწყო, **ჭიაბრაშვილის** წასვლის შემდეგ **ჭელიძისა** და **ბობღიაშვილის** თანდასწრებით მე

გამოვთქვი შეშფოთება, რომ შეიძლება მეც დამაპატიმრონ-მეთქი. შეშფოთება გამო-
თქვეს ბობლიაშვილმა და ჭელიძემაც.

კითხვა: თქვენი დაჯგუფების მიზნებსა და დავალებებზე სრულად მოგვეცით
ჩვენება?

პასუხი: რა მიზნები და დავალებები გვქონდა, ამაზე ზუსტი გადაწყვეტილება არ
გვქონია. ჩვენებაში რაც გითხარით, მეტი არაფერის თქმა არ შემიძლია.

კითხვა: თქვენ მართალს არ ამბობთ. თუკი თქვენ განიხილავდით არალეგალური
დაჯგუფების სახელწოდებას, გეცოდინებოდათ დაჯგუფების მიზნები და ამოცანებიც.
დაასახელეთ, კიდეც ვინ ჩააბით დასახელებულ დაჯგუფებაში?

პასუხი: მე ყველა ჩამოვთვალე: ადამ იასონის ძე ბობლიაშვილი, ვლადიმერ
ბალიაური, ალექსანდრე ჭელიძე, მიხეილ იმედიძე და გიორგი ჭიბრიშვილი, ამათ
გარდა მეტს არავის ვიცნობ. შეიძლება რომელიმე იბირებდა ვინმეს, მაგრამ ამის შესახებ
მე არაფერი ვიცი.

კითხვა: გადაბირების გარდა თქვენი ორგანიზაცია პრაქტიკულად რომელ
უკანონო სამუშაოს ეწეოდა?

პასუხი: გადაბირების გარდა არანაირ სხვა სამუშაოს არ ვეწეოდით.

კითხვა: უკანონო დაჯგუფება რისთვის იყო შექმნილი და რატომ რთავდით მასში
ხალხს?

პასუხი: მე მეშინოდა, როგორც ბოლშევიკების კომუნისტური პარტიის წევრს,
რომ გერმანელები მომკლავდნენ. ამ დაჯგუფებაში შესვლით ვთვლიდი, რომ დაზღვეუ-
ლი ვიქნებოდი.

დაკითხვა შეწყდა 5:25 საათზე.

დაკითხვის ოქმი შედგენილია ჩემი სიტყვებით, სწორია, წამაკითხეს და ვაწერ
ხელს: ქადაგიძე.

დაკითხეს საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის
უშიშროების უფროსის მოადგილემ **გალავანოვმა**, საქართველოს სახელმწიფო
უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის
უფროსმა ლეიტენანტმა **არტაშეს მარქაროვმა** (სშსსა, 2:3-5).

დაკითხვის ოქმიდან ჩანს, რომ გიორგი ქადაგიძემ ჩააბა საქმიანობაში
ალექსანდრე ჭელიძე, თანასოფლელი **ადამ ბობლიაშვილი**, პოეტი **ალექსანდრე**

ბალიური და გიორგი ჭიაბრიშვილი. მათ თავის მხრივ აგრეთვე ჩააბეს მიხეილ იმედი-
მეც. დაცულ დოკუმენტებს შორის გხვდება აგრეთვე დაკითხვის მეორე ოქმიც, რომელ-
შიც ორგანიზაციის შეიარაღების შესახებ არის საუბარი. ამით უნდოდან ბრალი დაემ-
ძიმებინათ და კიდევ უფრო გაემყარებინათ მათი დანაშაულებრივი ქმედებები.

„დაკითხვის ოქმი. ბრალდებული გიორგი ივანეს მე ქადაგიძე.

1942 წლის 18 ოქტომბერი.

დაკითხვა დაიწყო 00:35 სთ-ზე, დამთავრდა 2:05 სთ-ზე.

კითხვა: თქვენ გამოძიებას აქამდე უმაღლავთ იმ ფაქტს, რომ უკანონო ორგანიზა-
ციის წევრები აპირებდნენ შეიარაღებას და ზოგიერთებს კიდევ გქონდათ იარაღი. გაგვე-
ცით ამ კითხვაზე დეტალური პასუხი.

პასუხი: 10 ოქტომბერის ჩვენებაში მე უკვე გითხარი, რომ თუ იარაღი დაგვჭირ-
დებოდა, „ფანცალა“ იმედიმეს შეეძლო ემოვნა, ასე თქვა **ჭიაბრიშვილმა**, მაგრამ ეს
საკითხი არ განხილულა. უნდა ვაღიარო, რაც აქამდე არ მითქვამს გამოძიებისათვის,
რომ მე და ალექსანდრე ჭელიძეს იარაღი გვქონდა. მე მქონდა „ნაგანის“ სისტემის
რევოლვერი, რომელიც 1937 წელს თელავის რაიონის სოფელ ქვემო ალვანის მცხოვ-
რებმა **ავთო ელანიძემ** მაჩუქა. იგი 1938 წელს თუ 39 წელს თავის სოფელში მოკლეს.
მკვლელი დაიჭირეს და გაამევეს.

1937 წელს სოფელ ზემო ალვანის კომკავშირულმა ორგანიზაციამ, ჩემი ინიცია-
ტივით, როგორც მავნებლები, გამოააშკარავა: **კოტე ლაგაზიძე**, კოლმეურნეობის თავმჯ-
დომარე, **ვასილ წიტიძე**, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **მიტალა ციხელაშვილი**, კოლ-
მეურნეობის თავმჯდომარე, იოსებ წიტიძე, სოფლის საბჭოს თავმჯდომარე და სხვები,
რომლებიც დაიჭირეს და გაამევეს.

ზემოჩამოთვლილმა პირები, როცა გაიგეს, რომ კომკავშირულ ორგანიზაციას
მათი გამოააშკარავება უნდოდა, ყველას გვემუქრებოდნენ და კერძოდ მე, როგორც ამ
წამოწყების ინიციატორს. ამ მიზეზით მე გადავწყვიტე, შევიარაღებულიყავი და ვთხოვე
ზემოხსენებულ ელანიძეს, მოეტანა ჩემთვის იარაღი. სად იშოვა იარაღი, ეს არ ვიცი.
რევოლვერთან ერთად **ელანიძემ** გადმომცა 6 ცალი ქარხნული და ოთხი-ხუთი ცალი
თვითნაკეთი ტყვია, აგრეთვე სამი-ოთხი ცარიელი შილვა. რევოლვერში მე არაფერი
გადამიხდია.

კონტრრევოლუციურ დაჯგუფებაში რომ შევდიოდი, მე და **ჯოგლიძე** ვშიშობდით, რომ თუ ჩავვარდებოდით და დაგვიჭირდნენ, აუცილებლად გაგვჩხრეკდნენ. ამიტომ 1941 წელს ჩემი რევოლვერი ალექსანდრე ჭელიძეს შესანახად გადავეცი. რადგან მან იცოდა ჯოგლიძისა და ჩემი კავშირების შესახებ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრებთან, შეშინებულმა ჩემი იარაღი 1942 წლის იანვრის თვეში უკან დამიბრუნა. რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ მეც დამიჭერდნენ, ამა წლის 2 თებერვალს რევოლვერი ტყვიებთან ერთად მდინარე ვერეში გადავაგდე.

ჩემთვის ასევე ცნობილია, რომ **ალექსანდრე ჭელიძეს** 7,65 კალიბრიანი „ბრაუნინგის“ სისტემის რევოლვერი ჰქონდა. მან ეს რევოლვერი თავად მაჩვენა და მითხრა, რომ ის **ლადო ბალიაურის** ოჯახიდან წამოვიღეო. ამ უკანასკნელმა არ იცის, რომ რევოლვერი ჩემთან არის და სახლში ეგულებათ, ასე მითხრა. **ჭელიძის** თქმით, დიდი ხანი არ არის, რაც იარაღი ბალიაურის ოჯახში იყო და მან რევოლვერის შესახებ ბევრი არაფერი იცოდაო. ამის მეტი იარაღის შესახებ არაფერი ვიცი.

კითხვა: თქვენ სიმართლეს არ ამბობთ, იარაღი მდინარეში არ გადაგიგდიათ.

პასუხი: სიმართლეს ვამბობ, იარაღი მდინარეში გადავაგდე.

კითხვა : თქვენი და ჭელიძის გარდა კიდევ ვის ჰქონდა იარაღი?

პასუხი: ამის შესახებ ჩემთვის არ არის ცნობილი.

დაკითხვა დამთავრდა 2:05 სთ-ზე.

დაკითხვის ოქმი შედგენილია ჩემი სიტყვებით, სწორია, წამიკითხეს და ვაწერ ხელს: **ქადაგიძე**.

დაკითხეს: საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა კომისარიატის უშიშროების უფროსის მოადგილემ **გალავანოვმა**, სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტმა **მელიკოვმა** (*სტილი დაცულია*) (სშსსა, 2:6-8).

დოკუმენტიდან იკვეთება ის გარემოება, რომ შეიარაღებას ცდილობდნენ, რაც ხელისუფლებისათვის უფრო საყურადღებო და საშიში გახდნენ ისინი.

ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით (განაჩენი N194) 1942 წლის 20 სექტემბერს გიორგი ქადაგიძეს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – **დახვრეტა** ქონების კონფისკაციით (სშსსა, 14:17-29)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის 1942 ძიების მასალების მიხედვით კონსტანტინე (კოტე) ალექსანდრეს ძე ხიმშიაშვილი დაბადებულია 1917 წელს, ქ. ქუთაისიდან, მოსამსახურის ოჯახიდან, საქართველოს სსრ-ის მოქალაქე, უმაღლესი განათლებით, უპარტიო, დაოჯახებული, ნასამართლევ არ ყოფილა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსადმთავრებული, ასპირანტი, წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს 1941 წლის 9 ივლისს, 790-ე მსროლელი პოლკის უმცროსი ლეიტენანტი, მცხოვრები ქ. თბილისში, კალინინის ქ. №9-ში (სშსსა,14:297).

კონსტანტინე ხიმშიაშვილმა, მიუხედავად თავისი ხანმოკლე სიცოცხლისა (25 წელი იცხოვრა), ქართულ მწერლობაში კვალის დატოვება მაინც შეძლო. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში დაბეჭდილმა მისმა ნოველა „ჯონქა ხორანაულმა“ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაშინდელ მკითხველზე.

კონსტანტინე ხიმშიაშვილის მეუღლე იყო **ნუნუ ქადეიშვილი**, ფრანგული ენის კარგი მცოდნე. სამწუხაროდ, მათი თანაცხოვრება ხანმოკლე აღმოჩნდა, ომი დაიწყო. „ომის წინა წელს უნივერსიტეტის ახლად კურსადმთავრებულებმა თავიანთ ქორწილში რამდენიმე სტუდენტი-ამხანაგი მიგვიპატიჟეს... დედოფალი ნუნუ ქადეიშვილი გახლდათ, დღეს ფრანგული ენის მართლა ჩინებული სპეციალისტი, ქვრივი, ნეფე – დიდი იმედის მომცემი პროზაიკოსი კოტე ხიმშიაშვილი, რომელიც თავის დროზე მრავალ ახალგაზრდა მწერალში მიხეილ ჯავახიშვილმაც კი გამოარჩია, დაილუპა 25 წლისა“.

ომი დაწყებული იყო, როცა კოტე ხიმშიაშვილი ჯარში გაიწვიეს და ქ. კიროვობადის (დღევან. ქ. განჯა) სამხედრო ნაწილში გაგზავნეს. გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში შემონახულია კონსტანტინე ხიმშიაშვილის პირადი წერილები, ერთ-ერთში ვკითხულობთ:

„კიროვობადი

ჩემო ნუნუ, უკვე მოვეწყეთ განჯის პედტექნიკუმში, ჯერჯერობით კარგად ვართ, ხვალ დავიწყებთ მეცადინეობას, ჩვენ თვითონ უნდა მოგვამზადონ ჯერ და მერე ვნახოთ, რა იქნება. განჯას არა უშავს, სიცხე იმაზე მეტი არის, რაც თბილისში იყო, საღამოთი უფრო გრილა. წყალი კარგია... მისამართი ჯერ არ ვიცით, ხვალ ან ზევ გაგვიგებთ

უთუოდ და მოგწერ. მე და ვახტანგი ერთად ვართ (ნუნუს ძმა), ელიზბარ ლომთაძე და სხვები, ვინც სადგურში ნახე, აგრეთვე ჩვენთან არიან...

შენი კოტიკო

10. VII. 41 წელი“ (ბუაჩიძე 1990:168).

კოტე ხიმშიაშვილი და კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მომავალი წევრები ავჭალისა და კიროვობადის სამხედრო ნაწილებში ერთად მსახურობდნენ, რასაც ძიების მასალებიც ადასტურებს. მათში ვკითხულობთ: „В связи с войной, навязанной Советскому Союзу гитлеровской Германией, в первые месяцы мобилизации в 35-й и 83-й запасные стрелковые полки (ЗСП) проникла часть антисоветски настроенных фашиствующих элементов, как то: в 35-й ЗСП (Авчала) – группа аспирантов Госуниверситета Грузии, до мобилизации тесно связанная между собой на почве контрреволюционных националистических убеждений: Джоглидзе К. С., Шавианидзе Ш. Н., Дзигвашвили Г. М. и др.; в 83-й стрелковый полк (Кировабад) – Имерлишвили Г. С., Химпиашвили К. А., Сепашвили И. М. (не установлен, выбыл на фронт), Шихашвили В. И. и др.

В период временного отступления Красной Армии, когда немецко-фашистские войска подошли к Москве, упомянутые выше группы аспирантов Госуниверситета, делавшие ставку на победу фашисткой Германии, став на позиции контрреволюционного поражения, повели активную нелегальную повстанческую работу по сколачиванию фашистско-повстанческой контрреволюционной организации среди среднего комсостава названных полков, а также среди своих ближайших гражданских связей. Указанная нелегальная военно-повстанческая фашистская контрреволюционная организация готовилась к вооруженному восстанию с целью свержения советской власти в случае взятия немцами г. Москвы и провозглашения независимой Грузии под протекторатом Германии (სმსსა, 1:11-12).

როგორც დოკუმენტის შინაარსიდან ირკვევა, შეთქმულების მიზანი საბჭოთა ხელისუფლების დამხობა იყო. რადიოთი გამოაცხადებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. რესპუბლიკის ცენტრი თბილისი იქნებოდა.

შეიარაღებულ აჯანყებას რეგიონებიც უნდა მოეცვა. შეთქმულებს ასეთი გეგმა ჰქონდათ:

ა) ავჭალის 35-ე პოლკიდან თბილისისკენ უნდა დაძრულიყვნენ და აეღოთ ღრმა-
ლელეში მდებარე საბრძოლო მასალების საცავი;

ბ) უნდა მოეხდინათ ავჭალაში დისლოცირებული რუსული სამხედრო ნაწილე-
ბის განიარაღება. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში დაგეგმილი იყო მათი განად-
გურება;

გ) ფოსტა-ტელეგრაფის, რადიოცენტრის, არსენალის, საქართველოს კომუნისტუ-
რი პარტიისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა შენობებისა და ამიერკავკა-
სიის სამხედრო ოლქის შტაბის აღება;

დ) შეიარაღებული აჯანყების პროცესში რადიოკავშირის დამყარება გერმანიის
ჯარების სარდლობასთან შეთქმულთა მხარდასაჭერად;

ე) რადიოთი უნდა განეცხადებინათ საბჭოთა რეჟიმის დამხობის, საქართველოში
განლაგებული ჯარებისთვის ბრძანების გაცემის და ახალი მთავრობის წინაშე ფიცის
დადების შესახებ (სშსსა,1:11-12).

როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, შეთქმულთა ვარაუდით, გერმანელები
საქართველოში შემოვიდოდნენ. მათ ხელისუფლებასთან მოლაპარაკების შემდეგ
აღდგებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა გერმანიის პროტექტორატის ქვეშ.

გიორგი იმერლიშვილის ფრონტზე გაგზავნის შემდეგ ორგანიზაციის ხელმძღვა-
ნელობა კოტე ხიმშიაშვილმა ჩაიბარა. თბილისში ჩასვლისას მან შეთქმულების წევრების
გაცემისა და დაპატიმრების ამბები მალე შეიტყო: „ნუნუსთვის დაურიგებია, თუ რამე
მოხდეს, და აუცილებლად მოხდება, იცოდე, შენ არაფერზე გქონია წარმოდგენა, არც აქ
მოდოდა ჩემთან ვინმე, არც არავინ მკითხულობდა, არც ის იცი, ვის ვხვდებოდი, ჩვენც
თითქმის აღარ შევხვედრილვართ ერთმანეთსო“ (**ჩხეიძე 1992:45**)

კოტე ხიმშიაშვილი ნაწილში დაბრუნებისთანავე ისე დააპატიმრეს, რომ არავინ
იცოდა მისი ამბავი. **დოდო ხიმშიაშვილისთვის, კოტე ხიმშიაშვილის** დისთვის, უნივერ-
სიტეტში უთქვამთ ძმის დაჭერის შესახებ.

დადგენილება (ფორმა N1) კოტე ხიმშიაშვილის დაპატიმრების თაობაზე
დათარიღებულია 1942 წლის 30 იანვრით.

დადგენილებას ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარია-
ტის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი **ავქსენტი რაფავა** და საქართვე-

ლოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომდიებლო ნაწილის უმცროსი ლეიტენანტი **მირიან თავდიშვილი**.

პროკურორის მიერ სანქცია გაცემულია 1942 წლის 31 იანვარს.

მოპოვებული ინფორმაციით, კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ხიმშიაშვილი არის აქტიური წევრი და ორგანიზატორი არალეგალური კონტრევოლუციურ-„ფაშისტური“ ორგანიზაციისა. ის ახალგაზრდა მეცნიერებს შორის ცდილობდა, ეპოვა ანტისაბჭოურად განწყობილი პირები, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობდნენ და ჩაება ისინი ამ ორგანიზაციაში.

ამავე საქმეზე დაპატიმრებულმა გიორგი იმერლიშვილმა ჩვენებაში აღიარა, რომ მან, **კონსტანტინე ხიმშიაშვილმა** და **ილია სეფაშვილმა** შექმნეს არალეგალური ორგანიზაცია და შეთანხმდნენ, მასში სანდო ადამიანები ჩაერთოთ: „ჩვენ ერთზე შევთანხმდით, რომ საქართველო უნდა იყოს დამოუკიდებელი“ (გ. ს. იმერლიშვილის ჩვენებიდან, 27.I.42 წ.).

შემდეგ: „ორგანიზაციის ჩამოყალიბების ყველაზე დიდი ინიციატივა **კონსტანტინე ხიმშიაშვილმა** გამოიჩინა“ (იქვე).

კონსტანტინე ხიმშიაშვილს დაუდგინეს დაპატიმრება და ჩხრეკა (სშსსა,14:71).

რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და 158-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 44-ე და 49-ე მუხლების მიხედვით გამოიტანეს დადგენილება (ფორმა N2) **კონსტანტინე ხიმშიაშვილისთვის** აღკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ, რომელიც დათარიღებულია 1942 წლის 30 იანვრით. დადგენილებას ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი **ავქსენტი რაფაგა** და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომდიებლო ნაწილის უმცროსი ლეიტენანტი **მირიან თავდიშვილი**. რადგან მისი თავისუფლებაში ყოფნა სასამართლოზე ცუდ გავლენას მოახდენდა, ამიტომ კონსტანტინე ხიმშიაშვილს შეუფარდეს პატიმრობა რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლების ძალით, რის შესახებაც ეცნობა დაკავებულს (სშსსა,14:73).

ასლი გაუგზავნეს პროკურორსა და ციხის უფროსს პატიმრის პირადი საქმის გასაცნობად და მასზე დასართავად რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 50-ე მუხლის საფუძველზე.

დადგენილება (ფორმა N3) კონსტანტინე ხიმშიაშვილის ბრალის წარდგენის შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 28 თებერვლით. იხელმძღვანელებს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე მუხლებით და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლით, რის საფუძველზეც ბრალდებული პასუხისგებაში იქნა მიცემული.

ფორმა N3-ის ასლი გაეგზავნა პროკურორს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის მიხედვით.

კონსტანტინე ხიმშიაშვილს ბრალი წარუდგინეს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსმა, კაპიტანმა **ირაკლი ნიბლაძემ** და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსმა **ლეიტენანტმა არტაშეს მარქაროვმა**.

დაადგინეს: კონსტანტინე ხიმშიაშვილი სცნეს დამნაშავედ საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 ნაწ. 2 და 58-11 მუხლების ძალით. მას დადგენილება გააცნეს და ხელი მოაწერინეს (**სშსსა, 5:86-87**).

1942 წლის 20 სექტემბერს ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო კომისარიატმა (განაჩენი N194) კონსტანტინე ხიმშიაშვილს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – **დახვრეტა** ქონების კონფისკაციით (**სშსსა, 14:17-29**).

10. გიორგი ახოზაძე

შეთქმულ ასპირანტებს შორის ერთ-ერთი **გიორგი ახოზაძე** იყო. ის, როგორც მასალებიდან ირკვევა, **თურმან შანშიაშვილმა** ჩააბა ორგანიზაციის მუშაობაში. აშკარად იკვეთება ის გარემოება, რომ ამ ახალგაზრდებს საბჭოთა ხელისუფლების მიმართ დიდი აპათია ჰქონდათ. გიორგი ახოზაძე საბჭოეთიდან საქართველოს გათავისუფლებას გერმანიასთან კავშირში მოიაზრებდა.

დადგენილება (ფორმა N1) გიორგი ახოზაძისათვის ბრალის წარდგენის თაობაზე დათარიღებულია 1942 წლის 14 თებერვლით. დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი **აფქსენტი რაფაგა**, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე** და ამავე განყოფილების უმცროსი ლეიტენანტი **მირიან თავდიშვილი**.

პროკურორის მიერ დაკავების სანქცია გაცემულია იმავე თარიღით.

გიორგი მიხეილის ძე ახოზაძის დაკავების დადგენილებაში ვკითხულობთ: იგი დაბადებულია 1916 წელს, სამტრედიიდან, უპარტო, უცოლშვილო, უმაღლესი განათლებით, მუშაობდა საბჭოთა „ათეისტთა“ საზოგადოების დირექტორად, მცხოვრები – საბჭოს ქუჩა №68, ჰყავს რეპრესირებული მამა.

დოკუმენტის ინფორმაციიდან ვგებულობთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მტრულად განწყობილი გიორგი ახოზაძე 1941 წლის ნოემბერს ჩაერთო არალეგალურ კონტრევოლუციურ ორგანიზაციაში. მისი მიზანი იყო საბჭოთა კავშირის დამხობა შეიარაღებული აჯანყების გზით და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ამავე საქმეზე დაპატიმრებულმა **თურმან შანშიაშვილმა** თავის ჩვენებაში განაცხადა: „ვადიარებ, რომ არალეგალურ ორგანიზაციაში ნამდვილად მე ჩავრთე მხოლოდ ერთი, ჩემი კარგი მეგობარი **გიორგი ახოზაძე**, რომელთან ერთადაც ვსწავლობდი უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მე ვიცოდი, რომ ის იყო ანტისაბჭოურად განწყობილი, რადგან სისტემატურად გამოთქვამდა უკმაყოფილებას ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩემთვის ცნობილი იყო აგრეთვე, რომ მისი მამა კონტრევოლუციური საქმიანობისათვის 1935 წელს დააპატიმრეს. ის, როგორც ვიცი, მუშაობდა რკინიგზაზე, მგონი, კონდუქტორად. ამ მიზეზით და როგორც ახლო მეგობარს შევხვდი უნივერსიტეტის სპორტდარბაზის შესასვლელთან. მას გავანდე, რომ არსებობდა ავჭალის წითელარმიელთა რიგებში არალეგალური სერიოზული ორგანიზაცია, რომელიც ამზადებდა შეიარაღებულ აჯანყებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და შევთავაზე მასში შესვლა, თავის მხრივ იქ ახალი წევრების ჩართვაც. გიორგი დამთანხმდა და მკითხა: მართლა სერიოზული საქმეა? მე ვუპასუხე: როგორც ჩანს, სერიოზულია-მეთქი“.

გიორგი ახოზაძეს შეუფარდეს პატიმრობა და ჩხრეკა. ამის შესახებ გააცნეს და ხელი მოაწერინეს (**სშსსა,14:235-236**).

დადგენილება (ფორმა N2), გამოტანილი რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და 158-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 44-ე და 49-ე მუხლების მიხედვით, გიორგი ახოზაძისთვის აღკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 14 თებერვალით. დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი **ავქსენტი რაფავა**, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე** და ამავე განყოფილების უმცროსი ლეიტენანტი **მირიან თავდიშვილი**.

საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის **58/10 ნაწ. 2** და **58/11** მუხლებითა და იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულის თავისუფლებაში ყოფნას შეეძლო უარყოფითი გავლენა მოეხდინა გამოძიების მიმდინარეობაზე, იხელმძღვანელებს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლით და გიორგი ახოზაძეს შეუფარდეს პატიმრობა, რის შესახებაც ეცნობა ბრალდებულს.

რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 50-ე მუხლი საფუძველზე ფორმა N2-ის ასლი გაეგზავნა პროკურორსა და ციხის უფროსს პატიმრის პირადი საქმის გასაცნობად და მასზე დასართავად (**სშსსა, 14:236-237**).

დადგენილება (ფორმა N3) გიორგი ახოზაძისთვის ბრალის წარდგენის შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 14 მარტით. იხელმძღვანელებს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე მუხლებით და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლით, რის შემდეგაც ბრალდებული პასუხისგებაში იქნა მიცემული.

ფორმა N3-ის ასლი გაეგზავნა პროკურორს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის საფუძველზე.

ბრალდებულს დადგენილება გააცნეს და ხელი მოაწერინეს (**სშსსა, 14:237-238**).

დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე** და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი **ლეიტენანტი არტაშეს მარქაროვი**.

დადგენილებაში გიორგი ახოზაძისთვის ბრალის წარდგენის შესახებ (საქმე N1964) ნათქვამია, რომ ის იყო არალეგალური კონტრევოლუციურ-მემბოხე ორგანიზაციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა შეიარაღებული აჯანყების გზით. გიორგი ახოზაძეს ჰყავდა რეპრესირებული მამა და უკმაყოფილო იყო არსებული წყობით. ჯერ კიდევ 1938 წელს ბრალდებული გაწევრიანებული იყო სტუდენტურ დაჯგუფებაში. ომის დაწყებისას თავის მეგობრებთან – **კაციტაძესა და მისაბიშვილთან** ერთად, შეუდგა არალეგალური ორგანიზაციის შექმნას და ასევე მისი ამხანაგის, **თურმან შანშიაშვილის** მეშვეობით დაუკავშირდა კიდევ ერთ არალეგალურ ორგანიზაციასთან, რომელიც ფუნქციონირებდა ავჭალის 35-ე პოლკში.

გიორგი ახოზაძემ თავი დამნაშავედ ცნო.

გიორგი ახოზაძემ დედასა და დას სიკვდილმისჯილთა საკნიდან წერილი გაუგზავნა:

„დედა და დაო ქსენო, ვზივარ დასახვრეტთა საკანში შეწყალების უფლებით. ალბათ გაგზავნით დეპეშებს სათანადოთ. დაგტანჯეთ, ჩემი ფიქრები და თქვენი იმედები დაილუპა. გამაგრდით, მიხედეთ ბავშვებს. შოთას (სიძე, რომელიც ფრონტზე იყო, **ნ. თ.**) დანაპირები ვერ შევუსრულე. სხვაგვარად არ შემეძლო. გავიზიარე მამაჩემის ბედი. ამ კაცს გამოატანეთ შალის საბანი და დაასაჩუქრეთ. გეთხოვებით, გკოცნით“ (**ჩხეიძე 1992:137**).

სიკვდილმისჯილებს შეწყალების იმედი ჰქონდათ, მაგრამ ეს არარეალური იყო. გიორგი ახოზაძეს 1942 წლის 20 სექტემბერს ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით (განაჩენი N194) მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – **დახვრეტა** ქონების კონფისკაციით (**სშსსა, 14:17-29**).

11. რომან ბატიაშვილი

შეთქმულთა ჯგუფის კიდევ ერთი წევრი **რომან ბატიაშვილი** გახლდათ. 2012 წლის ჟურნალ „ჩვენ მწერლობაში“ დაიბეჭდა მისი ვაჟის, **ომარ ბატიაშვილის**, წერილი მამის შესახებ, რომელშიც ვეცნობით რომან ბატიაშვილის ბიოგრაფიასა და მის კავშირებს სხვა შეთქმულებთან.

„თავის დროზე მეც მქონდა საშუალება, გავცნობოდი სუკის არქივებში დაცულ შვიდ ტომს მთლიანად (ამჟამად დაკარგულად რომ ითვლება).“

ვეცდები, გაგიზიაროთ ჩემი მოსაზრება ზოგიერთ ფაქტზე, რაც სხვებისათვის უცნობია.

1. ამ შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო მწერალი **კოტე ხიმშიაშვილი**, რომლის მამაც, **ალექსანდრე ხიმშიაშვილი**, ომის დაწყებამდე რამდენიმე წელი ყვარლის რაიონის რაიცენტრის აფთიაქის მმართველად მუშაობდა, დედაჩემი – **ალექსანდრა (საშიკო) ჭიაბერაშვილი** ამ აფთიაქის ფარმაცევტის იყო, მამაჩემი კი, ამ შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე, ყვარლის რაიადმასკომში მიწგანის აგრონომად (ამჟამად ჩემთან ინახება დეპეშა, რომლითაც ბატონი ალექსანდრე ჩემს მშობლებს დაქორწინებას ულოცავს). უდავოა, რომ მამაჩემი **რომან ბატიაშვილი** და **კოტე ხიმშიაშვილი** ომამდე იცნობდნენ ერთმანეთს.

2. მამაჩემი დაიბადა და საშუალო სკოლა დაამთავრა სოფელ ბოდბისხევში. ასევე ბოდბისხევიდან იყვნენ ამ შეთქმულების სხვა მონაწილეებიც: **ვახტანგ შიხაშვილი**, **თურმან შანშიაშვილი** და **ივანე ლაპიაშვილი**.

3. 1933 წელს დაამთავრა ბაკურციხის მეღვინეობა-მევენახეობის ტექნიკუმი. მისი თანაკურსელები იყვნენ შეთქმულები: **გიორგი იმერლიშვილი**, **ლევან თორაძე** და **მიხეილ იმერლიშვილი**.

4. ყვარლის რაიონის სოფელ შილდიდან იყვნენ შეთქმულების მონაწილენი: **დიმიტრი ბურდიაშვილი**, **ისაკ იმერლიშვილი**, **სოლომონ იმერლიშვილი**, **გრიგოლ კოკილაშვილი**, რომელთაც ალბათ მამაჩემი კარგად იცნობდა.

5. ასევე ერთ-ერთი თანამონაწილე **ავქსენტი უთურგაიძე** გახლდათ მამაჩემის თანაკურსელი თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

6. ომამდე, 1939 წელს, მამაჩემი იმყოფებოდა ქალაქ თელავში სამხედრო შეკრებაზე. იმ დროს გადაღებულ ფოტოებზე მასთან ერთად აღბეჭდილია შეთქმულების მონაწილე გივი თარგამაძე.

შეთქმულების აქ მოხსენიებული 11 მონაწილე ომამდე იცნობდა ერთმანეთს. ასევე, ადრევე იცნობდნენ ერთმანეთს შეთქმულების ის მონაწილეებიც, რომლებმაც დაამთავრეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: მწერლები, პოეტები, ფილოლოგები. ამას ამტკიცებს არსებული ფოტოები და დაკითხვის მასალები“ (ბატიაშვილი 2012).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია დადგენილება (ფორმა N1) რომან ბატიაშვილის დაპატიმრების შესახებ. დათარიღებულია 1942 წლის 14 თებერვლით, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი ავქსენტი რაფავა, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი ირაკლი ნიბლაძე და ამავე განყოფილების უმცროსი ლეიტენანტი მირიან თავდიშვილი. ერთვის იმავე თარიღით გაცემული პროკურორის სანქცია რომან ბატიაშვილის დაპატიმრების შესახებ.

ფორმა N1-ის მიხედვით რომან თევდორეს ძე ბატიაშვილი დაბადებულია 1913 წელს, სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევში, ეროვნებით ქართველი, საქართველოს სსრ-ის მოქალაქე, კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წევრი, დაოჯახებული, უმაღლესი განათლებით, აგრონომი, ოცეულის მეთაურის მოადგილე 369-ე სათადარიგო პოლკში, მცხოვრები სოფელ ბოდბისხევში.

მოპოვებული ინფორმაციით, რომან ბატიაშვილი არის უკანონო კონტრევოლუციური „ფაშისტური“ ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და ამ ორგანიზაციის დავალებების შემსრულებელი. ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრის, ამჟამად დაკავებული გიორგი იმერლიშვილის ჩვენებით: „წინა დაკითხვაზე გამომჩნა, რომ რომან ბატიაშვილი მე ჩავაბი კონტრევოლუციურ ორგანიზაციაში 1941 წლის აგვისტოს ავჭალაში“. შემდეგ ის იხენებს, რომ „ზუსტად არ მახსოვს, ჩემი დავალებით თუ თავისი ინიციატივით, მიხეილ იმერლიშვილმა მომიყვანა რომან ბატიაშვილი, რომელიც ჩემი კარგი მეგობარი იყო და რომელთან ერთადაც ბაკურციხის სოფლის მეურნეობის ტექნიკუმში ვსწავლობდი. ის იყო უმცროსი ლეიტენანტი და მობილიზებული 35-ე სპეციალურ დანაყოფში. რომან ბატიაშვილმა და მე

ორგანიზაციაში ჩავრთეთ **მიხეილ იმერლიშვილი**. მე მას გავანდე, რომ არსებობდა არალეგალური ორგანიზაცია, რომელიც ანარქიის დროს, საბჭოთა მთავრობის გაქცევის შემთხვევაში, აიღებდა ხელში ძალაუფლებას და აღადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობას. ჩემს კითხვაზე, უნდოდა თუ არა ბატიაშვილს ჩვენთან თანამშრომლობა, ის დაგვთანხმდა (**გიორგი სიმონის ძე იმერლიშვილის** ჩვენებიდან, 7.02.1942 წ.). ორგანიზაციაში მისი მონაწილეობა ლევან ივანეს ძე თორაძის ჩვენებიდანაც გაირკვა.

დაადგინეს: **რ. თ. ბატიაშვილის** დაპატიმრება და ჩხრეკა (**სშსსა**, 1:74-75).

დადგენილება (ფორმა N2) რომან ბატიაშვილის აღკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ, გამოტანილი რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და 158-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 44-ე და 49-ე მუხლების საფუძველზე, დათარიღებულია 1942 წლის 14 თებერვლით.

დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი **ავქსენტი რაფავა** და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უმცროსი ლეიტენანტი **მირიან თავდიშვილი**.

მოპოვებული ინფორმაციით, რომან ბატიაშვილი ეჭვმიტანილია დანაშაულში საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ. 2 და 58/11 მუხლების მიხედვით. რადგან მისი თავისუფლებაში ყოფნა გამოძიებაზე უარყოფითად იმოქმედებდა, იხელმძღვანელებს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლით და ბრალდებულს შეუფარდეს პატიმრობა. ამის შესახებ აცნობს დაკავებულს, რის შემდეგაც რომან ბატიაშვილმა ხელის მოწერით დაადასტურა (**სშსსა**, 14:184-185).

გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნა პროკურორს და ციხის უფროსს პატიმრის პირადი საქმის გასაცნობად და მასში ჩასართავად რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 50-ე მუხლის საფუძველზე.

დადგენილება (ფორმა N3) რომან ბატიაშვილისთვის ბრალის წარდგენის შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 14 მარტით. დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების

უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე** და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი **ლეიტენანტი არტაშეს მარქაროვი**.

ფორმა N3-ის გამოტანისას იხელმძღვანელებს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლით, ხოლო რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის საფუძველზე ამ დადგენილების ასლი გადაეგზავნა პროკურორს.

საქმე N1964-ის მიხედვით რომან თევდორეს ძე ბატიაშვილი მხილებულია არალეგალურ ნაციონალისტურ-მეამბოხე ორგანიზაციის წევრად. მას მიზნად ჰქონდა დასახული შეიარაღებული აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ორგანიზაციაში ჩართო მისმა მეგობარმა გიორგი იმერლიშვილმა 1941 წლის ზაფხულში. მან დავალება მიიღო მიხეილ იმერლიშვილისაგან, რომელიც ამავე საქმით იყო ბრალდებული, ორგანიზაციაში ჩაერთო სხვა წევრებიც. **ბატიაშვილმა**, თავის მხრივ, ჩართო თავისი ამხანაგები 35-ე სათადარიგო პოლკიდან: **რეზო კარანაშვილი** და **აბაზა ბუაძე**. **რ. ბატიაშვილმა** თავი დამნაშავედ ცნო.

ქვემოთ მოგვყავს ნაწყვეტი ჟურნალ „გუმბათში“ გამოქვეყნებული მისი ვაჟიშვილის, ომარ ბატიაშვილის, ინტერვიუდან:

„ – თქვენი ოჯახის წევრი თუ დაესწრო სასამართლო პროცესს?

– არა, მათ სამხედრო ტრიბუნალი ასამართლებდათ და არავის უშვებდნენ. ჩემებმა ისიც კი ვერ გაიგეს, რა განაჩენი გამოუტანეს ბრალდებულებს. ჩვენ მერე გავიგეთ, თითქოს ფრონტის წინა ხაზზე გაგზავნა მიუსაჯესო. დედა მამას ამბებს შეგნებულად მიმაღავდა. ბებიაჩემი ისე გარდაიცვალა, რომ სულ შვილის მოლოდინში იყო. სიკვდილის წინ ათჯერ მაინც გამახედა ქუჩაში, გაიხედე, იქნებ მამაშენი მოდისო. მისი სახელის ხსენებაში დაღია საბრალო ქალმა სული.

მამა 1942 წლის თებერვალში დაიჭირეს, მე კი ივნისში დავიბადე. როდესაც არქივს ვათვალიერებდი, იქ ასეთი ფურცელი ვნახე. მამა თავის გამომძიებელ ირაკლი ნიბლაძეს სთხოვდა, იქნებ გამაგებინოთ, ბიჭი შემეძინა თუ გოგოო, მაგრამ ვინ შეუსრულებდა ამ თხოვნას“ („გუმბათი“ 2009:43).

ამავე ინტერვიუდან იმასაც ვგებულობთ, რომ **ომარ ბატიაშვილისთვის** კგბ-ს საზღვარგარეთ გაშვებაზე უარი უთქვამს. ის უარის მიზეზით დაინტერესებულა და სწორედ ამ დროს შეუტყვია მამის დახვრეტის ამბავი.

1942 წლის 20 სექტემბერს ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა (განაჩენი N194) რომან ბატიაშვილს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – **დახვრეტა** ქონების კონფისკაციით (სშსსა, 14:17-29).

12. სოლომონ იმერლიშვილი

სოლომონ იმერლიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი იყო და თან სახანძროში მუშაობდა. ისიც შეთქმულების ერთ-ერთი წევრი გახდა, რაც მისთვის საბედიწერო აღმოჩნდა.

1904 წელს გლეხის ოჯახში დაბადებული, ყვარლის რაიონის სოფელ შილდიდან, უპარტიო, ადრე ნასამართლეთ არ ყოფილა (სშსსა, 14:21). შეთქმულების გაცემის შემდეგ სხვა წევრებთან ერთად ისიც დააპატიმრეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია დადგენილება (ფორმა N3) სოლომონ იმერლიშვილისათვის ბრალის წარდგენის თაობაზე, რომელიც დათარიღებულია 1942 წლის 28 თებერვლით. დოკუმენტი ხელმოწერილია საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსის, კაპიტან **ირაკლი ნიბლაძისა** და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტის **არტაშეს მარქაროვის** მიერ.

გამომძიებამ სოლომონ იმერლიშვილისთვის ბრალის წაყენების დროს იხელმძღვანელა რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლის შესაბამისად და ბრალდებული პასუხისგებაში იქნა მიცემული. სოლომონ იმერლიშვილის საქმე რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის საფუძველზე 1942 წლის 14 მარტს პროკურორს გადაეგზავნა. სოლომონ იმერლიშვილი საბრალდებო დასკვნას გაეცნო და დოკუმენტზე ხელი მოაწერა (სშსსა,7:11).

უფროსმა ლეიტენანტმა **მარქაროვმა** განიხილა საგამოძიებო საქმე (N1964) და მიიღო მხედველობაში, რომ სოლომონ ანდრიას ძე იმერლიშვილი გამოვლინდა 1941 წელს, ქვეყანაში დამაბულობის პერიოდში, როცა გერმანელთა არმია უახლოვდებოდა მოსკოვს. ის ჩაერთო არალეგალურ ნაციონალიტურ სამხედრო-მეამბოხე ორგანიზაციაში, რომელსაც მიზნად ჰქონდა სამხედრო აჯანყების გზით საბჭოთა კავშირის ხელისუფლების დამხობა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ის ამ ორგანიზაციაში ჩაერთო თავისი თანასოფელელისა და ახლო ამხანაგის, ამავე დანაშაულში ბრალდებულის, **გიორგი იმერლიშვილის** წინადადებით. მისგან მიიღო დავალება, რომ ყვარლის რაიონში დაეფუძნებინა კონტრრევოლუციური მეამბოხე ორგანიზაცია. ამის გამო სოლომონ იმერლიშვილმა ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში გადაიბირა და ჩართო ამავე საქმეში ბრალდებული **გიორგი კოკილაშვილი** კონტრრევოლუციური დავალებების შესასრულებლად.

დოკუმენტში აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე სოლომონ იმერლიშვილს ბრალად ედება ყვარლის რაიონში უკანონო ორგანიზაციის დაარსება, ხელმძღვანელობა და მასში ხალხის ჩართვა.

ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით (განაჩენი N194) 1942 წლის 20 სექტემბერს სოლომონ იმერლიშვილს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – **დახვრეტა** ქონების კონფისკაციით (სშსსა,14:17-29).

13. მიხეილ იმერლიშვილი

მიხეილ იმერლიშვილი შეთქმულების ორგანიზაციის აქტიური წევრი იყო. იგი ავჭალის 35-ე პოლკის სამხედრო ნაწილში უმცროს ლეიტენანტად მსახურობდა. ამ პერიოდში იგი უკვე მეგობრობდა მომავალ შეთქმულებთან, რომლებთანაც ერთად ბაკურციხის მევენახეობა-მელვინეობის ტექნიკუმში სწავლობდა. ესენი იყვნენ: **რომან ბატიაშვილი**, **ლევან თორაძე** და **გიორგი იმერლიშვილი**. **რომან ბატიაშვილის** ვაჟმა, **ომარ ბატიაშვილმა** მოგვაწოდა საოჯახო არქივიდან მამის გამოსაშვები 1933 წლის ფოტო, სადაც შეთქმულების ოთხი მომავალი წევრია აღბეჭდილი.

მიხეილ იმერლიშვილის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული ინფორმაციით, იგი დაბადებულია 1913 წელს, გლეხის ოჯახიდან, მცხოვრები გურჯაანში, საქართველოს სსრ-ის მოქალაქე, ქართველი, უცოლშვილო, უმაღლესი განათლებით, მობილიზაციამდე მუშაობდა აგრონომად, 1941 წლის 25 აგვისტოდან მსახურობდა წითელი არმიის რიგებში (სშსსა,14:24).

სამწუხარო ფაქტია, რომ მიხეილ იმერლიშვილის ნაშრომებს ჩვენამდე არ მოუღწევია: „არ გადარჩა დისერტაცია და არც სხვა ჩანაწერები (ისიც არ ვიცით, რა ხასიათისა იყო)... ოჯახში რომ შეუტყვიათ, მიხეილი დაუპატიმრებიათო, დები ძალიან შეშფოთებულან და მაშინვე ხელნაწერები დაუწვავთ (მასთან ერთად მიხეილ ჯავახიშვილის რამდენიმე ტომიც, როგორც იმხანად აკრძალული წიგნები), უშიშროების თანამშრომლები უთუოდ მოგვაკითხავენ და ამ ნაწერებში ისეთი არაფერი მოიძიონ, მიხეილს სერიოზულ ბრალდებად წაუყენონო... ხოლო მიხეილის მოზრდილი ფოტო-ალბომი დედამისს გიორგი ციხლაშვილის ოჯახისთვის მიუბარებია, მისი მეუღლე ნათესავად ერგებოდა“ (ჩხეიძე 1992:122).

1941 წლის 17 ოქტომბერს მიხეილ იმერლიშვილმა დედასა და დას ავჭალიდან წერილი გამოუგზავნა. ერთი წლის თავზე კი შეთქმულები დახვრიტეს.

მიხეილ იმერლიშვილის ძმა, რომელმაც სამედიცინო ინსტიტუტი 1941 წელს დაამთავრა, ფრონტზე გაიწვიეს ჰოსპიტალში სამუშაოდ. იმავე წელს გერმანელებმა ჰოსპიტალი ალყაში მოაქციეს და იგი ტყვედ ჩავარდა. ეს ფაქტიც უფრო დიდ ეჭვს იწვევდა მიხეილ იმერლიშვილის საქმეში (კვერენჩილაძე 2017:70).

დადგენილება (ფორმა N3) მიხეილ იმერლიშვილისთვის ბრალის წარდგენის შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 28 თებერვლით, რომლის გამოტანისას იხელმძღვანელებს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლით. დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი ირაკლი ნიზლაძე და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი არტაშეს მარქაროვი.

მიხეილ იმერლიშვილი საბრალდებო დასკვნას გაეცნო და დოკუმენტზე ხელი მოაწერა (სშსსა,14:112-113).

რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის შესაბამისად ფორმა N3-ის ასლი გაეგზავნა პროკურორს.

საგამომიებო საქმის (N1964) მიხედვით, **მიხეილ იასონის ძე იმერლიშვილი** 1941 წელს მობილიზაციით წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს მაშინ, როცა გერმანიის ჯარები მოსკოვს უახლოვდებოდნენ. ის ჩაერთო კონტრრევოლუციურ-ნაციონალისტურ სამხედრო-მემამოხე ორგანიზაციაში, რომლის მიზანი იყო შეიარაღებული აჯანყების გზით ებრძოლათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და აღედგინათ საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ ორგანიზაციაში ის ჩართო ახლო მეგობარმა, ამავე საქმეში ბრალდებულმა გიორგი იმერლიშვილმა. მისგან მიიღო ორგანიზაციაში ახალი წევრების გადაბირების დავალება.

გამოირკვა, რომ მიხეილ იმერლიშვილის მიერ ორგანიზაციაში ჩაბმული იყვნენ: **ავქსენტი უთურგაძე, იოსებ იმერლიშვილი, გიორგი ციბალაშვილი, ლევან თორაძე.**

1942 წლის 20 სექტემბერს ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა (განაჩენი N194) მიხეილ იმერლიშვილს მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – **დახვრეტა** ქონების კონფისკაციით (სშსსა,14:17-29).

14. მიხეილ კაციტაძე

მიხეილ კაციტაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უცხო ენებს ასწავლიდა. დახვეწილი როგორც გარეგნობით, ასევე ინტელიგენტური ბუნებით თანამშრომლებსა და სტუდენტებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული ანტისაბჭოურად განწყობილი ჯგუფის წევრი იყო. ამ ჯგუფში ისეთი ადამიანები იყვნენ თავმოყრილი, რომელთაც ახლობლები დახვრეტილი ან დაპატიმრებული ჰყავდათ. თავად მიხეილ კაციტაძის უდანაშაულო ძმაც 1937 წელს დააპატიმრეს. უნივერსიტეტის ჯგუფს ავჭალის ორგანიზაციასთან ჰქონდა კავშირი.

დადგენილება (ფორმა N1) მიხეილ კაციტაძის დაპატიმრების შესახებ 1942 წლის 5 მარტით არის დათარიღებული.

დადგენილებას ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი-
ტის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი **ავქსენტი რაფავა** და საქართვე-
ლოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებ-
ლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი **არტაშეს მარქაროვი**.

მიხეილ კაციტაძის დაკავებაზე პროკურორს სანქცია გაცემული აქვს 1942 წლის 6
მარტს, 13:35 საათზე.

დაპატიმრების დადგენილებიდან ვგებულობთ, რომ **მიხეილ ილიას ძე კაციტაძე**
დაბადებულია 1913 წელს, ამბროლაურის რაიონიდან, უპარტიო, უცოლშვილო, უმაღ-
ლესი განათლებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენების ლექტორი,
კურსანტთა სკოლის უმცროსი ლეიტენანტი, მცხოვრები ანაკლიის შესახვევი N8-ში.

დოკუმენტის ინფორმაციით, თბილისში აღმოჩენილია არალეგალური კონტრ-
რევოლუციურ-ნაციონალისტური სამხედრო-მეამბოხე ორგანიზაცია. **თურმან შანშია-
შვილმა**, აღიარა რა თავისი მონაწილეობა აღნიშნულ კონტრრევოლუციურ ორგანიზა-
ციაში, 1942 წლის 24 თებერვლის დაკითხვაზე მისცა ჩვენება: „... **ჯოგლიძემ** დამავალა,
ინგლისელებთან ურთიერთობისათვის ჩამერთო კაციტაძე, როგორც ინგლისურის ენის
მცოდნე... ამის შემდეგ წავედი უნივერსიტეტში, შევხვდი კაციტაძეს. ეს იყო 1941 წლის
ნოემბერში. საუბრისას ვაცნობე, რომ **ჯოგლიძე** და **შავიანიძე** ფიქრობენ უკანონო
ორგანიზებულ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ-მეთქი. კაციტაძემ მიპა-
სუხა, რომ შავიანიძეს არ იცნობდა, მაგრამ ამ წამოწყებაზე მიპასუხა, რომ დიდი უაზ-
რობაა და არ ღირს მათთან ურთიერთობა“. ასე შეიტყო კაციტაძემ არალეგალური
კონტრრევოლუციური ორგანიზაციის არსებობა.

სამხედრო ტრიბუნალმა მიხეილ ილიას ძე კაციტაძეს შეუფარდა პატიმრობა და
ჩხრეკა (**სშსსა, 1:53-54**).

დადგენილება (ფორმა N2) მიხეილ კაციტაძისთვის აღკვეთი ღონისძიების შეფარ-
დების თაობაზე, გამოტანილი რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის
145-ე და 158-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 44-ე და 49-ე მუხლების
საფუძველზე, დათარიღებულია 1942 წლის 6 მარტით.

დადგენილებას ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი-
ტის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი **ავქსენტი რაფავა** და საქართვე-

ლოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომიებლო ნაწილის უმცროსი ლეიტენანტი **მირიან თავდიშვილი**.

დაპატიმრება სანქციონირებულია პროკურორის მიერ 1942 წლის 6 მარტს.

მიხეილ კაციტაძეს ბრალი წაუყენეს საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ. 2 და 58/11 მუხლების მიხედვით. იმის გამო, რომ, გამომძიებლისა და პროკურატურის აზრით, მიხეილ კაციტაძეს შეეძლო გავლენა მოეხდინა გამოძიების მსვლელობაზე, რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლების ძალით მას პატიმრობა მიესაჯა, რის შესახებაც. ეცნობა ბრალდებულს (**სშსსა, 14:246-247**).

ასლი გაეგზავნა პროკურორსა და ციხის უფროსს პატიმრის პირადი საქმის გასაცნობად და მასზე დასართავად რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 50-ე მუხლის შესაბამისად.

დადგენილება (ფორმა N3) მიხეილ კაციტაძისთვის ბრალის წარდგენის შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 24 მარტით. იხელმძღვანელებს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლით, რის შემდეგაც ბრალდებული პასუხისგებაში იქნა მიცემული.

დადგენილებას ხელს აწერენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისიარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე** და ამავე განყოფილების საგამომიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი **არტაშეს მარქაროვი**.

რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლით ფორმა N3-ის ასლი გადაეგზავნა პროკურორს.

საგამომიებო საქმის (N1964) საფუძველზე მიხეილ ილიას ძე კაციტაძე საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მტრულად არის განწყობილი. ჯერ კიდევ 1938 წელს იგი შეუერთდა ანტისაბჭოთა ნაციონალისტურ-სტუდენტურ დაჯგუფებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გერმანიასთან ომის დროს თავის ამხანაგებთან, **მისაბიშვილთან** და **ახობაძესთან** ერთად ჩაერთნენ თბილისის კონტრევოლუციურ ფაშისტურ-მემპოხე ორგანიზაციაში და მიზნად დაისახეს, აღედგინათ „დამოუკიდებელი საქართველო“ და საბჭოთა ხელისუფლება დაემხოთ შეიარაღებული აჯანყების გზით. სისტემატურად იკრიბებოდნენ მისაბიშვილის ბინაში. ამ უკანონო შეკრებების დროს

ხდებოდა ამ ორგანიზაციაში ახალი წევრების ჩართვაც. გარდა ამისა, **მიხეილ კაციტაძემ** დაამყარა კონტაქტი სამხედრო-მეამბოხურ ავჭალის ორგანიზაციასთან. ამ ორგანიზაციის წევრები იყვნენ **შავიანიძე და შანშიაშვილი (სშსსა, 14:247-248)**.

ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით (განაჩენი N194), 1942 წლის 20 სექტემბერს **მიხეილ კაციტაძეს** მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – **დახვრეტა** ქონების კონფისკაციით (**სშსსა, 14:17-29**).

როგორც როსტომ ჩხეიძის წიგნში „დაწყვეტილი თაობა“ ვკითხულობთ, მიხეილ კაციტაძის დახვრეტის შესახებ ოჯახის წევრებს არავითარი ცნობა არ მიუღიათ. „ამ გარემოებამ ახლობლებს იმედი ჩაუსახა: „იქნებ სასიკვდილოდ აღარ გაიმეტეს, სასჯელი შეუცვალეს და გადასახლება მიუსაჯეს მიმოწერის გარეშეო“ (**ჩხეიძე 1992:141**).

15. ზურაბ მისაბიშვილი

შეთქმულების კიდევ ერთ პირს, **ზურაბ მისაბიშვილს**, ოჯახის წევრები რეპრესირებული ჰყავდა (1937 წ.). სწორედ ამით იყო გამოწვეული მისი პროტესტი და უარყოფითი განწყობა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თბილისის 55-ე საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა, შემდეგ სწავლა განაგრძო უნივერსიტეტის ასპირანტურაში ალექსანდრე ნამორაძის ხელმძღვანელობით.

ზურაბ მისაბიშვილის ბინაში ხშირად იკრიბებოდნენ ანტისაბჭოურად განწყობილი ახალგაზრდები, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობაზე ოცნებოდნენ.

დადგენილება (ფორმა N1) ზურაბ მისაბიშვილის დაპატიმრების შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 14 მარტით. დადგენილებას ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი **ავესენტი რაფავა** და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უმცროსი ლეიტენანტი **მირიან თავდიშვილი**.

ზურაბ მისაბიშვილის დაკავების შესახებ პროკურორის სანქცია გაცემულია იმავე თარიღით, 2:10 საათზე.

დადგენილების ინფორმაციით, **ზურაბ ნიკოლოზის ძე მისაბიშვილი** დაბადებულია 1916 წელს, სურამიდან, ქართველი, საქართველოს სსრ-ის მოქალაქე, უპარტიო,

დასაოჯახებელი, უმაღლესი განათლებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი, ჰყავს რეპრესირებული მამა, ბიძა და დეიდა. მცხოვრები ამოს ქ. N 8-ში.

ანტისაბჭოურად განწყობილი ზურაბ მისაბიშვილი თავის მეგობრებთან, ახობაძესა და კაციტაძესთან ერთად, რომლებიც ამავე ბრალდებით არიან დაკავებული, ჩაერთო უკანონო კონტრევოლუციურ ორგანიზაციაში. ორგანიზაციის მიზანი იყო შეიარაღებული აჯანყებით საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. გიორგი ახობაძის ჩვენებიდან გაირკვა, რომ „პირველად საუბარი, შექმნილიყო არალეგალური ორგანიზაცია და საბჭოთა ხელისუფლებისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობა გაეწიათ, შედგა **ზურაბ მისაბიშვილის** ბინაში, ამოს ქ. N8-ში... მას ჰყავს დაპატიმრებული მამა. **კაციტაძე და მისაბიშვილი** მივიდნენ იმ გადაწყვეტილებამდე, რომ უნდა დაკავშირებოდნენ რომელიმე არალეგალურ ორგანიზაციას, რომელიც წითელი არმიის ნაწილში იყო შექმნილი“. იგივე გამოიკვეთა **თურმან შანშიაშვილის** ჩვენებითაც.

დაადგინეს: ზურაბ მისაბიშვილს დაექვემდებაროს დაპატიმრება და ჩხრეკა (სშსსა, 1:37-38).

დადგენილება (ფორმა N3) ზურაბ მისაბიშვილისთვის ბრალის წარდგენის შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 3 აპრილით. დადგენილებას ხელს აწერს საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი **ავქსენტი რაფავა** და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უმცროსი ლეიტენანტი **მირიან თავდიშვილი**.

ფორმა N3-ის გამოტანისას იხელმძღვანელეს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლის შესაბამისად და ზურაბ მისაბიშვილი პასუხისგებაში იქნა მიცემული. ამავე დადგენილების ასლის გაეგზავნა პროკურორს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის საფუძველზე.

საგამომძიებო საქმე N1964-ში ვკითხულობთ, რომ ზურაბ ნიკოლოზის ძე მისაბიშვილმა, რომელიც გამოირჩეოდა ანტისაბჭოთა განწყობით, 1941 წელს თავის ამხანაგებთან, კაციტაძესთან და ახობაძესთან ერთად, შექმნა უკანონო კონტრევოლუციური

ფაშისტური ორგანიზაცია, რომლის მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა შეიარაღებული აჯანყების გზით და „დამოუკიდებელი საქართველოს“ აღდგენა. მათ ამ ორგანიზაციაში ჩართეს სხვა წევრებიც: **თარგამაძე, ფარეშიშვილი, გაბელია, კვაჭაძე** და სხვები. ზურაბ მისაბიშვილი თავის ბინაში სისტემატურად აწყობდა უკანონო შეკრებებს, სადაც გეგმავდნენ მომავალ, ასევე უკანონო, მოქმედებებს. ამ მიზნით ისინი დაუკავშირდნენ ავჭალის სამხედრო-მეამბოხე ორგანიზაციას, რომელიც უკვე ლიკვიდირებულია.

დაადგინეს: ზურაბ მისაბიშვილი ცნეს დამნაშავედ საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ. 2 და 58/11 მუხლების მიხედვით. მას აღნიშნული დადგენილება გააცნეს და ხელი მოაწერინეს (სშსსა,14:41-42).

1942 წლის 20 სექტემბერს, ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით (განაჩენი N194), ზურაბ მისაბიშვილს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – **დახვრეტა** ქონების კონფისკაციით (სშსსა,14:17-29).

16. გიორგი თარგამაძე

შეთქმულების კიდევ ერთი მონაწილე, რომელსაც 1942 წლის 20 სექტემბერს ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – **დახვრეტა** ქონების კონფისკაციით (განაჩენი N194), არის **გიორგი (გივი) რაფაელის ძე თარგამაძე** (სშსსა, 14:17-29).

დადგენილება (ფორმა N1) გიორგი თარგამაძის დაპატიმრების შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 18 მარტით. დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი **ავქსენტი რაფავა** და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უმცროსი ლეიტენანტი **მირიან თავდიშვილი**.

პროკურორის მიერ სანქცია გიორგი თარგამაძის დაკავებაზე გაცემულია 1942 წლის 18 მარტს, 22:45 საათზე.

ფორმა N1-ის მიხედვით, გიორგი რაფაელის ძე თარგამაძე დაბადებულია 1915 წელს, თბილისიდან, უპარტიო, დაოჯახებული, უმაღლესი განათლებით, მეცნიერთანამშრომელი, კომკავშირელი.

გამოძიების მიერ მოპოვებული ინფორმაციით, გიორგი თარგამაძე ჯერ კიდევ 1938 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ სტუდენტთა ანტისაბჭოთა დაჯგუფების წევრი იყო. გერმანიასთან ომის დაწყებისას იგი ჩაერთო არალეგალურ-კონტრევოლუციურ „ფაშისტურ“-მემბოხე ორგანიზაციაში, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული შეიარაღებული აჯანყების გზით საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. გიორგი თარგამაძე აწარმოებდა კონტრევოლუციურ საქმიანობას. ამ ფორმირების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა გიორგი ახოზაძემ ჩვენებაში აღიარა: „ჩვენს არალეგალურ ორგანიზაციაში შედიოდნენ: ა) გიორგი რაფაელის ძე თარგამაძე... ანტისაბჭოთა საუბრები, რომლებიც ჩვენ გვქონდა ჩვენს უკანონო შეხვედრებზე მისაბიშვილის ბინაში, ეხებოდა ჩვენს რწმენას, ჩვენს პოლიტიკურ პლატფორმას, რომელზედაც ყველა ვიდევით – მე, კაციტაძე, მისაბიშვილი, საბაშვილი, თარგამაძე, ფარეშიშვილი, კვაჭაძე...

უფრო ზუსტად ჩვენი გეგმების შესახებ:

1. საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგენა გერმანიის პროტექტორატის ქვეშ;
2. კოლმეურნეობის სისტემის ლიკვიდაცია, მიწების გადაცემა გლეხებისთვის კერძო საკუთრებაში;
3. სიტყვისა და პრესის თავისუფლება;
4. სრული ეროვნული თვითმყოფადობა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „საქართველო ქართველებისათვის“... ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ნაციონალური სოციალისტური პარტია ყველაზე მისაღები პოლიტიკური პარტია იქნებოდა... ეს იყო ჩვენი ორგანიზაციის პროგრამა.

როგორ უნდა განხორციელებულიყო ჩვენი მიზანი:

1. საბჭოთა კავშირის დამხობა შეიარაღებული აჯანყების გზით გერმანიის ჯარების ჩვენს საზღვრებთან მოახლოების დროს;
2. გერმანიის არმიასთან კავშირის დამყარება ჩვენი შეიარაღებული აჯანყების მხარდაჭერისთვის, გერმანიის ჯარების ხელის შეწყობა საქართველოს ოკუპაციისთვის“.

გიორგი თარგამაძეს დაუდგინეს დაპატიმრება და ჩხრეკა (სშსსა,1:6-7).

რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და 158-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 44-ე და 49-ე მუხლების მიხედვით გამოიტანეს დადგენილება (ფორმა N2) გიორგი თარგამაძისთვის აღკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ, დათარიღებული 1942 წლის 19 მარტით. დადგენილებას ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი **ავქსენტი რაფავა** და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი **არტაშეს მარქაროვი**.

ფორმა N2-ში აღნიშნულია, რომ **გიორგი რაფაელის ძე თარგამაძე** დაბადებულია ქ. თბილისში, 1915 წელს, უმაღლესი განათლებით, ნიკო მარის სახ. ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი, კომკავშირელი, ეროვნებით ქართველი, საქართველოს სსრ-ის მოქალაქე, დაოჯახებული, მცხოვრები პლეხანოვის გამზირზე N197/1.

გიორგი თარგამაძე ეჭვმიტანილია დანაშაულში საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ. 2 და 58/11 მუხლების მიხედვით. მისი თავისუფლებაში ყოფნა გავლენას მოახდენს გამოძიებაზე, ამიტომ ბრალდებულს უნდა შეეფარდოს პატიმრობა რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის შესაბამისად, რის შესახებაც გამოეცხადოს დაკავებული.

დადგენილება გამოუცხადეს გიორგი თარგამაძეს და ხელი მოაწერინეს (**სშსსა, 3:7-8**).

ფორმა N2-ის ასლი გაეგზავნა პროკურორსა და ციხის უფროსს პატიმრის პირადი საქმის გასაცნობად და მასზე დასართავად რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 50-ე მუხლი საფუძველზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში ინახება გიორგი თარგამაძის პირადი ჩხრეკის ოქმი, სადაც აღნიშნულია ჩამორთმეული ნივთები: ბალიშები, ხელთათმანები, ქამარი, კბილის ჯაგრისი. ჩხრეკა ჩატარდა 1942 წლის 21 მარტს. ხელმოწერა გაურკვეველია (**სშსსა, 13:30-31**).

დადგენილება (ფორმა N3) გიორგი თარგამაძისთვის ბრალის წარდგენის შესახებ, თარიღდება 1942 წლის 5 აპრილით. დოკუმენტი ხელმოწერილია საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსის,

კაპიტან ირაკლი ნიბლადისა და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტის არტაშეს მარქაროვის მიერ.

აღნიშნული დადგენილების გამოტანისას იხელმძღვანელებს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლის საფუძველზე და გიორგი თარგამაძე პასუხისგებაში იქნა მიცემული.

ფორმა N3-ის ასლი გაეგზავნა პროკურორს რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის შესაბამისად.

N1964 საქმის საგამომძიებო მასალების ინფორმაციით, 1938 წელს ანტისაბჭოურად განწყობილი გიორგი რაფაელის ძე თარგამაძე შეუერთდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანტისაბჭოთა სტუდენტურ დაჯგუფებას. გერმანიასთან ომის დაწყებასას ის წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს. 1941 წლის ბოლოს გიორგი თარგამაძე შეუერთდა კონტრევოლუციურ „ფაშისტურ-მემბოხე“ ორგანიზაციას, რომელიც მიზნად ისახავდა „დამოუკიდებელი საქართველოს“ აღდგენას შეიარაღებული აჯანყების გზით. ამ ფორმირებაში იგი ჩართო თავისმა მეგობარმა გიორგი ახოზაძემ. მათ აგრეთვე ამჟამად დაკავებულ გიორგი იმერლიშვილთანაც ჰქონდათ კავშირში. ეს უკანასკნელი დასახელებული კონტრევოლუციური ორგანიზაციის დამაარსებელი იყო.

დაადგინეს: გიორგი თარგამაძე ბრალდებულად ცნეს საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ. 2 და 58/11 მუხლების მიხედვით. გამომძიებელი – არტაშეს მარქაროვი. 1942 წლის 5 აპრილს გ. თარგამაძეს გამოუცხადეს დადგენილება და ხელი მოაწერინეს (სშსსა, 13:16-17).

გიორგი თარგამაძემ თავი დამნაშავედ ცნო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია გასაიდუმლოებული ცნობა, რომელშიც მოცემულია სამხედრო ტრიბუნალის „თბილგარნიზონის“ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება. მასში აღნიშნულია, გიორგი თარგამაძეს მიესაჯა დახვრეტა, ქონების კონფისკაციით, კასაციის უფლების გარეშე. ხელს აწერს საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის უფროსი ლეიტენანტი ბერულავა, მდივანი – ქარელი (სშსსა, 13:6).

* * *

სამწუხაროდ, სიკვდილმისჯილი ადამიანების ოჯახის წევრებმა არ იცოდნენ, რა ბედი ეწიათ მათ ახლობლებს. ზოგს იმედი ჰქონდა, რომ მისი ახლობელი იქნებ ფრონტზე გააგზავნეს და იქ იბრძვისო, ზოგს გადასახლებული ეგონა, ზოგს – ციხეში და ითხოვდა მიმოწერას.

არქივში დაცულია შუშანა თარგამაძის, გიორგი თარგამაძის დედის განცხადება. დოკუმენტს ვაქვეყნებთ უცვლელად:

სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარს, ლ. პ. ბერიას
შუშანა გრიგოლის ასულ თარგამაძის
(მცხ. ქ. თბილისში, პლენანოვის ქ. N1 შესახ.)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ჩემი შვილი, გიორგი რაფაელის-ძე თარგამაძე, დაბადებული 1915 წელს, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მარის სახელობის ინსტიტუტისა, დაპატიმრებულ იქნა 1942 წლის 21 მარტს საქართველოს შინსახკომის ორგანოების მიერ და იმავე წლის სექტემბერში ა. კ. (ამიერკავკასიის) ფრონტის სამხედრო ტრიბუნალის მიერ მიესაჯა ათი წლით გადასახლება შორეულ აღმოსავლეთში მიწერ-მოწერის აკრძალვით. ამასთანავე უნდა მოგახსენოთ, რომ ბრალდებული გიორგი თარგამაძე, დაპატიმრებამდე დაავადებული იყო რევმატიზმებით, გულის შეტევებით და კუჭის წყლულით, გადასახლების შემდეგ მის შესახებ არავითარი ცნობა არა მაქვს.

უმორჩილესად გთხოვთ თქვენ შუამდგომლობას, დამრთონ ნება მიწერ-მოწერისა ბრალდებულ ჩემ შვილთან, რომ მქონდეს საშუალება გავიგო მისი ჯანმრთელობა.

მთხ-ლი: შ. თარგამაძე

9.I.45 წელი.

არქივში დაცულია აგრეთვე 1945 წლის 15 იანვრით დათარიღებული იმავე შინაარსის წერილი რუსულ ენაზე (სშსსა,4: 15), რომელიც გაგზავნილია მოსკოვში **ლავრენტი ბერიასთან** (სშსსა,4:7). აქედან ნათლად ჩანს, რომ შუშანა თარგამაძისთვის სამი წლის წინ დახვრეტილი შვილის ამბავი მისთვის უცნობი იყო.

1945 წლის 10 მაისს მოსკოვიდან, კერძოდ, სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის პირველი სპეციალური განყოფილებიდან მიღებული წერილის საფუძველზე მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარ **ავქსენტი რაფაეასა** და ოპერატიულ მუშაკს, უფროს ლეიტენანტ **არტაშეს მარქაროვს** დაევალათ შუშანა თარგამაძისთვის ზეპირად გადაეცათ 1942 წლის 17 აგვისტოს გიორგი თარგამაძის სიკვდილით დასჯის ამბავი (სშსსა, 4:7).

გიორგი თარგამაძის შვილი, **ვასილ თარგამაძე** (ის მამის დაპატიმრების შემდეგ არის დაბადებული), როგორც აღნიშნავს, ბებია არ იჯერებდა შვილის სიკვდილს და მთხოვდა წერილის მიწერასო.

17. მიხეილ საბაშვილი

მიხეილ მიხეილის ძე საბაშვილი შეთქმულთა შორის შემთხვევით არ მოხვედრილა, მამამისი საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში მენშევიკური პარტიის წევრი ყოფილა ოზურგეთში. ამის გამო მას მამა და ბიძაც დაუხვრიტეს.

მიხეილ საბაშვილი ერთხანს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ კორექტორი ყოფილა. ჯერ სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაუბარებია (**ჩხეიძე 1992:127**). შეთქმულების გამოაშკარავების შემდეგ მიხეილ საბაშვილიც დააპატიმრეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია დადგენილება (ფორმა N3) მიხეილ საბაშვილისათვის ბრალის წარდგენის შესახებ, დათარიღებული 1942 წლის 16 აპრილით.

ბრალის წარდგენის დადგენილებას ხელს აწერენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი ირაკლი ნიბლაძე და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი არტაშეს მარქაროვი.

საგამომძიებო საქმე N1964-ის განხილვისას ყურადღება მიექცა მიხეილ მიხეილის ძე საბაშვილის განსაკუთრებულ მტრულ განწყობას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. ჯერ კიდევ 1938 წელს ის იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანტისაბჭოთა სტუდენტური დაჯგუფების წევრი. ომის დაწყებისას მიხეილ საბაშვილი თავისი ამხანაგის, გიორგი ახოზაძის დახმარებით ჩაება არალეგალურ კონტრრევოლუციურ „ფაშისტურ“-მეამბოხე ორგანიზაციაში, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. იგი ესწრებოდა ამ ფორმირების არალეგალურ შეკრებებს, რომლებიც ტარდებოდა ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ზურაბ მისაბიშვილის ბინაში.

დაადგინეს და იხელმძღვანელეს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლით, რომლის მიხედვით **მიხეილ** მიხეილის ძე საბაშვილი ბრალდებულად იქნა ცნობილი საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ. 2 და 58/11 მუხლების მიხედვით, რაც ეცნობა ბრალდებულს. ამავე დადგენილების ასლი გაეგზავნა პროკურორს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის შესაბამისად (სშსსა, 14:150-151).

მიხეილ საბაშვილს მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა – **დახვრეტა** ქონების კონფისკაციით. აღნიშნული განაჩენი (N194) ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა გამოიტანა 1942 წლის 20 სექტემბერს (სშსსა, 14:17-29).

ქვემოთ მოყვანილია დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალის განაჩენი (N194) იმ ჩვიდმეტი მსჯავრდებულის მიმართ, რომელთაც დახვრეტა მიესაჯათ.

Приговор №194

Именем Союза Советских Социалистических Республик

Военный трибунал Закавказского фронта

11-20 сентября, 1942 г.

В закрытом судебном заседании, в городе Тбилиси в составе: председательствующего военного юриста 2 ранга **ФОМЕНА**; членов: военного юриста 3 ранга **ЗАДАШКО** и военного юриста **Романовича** при секретаре – военном юристе **Берловском**, рассмотрел дело по обвинению военнослужащих:

1. Командира взвода снабжения 778 ЗСП, младшего лейтенанта **Имерлишвили Георгия Семеновича**, 1914 года рождения, из крестьян-бедняков, служащего, уроженца с. Шильда Кварельского района Грузинской ССР, грузина, имеющего высшее образование, работавшего до призыва в РККА аспирантом при Тбилисском Госуниверситете, беспартийного, несудимого, в рядах РККА с 9-го июля 1941 года по мобилизации;

2. Командира взвода 790 ЗСП, младшего лейтенанта **Химпиашвили Константина Александровича** 1917 года рождения, из служащих, служащего, уроженца гор. Кутаиси Грузинской ССР, грузина, имеющего высшее образование, работавшего до призыва в РККА аспирантом при Тбилисском Госуниверситете, беспартийного, несудимого, в рядах РККА с 9-го июля 1941 года по мобилизации;

3. Состоявшего в роте комсостава 35 ЗСП младшего лейтенанта **Бурдиашвили Дмитрия Исааковича**, 1914 года рождения, из крестьян-бедняков, служащего, уроженца с. Шильда Кварельского района Грузинской ССР, грузина, имеющего высшее образование, работавшего до призыва в РККА преподавателем в средней школе, беспартийного, несудимого, в рядах РККА с 24-го июня 1941 года по мобилизации;

4. Заместителя командира взвода 35 ЗСП, младшего лейтенанта **Имерлишвили Михаила Ясоновича**, 1913 года рождения, из крестьян-бедняков, служащего, уроженца с. Гурджаани Гурджаанского района Грузинской ССР, грузина, имеющего высшее образование, работавшего до призыва в РККА агрономом, состоявшего членом ВКП (б) с 1939

года и исключенного в связи с настоящим делом, несудимого, в рядах РККА с 25-го августа 1941 года по мобилизации;

5. Политрука взвода 36 ЗСП, младшего лейтенанта **Торадзе Левана Ивановича**, 1915 года рождения, из служащих, служащего, уроженца с. Цинандали Телавского района Грузинской ССР, грузина, имеющего среднее общее и специальное образование, агротехник, работавшего до призыва в РККА экономистом, состоявшего членом ВКП(б) с 1939 года и исключенного в связи с настоящим делом, несудимого, в рядах РККА с 24 июня 1941 года по мобилизации;

6. Заместителя командира взвода 369 ЗСП, младшего лейтенанта **Батиашвили Романа Федоровича**, 1913 года рождения, из крестьян-бедняков, служащего, уроженца с. Бодбис-хеви Сигнахского района Грузинской ССР, грузина, имеющего высшее образование, работавшего до призыва в РККА агрономом в колхозе, состоявшего членом ВКП(б) с 1939 года и исключенного в связи с настоящим делом, несудимого, в рядах РККА с 24 июня 1941 года по мобилизации;

9. Помкомандира взвода 35 ЗСП, младшего лейтенанта **Джоглидзе Константина Сергеевича**, 1915 года рождения, из рабочих, служащего, уроженца с. Кулаши Самтредского района Грузинской ССР, грузина, имеющего высшее образование, работавшего до призыва в РККА аспирантом при Тбилисском Госуниверситете, беспартийного, несудимого, в рядах РККА с 28 августа 1941 года по мобилизации;

10. Командира взвода 35 ЗСП, младшего лейтенанта **Шавианидзе Шалвы Наумовича**, 1915 года рождения, служащего, уроженца гор. Кутаиси Грузинской ССР, грузина, имеющего высшее образование, работавшего до призыва в РККА аспирантом при Тбилисском Госуниверситете, беспартийного, несудимого, в рядах РККА с 27 августа 1941 года по мобилизации;

11. Работника Штаб батальона 35 ЗСП (переводчик немецкого языка), младшего лейтенанта **Дзигвашвили Георгия Михайловича**, 1907 года рождения, из крестьян-середняков, служащего, уроженца с. Цихесулори Ванского района Грузинской ССР, грузина, имеющего высшее образование, работавшего до призыва в РККА аспирантом при Тбилис-

ском Госуниверситете, беспартийного, несудимого, в рядах РККА с первого сентября 1941 года по мобилизации;

14. Работника Штаба Крымского фронта (переводчик немецкого языка) **Шаншиашвили Турмана Моисеевича**, 1914 года рождения, из кустарей, служащего, уроженца с. Квемо-Мачхаани Сигнахского района Грузинской ССР, грузина, имеющего высшее образование, работавшего до призыва в РККА аспирантом при Тбилисском Госуниверситете, беспартийного, несудимого, в рядах РККА с 8 ноября 1941 года по мобилизации;

15. Курсанта Тбилисской школы младших лейтенантов **Кацитадзе Михаила Ильича**, 1912 года рождения, из служащих, служащего, уроженца с. Барсули Амбролаурского района Грузинской ССР, грузина, имеющего высшее образование, работавшего до призыва в РККА аспирантом при Тбилисском Госуниверситете, беспартийного, несудимого, в рядах РККА с 21 февраля 1942 года по мобилизации;

17. **Кадагидзе Георгия Ивановича**, 1914 года рождения, из крестьян-середняков, служащего, уроженца с. Квемо-Алвани Телавского района Грузинской ССР, грузина, имеющего высшее образование, состоявшего членом ВКП(б) с 1939 года и исключенного в связи с настоящим делом, несудимого, работавшего до ареста аспирантом при Тбилисском Госуниверситете;

18. **Имерлишвили Соломона Андреевича**, 1904 года рождения, из крестьян-середняков, служащего, уроженца с. Шильда Кварельского района Грузинской ССР, грузина, имеющего высшее образование, беспартийного, несудимого, работавшего до ареста пожарников в Тбилисской пожарной команде;

22. **Мисабишвили Зураба Николаевича**, 1916 года рождения, из служащих, служащего, уроженца гор. Сурами Грузинской ССР, грузина, имеющего высшее образование, беспартийного, несудимого, работавшего до ареста аспирантом при Тбилисском Госуниверситете;

23. **Ахобадзе Георгия Михайловича**, 1916 года рождения, из рабочих, служащего, уроженца г. Самтредиа Грузинской ССР, грузина, имеющего высшее образование, беспартийного, несудимого, работавшего до ареста председателем совета союза «Безбожников»;

24. **Таргамадзе Георгия Рафаэловича**, 1915 года рождения, из рабочих, служащего, уроженца г. Тбилиси, грузина, имеющего высшее образование, беспартийного, несудимого, работавшего до ареста младшим научным работником при институте им. «Марра»;

27. **Сабашвили Михаила Михайловича**, 1918 года рождения, из служащих, учащийся/студент последнего курса Тбилисского Госуниверситета, уроженца г. Махарадзе Грузинской ССР, грузина, беспартийного, несудимого, –

всех в преступлениях, предусмотренных ст.ст. 58-2, 58-10, ч.2 и 58-11 УК ГССР.

ТРИБУНАЛ ПРИГОВОРИЛ:

Имерлишвили Георгия Семеновича, Химшиашвили Константина Александровича, Бурдиашвили Дмитрия Исааковича, Имерлишвили Михаила Ясоновича, Торадзе Левана Ивановича, Батиашвили Романа Федровича, Кадагидзе Георгия Ивановича, Имерлишвили Соломона Андреевича, Джоглидзе Константина Сергеевича, Шавианидзе Шалва Наумовича, Дзигвашвили Георгия Михайловича, Шаншиашвили Турмана Моисеевича, Кацитадзе Михаила Ильича, Мисабишвили Зураба Николаевича, Ахобадзе Георгия Михайловича, Таргамадзе Георгия Рафаэловича и Сабашвили Михаила Михайловича - подвергнуть всех высшей мере уголовного наказания – **РАССТРЕЛУ** с конфискацией лично принадлежащего им имущества;

Приговор окончательный и обжалованию не подлежит. Подлинники за надлежащими подписями разосланы по списку.

22.9.42 Л. а. ВЕРНО:

ПРЕДСЕДАТЕЛЬСТ. ВОЕННЫЙ ЮРИСТ (ФОМИН) (№№14:17-29).

§3. სიკვდილს გადარჩენილები

1. გრიგოლ კოკილაშვილი

გრიგოლ კოკილაშვილის დაჭერის მიზეზი, როგორც ჩანს, თანასოფლელ გიორგი იმერლიშვილთან მეგობრობა ყოფილა, რომელმაც მას სოფელში ისააკ იმერლიშვილთან წერილი გაატანა. „გიგაც მათი თანასოფლელი, შილდელი იყო, სირაჯად იდგა კოლმეურნეობა „მესვეურის“ მიერ თბილისში გახსნილ ღვინის წერტში და წასვლა-წამოსვლა ხშირად უხდებოდა. ეს ბარათი რომ წაუღია, ისაკისათვის კი არ ჩაუბარებია ხელში, „ბირჟაზე“ გაუვლია და ერთ-ერთი შეთქმულის, **სოლომონ იმერლიშვილის** ახლობელისთვის უთხოვია, ისაკს ეს წერილი გადაეცია. ნეტა ასე გაუფრთხილებლად რატომ მოიქცა? არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდა შეთქმულების არსებობაზე, ბუნდოვნად იცნობდა და დავალება მაინცდამაინც სახიფათო არ ეჩვენებოდა თუ დარწმუნებული იყო, სოლომონის ახლობელიც განდობილი იქნებაო? ყველაზე მეტად პირველი მიზეზია საგულვებელი, თორემ ასე სახალხოდ გადაცემა სრულიად გაუგებარია. სამაგიეროდ, სავსებით გასაგებია, რომ იმ ახლობელს იქვე მდგარმა თანასოფლელმა ბარათი გამოართვა, გადაწერა და დაუბრუნა. თურმე იქ მიზანდასახულად ტრიალებდა. შეთქმულებზე მიჩენილ უშიშროების აგენტურას აკი ყველა საეჭვო ადგილი დაექსელა და მეთვალყურეობის ქვეშ მოექცია“ (**ჩხეიძე 1995:135**).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში ინახება გიორგი (გიგა) გრიგოლის ძე კოკილაშვილის დადგენილება (ფორმა N1) დაპატიმრების შესახებ, დათარიღებული 1942 წლის 8 იანვარს. პროკურორის სანქცია დაკავების შესახებ 9 იანვარს არის ხელმოწერილი. ფორმა N1-ს ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი **ავქსენტი რაფავა** და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უმცროსი ლეიტენანტი **მირიან თავდიშვილი**.

დოკუმენტის მიხედვით, გრიგოლ (გიგა) გრიგოლის ძე კოკილაშვილი დაბადებულია 1908 წელს, მცხოვრები ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში, ეროვნებით

ქართველი, საბჭოთა მოქალაქე, უპარტიო, დაოჯახებული, კოლმეურნეობა „მესვეურის“ ღვინის საწყობის (მარნის) უფროსი, მცხოვრები კალიავის ქუჩა N12-ში.

დადგენილების მიხედვით გრიგოლ კოკილაშვილი იყო ერთ-ერთი არალეგალური მემამბოხურ „ფაშისტური“ ორგანიზაციის აქტიური წევრი და იბირებდა სხვა ადამიანებს ამ ფორმირებაში. აგენტურული მასალებიდან ასევე ჩანს, რომ ის საქართველოს ერთ რაიონს ხელმძღვანელობდა.

დადგინდა: გრიგოლ კოკილაშვილს შეეფარდოს ჩხრეკა და დაპატიმრება (სშსსა, 1:78-79).

დადგენილება (ფორმა N2) გრიგოლ კოკილაშვილისათვის აღკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ, გამოტანილი რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და 158-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 44-ე და 49-ე მუხლების მიხედვით, დათარიღებულია 1942 წლის 14 მარტს. სანქციონირებულია პროკურორის მიერ.

გრიგოლ კოკილაშვილი ექვმიტანილია დანაშაულში გათვალისწინებული სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ. 2 და 58/11 მუხლებით. მიიღეს მხედველობაში, რომ მისი თავისუფლებაში ყოფნა გამოძიებაზე უარყოფითად იმოქმედებდა და სასამართლოს თავს აარიდებდა, ექვმიტანილს შეეფარდა პატიმრობა რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის შესაბამისად, რის შესახებაც აცნობეს პატიმარს.

დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელწიფო უშიშროების კომისარი **ავქსენტი რაფაეა** და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უმცროსი ლეიტენანტი **მირიან თავდიშვილი** (სშსსა, 14:2-3).

ასლი გადაეგზავნა პროკურორს და ციხის უფროსს პატიმრის პირადი საქმის გასაცნობად და მასში ჩასართავად რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 50-ე მუხლის მიხედვით.

დადგენილება (ფორმა N3) ბრალის წარდგენის თაობაზე დათარიღებულია 1942 წლის 28 მარტს. ფორმა N3-ის გამოტანისას იხელმძღვანელებს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლით, რის მიხედვითაც ბრალდებული პასუხისგებაში იქნა მიცემული.

ამავე დადგენილების ასლი გაიგზავნა პროკურორთან რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის შესაბამისად.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტის **არტაშეს მარქაროვის** მიერ ბრალის წარდგენის შემდეგ საგამომძიებლო საქმე N1964-ის მიხედვით ჩამოთვლილია გრიგოლ კოკილაშვილის სამხილები. კერძოდ, 1942 წელს, როცა გერმანელები მოსკოვს მიუახლოვდნენ, დარწმუნებული იყო მათ გამარჯვებაში. იგი შევიდა არალეგალურ კონტრ-რევოლუციურ-მემპოხურ ორგანიზაციაში, რომლის ხელმძღვანელების დავალებებს აქტიურად ასრულებდა.

დადგენილების მიხედვით გრიგოლ კოკილაშვილი მიცემულია პასუხისგებაში სისხლის სამართლის 58/10 ნაწ. 2 და 58/11 მუხლით. აღნიშნული დადგენილება გამოეცხადა ბრალდებულს (**სშსსა, 14:5-6**).

„შილდაში ისააკ იმერლიშვილთან წერილის ჩამტანი გ. კოკილაშვილი უარყოფდა ორგანიზაციის წევრობას. 1942 წ. 18 თებერვალს პირზე წაუყენეს **სოლომონ იმერლიშვილი**, რომელიც, ეტყობა, იძულებული შეიქნა ეთქვა (ტ. I, ფ. 922): ამა და ამ დროს ყვარელში დამეთანხმაო. **გრ. კოკილაშვილმა** ეს არ დაადასტურა.

1942 წ. 16 სექტემბერს გ. კოკილაშვილის საქმე გადასცეს საგანგებო სათათბიროს, რომელმაც 1942 წ. 11 ნოემბერს მიუსაჯა 5 წელი შრომა-გასწორების ბანაკში.

რის გამო ჩამოაცილეს გრიგოლ კოკილაშვილი შეთქმულთა საქმეს? მათ ჩათვალეს, რომ მას მაინცდამაინც არაფერი აკავშირებდა მათთან, გარდა წერილის გადაცემისა? თუ სხვა რამის გამო?

გადასახლებიდან 1947 წელს დაბრუნებულ გიორგი კოკილაშვილს ცოლი ჭკუაზე გადასული, შვილები კი ბავშვთა სახლში მიბარებული დახვედრია. თავად შილდაში არც კი ჩასულა, გორში დასახლდაო“ (**კვერენჩილაძე 2017:71**).

2. ივანე ლაპიაშვილი

ერთ-ერთი შეთქმულის **ივანე ლაპიაშვილის** შესახებ მეტად მწირი ინფორმაციაა დაცული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში. არ მოიძებნა დადგენილება დაპატიმრების (ფორმა N1) შესახებ, არის მხოლოდ ფორმა N2 ივანე ლაპიაშვილისათვის აღკვეთი ღონისძიების შეფარდების თაობაზე რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და 158-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 44-ე და 49-ე მუხლების საფუძველზე, რომლის მიხედვით იგი 1942 წლის 11 იანვარს დაუპატიმრებიათ. დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი **ავქსენტი რაფავა** და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე** და ამავე განყოფილების უმცროსი ლეიტენანტი **მირიან თავდიშვილი**. დოკუმენტს ერთვის პროკურორის ხელმოწერაც.

ფორმა N2-ის საფუძველზე ივანე ლაპიაშვილს შეეფარდა პატიმრობა რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის შესაბამისად და გამოეცხადოს დაკავებულს.

აღნიშნული დადგენილების ასლი გადაიგზავნა პროკურატურასა და ციხის უფროსთან პატიმრის პირადი საქმის გასაცნობად და მასზე დასართავად რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე მუხლით და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 50-ე მუხლის მიხედვით.

დადგენილებიდან, რომელშიც მამხილებელი დანაშაულის მასალებია ჩართული, ვგებულობთ, რომ ივანე თევდორეს ძე ლაპიაშვილი დაბადებულია 1910 წელს, სიღნაღის რაიონის სოფელ მირზაანში, სამუშაო ადგილი და მოვალეობა – 35-ე პოლკის უმცროსი ლეიტენანტი, უმაღლესი განათლებით, საქართველოს სსრ-ის მოქალაქე, ეროვნებით ქართველი, მისამართი: ავჭალა, 35-ე პოლკი.

დასკვნა: **ლაპიაშვილი** ეჭვმიტანილია დანაშაულში საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ. 2 და 58/11 მუხლების მიხედვით. ხელს აწერს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე** (სშსსა, 16:17-19).

„დაპატიმრებისას (11 იანვარს) მირზაანელმა მასწავლებელმა, უმცროსმა ლეიტენანტმა, ოცეულის მეთაურის მოადგილემ ავჭალასა და შემდეგ გორში **ივანე ლაპიაშვილმა** დაკითხვაზე თქვა: ორგანიზაციაში **კოტე ჯოგლიძემ** ჩამაბაო. ტრიბუნალზეც

გაიმეორა: ჯოგლიძემ დაიწყო ჩემთან ლაპარაკი, ვისმენდი მის, შ. შავიანიძის, მიხ. იმერ-ლიშვილის საუბრებს საქართველოს დამოუკიდებლობაზე. ამბობდნენ: თუ ორგანიზაცია არ შევქმენით, ვერაფერს გავაკეთებთო...” (კვერენჩილაძე 2017:80).

დადგენილების (ფორმა N3) მიხედვით ივანე ლაპიაშვილს ბრალი წარუდგინეს 1942 წლის 28 თებერვალს. დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი ირაკლი ნიბლაძე და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი არტაშეს მარქაროვი.

ფორმა N3-ის გამოტანისას იხელმძღვანელეს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლით, რომლის შესაბამისად ბრალდებული პასუხისგებაში იქნა მიცემული. რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის საფუძველზე აღნიშნული დადგენილების ასლი გააგზავნეს პროკურატურაში.

საგამომძიებო საქმე N1964-ში ვკითხულობთ, რომ ივანე თეოდორეს ძე ლაპიაშვილი იყო „ფაშისტური“ კონტრრევოლუციურ-მემამოხური ორგანიზაციის აქტიური წევრი. ასრულებდა სამუშაოებს ამ ორგანიზაციისათვის.

დადგინდა: ივანე თეოდორეს ძე ლაპიაშვილი ცნეს დამნაშავედ საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ. 2 და 58/11 მუხლით. მას გამოეცხადა გადაწყვეტილება (სშსსა, 1:60-61).

ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა 1942 წლის 20 სექტემბერს ივანე ლაპიაშვილს მიუსაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით (განაჩენი N194) (სშსსა, 14:17-29).

3. მიხეილ აროშიძე

1942 წლის შეთქმულების კიდევ ერთი მონაწილე, რომელიც დოკუმენტების მიხედვით რიგით მერვე წერია დაკავებულთა სიაში, იყო მიხეილ აროშიძე. დადგენილება (ფორმა N1) მიხეილ აროშიძის დაპატიმრების შესახებ დათარიღებულია

1942 წლის 19 იანვარით. დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელწიფო უშიშროების კომისარი **ავქსენტი რაფავა** და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უმცროსი ლეიტენანტი **მირიან თავდიშვილი**. დადგენილებას ადევს პროკურორის რეზოლუცია მიხეილ აროშიძის დაკავების შესახებ.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შეისწავლეს **მიხეილ ივანეს ძე აროშიძის** დანაშაულებრივი საქმიანობის მასალები. იგი დაბადებულია 1910 წელს, ოზურგეთის რაიონის სოფელ ვაკიჯვარიდან, კომკავშირის წევრი, დაოჯახებული, 1937 წელს მამა რეპრესირებული, მსახურობდა 35-ე პოლკში უმცროს ლეიტენანტად, მისამართი: ქ. თბილისი, გოგოლეცკის ქ. N6.

მიხეილ აროშიძის ჩვენებით, 1941 წელს, წითელი არმიის რიგებში ყოფნისას, იგი გაწევრიანდა არალეგალურ ნაციონალისტურ სამხედრო-მეამბოხე ორგანიზაციაში, რომელსაც დასახული ჰქონდა მიზნად საბჭოთა კავშირის დამხობა ძალადობრივი, შეიარაღებული აჯანყების გზით. ბრალდებულმა აგრეთვე აღიარა, რომ იგი გადაიბირა ამავე 35-ე პოლკის უმცროსმა ლეიტენანტმა **გიორგი ძიგვაშვილმა**, რომელიც ორგანიზაციაში ჩართო **გიორგი არსენიძემ**. ეს უკანასკნელი უარყოფითად იყო განწყობილი წითელ არმიაში სამსახურის გამო და მუდმივად უკმაყოფილებას გამოთქვამდა: „რატომ ამომირჩიეს მე ფრონტზე გასაგზავნად და რატომ უნდა გავმხდარიყავი სამშობლოს მსხვერპლი“.

დაადგინეს: მიხეილ აროშიძეს შეეფარდოს დაპატიმრება და ჩხრეკა. ბრალდებულს გააცნეს დადგენილება და ხელი მოაწერინეს (**სშსსა,14:100-101**).

დადგენილება (ფორმა N2) მიხეილ აროშიძისთვის აღკვეთი ღონისძიების შეფარდების თაობაზე 1942 წლის 19 იანვარით არის დათარიღებული. დადგენილება გამოტანილია რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და 158-ე მუხლებით და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 44-ე და 49-ე მუხლების ძალით. დაკავებული დაკითხეს და დოკუმენტს ხელი მოაწერეს საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელწიფო უშიშროების კომისარმა **ავქსენტი რაფავამ** და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უმცროსმა ლეიტენანტმა **მირიან**

თავდიშვილი. დოკუმენტს ერთვის პროკურორის დაპატიმრების სანქცია, რომელიც 1942 წლის 19 იანვრით არის დათარიღებული.

რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის შესაბამისად მიხეილ აროშიძეს შეეფარდა პატიმრობა, რის შესახებაც გამოეცხადა დაკავებულს, რადგან მისმა თავისუფლებაში ყოფნამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გამოძიების მიმდინარეობაზე. ასლი გაუგზავნეს პროკურორსა და ციხის უფროსს პატიმრის პირადი საქმის გასაცნობად და მასზე დასართავად რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 50-ე მუხლი საფუძველზე.

დაასკვნეს, რომ მიხეილ აროშიძე არის ექვმიტანილი დანაშაულში საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ. 2 და 58/12 მუხლების ძალით.

გამომძიებელი – საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უმცროსი ლეიტენანტმა **მირიან თავდიშვილი.**

ვეთანხმები: საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე (სშსსა, 14:102-103).**

დადგენილება (ფორმა N3) მიხეილ აროშიძისთვის ბრალის წარდგენის შესახებ 1942 წლის 1 ივნისით არის დათარიღებული. აქაც ისევ ზემოხსენებული პირების – **ნიბლაძე-თავდიშვილის** მიერ არის დაკითხული და დადგენილება მათ მიერაა ხელმოწერილი.

ფორმა N3-ის გამოტანისას იხელმძღვანელეს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლის შესაბამისად. ასლი, რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის საფუძველზე, გადააგზავნეს პროკურატურაში.

საგამომძიებო საქმე N1964-ის მასალების მიხედვით მიხეილ ივანეს ძე აროშიძე 1941 წელს გაიწვიეს წითელ არმიაში და 35-ე პოლკში გააგზავნეს. იგი სამხედრო ნაწილში დაუკავშირდა **გიორგი ძიგვაშვილს**, რომელიც იყო ნაციონალისტური მემკობრე ორგანიზაციის წევრი. მან მიხეილ აროშიძეს აცნობა არალეგალური ორგანიზაციის

არსებობის შესახებ და სურდა მისი გადაბირება და ამ ორგანიზაციაში ჩართვა, რაზეც ამ უკანასკნელმა უპასუხა, უნდა ვიფიქროთ ამ საკითხზე.

მიხეილ ივანეს ძე აროშიძე გამოაცხადეს ბრალდებულად საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ. 2 და 58/11 მუხლებით. ბრალდებულს გამოუცხადეს გადაწყვეტილება და დაადასტურებინეს ხელმოწერით (სშსსა, 3:31-32).

გამომძიებელი: საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი **არტაშეს მარქაროვი**.

1942 წლის 20 სექტემბერის ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალზე მიხეილ აროშიძეს დანაშაული არ დაუმტკიცდა. იგი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს (სშსსა 14:17-29).

4. მიხეილ ზანდუკელი

შეთქმულებაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტების გარდა, პედაგოგებიც ღებულობდნენ მონაწილეობას. ერთ-ერთი მათგანი იყო პროფესორი **მიხეილ ზანდუკელი**. იგი უკმაყოფილო იყო საბჭოთა წყობით, სტუდენტთა შორის ბევრი თანამოაზრე ჰყავდა და იმედი ჰქონდა, მტრის მტრებთან ურთიერთობით საქართველოს სიკეთეს მოუტანდა.

სამწუხარო ფაქტია, რომ თავის გადასარჩენად, როცა შეთქმული ოფიცრებისა და უნივერსიტეტის ასპირანტების დაჭერა-დაპატიმრება დაიწყო, მიხეილ ზანდუკელიც გასცეს: „მართლაც, მოგვიანებით, მ. ზანდუკელის საქმეს 1942 წლის შეთქმულთა ჯგუფის ერთ-ერთი წევრის **აბო ნიკოლოზის ძე ფარესიშვილის** მიერ 1942 წლის 17 მაისს დაკითხვაზე თქმულიც მიუმატეს: ზანდუკელი თავისი ლექციებით სტუდენტებს ნაციონალისტურ აღზრდას ხელს უწყობდაო“ (კვერენჩილაძე 2017:186).

დადგენილება (ფორმა N1) მიხეილ ზანდუკელის დაპატიმრების შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 19 იანვრით. დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი **ავქსენტი რაფავა** და უფროსი ლეიტენანტი **დოლიძე**.

დანაშაულებრივი მასალების შესწავლის საფუძველზე გამოძიებამ დააკავა მიხეილ ზურაბის ძე ზანდუკელი, დაბადებული 1889 წელს, დუშეთის რაიონის სოფელ

არანისიდან, საბჭოთა მოქალაქე, უპარტიო, სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

მოპოვებული მასალებით საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა დაადგინა, რომ მიხეილ ზურაბის ძე ზანდუკელი მუშაობდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. აგენტურული მასალებით, ხალხის მტერმა, ვახტანგ კოტეტიშვილმა, დაკითხვის დროს, 1937 წლის 11 დეკემბერს, ჩვენებაში აღიარა: „... ჩემთვის ცნობილია, არალეგალური ორგანიზაციის სოციალურ-ფედერალისტების რგოლი სახელმწიფო უნივერსიტეტში და არალეგალური ორგანიზაციის წევრთა შემდეგი შემადგენლობა... მ. ზ. ზანდუკელი, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ჩემს მიერ არის გადაბირებული 1937 წელს.

კონტრევოლუციური საქმიანობისათვის ბრალდებულმა ი. კ. აბაკელიამ დაკითხვაზე 1938 წლის 20 ივლისს ჩვენებაში განაცხადა: „მ. ზანდუკელი ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში, **ესერებში**, 1937 წელს მე გადავიბირე. აგრეთვე მე დავავალე მიხეილ ზანდუკელს, გადაებირებინა ნაციონალისტურად განწყობილი პროფესორები...“

კონტრევოლუციისა და ნაციონალისტური ორგანიზაციის ერთ-ერთმა აქტიურმა ხელმძღვანელმა **მიქელაძემ** მისცა ჩვენება: „... ხშირად მხვდებოდა აღშფოთებული მ. ზანდუკელი და უკმაყოფილებას გამოთქვამდა პარტიის ღონისძიებებისა და საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. მტკიცედ იყო დარწმუნებული საბჭოთა ხელისუფლების კრახით და ცუდად მოიხსენებდა პარტიასა და მთავრობას...“

მასალებით დადგენილია, რომ მიხეილ ზანდუკელი თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელთა შორის ანტისაბჭოთა აგიტაციას ეწეოდა და ამბობდა: „... მე მართლა ვწერდი ჰიტლერის დაყოვნებაზე, ქართველებისათვის აუცილებელია, რაც შეიძლება სწრაფად აიღოს მოსკოვი, რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს ეს, აქაურ ბოროტმოქმედებს დრო არ დარჩეთ, რომ ზიანი მოგვაყენონ, თორემ თუ დრო კიდევ დააყოვნებს, ჩვენ ყველა ეჭვიმტანილს დაგვხოცავენ“ (**სშსსა, 14:260-261**).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომისრის, **ავქსენტი რაფაგას** თქმით, მიხეილ ზანდუკელი უარყოფდა კონტრევოლუციური ორგანიზაციის წევრობას. „სახალხო კომისარი რაფაგა დაჟინებით მოითხოვდა, მეამბნა ჩემი კონტრევოლუციური საქმიანობის შესახებ. მას კონკრეტულად არაფერი ბრალი არ წამოუყენებია. მე თავი ვერ შევიკავე და ვუთხარი: „თუ თქვენ არაფერი იცით ჩემს საქმიანობაზე, რომელიც,

როგორც ხელისგულზე, ისე მიმდინარეობდა თქვენ წინაშე ქ. თბილისში (მე დიდი ხნის მანძილზე თბილისიდან არ გავსულვარ), მაშინ თქვენ და თქვენი დაწესებულება ვერ პასუხობთ თქვენს დანიშნულებას-მეთქი“. ჩემმა პასუხმა სახალხო კომისარ **რაფავას** რისხვა გამოიწვია... შემდეგ მან ყურში ჩამჩურჩულა: „განა შემემლო თქვენი დაპატიმრება, ფაქტები რომ არ მქონოდა? თქვენ რომ დამეპატიმრებინეთ, ნებართვა თვით ბერიას ვთხოვეო“. ამაზე შევეპასუხე: „თქვენ დაუჯერეთ მავნებელთა დანოსებს, ამაზე დაყრდნობით ინფორმაცია მიაწოდეთ ბერიასა და სხვებს. იმათ ან უნდა დაეჯერებინათ თქვენთვის და ჩემი დაპატიმრების ნება არ უნდა მოეცათ, ანდა თქვენ თანამდებობიდან უნდა გაეთავისუფლებინეთ, მაგრამ იქნება სასამართლო. მე მწამს საბჭოთა სასამართლოს სამართლიანობა და განაჩენი იქნება არა ჩემ, არამედ თქვენ წინააღმდეგ-მეთქი“. ამან უფრო მეტად გააბრაზა სახალხო კომისარი **რაფავა**... ასე დამთავრდა ჩემი პაემანი **რაფავასთან**, მეტი მას აღარ გამოვუძახებია“.

შემდეგ დღეებში დაიწყო რეპრესიები ჩემ წინააღმდეგ (პირით კედლისკენ დგომა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე უმოძრაოდ, ქუსლებზე ცემა, 14 თვე „პერედაჩის“ გარეშე...)“ (**კვერენჩილაძე 2017:187**).

1943 წლის 10 ნოემბერს სსრკ-ის შინსახკომმა მიხეილ ზანდუკელი 5 წლით ყაზახეთში გადაასახლა. პროფესორს პედაგოგიური მუშაობა არც გადასახლებაში შეუწყვეტია. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ხელისუფლება მას უთვალთვალებდა და შესაბამისი ორგანოების მხრიდან მუდმივად მეთვალყურეობის ქვეშ იყო.

5. ნიკიტა (კიტა) ბუაჩიძე

შეთქმულთა მასალების ძიებისას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში მივაკვლიეთ ერთ დოკუმენტს, რომელიც გვაუწყებს: „ნიკიტა მიხეილის ძე ბუაჩიძე ახალგაზრდა დრამატურგია, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა და ფართო კავშირები აქვს არტისტულ სამყაროსთან. კონტრრევოლუციურ ორგანიზაციას ბუაჩიძის დახმარებით უნდა შეესწავლა ამ საზოგადოების განწყობა და თანამოაზრეები გამოეკლინა“ (**სშსსა,14:299**).

დადგენილება (ფორმა N1) კიტა ბუაჩიძის დაპატიმრების შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 23 იანვარს. საქმეს უძღვებოდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი **ავესენტი რაფავა**

და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი **არტაშეს მარქაროვი**. პროკურორის მიერ სანქცია დაკავების შესახებ გაცემულია 1942 წლის 23 იანვრის 22:50 საათზე.

განიხილეს ნიკიტა მიხეილის ძე ბუაჩიძის დანაშაულებრივი საქმიანობა. იგი დაიბადა 1914 წელს, დაბადების ადგილი – ხარაგაული, ეროვნებით ქართველი, უცოლ-შვილო, უპარტიო, ახალგაზრდა დრამატურგი, საქართველოს სსრ-ის მოქალაქე, უმაღლესი განათლებით, მცხოვრები მ. ბროსეს ქ. N8-ში. დადგენილი მონაცემებით, რეპრესირებული ჰყავდა ძმა.

ფარული მასალებიდან გამოირკვა ნიკიტა ბუაჩიძის ანტისაბჭოთა განწყობა. როგორც ბრალდებულმა გიორგი ძიგვაშვილმა ჩვენებაში აღიარა, მან ჩააბა ნიკიტა ბუაჩიძე კონტრრევოლუციურ „ფაშისტურ“-მემბოხე ორგანიზაციაში.

დაადგინეს: ნიკიტა ბუაჩიძეს შეეფარდოს დაპატიმრება და ჩხრეკა. ექვმიტანილს გააცნეს დადგენილება და ხელი მოაწერინეს (**სშსსა, 2:21-22**).

დადგენილება (ფორმა N3) ნიკიტა ბუაჩიძისათვის ბრალის წარდგენის შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 28 თებერვლით. აღნიშნული დადგენილების გამოტანისას იხელმძღვანელეს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლის მიხედვით და ბრალდებული პასუხისგებაში იქნა მიცემული. რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის შესაბამისად ასლი გააგზავნეს პროკურატურაში.

ნიკიტა (კიტა) ბუაჩიძის საქმეს უძღვებოდნენ და ბრალის წარდგენის დოკუმენტს ხელი მოაწერეს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსმა, კაპიტანმა **ირაკლი ნიბლაძემ** და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსმა ლეიტენანტმა **არტაშეს მარქაროვმა**.

ნიკიტა (კიტა) ბუაჩიძის შესახებ საგამომძიებლო საქმეში (N1964) წერია: 1941 წელს, როდესაც გერმანიის ჯარები მოსკოვს უახლოვდებოდნენ და მეტად დამაბული და რთული პერიოდი იყო, ის კონტრრევოლუციურ არალეგალურ-ნაციონალისტურ სამხედრო-მემბოხე ორგანიზაციაში ჩაერთო „დამოუკიდებელი საქართველოს“ აღდგენის მიზნით. ორგანიზაციაში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჩართო მისმა

ამხანაგმა გიორგი მიგვაშვილმა. მას დავალებული ჰქონდა, შეესწავლა საქართველოს სსრ-ის მთავრობის ცალკეული წევრების საქმიანობა.

დაადგინეს: ნიკიტა (კიტა) ბუაჩიძე გამოცხადდა ბრალდებულად საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ. 2 და 58/11 მუხლებით. ბრალდებულს დადგენილება გააცნეს და ხელი მოაწერინეს (სშსსა, 1:65-66).

ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა 1942 წლის 20 სექტემბერს ნიკიტა (კიტა) ბუაჩიძეს მიუსაჯა შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით (განაჩენი N194) (სშსსა, 14:17-29).

6. იოსებ იმერლიშვილი

იოსებ იმერლიშვილს შეთქმულები მეტსახელად „ჭუკლიას“ ეძახდნენ. მას დაუმთავრებია სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და 1937-1940 წლებში გურჯაანში სკოლის დირექტორი ყოფილა. ომის დაწყებისთანავე ის ჩაირიცხა ავჭალის 35-ე პოლკში (კვერენჩხილაძე 2017:96).

დადგენილება (ფორმა N1) იოსებ იმერლიშვილის დაპატიმრების შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 17 თებერვლით. ის რიგით მე-17 დაკავებული იყო. დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი ავქსენტი რაფავა და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი არტაშეს მარქაროვი. დოკუმენტს ერთვის პროკურორის სანქცია დაკავების შესახებ, რომელიც დათარიღებულია 1942 წლის 17 თებერვალს, 22:35 საათზე.

დადგენილების მიხედვით, იოსებ გიორგის ძე იმერლიშვილი დაბადებულია 1907 წელს, სოფელ გურჯაანიდან, საქართველოს სსრ-ის მოქალაქე, დაოჯახებული, უმაღლესი განათლებით, კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წევრი, 35-ე პოლკში ასეულის ხელმძღვანელი, უმცროსი ლეიტენანტი 35-ე სპეციალურ დანაყოფში.

იოსებ იმერლიშვილი საბჭოთა წყობილების მიმართ მტრულად იყო განწყობილი და 1941 წლის 5 ნოემბერს წითელი არმიის რიგებში ყოფნის დროს ჩაება არალეგალურ

კონტრევოლუციურ ნაციონალისტურ-მემბოხე ორგანიზაციაში, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული შეიარაღებული გზით საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენა. ამ ორგანიზაციაში იგი ჩააბა ამავე ორგანიზაციის წევრმა მიხეილ იმერლიშვილმა, რომელმაც თავის ჩვენებაში აღიარა: „... გამოვიყენე ჩემი ნაცნობობა მასთან და მისი მტრული განწყობა. მიახლოებით 1941 წლის ნოემბრის თვეში ჩავრთე კონტრევოლუციურ ორგანიზაციაში. ჩვენ შევხვდით ერთმანეთს სასადილოს გამოსასვლელთან და იქ გადავიბირე. მართალია, იგი დამეთანხმა, მაგრამ უარი მითხრა კონტრევოლუციურ ორგანიზაციაში სხვა ახალი წევრების მოძიებასა და ჩართვაზე“.

დაადგინეს: იოსებ გიორგის ძე იმერლიშვილს, რომელიც ცხოვრობდა ავჭალის პოლკში, დაექვემდებაროს დაპატიმრება და ჩხრეკა (სშსსა, 1:66-67).

დადგენილება (ფორმა N3) იოსებ იმერლიშვილისთვის ბრალის წარდგენის შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 15 მარტით. ფორმა N3-ის შედგენისას იხელმძღვანელეს რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 128-ე და 123-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლის შესაბამისად და ბრალდებული პასუხისგებაში იქნა მიცემული. ამავე დადგენილების ასლის გაიგზავნა პროკურორთან რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის საფუძველზე.

საგამოძიებო საქმე N1964-ის მიხედვით საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების ლეიტენანტმა **ყრუაშვილმა** დაამტკიცა საბრალდებო დასკვნა. მასში აღნიშნული იყო, რომ იოსებ გიორგის ძე იმერლიშვილი 1941 წელს გაიწვიეს წითელი არმიის რიგებში მაშინ, როცა გერმანიის ჯარები მოსკოვისაკენ მოიწევდნენ. ამ დროს ის შევიდა არალეგალურ კონტრევოლუციურ შეიარაღებულ-მემბოხე ორგანიზაციაში. მიზნად დაისახა საბჭოთა ხელისუფლების დამხობა შეიარაღებული აჯანყების გზით და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ამ ორგანიზაციაში ის ჩაერთო მისი ამხანაგის, **მიხეილ იმერლიშვილს** მოწოდებით, რომელიც ასევე ამავე საქმეშია მხილებული.

იოსებ იმერლიშვილი საბრალდებო დასკვნას გაეცნო და დოკუმენტზე ხელი მოაწერა (სშსსა, 1:5-6).

ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა 1942 წლის 20 სექტემბერს იოსებ გიორგის მე იმერლიშვილს მიუსაჯა შვიდი წლით გადასახლება ქონების კონფისკაციით (განაჩენი N194) (სშსსა, 14:17-29).

7. აქსენტი უთურგაიძე

ერთ-ერთი შეთქმული აქსენტი უთურგაიძე საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყებისთანავე სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. დადგენილების (ფორმა N1) მიხედვით ის 1942 წლის 17 თებერვალში დააკავეს. საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარ აქსენტი რაფავას შუამდგომლობის საფუძველზე პროკურორმა სანქცია გასცა 1942 წლის 17 თებერვლის 22:30 საათზე.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აქსენტი უთურგაიძე საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მტრულად იყო განწყობილი და წითელი არმიის რიგებში ყოფნის დროს, 1941 წლის ნოემბერში ის ჩაება არალეგალურ კონტერრევოლუციურ ნაციონალისტურ-მეამბოხე ორგანიზაციაში, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული, შეიარაღებული აჯანყების გზით აღედგინათ საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ ორგანიზაციაში ის ჩააბა ამავე ორგანიზაციის წევრმა მიხეილ იმერლიშვილმა, რომელმაც ეს აღიარა და ჩვენებაში განაცხადა: „...**აქსენტი უთურგაიძე** მე ჩავაბი 1941 წლის ნოემბრის თვეში. მასთან ბინაში ყოფნის დროს ვსაუბრობდით ომის მსვლელობაზე, **უთურგაიძე** უარყოფითად ეხმაურებოდა საბჭოთა კავშირის გერმანიასთან ომს, ის ანტისაბჭოურად იყო განწყობილი, მე მას გულწრფელად მოვუყევი არალეგალური ორგანიზაციის შესახებ. უთურგაიძე დამეთანხმა, ემუშავა კონტერრევოლუციურ ორგანიზაციაში. მე მივეცი მას დავალება, ორგანიზაციაში ჩაერთო ახალი წევრები, მისთვის ახლობელი ადამიანები.

დადგენილება (ფორმა N2) აქსენტი უთურგაიძისთვის აღკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ, გამოტანილი რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და 158-ე მუხლებით და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 44-ე და 49-ე მუხლების მიხედვით, დათარიღებულია 1942 წლის 17 თებერვლით. ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის

სახელმწიფო უშიშროების კომისარმა **აქესენტი რაფავა**, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე** და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი **არტაშეს მარქაროვი** (სშსსა, 1:70-71).

აქესენტი უთურგაიძეს ბრალი წაუყენეს საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ. 2 და 58/11 მუხლებით. იმის გამო, რომ, გამომძიებლისა და პროკურატურის აზრით, **აქესენტი უთურგაიძე** შეეძლო გავლენა მოეხდინა გამოძიების მსვლელობაზე, მას რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის ძალით შეეფარდა პატიმრობა და ამის შესახებ ეცნობა დაკავებულს.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აქესენტი გიორგის ძე უთურგაიძე დაბადებულია 1912 წელს, მცხოვრები ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში, პროფესიით აგრონომი, სამუშაო ადგილი – ოცეულის მეთაური 35-ე სპეციალურ დანაყოფში, უმაღლესი განათლებით, ეროვნებით ქართველი, სსრკ-ის მოქალაქე.

დადგენილება (ფორმა N3) აქესენტი უთურგაიძისთვის ბრალის წარდგენის შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 14 მარტით. იხელმძღვანელებს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლის შესაბამისად და ბრალდებული პასუხისგებაში იქნა მიცემული. ამავე დადგენილების ასლი გაიგზავნა პროკურორთან რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლი საფუძველზე.

აქესენტი გიორგის ძე უთურგაიძე საგამომძიებო საქმე N1964-ის მიხედვით საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსმა, კაპიტანმა **ირაკლი ნიბლაძემ** დაამტკიცა საბრალდებო დასკვნა, რომელიც შედგენილი იყო საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტის **არტაშეს მარქაროვის** მიერ. საბრალდებო დასკვნაში აღნიშნული იყო: აქესენტი უთურგაიძე გამოვლენილია, როგორც არალეგალური კონტრრევოლუციური ნაციონალისტური სამხედრო-მეამბოხე ორგანიზაციის წევრი, რომელიც 35-ე სპეციალურ დანაყოფში მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირის დამხობას შეიარაღებული აჯანყების გზით, რომელშიც ამ ორგანიზაციის წევრმა, **მიხეილ იმერლიშვილმა**, ჩართო. მას დავალებული

ჰქონდა, ამ ორგანიზაციაში ჩაერთო სხვა წევრებშიც. აქვსენტი უთურგაიძე ცდილობდა, **ვლადიმერ ქორთუას** ჩართვას, რომელიც მის პოლკში მსახურობდა.

აქვსენტი უთურგაიძემ დანაშაული აღიარა.

აქვსენტი უთურგაიძე საბრალდებო დასკვნას გაეცნო და დოკუმენტზე ხელი მოაწერა (**სშსსა, 14:63-64**).

ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა 1942 წლის 20 სექტემბერს აქვსენტი უთურგაიძეს მიუსაჯა შვიდი წლით გადასახლება ქონების კონფისკაციით (განაჩენი N194) (**სშსსა, 14:17-29**).

8. გიორგი არსენიძე

გიორგი არსენიძე ომის დაწყების დროს ავჭალის 35-ე სამხედრო ნაწილში უმცროს ლეიტენანტად მსახურობდა.

რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და 158-ე მუხლებით და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 44-ე და 49-ე მუხლების მიხედვით გამოიტანეს დადგენილება (ფორმა N2) გიორგი ვიქტორის ძე არსენიძისათვის აღკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ, რომელიც დათარიღებულია 1942 წლის 17 თებერვლით. მას შეეფარდა პატიმრობა რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლების შესაბამისად და ამის შესახებ გამოეცხადა დაკავებულს.

ფორმა N2-ის ასლი გაეგზავნა პროკურორს და ციხის უფროსს პატიმრის პირადი საქმის გასაცნობად და მასზე დასართავად რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 50-ე მუხლი საფუძველზე.

აღნიშნული დადგენილების მიხედვით, გიორგი არსენიძე დაბადებულია 1910 წელს, ღარიბი გლეხის ოჯახში, წულუკიძის რაიონის სოფელ კარჩხათში, ეროვნებით ქართველი, მამა ჰყავს რეპრესირებული (1937 წელს) (**სშსსა, 1:55-56**).

ამ მასალების მიხედვით ადვილი მისახვედრია, თუ რატომ იყო გიორგი არსენიძე საბჭოთა ხელისუფლების უკმაყოფილო და რატომ უნდა ყოფილიყო შეთქმულებთან არალეგალურ საქმიანობაში ჩართული.

დადგენილება (ფორმა N3) გიორგი არსენიძისათვის ბრალის წარდგენის შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 1 მარტით. დოკუმენტის ინფორმაციით საქმეს უძღვებოდნენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე** და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი **არტაშეს მარქაროვი**.

ფორმა N3-ის გამოტანისას იხელმძღვანელებს რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 128-ე და 123-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლის შესაბამისად და ბრალდებული პასუხისგებაში მიეცა.

აღნიშნული დადგენილების ასლი რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის მიხედვით გაიგზავნა პროკურატურაში.

საგამომძიებო საქმის (N1964) განხილვისას დადგინდა სამხილი გიორგი ვიქტორის ძე არსენიძის შესახებ. 1941 წელს ის ჩაერთო წითელი არმიის რიგების 35-ე სპეციალურ დანაყოფში არსებულ არალეგალურ სამხედრო-მეამბოხე ორგანიზაციაში. მათ მიზნად ჰქონდათ დასახული საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყება. ამ უკანონო საქმიანობაში ის თავისმა ამხანაგმა, **გიორგი ძიგვაშვილმა** ჩართო.

გიორგი არსენიძემ თავი დამნაშავედ ცნო. მას შეეფარდა საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ. 2 და 58/11 მუხლები.

გიორგი არსენიძეს დადგენილება გააცნეს და ხელი მოაწერინეს (სშსსა, 1:64-65).

ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა 1942 წლის 20 სექტემბერს გიორგი არსენიძეს მიუსაჯა შვიდი წლით გადასახლება ქონების კონფისკაციით (განაჩენი N194) (სშსსა 14:17-29).

9. გიორგი ციხლაშვილი

გიორგი ციხლაშვილი შეთქმულთა ორგანიზაციის სხვა წევრზე ასაკით შედარებით უფროსი იყო. როგორც რევაზ კვერენჩილაძე თავის ნაშრომში აღნიშნავს, ის ყოფილა „სოფ. ჭანდარში (გურჯაანის რ-ნი) სასულიერო პირის, იმ სოფლის

ეკლესიის წინამძღვრის, შემდეგში გურჯაანის საადგილმამულო ბანკის მმართველის ოჯახში დაბადებული.

რაც შეეხება გიორგი ციბალაშვილს, მიუხედავად იმისა, რომ სწავლაში ბეჯითი იყო (მეტსახელად „ნიჭიერას“ ეძახდნენ და გიმნაზია დამთავრებული ჰქონდა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ), სწავლისათვის თავი დაუწეობდა (თუმცა გერმანული ძალიან კარგად შეუსწავლია) და საქართველოს გათავისუფლებისათვის ფარულ ბრძოლაში ჩაბმულა – 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობდა. ამისათვის 1926 წელს დააპატიმრეს და 11 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სამხედრო კოლეგიამ 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა (საქ. სისხლის სამართლის კოდექსის 61-ე მუხლით)“ (კვერენჩილაძე 2017:92-93).

გადასახლებიდან დაბრუნებული გიორგი ციბალაშვილი დაოჯახებულა ანა თათარაშვილზე და მათ ვაჟი შესძენიათ. ის რძის კომბინატში ბუღალტრად მუშაობდა. აშკარად ჩანს, რომ გიორგი ციბალაშვილი ვერ ეგუებოდა საბჭოთა ხელისუფლებას, არ მოსწონდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა და ამიტომაც ჩაება შეთქმულებთან. ის დააკავეს, როგორც შეთქმულთა ორგანიზაციის წევრი.

დადგენილება (ფორმა N1) გიორგი ციბალაშვილის დაპატიმრების შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 18 თებერვლით.

გადაწყვეტილებას დაკავების შესახებ ხელს აწერს საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი ავქსენტი რაფავა. მისი შუამდგომლობის საფუძველზე 1942 წლის 18 თებერვალს პროკურორის მიერ გაცემულია სანქცია გიორგი ციბალაშვილის დაკავების შესახებ. ასევე, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უმცროსი ლეიტენანტის მირიან თავდიშვილის შუამდგომლობის საფუძველზე დამტკიცდა დადგენილება გიორგი ციბალაშვილის დაპატიმრების შესახებ. დადგენილებაში აღნიშნულია გიორგი გიორგის ძე ციბალაშვილის დანაშაულებრივი საქმიანობა. ის დაბადებულია 1902 წელს, მცხოვრები გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში, უპარტო, დაქორწინებული, საშუალო განათლებით, სპეციალობით ბუღალტერი, თავისი სპეციალობით მუშაობდა თბილისის რძის კომბინატში, მცხოვრები გლდანის ქ. №2-ში.

გიორგი ციბალაშვილი ნასამართლევი იყო. 1926 წელს მას მისჯილი ჰქონია 10 წელი არაკანონიერი მუშაობის გამო.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ის იყო კონტრევოლუციური ფაშისტური ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, რომელიც, **მიხეილ იმერლიშვილის** მითითებით, აწარმოებდა კონტრევოლუციურ სამუშაოებს. ამჟამად დაკავებულმა მიხეილ იმერლიშვილმა გიორგი ციბალაშვილის შესახებ გამოძიებას მისცა ჩვენება: „... გოგი ციბალაშვილი ჩავრთე 1941 წლის ნოემბრის დასაწყისში ან ოქტომბრის ბოლოს თბილისში, გლდანის N1 ან N2-ში მდებარე ბინაში. თბილისში ყოფნის დროს წავედი ციბალაშვილის სახლში, როგორც ჩემს ნაცნობთან, ომზე ვსაუბრობდით. მან თქვა, რომ გერმანია დამარცხდება და მაშინაც კი, თუ გერმანია სსრკ-ის მოუგებს, საბოლოო ჯამში, ვერ შეაჩერებს ინგლისსა და ამერიკასო. ვიცნობდი, როგორც ჩემს ნათესავს, რომელიც ადრე დააკავეს. მე მას გავანდე კონტრევოლუციური ორგანიზაციის არსებობის შესახებ და შევთავაზე, მასაც მიეღო მონაწილეობა მუშაობაში. ის დამთანხმდა. მე მას დავავალე ნაცნობი ადამიანების ჩართვა. გარდა ამისა, ვუთხარი, რომ ჩვენს ორგანიზაციაში არის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, მაგრამ არ მახსოვს, დავუსახელე თუ არა ამ კურსდამთავრებული სტუდენტის ვინაობა, მხედველობაში მყავდა **კოტე ჯოგლიძე**“.

დადგენილების გადაწყვეტილებით, გიორგი ციბალაშვილი დაექვემდებარა დაპატიმრებას და ჩხრეკას, რაც გააცნეს და ხელი მოაწერინეს (**სშსსა, 5:9-10**).

დადგენილება (N2) გიორგი ციბალაშვილისთვის აღკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 18 თებერვლით. დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი **ავქსენტი რაფავა**, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე** და ამავე განყოფილების უმცროსი ლეიტენანტი **მირიან თავდიშვილი**.

რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლი საფუძველზე გიორგი ციბალაშვილს შეეფარდა პატიმრობა, რის შესახებაც გამოეცხადოს დაკავებულს.

ფორმა N2-ის ასლი გაიგზავნა პროკურორთან და ციხის უფროსთან პატიმრის პირადი საქმის გასაცნობად და მასზე დასართავად რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 50-ე მუხლის შესაბამისად.

დადგენილება აღკვეთი ღონისძიების შეფარდების თაობაზე გიორგი ციბალაშვილს გააცნეს და ხელი მოაწერინეს (სშსსა, 14:7-8).

გიორგი ციბალაშვილს საქართველოს სსრ-ის სსხლს სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ. 2 და 58/11 მუხლებით ბრალი წაუყენეს.

დადგენილება (ფორმა N3) გიორგი ციბალაშვილისათვის ბრალის წარდგენის შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 1 მარტით. დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე** და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური N1 განყოფილების ლეიტენანტი **ყრუაშვილი**.

ფორმა N3-ის გამოტანისას იხელმძღვანელეს რსფსრ-ის სსხლს სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლის საფუძველზე და ბრალდებული პასუხისგებაში იქნა მიცემული. ამავე დადგენილების ასლი 1942 წლის 1 მარტს გაიგზავნა პროკურატურაში რსფსრ-ის სსხლს სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის მიხედვით.

საგამომიებო საქმეზე (N1964) დაყრდნობით ცნობილი ხდება, რომ გიორგი ციბალაშვილი 1941 წლის დეკემბერში ჩართო მისმა ნათესავმა მიხეილ იასონის ძე იმერლიშვილმა კონტრრევოლუციურ უკანონო ორგანიზაციაში, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული საბჭოთა კავშირის დამხობა შეიარაღებული აჯანყების გზით და დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენა. გარდა ამისა, 1926 წელს, საქართველოს წითელი არმიის რიგებში, მე-5 მსროლელთა პოლკში გიორგი ციბალაშვილი იყო კონტრრევოლუციურ უკანონო ორგანიზაციის წევრი.

გიორგი ციბალაშვილი საბრალდებო დასკვნას გაეცნო და დოკუმენტზე ხელი მოაწერა (სშსსა, 14:8-9).

ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა 1942 წლის 20 სექტემბერს გიორგი ციბალაშვილს მიუსაჯა შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციის გარეშე (განაჩენი N194) (სშსსა 14:17-29). იგი უზბეკეთში გადასახლეს, გზაში გარდაიცვალა.

10. ისააკ იმერლიშვილი

ყველაზე ასაკიანი შეთქმულთა შორის ისააკ სიმონის ძე იმერლიშვილი იყო. უდამაჟულო ადამიანზე ეჭვი მიიტანეს, დაიჭირეს და გაასამართლეს. ისააკ იმერლიშვილის დაჭერის მიზეზი ერთი პატარა ბარათი გახდა, რომელიც სოფელში გიორგი მერლიშვილს მისი ხელით გაუგზავნია. ისააკი გიორგი იმერლიშვილის ბიძა გახლდათ. სწორედ ეს ბარათი გამოიყენეს სამხილად, რომელიც უშიშროების თანამშრომელს ჩაუვარდა ხელში, რის საფუძველზეც შეთქმულებთან ერთად ისიც დააპატიმრეს (ჩხეიძე 1992:135).

დადგენილება (ფორმა N1) ისააკ იმერლიშვილის დაპატიმრების შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 19 თებერვლით. დადგენილებას ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი ავქსენტი რაფავა და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი არტაშეს მარქაროვი.

დანაშაულებრივი საქმიანობის მასალებიდან ირკვევა, რომ ისააკ სიმონის ძე იმერლიშვილი დაბადებულია 1880 წელს, ყვარლის რიონის სოფელ შილდაში, საქართველოს სსრ-ის მოქალაქე, დაოჯახებული, დაბალი განათლების დონით, უპარტიო, ყვარლის სატყეო მეურნეობის ტყის მცველი.

გამომიებით დადგინდა, რომ ისააკ სიმონის ძე იმერლიშვილი იყო არალეგალური კონტრევოლუციურ-ფაშისტური ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, ასრულებდა უკანონო დავალებებს, რაც გამოვლინდა გიორგი იმერლიშვილისა და სოლომონ იმერლიშვილის აღიარებით ჩვენებებში.

ისააკ იმერლიშვილს შეეფარდა პატიმრობა და ჩხრეკა (სშსსა, 1:9-10).

დადგენილება (ფორმა N2) ისააკ იმერლიშვილისთვის აღკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 19 თებერვლით. ფორმა N2 გამოტანილია რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და 158-ე მუხლებით და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 44-ე და 49-ე მუხლების საფუძველზე. პატიმრობის შეაფარდებას ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი ავქსენტი რაფავა და

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უმცროსი ლეიტენანტი **მირიან თავდიშვილი**.

ისააკ იმერლიშვილს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის შესაბამისად შეეფარდა პატიმრობა, რის შესახებაც ეცნობა დაკავებულს.

ფორმა N2-ის ასლი გაიგზავნა პროკურორთან და ციხის უფროსთან პატიმრის პირადი საქმის გასაცნობად და მასზე დასართავად რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 50-ე მუხლის შესაბამისად.

ისააკ იმერლიშვილს საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ. 2 და 58/11 მუხლები წაუყენეს იმის გამო, რომ, გამომძიებლისა და პროკურატურის აზრით, მას შეეძლო, გავლენა მოეხდინა გამოძიების მსვლელობაზე. ამიტომ მას პატიმრობა მიუსაჯეს (**სშსსა, 14:202-203**).

ისააკ იმერლიშვილმა დაკითხვის დროს განაცხადა: „ჩემმა ბიძაშვილმა სოლომონ იმერლიშვილმა გრიგოლ გრიგოლის ძე კოკილაშვილის პირით შემომითვალა, ასე და ასე ვფიქრობთ და მხარი დაგვიჭირო. უარი ვუთხარი. სამჯერ მოვიდა გრიგოლი, ღვინოც კი არ გავატანე მათთვის. სოლომონი ჩამოვიდა, მისაყვედურა – აქ მაინც შექმენი ჯგუფიო. ამაზეც უარი ვუთხარი“ (**კვერენჩილაძე 2017:94**).

დადგენილება (ფორმა N3) ისააკ იმერლიშვილისთვის ბრალის წარდგენის შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 14 მარტით. იხელმძღვანელებს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლის მიხედვით და ბრალდებული პასუხისგებაში მისცეს. ამავე დადგენილების ასლი გააგზავნეს პროკურორთან რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის მიხედვით.

1942 წლის 14 მარტის ისააკ იმერლიშვილის საგამომძიებო საქმის (**N1964**) საფუძველზე საქართველოს შინაგან საქმეთა სახლხო კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსმა, კაპიტანმა **ირაკლი ნიბლაძემ** დაამტკიცა საბრალდებო დასკვნა, რომელიც შედგენილი იყო საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი **არტაშეს მარქაროვის** მიერ. საბრალდებო დასკვნაში აღნიშნული იყო: ისააკ სიმონის ძე

იმერლიშვილი 1941 წლის ზაფხულში ჩაერთო კონტრევოლუციურ-ნაციონალისტურ სამხედრო-მემბოხე ორგანიზაციაში. მიზნად ჰქონდა დასახული საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყება. იგი ორგანიზაციაში ჩართული იყო თავისი თანასოფელელის, ამავე საქმით ბრალდებული სოლომონ იმერლიშვილის მიერ, ვისი დავალებითაც ყვარლის რაიონში კონტრევოლუციური მემბოხე ჯგუფები უნდა შეექმნა (სშსსა, 14:24-25).

„7 წელი მიუსაჯეს აგრეთვე ისააკ იმერლიშვილს, რომელიც პროცესის დამთავრების შემდეგ მალევე გარდაიცვალა და ჭირისუფლებისთვის ნემტიც კი არ გაუტანებიათ შილდაში დასაკრძალავად. საქმის გადასინჯვასთან დაკავშირებით კი ყვარლის უშიშროებამ გასცა ცნობა – 1944 წ. გარდაიცვალაო (ტ. 6, ფ. 272)“ (კვერენჩილაძე 2007:132).

ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა (განაჩენი N194) 1942 წლის 20 სექტემბერს ისააკ იმერლიშვილს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა შვიდი წლით და ქონების კონფისკაციით (სშსსა 14:17-29).

11. ვახტანგ შიხაშვილი

ვახტანგ შიხაშვილი შეთქმულების ორგანიზაციის წევრი იყო და ავჭალის პოლკში მსახურობდა. დადგენილება (ფორმა N1) ვახტანგ შიხაშვილის დაპატიმრების შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 20 თებერვლით. საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარმა აგვსენტი რაფაევამ, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსის, კაპიტან ირაკლი ნიზლადისა და ამავე განყოფილების უმცროსი ლეიტენანტის მირიან თავდიშვილის შუამდგომლობის საფუძველზე დაამტკიცა დადგენილება დაპატიმრების თაობაზე.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ვახტანგ ივანეს ძე შიხაშვილი დაბადებულია 1916 წელს, სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევში, ეროვნებით ქართველი, საქართველოს სსრ-ის მოქალაქე, უმაღლესი განათლებით, უცოლშვილო, კომკავშირელი, 802-ე მსროლელი პოლკის შტაბში გერმანული ენის თარჯიმანი, მცხოვრები არსენალის N6-ში.

ვახტანგ შიხაშვილი იყო აქტიური წევრი კონტრრევოლუციურ-„ფაშისტურ“ ორგანიზაციაში, რომელშიც იგი არაკანონიერ მუშაობას ეწეოდა. ამავე საქმისთვის დაკავებულმა გიორგი იმერლიშვილმა **ვახტანგ შიხაშვილის** შესახებ ჩვენებაში აღიარა: „**ვ. ი. შიხაშვილი** როგორც ჩემთან, ისე **ხიმშიაშვილთან** და **სეფაშვილთან** წითელი არმიის მარცხზე საუბრობდა. მან გვამცნო, რომ თბილისში ჰყავდა მეგობარი, რომელსაც რადიომიმღები ჰქონდა და საზღვარგარეთიდან მუდმივად იჭერდა შეტყობინებებს, რომლებშიც ომის მსვლელობაზე, საბჭოთა კავშირის-გერმანიის ფრონტზე გადმოსცემდნენ ინფორმაციას. ამ ცნობების მიხედვით საბჭოთა ჯარების მდგომარეობა უიმედო იყო. **შიხაშვილმა** ასევე შეგვატყობინა რომ კიევი უკვე აღებული ჰქონიათ გერმანელებს, მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. ასეთი სიახლეებით **ვახტანგ შიხაშვილი** უფრო ჩვენს რწმენას არყევდა, რამაც არალეგალური ორგანიზაციის შექმნის გადაწყვეტილებამდე მიგვიყვანა... ნასვამმა **შიხაშვილმა** თავის მეგობარს აცნობა, რომ უკანონო კონტრრევოლუციურ საქმიანობაში იყო ჩართული“ (გიორგი იმერლიშვილის ჩვენებიდან, 1942 წლის 11 თებერვალი).

ვახტანგ შიხაშვილს შეუფარდეს ჩხრეკა და დაპატიმრება (სშსსა, 1:72-73).

დადგენილება (ფორმა N2) ვახტანგ შიხაშვილისთვის აღკვეთი ღონისძიების შესახებ, გამოტანილი რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და 158-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 44-ე და 49-ე მუხლების საფუძველზე, დათარიღებულია 1942 წლის 20 თებერვლით. დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი **ავქსენტი რაფავა** და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი, უმცროსი ლეიტენანტი **თავდიშვილი**. პროკურორის სანქცია ვახტანგ შიხაშვილის დაკავებაზე გაცემულია 1941 წლის 21 თებერვალს, 1:35 საათზე. იგი ექვემდებარება დანაშაულში საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ. 2 და 58/11 მუხლებით. იმის გამო, რომ, გამომძიებლისა და პროკურატურის აზრით, ვახტანგ შიხაშვილს შეეძლო გავლენა მოეხდინა გამომძიებლის მსვლელობაზე, რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის ძალით მას პატიმრობა მიესაჯა.

ფორმა N2-ის ასლი გაიგზავნა პროკურორთან და ციხის უფროსთან პატიმრის პირადი საქმის გასაცნობად და მასზე დასართავად რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 50-ე მუხლის საფუძველზე.

ვახტანგ შიხაშვილს დადგენილება გააცნეს და ხელი მოაწერინეს (სშსსა,14:45-46).

დადგენილება (ფორმა N3) ვახტანგ შიხაშვილისთვის ბრალის წარდგენის შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 4 მარტით. ხელს აწერენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიზლაძე** და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი **არტაშეს მარქაროვი**.

აღნიშნული დადგენილების გამოტანისას იხელმძღვანელებს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლის მიხედვით. ფორმა N3-ის ასლი გაიგზავნა პროკურორთან რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის შესაბამისად.

საგამომძიებო საქმის (N1964) გათვალისწინებით გამოიკვეთა ის გარემოება, რომ ვახტანგ შიხაშვილი ჯერ კიდევ 1938 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულ ანტისაბჭოთა დაჯგუფების წევრად ირიცხებოდა. გერმანიასთან ომის დასაწყისში ის წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს. 1941 წლის ბოლოს ჩაერთო უკანონო კონტრევოლუციურ „ფაშისტურ“-მეამბოხე ორგანიზაციაში, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას შეიარაღებული აჯანყების გზით და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. ამ ორგანიზაციაში ის ჩართო თავისმა მეგობარმა **გიორგი ახოზაძემ**. გარდა ამისა, ის დაკავშირებული იყო ამ საქმეზე ბრალდებულ **გიორგი იმერლიშვილთან**, რომელიც ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო კონტრევოლუციური სამხედრო-მეამბოხე ორგანიზაციისა ავჭალის სამხედრო ნაწილში და მას გადასცემდა მაპროვოცირებელ ინფორმაციებს, რომლებსაც მას აწვდიდა თავისი მეგობარი. ის კი, თავის მხრივ, რადიომიმღების საშუალებით უცხოეთიდან ღებულობდა ცნობებს.

ვახტანგ შიხაშვილი საბრალდებო დასკვნას გაეცნო და დოკუმენტზე ხელი მოაწერა (სშსსა, 14:9-10).

ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა 1942 წლის 20 სექტემბერს ვახტანგ შიხაშვილს მიუსაჯა შვიდი წლით გადასახლება ქონების კონფისკაციით (განაჩენი N194) (სშსსა, 14:17-29).

„სასჯელი მოიხადა ყარაგანდის ოლქში. დაბრუნების შემდეგ თბილისის უნივერსიტეტში ფილოსოფიას ასწავლიდა“ (კვერენჩილაძე 2017:132).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში ინახება ცნობა იმის შესახებ, რომ რეაბილიტაციის შემდეგ ვახტანგ შიხაშვილს წერილით მიუმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის იმის თაობაზე, რომ პატიმრობაში ყოფნის დრო სამუშაო სტაჟად ჩათვლათ. წერილი 1961 წლის 8 აპრილით არის დათარიღებული:

Государственный комитет высшего и среднего специального образования Совета

Министров Грузинской ССР

Тбилисский государственный университет имени И. В. Сталина

г. Тбилиси, прос. И. Чавчавадзе, 1

Тел. п/с. 2-39-02, 2-39-03, 2-39-04

8 апреля 1961 г. №07-15-691

МВД ГРУЗИНСКОЙ ССР

Тов. **Кахетелидзе**

Реабилитированный Вахтанг Иванович Шихашвили просит Тбилисский государственный университет имени И. В. Сталина зачесть ему в стаж работы время нахождения в заключении, а потому просим сообщить дату ареста В. И. Шихашвили.

Проректор ТГУ А. Канделаки

Юрисконсульт Д. Боцвадзе“ (სშსსა,1:45-46).

12. გიორგი კალანდაძე

გიორგი კალანდაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი იყო. ლიტერატურულ წრეებში მას იცნობდნენ, როგორც ნიჭიერ პოეტს. მისი ლექსები იბეჭდებოდა ჟურნალებში („ჩვენი თაობა“, 1935 წ.). 1938 წელს საქართველოს მწერალთა კავშირში მიიღეს და სულ მალე კრებულებაც გამოვიდა. ადვილი მისახვედრია, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა სამშობლოს დიდმა სიყვარულმა გადააწყვეტინა.

დადგენილება (ფორმა N1) გიორგი კალანდაძის დაპატიმრების შესახებ 1942 წლის 5 მარტით არის დათარიღებული. დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი **ავქსენტი რაფავა** და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი **არტაშეს მარქაროვი**, რომელთა შუამდგომლობის საფუძველზე 1942 წლის 6 მარტს, 13:30 საათზე პროკურორმა სანქცია გასცა გიორგი კალანდაძის დაპატიმრების შესახებ.

საგამომძიებო მასალების ინფორმაციით, გიორგი ალექსანდრეს ძე კალანდაძე დაბადებული იყო 1911 წელს, ზესტაფონის რაიონის სოფელი აჭარადან, კომკავშირელი, უცოლშვილო, უმაღლესი განათლებით, ყოფილი ასპირანტი, პოეტი, ასწავლის საშუალო სკოლაში, მცხოვრები ბარათაშვილის ქ. N32-ში.

გიორგი კალანდაძე 1941 წელს, როდესაც გერმანელთა ჯარები მოსკოვს მიაღწენ, ჩაერთო უკანონო კონტრევოლუციურ ნაციონალისტურ სამხედრო-მეამბოხე ორგანიზაციაში, რომელიც მიზნად ისახავდა შეიარაღებული აჯანყების გზით საბჭოთა ხელისუფლების დამხობასა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. ამავე საქმეში ბრალდებულმა **გიორგი ძიგვაშვილმა** 1942 წლის 16 თებერვალზე დაკითხვაზე აღიარა, რომ გიორგი კალანდაძე, სხვებთან ერთად ჩართო ორგანიზაციაში.

გიორგი კალანდაძე დაექვემდებარა დაკავებასა და ჩხრეკას (**სშსსა, 7:53-54**).

რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და 158-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 44-ე და 49-ე მუხლების საფუძველზე გამოიტანეს დადგენილება (ფორმა N2) გიორგი კალანდაძისთვის აღკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ, რომელიც დათარიღებულია 1942 წლის 5 მარტით. დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო

პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი ირაკლი ნიბლაძე და ამავე განყოფილების უმცროსი ლეიტენანტი მირიან თავდიშვილი.

გიორგი კალანდაძეს საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ. 2 და 58/11 მუხლებით წაუყენეს ბრალი. იმის გამო, რომ, გამომძიებლისა და პროკურატურის აზრით, გიორგი კალანდაძეს შეეძლო გავლენა მოეხდინა გამომძიებლის მსვლელობაზე, რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის ძალით მას პატიმრობა მიესაჯა (ფორმა N2) და ეცნობა დაკავებულს (სშსსა, 7:11-12).

ფორმა N2-ის ასლი, რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 50-ე მუხლის საფუძველზე, გაიგზავნა პროკურორთან და ციხის უფროსთან პატიმრის პირადი საქმის გასაცნობად და მასზე დასართავად.

დადგენილება (ფორმა N3) გიორგი კალანდაძისთვის ბრალის წარდგენის შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 21 მარტით. დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი ირაკლი ნიბლაძე და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი არტაშეს მარქაროვი.

ფორმა N3-ის გამოტანისას იხელმძღვანელებს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლის მიხედვით. ამავე დადგენილები ასლის გაიგზავნა პროკურორთან რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის შესაბამისად.

საგამომძიებო საქმე N1964-ის მიხედვით გიორგი ალექსანდრეს ძე კალანდაძე 1941 წლის მეორე ნახევარში, დარწმუნებული საბჭოთა ჯარების დამარცხებაში, ჩაერთო უკანონო სამხედრო-მეამბოხე კონტრევოლუციურ-ნაციონალისტურ ორგანიზაციაში, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და საბჭოთა ხელისუფლების დამხობას შეიარაღებული აჯანყების გზით (სშსსა, 14:11-12).

ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა (განაჩენი N194) 1942 წლის 20 სექტემბერს გიორგი კალანდაძეს მიუსაჯა შვიდი წლით გადასახლება ქონების კონფისკაციით (სშსსა, 14:17-29).

გიორგი კალანდაძე ჯერ შუა აზიაში გადასახლეს, შემდეგ კი წლების მანძილზე დედაქალაქში ცხოვრება აუკრძალეს. იგი დმანისსა და აგარაში მასწავლებლად მუშაობდა, ხოლო 1957 წლიდან გარდაცვალებამდე – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში.

გიორგი კალანდაძე 1979 წელს 66 წლის ასაკში გარდაიცვალა.

13. სიმონ გერგიშვილი

შეთქმულთა კიდევ ერთი წევრი **სიმონ გერგიშვილი** რადიოკომიტეტის თანამშრომელი იყო.

დადგენილება (ფორმა N1) სიმონ გერგიშვილის დაპატიმრების შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 14 მარტით. დადგენილება დაამტკიცა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის უშიშროების კომისარმა **ავქსენტი რაფაელ**. სანქცია დაკავებაზე დამოწმებულია პროკურორის ხელმოწერით. საქმეს იძიებდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი **არტაშეს მარქაროვი**.

საგამომძიებო მასალებიდან ირკვევა, რომ სიმონ სიმონის ძე გერგიშვილი დაბადებულია 1912 წელს, წარმოშობით თელავის რაიონის სოფელ ქოდალოდან, უცოლშვილო, უმაღლესი განათლებით, საქართველოს რადიოკომიტეტის გამომცემლობის რედაქციის თანამშრომელი, მცხოვრები ლარეხის ქ. N1^ა-ში.

სიმონ გერგიშვილი მორიგეობის დროს რადიოკომიტეტში ფარულად ღებულობდა უცხოურ ინფორმაციას და პროვოკაციულ „რადიოსიხლეებს“ თავის ნაცნობებში ავრცელებდა. იგი დაკავშირებული იყო ამავე საქმეში ბრალდებულ კონტრრევოლუციური ფარული ორგანიზაციის წევრებთან – **თურმან შანშიაშვილთან** და **გიორგი ახოზაძესთან**, რომელთა ჩვენებით გაირკვა, რომ ისინი მისგან იღებდნენ ინფორმაციას თავიანთი კონტრრევოლუციური მიზნებისათვის.

სასამართლომ დაადგინა სიმონ სიმონის ძე გერგიშვილის ჩხრეკა და დაპატიმრება (სშსსა, 7:3-4).

დადგენილება (ფორმა N2) სიმონ გერგიშვილისათვის აღკვეთი ღონისძიების შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 14 მარტით. ფორმა N2 გამოტანილია რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე და 158-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 44-ე და 49-ე მუხლების საფუძველზე. ფორმა N2-ს ხელს აწერს საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის უშიშროების კომისარი **ავქსენტი რაფაეა** და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი **არტაშეს მარქაროვი**. სიმონ გერგიშვილის დაკავებაზე სანქცია დადასტურებულია პროკურორის ხელმოწერით.

დაადგინეს: გამოძიებისგან და სასამართლოს პროცესისაგან თავის არიდების მიზნით, სიმონ გერგიშვილის მიმართ გამოყენებული იქნეს აღკვეთი ღონისძიებად დაკავება (ფორმა N2) რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და 158-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 44-ე და 49-ე მუხლების ძალით, ხოლო რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლით – სიმონ გერგიშვილს შეეფარდოს პატიმრობა და მას ამის შესახებ ეცნობოს. თანხმობა დაადასტურა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსმა ლეიტენანტმა **არტაშეს მარქაროვმა (სშსსა, 14:12-13)**.

ფორმა N2-ის ასლი გაიგზავნა პროკურორთან და ციხის უფროსთან პატიმრის პირადი საქმის გასაცნობად და მასზე დასართავად რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 50-ე მუხლის საფუძველზე.

დადგენილება (ფორმა N3) სიმონ გერგიშვილისთვის ბრალის წარდგენის შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 5 აპრილით. დადგენილებას ხელს აწერს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიზლაძე**.

ფორმა N3-ის გამოტანისას იხელმძღვანელებს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლის მიხედვით. ამ დადგენილების ასლი გაიგზავნა პროკურატურაში რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის შესაბამისად.

საგამომიებო საქმის (N1964) მასალების მიხედვით, სიმონ სიმონის ძე გერგიშვილი ჩართული იყო საქართველოს რადიოკომიტეტის მუშაკთა შორის ჩამოყალიბებულ კონტრევოლუციურ დაჯგუფებაში. ისინი მუდმივად უსმენდნენ საზღვარგარეთის პროვოკაციულ გადაცემებს და თანამშრომელთა შორის ავრცელებდნენ. გერგიშვილი რადიოკომიტეტში მორიგეობის დროს იყენებდა საზღვარგარეთიდან შემომავალი პროვოკაციული ჭორების მოსასმენად, რომელთაც გადასცემდა „ფაშისტური“ არალეგალური ორგანიზაციის წევრებს – **შანშიაშვილს და ახოზაძეს**.

სიმონ გერგიშვილი ბრალდებულად ცნეს საქართველოს სს-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ. 2 და 58/11 მუხლებით, რაც აცნობეს ბრალდებულს და დადგენილებაზე ხელი მოაწერინეს.

გამომძიებელი: საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი **არტაშეს მარქაროვი**.

ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა 1942 წლის 20 სექტემბერს სიმონ გერგიშვილს მიუსაჯა შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციის გარეშე (განაჩენი N194) (**სშსსა, 14:17-29**).

14. ლევან (ლეო) კვაჭაძე

ლევან (ლეო) კვაჭაძე იხსენებს: „1926-30 წლებში ვსწავლობდი უნივერსიტეტში, 1928 წელს დააპატიმრეს ჩემი ძმა და 6 წლით გადაასახლეს ციმბირში. ძმის რეპრესირების გამო ჩემთვის სტიპენდიის დანიშვნა და ასპირანტურაში ჩარიცხვა გამოირიცხა, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვსწავლობდი. თბილისში ფეხი ვერ მოვიკიდე, სადაც მივედი, ყველგან უარით გამომისტუმრეს და რაიონში წასვლას მირჩევდნენ.

ასეც მოხდა. წავედი ზემო სვანეთში. ერთ წელიწადს მშობლიური სოფლის – ლახამულის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი ვიყავი, სამ სასწავლო წელს – მესტიის პედაგოგიური სასწავლებლის გამგე. ვასწავლიდი რამდენიმე საგანს. 1936 წელს განათლების სამინისტრომ (მაშინ კომისარიატმა) დააკმაყოფილა ჩემი თხოვნა და გამათავისუფლა პედსასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგის თანამდებობიდან და დამნიშნა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად თბილისის 55-ე საშუალო

სკოლაში. იმედი მომეცა, რომ ასპირანტურაში ჩავირიცხებოდი, მაგრამ ჩვენს ოჯახს უბედურება დაატყდა თავს (1937 წელს ძმა ისევ დააპატიმრეს) და იმედი გამიცრუვდა.

შემდეგ დაიწყო II მსოფლიო ომი. 1942 წლის შეთქმულთა შორის იყო ერთი ჩემი უახლოესი მეგობარი, ძმასავით საყვარელი **ზურაბ მისაბიშვილი**. ერთ-ერთ შეთქმულს, რომელთანაც ჩემი ურთიერთობა საღამს არ გასცილებია, გამომძიებელ **მარქაროვისათვის** მიუცია ჩვენება, რომ ლეო კვაჭაძე ზურაბმა ჩააბა შეთქმულებაში და დააპატიმრეს. 1942 წლის სექტემბერში ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალმა გაგვასამართლა 33 ბრალდებული. სამხედრო ტრიბუნალმა 17 ბრალდებულს (მათ შორის ჩემს მეგობარს) დახვრეტა მიუსაჯა“ („სემიოტიკა“ 2008).

დადგენილება (ფორმა N1) ლევან (ლეო) კვაჭაძის დაპატიმრების შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 18 მარტით. ფორმა N1-ს ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი **ავესენტი რაფავა** და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უმცროსი ლეიტენანტი **მირიან თავდიშვილი**. პროკურორის ხელმოწერით გაცემულია ლევან კვაჭაძის დაკავების სანქცია 1942 წლის 18 მარტს, 2:10 საათზე.

დანაშაულებრივი საქმიანობის განხილვისას დადგინდა, რომ ლევან მიხეილის ძე კვაჭაძე დაბადებულია 1908 წელს, დაბადების ადგილი – ზემო სვანეთის სოფელი ხაიკი, უცოლშვილო, უპარტიო, ქართველი, საქართველოს სსრ-ის მოაქლაქე, უმაღლესი განათლებით, სამუშაო ადგილი სკოლა, მცხოვრები – პეროვის ქ. N4-ში.

ლევან კვაჭაძე 1941 წლის ზაფხულში ჩაერთო არალეგალურ კონტრრევოლუციურ „ფაშისტურ“-მეამბოხე ორგანიზაციაში, რომლის მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა შეიარაღებული აჯანყების გზით და „დამოუკიდებელი საქართველოს“ აღდგენა. იგი აწარმოებდა კონტრრევოლუციურ საქმიანობას. ამ ფორმირების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ფორმირებაში გახობადემ ჩვენებაში აღიარა: „... ანტისაბჭოთა საუბრები, რომლებიც გვქონდა ჩვენს უკანონო შეხვედრებზე **მისაბიშვილის** ბინაში, ეხებოდა ჩვენს რწმენას, ჩვენს პოლიტიკურ პლატფორმას, რომელზეც ყველა ვიდევით – მე, კაციტაძე, მისაბიშვილი, საბაშვილი, თარგამაძე, ფარეშიშვილი, კვაჭაძე... უფრო ზუსტად:

1. საქართველოს დამოუკიდებლობა გერმანიის პროტექტორატის დაქვემდებარებაში კერძო საკუთრების აღიარების საფუძველზე;

2. კოლმეურნეობის სისტემის ლიკვიდაცია, მიწების გადაცემა გლეხებისათვის კერძო საკუთრებაში;

3. სიტყვისა და პრესის თავისუფლება;

4. სრული ეროვნული თვითმყოფადობა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „საქართველო ქართველებისათვის“... ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ნაციონალური სოციალისტური პარტია ყველაზე მისაღები პოლიტიკური პარტია იქნებოდა... ეს იყო ჩვენი ორგანიზაციის პროგრამა.

რა გზით უნდა განხორციელდეს ჩვენი მიზანი?

1. საბჭოთა კავშირის დამხობა შეიარაღებული აჯანყების გზით გერმანიის ჯარების ჩვენს საზღვრებთან მოახლოების დროს;

2. გერმანიის არმიასთან კავშირის დამყარება ჩვენი შეიარაღებული აჯანყების მხარდაჭერისთვის, გერმანიის ჯარების ხელის შეწყობა საქართველოს ოკუპაციისთვის“.

დაუდგინეს **ლევან კვაჭაძეს** დაპატიმრება და ჩხრეკა (**სშსსა, 13:31**).

დადგენილება (ფორმა N2) ლევან კვაჭაძისთვის აღკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ, გამოტანილი რსფსრ-ს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და 158-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 44-ე და 49-ე მუხლების მიხედვით, დათარიღებულია 1942 წლის 18 მარტით. მას შეეფარდა დაპატიმრება რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის შესაბამისად და გამოეცხადა დაკავებულს (**სშსსა, 13:41**).

ასლი გაიგზავნა პროკურორთან და ციხის უფროსთან პატიმრის პირადი საქმის გასაცნობად და მასზე დასართავად რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 50-ე მუხლი საფუძველზე.

დადგენილება (ფორმა N3) ლევან კვაჭაძისთვის ბრალის წარდგენის შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 14 აპრილით. დადგენილებას ხელს აწერენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე** და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი **ლეიტენანტი არტაშეს მარქაროვი**.

ფორმა N3-ის გამოტანისას იხელმძღვანელებს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლის შესაბამისად. ამავე დადგენილების ასლი გაიგზავნა პროკურორთან რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლი მიხედვით.

საგამომიებო საქმის (N1964) განხილვისას დადგინდა, ლევან მიხეილის ძე კვაჭაძე 1941 წლის ზაფხულში შევიდა არალეგალურ ფაშისტურ ორგანიზაციაში, რომელშიც ჩართული იყო ახლო ამხანაგისა და მეგობრის ზურაბ მისაბიშვილის მიერ. „ფაშისტურ“ ორგანიზაციას ჰქონდა მიზანი, აღედგინათ დამოუკიდებელი საქართველო საბჭოთა ხელისუფლების დამხობის გზით. ლ. კვაჭაძე მონაწილეობას ღებულობდა ორგანიზაციის შეკრებებში ზურაბ მისაბიშვილის ბინაში.

დაადგინეს: ლევან მიხეილის ძე კვაჭაძე ბრალდებულად იქნა ცნობილი საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ. 2 და 58/12 მუხლებით.

1942 წლის 14 აპრილს ბრალდებულ ლევან კვაჭაძეს დადგენილება გააცნეს და ხელი მოაწერინეს (სშსსა, 13:39).

ლევან კვაჭაძეს დანაშაული ვერ დაუმტკიცეს. მიუხედავად დოკუმენტის არსებობისა, რომელშიც მითითებული იყო მისი ბრალეულობა, იგი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა 1942 წლის 20 სექტემბერს (განაჩენი N194) (სშსსა, 14:17-29).

* * *

ხალხი საბჭოთა რეჟიმის უკმაყოფილო იყო, ამას კარგად გრძნობდა ხელისუფლება და ყველანაირ ღონეს ხმარობდა, რომ პროტესტი არ გაღრმავებულიყო და სულ უმნიშვნელო შემთხვევასაც კი მკაცრად სჯიდა. არქივში დაცულია წერილი, დათარიღებული 1942 წლის 19 დეკემბრით, რომლიდანაც ვგებულობთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სპეცგანყოფილების მაიორ **მორიზოვს** მიუმართავს საქართველოს სამხედრო კომისრისათვის, რომ პატიმრობიდან გაათავისუფლებული ლევან კვაჭაძე და მიხეილ აროშიძე სხვადასხვა სამხედრო ნაწილში ჩაერიცხათ.

КОМИССАРУ Груз. ВОЕНКОМАТА

Секретно

1 СПЕЦОТДЕЛ ВОЕННОМУ

19 декабря 42 г.

Одновременно с этим направляются в распоряжение для зачисления в рабочие батальоны освобожденные из-под стражи в виду прекращения дела КВАЧАДЗЕ ЛЕВАН МИХАЙЛОВИЧ, 1908 года рождения, и АРОШИДЗЕ МИХАИЛ ИВАНОВИЧ, 1915 года рождения. Желательно зачислить КВАЧАДЗЕ и АРОШИДЗЕ в разные батальоны.

НАЧ. 1 СПЕЦОТДЕЛА НКВД ГССР МАЙОР ГБ **Морозов**“ *(სტილი დაცულია)*
(სშსს,1:49-50).

სულ მალე, 22 დეკემბერს, სამხედრო კომისარი საპასუხო წერილს უგზავნის საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს და ატყობინებს, რომ მათი თხოვნა დაკმაყოფილებულია.

Секретно.

НАЧ.1-го СПЕЦОТД НКВД ГРССР

Майору ГБ тов. **МОРОЗОВУ**

При этом препровождается расписка нач. части ТГВК о принятии освобожденных из-под стражи КВАЧАДЗЕ ЛЕВАНА МИХАЙЛОВИЧА и АРОШИДЗЕ МИХАИЛА ИВАНОВИЧА, кои направлены, согласно вашего распоряжения. Приложение упомянутое.

НАЧ. В/Т НКВД ГССР, лейтенант ГБ (МУГАЛАШВИЛИ)

СЕКРЕТАРЬ В/Т НКВД ГРССР (КЕШИШЕВ)

22. XII. 1942 г. *(სტილი დაცულია)* (სშსს, 13:18).

ლევან კვაჭაძე იხსენებს: „პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ დავინიშნე თბილისის მე-8 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1944-47 სასწავლო წლებში ვიყავი თბილისის ქალთა მე-7 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, თან ვასწავლიდი ქართულ ენასა და ლიტერატურას. 1945 წელს ჩავირიცხე პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტში ასპირანტად ქართული ენის სწავლების მეთოდის სპეციალობით. 1948 წელს დავამთავრე ასპირანტურა და 1949 წელს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „რთული წინადადების სწავლების თანამიმდევრობა“ და მომენიჭა პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო წოდება. აქვე დავსძენ იმასაც, რომ ამავე პერიოდში იწყება ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობა უმაღლეს სასწავლებელში“ (ბარბაქაძე 2008:8).

15. აბო ფარეშიშვილი

აბო ფარეშიშვილი საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში გიორგი ახვლედიანის ასპირანტი იყო, როდესაც შეთქმულებს დაუკავშირდა. არალეგალური ორგანიზაციის გამომავარავების შემდეგ იგი დააპატიმრეს.

დადგენილება (ფორმა N1) აბო ფარეშიშვილის დაპატიმრების შესახებ თარიღდება 1942 წლის 18 მარტით. დადგენილებას ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი ავქსენტი რაფაეა და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი არტაშეს მარქაროვი. 1942 წლის 18 მარტს გაცემულია პროკურორის სანქცია აბო ფარეშიშვილის დაკავების შესახებ.

განიხილეს აბო ნიკოლოზის ძე ფარეშიშვილის დანაშაულებრივი საქმიანობა. იგი დაიბადა 1914 წელს, დაბადების ადგილი – დუშეთი, მოსამსახურის ოჯახიდან, უპარტიო, უცოლშვილო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი, მცხოვრები ლარის ქ. №5-ში.

მოპოვებული ინფორმაციით, 1938 წელს აბო ფარეშიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულ ანტისაბჭოთა დაჯგუფებაში გაწევრიანდა. საბჭო-

თა კავშირ-გერმანიის ომის დაწყებისას ის შევიდა არალეგალურ კონტრევოლუციურ „ფაშისტურ“-მემბოხე ორგანიზაციაში, რომლის მიზანი იყო ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებასთან და „დამოუკიდებელი საქართველოს“ აღდგენა. აბო ფარეშიშვილი ეწეოდა ანტისახელმწიფოებრივ მუშაობას. კონტრევოლუციური ფორმირების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა გიორგი ახოზაძემ დაკითხვაზე აღიარა: „არალეგალურ ორგანიზაციაში ჩართული იყო აბო ფარეშიშვილი... ჩვენს უკანონო შეკრებებს მისაბიშვილთან, საბაშვილთან, თარგამაძესთან, ფარეშიშვილთან და კვაჭაძესთან ერთად აბო ფარეშიშვილიც ესწრებოდა. საუბარი გვექონდა:

1. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გერმანიის პროტექტორატის ქვეშ;
2. კოლმეურნეობის სისტემის ლიკვიდაცია, გლეხებისათვის მიწების გადაცემა კერძო საკუთრებაში;
3. სიტყვისა და პრესის თავისუფლება;
4. სრული ეროვნული თვითმყოფადობა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „საქართველო ქართველებისათვის“. ჩვენი აზრით, ნაციონალურ-სოციალისტური პარტია ქვეყნისთვის ყველაზე მისაღები პოლიტიკური პარტია იქნებოდა. ასეთი იყო ჩვენი ორგანიზაციის პროგრამა.

რა გზით უნდა გაგვეხორციელებინა ჩვენი მიზანი?

1. შეიარაღებული აჯანყების გზით საბჭოთა წყობილების დამხობა გერმანიის ჯარების ჩვენს საზღვრებთან მოახლოების დროს და
2. გერმანიის სამხედრო ძალებთან კავშირის დამყარება მათი დახმარების მოთხოვნის მიზნით, გერმანიის მიერ საქართველოს ოკუპაციისათვის ხელშეწყობა.

დაადგინეს: აბო ნიკოლოზის ძე ფარეშიშვილს შეეფარდოს დაკავება და ჩხრეკა (სშსსა,13:19).

რსფსრ-ს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და 158-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 44-ე და 49-ე მუხლების საფუძველზე გამოიტანეს დადგენილება (ფორმა N2) აბო ფარეშიშვილისთვის აღკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ, რომელიც დათარიღებულია 1942 წლის 18 მარტით. დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი ავქსენტი რაფავა და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების

საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უმცროსი ლეიტენანტი მირიან თავდიშვილი.

აბო ფარეშიშვილს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის ძალით შეეფარდა პატიმრობა და რის შესახებაც ეცნობა დაკავებულს.

აღნიშნული დადგენილების ასლი გაიგზავნა პროკურორთან და ციხის უფროს-თან პატიმრის პირადი საქმის გასაცნობად და მასზე დასართავად რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 50-ე მუხლის საფუძველზე.

არსებული მასალების საფუძველზე განიხილეს და მიიღეს დადგენილება აბო ფარეშიშვილისთვის აღკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ.

მოპოვებული ინფორმაციით, **აბო ნიკოლოზის ძე ფარეშიშვილს** ბრალი წაუყენეს საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ. 2 და 58/11 მუხლებით (სშსსა, 14:22-23).

დადგენილება (ფორმა N3) აბო ფარეშიშვილისთვის ბრალის წარდგენის შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 4 აპრილით. დადგენილებას ხელს აწერენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე** და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი **არტაშეს მარქაროვი**.

ფორმა N3-ის გამოტანისას იხელმძღვანელებს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლის მიხედვით. რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის შესაბამისად ამავე დადგენილების ასლი გაგზავნეს პრიკურატურაში.

განიხილეს საქმე N1964-ის საგამომძიებო მასალები. გამოიკვეთა, რომ აბო ნიკოლოზის ძე ფარეშიშვილი ანტისაბჭოურად არის განწყობილი. ის 1938 წელს ჩაერთო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულ ანტისაბჭოთა სტუდენტურ დაჯგუფებაში. გერმანიასთან ომის დაწყებისას ის მობილიზაციით გაიწვიეს წითელი არმიის რიგებში. აბო ფარეშიშვილი 1941 წლის ბოლოს ჩაერთო არალეგალურ კონტრე-

ვოლუციურ „ფაშისტურ“-მემბოხე ორგანიზაციაში, რომლის მიზანი იყო „დამოუკიდებელი საქართველოს“ აღდგენა და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

1942 წლის 4 აპრილს დადგენილება გააცნეს აბო ფარეშიშვილს და ხელი მოაწერინეს (სშსსა,14:24-25).

ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა 1942 წლის 20 სექტემბერს აბო ფარეშიშვილს მიუსაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით (განაჩენი N194) (სშსსა, 14:17-29). იგი გადაასახლეს შუა აზიაში, სადაც გარდაიცვალა.

16. თინათინ გონიაშვილი

1940-იანი წლების შეთქმულებებში ორი ქალბატონი მონაწილეობდა. ერთ-ერთი იყო **თინათინ ბაგრატის ასული გონიაშვილი**. ის ბიძას ნაშვილები ჰყოლია, სინამდვილეში კი თავად **გიორგი კონსტანტინეს ძე მაყაშვილის** ქალიშვილი ყოფილა. თინათინ გონიაშვილი ქმარგაცილებული იყო, მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში (ენმიკი) უფროს მეცნიერ-თანამშრომლად და ამავდროულად სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრის დოცენტი ყოფილა (**კვერენჩილაძე 2017:115**).

დადგენილება (ფორმა N1) თინათინ გონიაშვილის დაპატიმრების შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 30 მარტით. დადგენილებას დაპატიმრების თაობაზე ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი **ავქსენტი რაფავა** და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი **ლეიტენანტი არტაშეს მარქაროვი**. თინათინ გონიაშვილის დაკავებზე პროკურორის მიერ სანქცია გაცემულია 1942 წლის 31 მარტს, 22:50 საათზე.

დანაშაულებრივი საქმიანობის მასალებიდან გაირკვა, რომ თინათინ ბაგრატის ასული გონიაშვილი დაიბადა 1910 წელს, დაბადების ადგილი – ქ. თბილისი, ეროვნებით ქართველი, საქართველოს სსრ-ის მოქალაქე, უპარტიო, ქმართან გაშორებული, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო მარის სახ. ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მცხოვრები თბილისში, ფიროსმანის ქ. №29-ში.

მოპოვებული ინფორმაციით, თინათინ გონიაშვილი აღმოჩნდა ანტისაბჭოთა ელემენტი და მისთვის ცნობილი იყო თბილისში არსებული არალეგალური ფაშისტური ორგანიზაციის შესახებ. ამ ორგანიზაციის ერთ-ერთმა წევრმა **გიორგი თარგამაძემ** ჩვენებაში – კითხვაზე: კიდეც ვისთან ჰქონდა ამ ორგანიზაციის არსებობაზე საუბარი – თქვა: „მე ვუთხარი ჩემს თანამშრომელ **თინა გონიაშვილს**, ენათმეცნიერების განყოფილების თანამშრომელს. მე მას ვაცნობე, რომ გამზადდებით ჯარებს გერმანიის შემოსვლასთან დაკავშირებით საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. ამასთან დაკავშირებით მე მას ვკითხე, რა აზრისა და შეხედულებისა ხარ-მეთქი? ის მაშინვე დამთანხმდა და მთხოვა, ამ ადამიანებთან დამეკავშირებინა“. **ზურაბ მისაბიშვილმა** ჩვენებაში აღნიშნა: „თარგამაძე მოლაპარაკებებს აწარმოებდა სხვადასხვა პირებთან ჩვენს ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად. ასევე, ამ საკითხზე მას საუბარი ჰქონდა თავისი ინსტიტუტის ერთ თანამშრომელთან. თარგამაძემ გვაცნობა, რომ ის აშკარად ანტისაბჭოურად არის განწყობილი, ამ ქალს აქვს დიდი სურვილი და ჩვენი თანამოაზრე არისო“.

თინათინ ბაგრატის ასულ გონიაშვილს შეეფარდა დაპატიმრება და ჩხრეკა (**სშსსა, 1:47-48**).

დადგენილება (ფორმა N2) თინათინ ბაგრატის ასული გონიაშვილისთვის აღკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 31 მარტით. ფორმა N2 გამოტანილი რსფსრ-ს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და 158-ე და საქართველოს სსრ-ს დროებითი წესების 44-ე და 49-ე მუხლების საფუძველზე.

თინათინ გონიაშვილს დაუდგინეს აღკვეთი ღონისძიებად დაკავება და ჩხრეკა (**სშსსა, 1:58**).

რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის საფუძველზე თინათინ გონიაშვილს შეეფარდა პატიმრობა, რაც დაკავებულს აცნობეს.

ფორმა N2-ის ასლი გაიგზავნა პროკურორთან და ციხის უფროსთან პატიმრის პირადი საქმის გასაცნობად და მასზე დასართავად რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 50-ე მუხლის მიხედვით.

დადგენილება (ფორმა N3) თინათინ გონიაშვილისთვის ბრალის წარდგენის შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 17 აპრილით. დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს

სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე** და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი **ლეიტენანტი არტაშეს მარქაროვი**.

ფორმა N3-ის გამოტანისას იხელმძღვანელეს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლის შესაბამისად და ბრალდებული პასუხისგებაში იქნა მიცემული. ამავე დადგენილების ასლი გაიგზავნა პროკურატურაში რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლი საფუძველზე.

განიხილეს საგამომძიებო საქმე N1964 და დაადგინეს, რომ თინათინ ბაგრატის ასული გონიაშვილი ნაციონალისტურად იყო განწყობილი და დაკავშირებული იყო ანტისაბჭოთა ელემენტებთან, თავის თანამშრომლებთან – **დიმიტრი აკიმის ძე ბიგდაისთან** და **გიორგი რაფაელის ძე თარგამაძესთან**. მან იცოდა, რომ ეს უკანასკნელი აყალიბებდა კონტრრევოლუციურ მისტიკურ ორგანიზაციას – „რაინდთა ორდენის კავშირი – სულიერი რაინდები“. **თინათინ გონიაშვილმა** იცოდა კონტრრევოლუციურად მოაზროვნე პიროვნებებისაგან, რომ მიმდინარეობდა მზადება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად და „დამოუკიდებელი საქართველოს“ აღსადგენად. ყველაფერი ამის შესახებ მან იცოდა **ბიგდაისაგან**, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა **გიორგი თარგამაძესთან**.

დადგინდა: იხელმძღვანელეს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე მუხლებით და თინათინ ბაგრატის ასული გონიაშვილი ცნეს დამნაშავედ. მას მიესაჯა სისხლის სამართლის 58/10 ნაწ. 2 და 58/11 მუხლი. დადგენილების ასლები, საპროცესო კოდექსის 146-ე მუხლის თანახმად, გადაიგზავნა პროკურატურაში.

თინათინ გონიაშვილს დადგენილება გააცნეს და ხელი მოაწერინეს (**სშსსა, 14:125**).

ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა 1942 წლის 20 სექტემბერს თინათინ ბაგრატის ასულ გონიაშვილს მიუსაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციის გარეშე (განაჩენი N194) (**სშსსა, 14:17-29**). ის შუა აზიაში გადაასახლეს, დაბრუნების შემდეგ კვლავ აღადგინეს უნივერსიტეტში, სადაც გააგრძელა სამეცნიერო მოღვაწეობა, იკვლევდა ჩაჩნურ-ინგუშურ ენებს.

17. თინათინ თუშმალიშვილი

თინა თუშმალიშვილი ანტისაბჭოთა დაჯგუფების წევრი იყო. ის პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. მამა რეპრესირებული ჰყავდა, რის გამოც მუდმივად გამოხატავდა უკმაყოფილებას არსებული წყობილების მიმართ.

ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში იგი იხსენებს: „დაავადებული ფსიქიკა, რომელიც ხალხს საბჭოთა საქართველოში ცხოვრებამ ჩამოუყალიბა, არ იკურნება. გაბატონებული თვითცენზურა და ხელისუფლების დამოკიდებულება საზოგადოების მიმართ ადამიანებზე დამორგუნველად მოქმედებდა. შუალამისას კარზე კაკუნი, დაპატიმრებული და შემდეგ უგზო-უკვლოდ დაკარგული ახლობელი, გაჩხრეკილი სახლი და წაღებული პირადი ნივთები, შემდეგ საზოგადოების მტრული დამოკიდებულება რეპრესირებული ადამიანების მიმართ. ორიოდ სიტყვით ჩამოყალიბებული ეს შეგრძნებები სამუდამო შიშსა და პროტესტს ბადებდა. უბრალო საუბარში ანტისაბჭოთა განწყობილების გამომჟღავნებისათვის თუ მსგავსი დამოკიდებულების ადამიანებთან მეგობრობის შემთხვევაშიც კი ბრალდებულებს საბჭოთა სასამართლო ტრიბუნები დახვრეტის განაჩენს უდგამდნენ. საშინელი დაღი დაასვა გასაბჭოებამ საზოგადოებას“ („უნივერსიტეტი“ 2009).

თინა თუშმალიშვილი ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წევრობის გამო შინსახკომმა დააპატიმრა.

დადგენილება (ფორმა N1) თინათინ თუშმალიშვილის დაპატიმრების შესახებ 1942 წლის 30 მარტით არის დათარიღებული. დადგენილებას დაპატიმრების თაობაზე ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი ავქსენტი რაფაგა და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი არტაშეს მარქაროვი. დაკავებაზე პროკურორის მიერ სანქცია გაცემულია 1942 წლის 30 მარტს, 22:55 საათზე.

საგამომძიებო მასალებით, თინათინ ალექსანდრეს ასული თუშმალიშვილი დაიბადა 1917 წელს, დაბადების ადგილი – თელავის რაიონის სოფ. წინანდალი, საქართველოს

სსრ-ის მოქალაქე, უმაღლესი განათლებით, პედაგოგი, რუსული ენის მასწავლებელი სოფლის მეურნეობის ინსტიტუტში, ეროვნებით ქართველი, გაუთხოვარი, მამა დაპატიმრებული ჰყავს, როგორც სამშობლოს მტერი, მცხოვრები ჯანაშვილის ქ. №3-ში.

თინა თუშმალიშვილი უკანონო ფაშისტური ორგანიზაციის წევრების ჩვენებებით გამოაშკარავებულია თბილისში. ის მჭიდროდ იყო დაკავშირებული დასახელებულ ორგანიზაციასთან. დაკავებული ორგანიზაციის წევრმა **ზურაბ მისაბიშვილმა** ჩვენებაში განაცხადა: „თარგამაძე და ფარეშიშვილი სანამ ჩემთან სახლში მოვიდოდნენ, გზაზე მათ შეხვდათ თინათინ თუშმალიშვილი და მაყვალა კლიმიძე. რომელიღაც მათგანმა ჰკითხა: „შეკრებაზე მიდიხართ?“ თარგამაძეს ძალიან გაუკვირდა და არ მოეწონა, რომ ამ შეკრების შესახებ სხვებმაც იცოდნენ. როცა თარგამაძემ მითხრა ეს ამბავი, მეც გამიკვირდა: საიდან უნდა სცოდნოდათ მათ ამ შეკრების შესახებ, მაგრამ ვიეჭვეთ, რომ შეიძლება **გიორგი ახოზაძეს** წამოსცდაო...“ პატიმარ მიხეილ კაციტაძის ჩვენებით: „მხოლოდ ჩემ მიერ დასახელებული **მისაბიშვილი** და **ახოზაძე** ჩავრთე ორგანიზაციის შექმნაში, საქმეში სხვა არავინ ჩამირთავს. პირადად მე ამ საქმისათვის საკმაოდ კარგად მყავდა შესწავლილი ახლო მეგობრები...

...თინა თუშმალიშვილი, უპარტიო, ყოფილი ასპირანტი, ასწავლის რუსულ ენას სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, აშკარად ცუდად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, რადგან მას მამა ჰყავდა დაპატიმრებული, საბჭოთა არაფერი მოსწონდა“.

დაპატიმრებულმა **გიორგი ახოზაძემ** ჩვენებაში თქვა: „ჩვენს ანტისაბჭოურ დაჯგუფებაში ვიყავით მე, კაციტაძე, ფანჩულიძე... ვმეგობრობდით სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯგუფთან... ... **თინა თუშმალიშვილი** გამოირჩეოდა განსაკუთრებული ამხანაგური ურთიერთობით ჩვენს ანტისაბჭოურად განწყობილი დაჯგუფებისადმი, რადგან მან იცოდა ჩვენი კონტრრევოლუციური და მტრული განწყობა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. მიუხედავად ამისა, ორგანიზაციის წევრი არ იყო. **ცუხიშვილთან** და **კაჭახიძესთან** შეზღუდული მქონდა პოლიტიკურ თემებზე საუბარი, ამიტომ მათ საერთოდ გამოვრიცხავ ჩართულებიდან. დანარჩენებმა, ვიმეორებ, იცოდნენ ანტისაბჭოურად განწყობილი დაჯგუფების შესახებ და ურთიერთობა ჰქონდათ ჩვენთან“.

დაადგინეს თინათინ თუშმალიშვილის დაპატიმრება და ჩხრეკა (სშსსა, 1:48-49).

დადგენილება (ფორმა N3) თინათინ თუშმალიშვილისთვის ბრალის წარდგენის შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 16 აპრილით. დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიბლაძე** და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი **არტაშეს მარქაროვი**.

ფორმა N3-ის გამოტანისას იხელმძღვანელეს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლის შესაბამისად. დადგენილების ასლის გაიგზავნა პროკურორთან რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლი საფუძველზე.

საგამომძიებო საქმე N1964-ის განხილვისას ყურადღება მიაქცეის, რომ თინათინ ალექსანდრეს ასული თუშმალიშვილი მამის დაპატიმრების შემდეგ მუდმივად გამოთქვამდა უკმაყოფილებას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. ომამდე მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ანტისაბჭოთა ნაციონალისტურ სტუდენტურ დაჯგუფებასთან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ომის დაწყების შემდეგ იცოდა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის არსებობის შესახებ.

თინათინ თუშმალიშვილს მიესაჯა საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ. 2 და 58/12 მუხლი. ბრალდებულს დადგენილება გააცნეს და ხელი მოაწერინეს (**სშსსა, 14:116-117**) (საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ. 2 ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად მიმართული პროპაგანდის ან აგიტაციისთვის, აგრეთვე პასუხისმგებლობას ასეთივე შინაარსის ლიტერატურის დამზადება, შენახვა ან გავრცელებისათვის. ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 58/12 მუხლი ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას იმ პირების მიმართ ვინც ნამდვილად იცოდა კონტრრევოლუციური დანაშაულის არსებობის შესახებ, ან მისი მომზადების შესახებ და არ განაცხადებდა. ეს დანაშაული ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ექვსი თვისა).

მიუხედავად იმისა, თინათინ თუშმალიშვილი ქვეყნის მტრის შვილის სახელით იყო გასამართლებული, ბრალი ვერ დაუმტკიცეს. ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო

ტრიბუნალმა 1942 წლის 20 სექტემბერს სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა (სშსსა, 14:17-29).

„საბჭოთა წყობილების შიში ეხლაც მომყვება. საშინელი გრძნობა იყო, როდესაც სახლთან ღამე მანქანა ჩერდებოდა. ახლაც მაქვს გამოყოლილი შიში მანქანის გაჩერების ხმაზე...“, – იხსენებს საგაზეთო ინტერვიუში **თინათინ თუმშალიშვილი** („უნივერსიტეტი“ 2009).

აქვე სრულად მოგვყავს ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალის განაჩენი იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებიც დახვრეტას გადაურჩნენ და სხვადასხვა სასჯელი დაედოთ.

Дело № 902

СОВ. СЕКРЕТНО

Приговор N194

Именем Союза Советских Социалистических Республик

Военный трибунал Закавказского фронта

11-20 сентября, 1942 г.

В закрытом судебном заседании, в городе Тбилиси в составе: председательствующего военного юриста 2 ранга ФОМЕНА; членов: военного юриста 3 ранга ЗАДАШКО и военного юриста Романовича при секретаре – военном юристе Берловском, рассмотрел дело по обвинению военнослужащих:

7. Заместителя командира роты 35 ЗСП, младшего лейтенанта **Имерлишвили Иосифа Георгиевича**, 1907 года рождения, из крестьян-бедняков, служащего, уроженца, с. Гурджаани Гурджаанского района Грузинской ССР, грузина, имеющего высшее образование, работавшего до призыва в РККА директором средней школы, состоявшего членом ВКП(б) с 1939 года и исключенного в связи с настоящим делом, несудимого, в рядах РККА с 24 июня 1941 года по мобилизации;

8. Командира взвода 35 ЗСП, младшего лейтенанта **Утургаидзе Авксентия Григорьевича**, 1912 года рождения, из крестьян-середняков, служащего, уроженца с. Квемо-Алвани Телавского района Грузинской ССР, грузина, имеющего высшее образование, работавшего до призыва в РККА старшим виноделом, состоявшего кандидатом ВКП(б) с 1940 года и исключенного в связи с настоящим делом, несудимого, в рядах РККА с 24 июня 1941 года по мобилизации;

12. Помкомандира взвода 35 ЗСП, младшего лейтенанта **Лапиашвили Ивана Федоровича**, 1910 года рождения, из крестьян-середняков, служащего уроженца с. Мирзаани Сигнахского района Грузинской ССР, грузина, имеющего высшее образование, работавшего до призыва в РККА преподавателем в средней школе, состоявшего кандидатом ВКП(б) и исключенного в связи с настоящим делом, несудимого, в рядах РККА с 1 сентября 1941 года по мобилизации;

13. Помкомандира взвода 35 ЗСП, младшего лейтенанта **Арсенидзе Георгия Викторовича**, 1910 года рождения, из крестьян-бедняков, служащего, уроженца с. Карчхат Цулукидзевого района Грузинской ССР, грузина, имеющего высшее образование, работавшего до призыва в РККА агрономом райземотдела, беспартийного, несудимого, в рядах РККА с 28 июля 1941 года, по мобилизации;

16. Работника Штаба батальона 802 СП (переводчик немецкого языка), младшего лейтенанта **Шихашвили Вахтанга Ивановича**, 1916 года рождения, из рабочих, служащего, уроженца с. Бодбис-Хеви Сигнахского района Грузинской ССР, грузина, имеющего высшее образование, работавшего до призыва в РККА аспирантом при Тбилисском Госуниверситете, беспартийного, несудимого, в рядах РККА с 9 июля 1941 года по мобилизации;

19. **Имерлишвили Исаака Семеновича**, 1880 года рождения, из крестьян-бедняков, служащего уроженца с. Шильда Кварельского района Грузинской ССР, грузина, грамотного, беспартийного, несудимого, работавшего до ареста лесничим;

20. **Каландадзе Георгия Александровича**, 1911 года рождения, из крестьян-бедняков, служащего уроженца с. Аджари Зестафонского района Грузинской ССР, грузина, имеющего высшее образование, беспартийного, несудимого, до ареста писатель;

21. **Буачидзе Никиту Михайловича**, 1914 года рождения, из служащих, служащего, уроженца с. Харагаули Харагаульского района Грузинской ССР, грузина, имеющего высшее образование, беспартийного, несудимого, до ареста драматург;

25. **Парешивили Або Николаевича**, 1914 года рождения, из служащих, служащего, уроженца г. Душети Грузинской ССР, грузина, имеющего высшее образование, беспартийного, несудимого, работавшего до ареста, аспирантом при Тбилисском Госуниверситете;

26. **Квачадзе Левана Михайловича**, 1916 года рождения, из служащих, служащего, уроженца с. Хайки Земо-Сванетского района Грузинской ССР, грузина, имеющего высшее образование, беспартийного, несудимого, работавшего до ареста преподавателем в средней школе;

28. Командира взвода 35 ЗСП, младшего лейтенанта **Аропидзе Михаила Ивановича**, 1915 года рождения, из крестьян-бедняков, служащего, уроженца, с. Вакиджвари Махарадзевского района Грузинской ССР, грузина, имеющего высшее образование, состоявшего членом ВКП(б) с 1939 года и исключенного в связи с настоящим делом, несудимого, в рядах РККА с 25 августа 1941 года по мобилизации

и граждан:

29. **Цибалашвили Георгия Георгиевича**, 1902 года рождения, из служащих, служащего, уроженца с. Велисхихе Гурджаанского района Грузинской ССР, грузина, имеющего среднее образование, беспартийного, несудимого, работавшего до ареста бухгалтером взвода;

30. **Тупмалишвили Тинатин Александровну**, 1917 года рождения, из служащих, служащую, уроженку с. Цинандали Телавского района Грузинской ССР, грузинку, имеющую высшее образование, беспартийную, несудимую, работавшую до ареста преподавательницей русского языка в Тбилисском с/х институте;

31. **Гониашвили Тинатин Багратовну**, 1910 года рождения, из служащих, служащую, уроженку г. Тбилиси, грузинку, имеющую высшее образование, беспартийную, несудимую, работающую до ареста старшим научным работником при Институте Академии наук Грузинской ССР;

32. **Гергишвили Семен Семенович**, 1912 года рождения, из крестьян-бедняков, служащего, уроженца, с. Кодало Телавского района Грузинской ССР, грузина, имеющего высшее образование, беспартийного, судимого в 1940 году по плану Верховного Совета от 25 июня 1940 года к 4 месяцам ИТР по месту службы с удержанием 25 в доход государства, работающего до ареста литработником Радиокomiteта Грузинской ССР, и всех пятерых в преступлениях, предусмотренных ст.ст. 56-10 ч.6 и 58-12 УК ГССР.

Имерлишвили Исаака Семеновича, Имерлишвили Иосифа Георгиевича, Утургаидзе Аквсентия Григорьевича, Арсенидзе Георгия Викторовича, Каландадзе Георгия Александровича, Буачидзе Никиту Михайловича и Шихашвили Вахтанга Ивановича в том, что они знали от участников военно-фашистской повстанческой организации о существовании последней, выслушивали их революционные разговоры, не принимая участия сами, однако, органы власти до их ареста не поставили в известность, т. е. в преступлении, предусмотренном ст. 58-12 УК ГССР. Предъявленные им же, т. е. Имерлишвили Исааку, Имерлишвили Иосифу, Утургаидзе Аквсентию, Арсенидзе Виктору, Каландадзе Георгию, Буанидзе Никите и Шихашвили Вахтангу признать недоказанными, так как соучастность их к военно-фашистской повстанческой организации и распространению контрреволюционной агитации не нашло себе подтверждение на судебном следствии.

Цибалашвили Георгия Георгиевича, Гониашвили Тинатину Багратовну в том, что они знали от участников военно-фашистской повстанческой организации о существовании последней, выслушивали проводимые ими контрреволюционные разговоры, однако, об этом не доносили органам власти до ареста, т. е. в преступлении, предусмотренном ст. 58-12 УК ГССР. Предъявленное же обвинение Цибалашвили Георгию и Гониашвили Тинатине по ст. 58-10 ч. 2. УК ГССР, как не подтвержденное на судебном заседании, трибунал считает недоказанными.

Гергишвили Семена Семеновича в том, что он в контрреволюционных целях распространял клеветнические измышления в отношении украинского народа и восхвалял фашистские порядки, установленные в оккупированных районах Украины, т. е. в преступлении, предусмотренном ст. 58-10 ч.2. УК ГССР. Предъявленное же Гергишвили обвинение по ст. 58-12 УК ГССР трибунал считает недоказанным, поскольку на судебном следствии это обвинение не подтверждено.

Предъявленное обвинение Квачадзе Левану Михайловичу по ст. 58-2, 58-10, ч. 2 и 58-11 УК, Арошидзе Михаилу Ивановичу, Тушмалишвили Тинатине Александровне по ст. ст. 58-10 ч.2 и 58-12 УК ГССР трибунал считает недоказанным, как не подтвержденное на судебном следствии никакими данными.

Руководствуясь ст. ст. 319, 320 и 326 УПК и на основании ст. ст. 49 и 58-2, 58-10 ч. 2 и 58-12 УК ГССР и учитывая тяжесть совершенного преступления и степень социальной опасности каждого из подсудимых-

ТРИБУНАЛ ПРИГОВОРИЛ:

Лапиашвили Ивана Федоровича и Парешишвили Або Николаевича подвергнуть лишению свободы в ИТЛ сроком на ДЕСЯТЬ лет каждого, с поражением в правах согласно ст. 31 п.п. «А», «Б» и «В» УК ГССР на ПЯТЬ лет каждого и с конфискацией лично принадлежащего им имущества;

Имерлишвили Исаака Семеновича, Имерлишвили Иосифа Георгиевича, Утургаидзе Аквсентия Григорьевича, Арсенидзе Георгия Викторовича, Каландадзе Георгия Александровича, Буачидзе Никиту Михайловича и Шихашвили Вахтанга Ивановича – подвергнуть лишению свободы в ИТЛ сроком на семь лет каждого с поражением в правах согласно ст. 31 п.п. «А», «Б» и «В» УК ГССР на три года каждого и с конфискацией лично им принадлежащего имущества. По ст. 58-2, 58-10 ч. 2 и 58-11 УК ГССР по суду их считать оправданными.

Цибалашвили Георгия Георгиевича лишить свободы в ИТЛ сроком на семь лет с поражением в правах согласно ст. 31 п.п. «А», «Б» и «В» УК на три года и с конфискацией лично принадлежащего ему имущества. По ст. 58-10 ч.2 УК Цибалашвили оправдать.

Гергишвили Семена Семеновича лишить свободы в ИТЛ сроком на СЕМЬ лет с поражением в правах согласно ст. 31 п.п. «А», «Б» и «В» УК на три года без конфискации имущества, по ст. 58-12 УК ГССР Гергишвили оправдать.

Гониашвили Тинатину Богратовну лишить свободы в ИТЛ сроком на пять лет без поражения в правах и без конфискации имущества. По ст. 58-10 ч. 2 УК ГССР Гониашвили оправдать.

Квачадзе Левана Михайловича по ст.ст. 58-2, 58-10 ч.2 и 58-11 УК ГССР Арошидзе Михаила Ивановича по ст.ст. 58-10 ч. 2 и 58-12 УК ГССР Тушмалишвили Тинатину Александровну по ст.ст. 58-10 ч. 2 и 58-12 УК ГССР – по суду считать оправданным за недоказанностью состава преступления.

Зачесть предварительное заключение и срок меры наказания исчислять: Лапиашвили Ивану Федоровичу с 11 января 1942 года; Парешишвили Або Николевича с 20 марта 1942 года; Имерлишвили Исааку Семновичу с 20 февраля 1942 года; Имерлишвили Иосифу Георгиевичу с 2 марта 1942 года; Утургаидзе Аквсентию Григорьевичу с 20 февраля 1942 года; Каландадзе Георгию Александровичу с 7 марта 1942 года; Буачидзу Никите Михайловичу с 23 января 1942 года; Шихашвили Вахтангу Ивановичу с 20 февраля 1942 года; Цибалашвили Георгию Георгиевичу с 18 февраля 1942 года; Гониашвили Тинатине Багратовне с 31 января 1942 года и Гергишвили Семену Семновичу с 20 марта 1942 года.

Приговор окончательный и обжалованию не подлежит. Подлинники за надлежащими подписями разосланы по списку.

22.9.42 Л.а. ВЕРНО: ПРЕДСЕДАТЕЛЬСТ. ВОЕННЫЙ ЮРИСТ (ФОМИН) (სმსსა, 14:17-29).

§4. რეაბილიტაცია

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში მოძიებულ დოკუმენტაციაში არის სხვადასხვა დადგენილებები, როგორებიც არის: დაპატიმრების თაობაზე (ფორმა N1); აღკვეთი ღონისძიების შეფარდების თაობაზე (ფორმა N2); ბრალის წარდგენის თაობაზე (ფორმა N3). ვისაც რამე შეეხება ჰქონდა ანტისაბჭოურად მოაზროვნე ადამიანთან, მათაც ასამართლებდნენ, როგორც ეჭვმიტანილებს, სჯიდნენ,

ფრონტზე აგზავნიდნენ, ან „ათავისუფლებდნენ“, მაგრამ მუდმივ თვალთვალს უწყებდნენ. ათავისუფლებდნენ იმის გამო, რომ მოწმეების ჩვენებები ბრალის წარსადგენად არ იყო საკმარისი. ზოგიერთს თანამშრომლობაზე ითანხმებდნენ, რადგან ყველა ვერ უძლებდა აუტანელ ფიზიკურ ტანჯვასა და მუდმივი შიშით ცხოვრებას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტებში შეგვხვდა გვარები: მაგალითად, **ილია ვალერიანეს ძე ჭყონიას** საგამომიებო საქმე (N1964), დათარიღებული 1942 წლის 25 აგვისტოთი, გაუქმებულია. დოკუმენტს ხელს აწერს საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელწიფო უშიშროების საიდუმლო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლავანოვი (სშსსა, 11:8)**; აქვე გვხვდება **ალექსანდრე გურასპის ძე ასათიანის** დადგენილება (ფორმა N3) ბრალის წარდგენის თაობაზე, რომელიც დათარიღებულია 1942 წლის 20 აპრილით. დოკუმენტს ხელს აწერენ უშიშროების უფროსი, კაპიტანი **ირაკლი ნიზლაძე** და უფროსი ლეიტენანტი **არტაშეს მარქაროვი**, თუმცა სხდომის განაჩენში მისი გვარი არ არის ჩაწერილი (**სშსსა, 1:43-44**); **ვალერიან გაბელია**, რომელიც არ დაუპატიმრებიათ და პირდაპირ ფრონტზე გაუშვეს (**სშსსა, 1:16**); არსებულ საქმესთან დაკავშირებით 1942 წლის 28 აპრილს დაკავებულია საქართველოს მეცნიერების აკადემიის უფროსი ლაბორანტი **დიმიტრი აკიმის ძე ბიგდაი**, რომელიც არ გაუსამართლებიათ (**სშსსა, 7:12-13**). ხშირ შემთხვევაში თავის დასახსნელად ტყუილ ჩვენებასაც აძლევდნენ. სამწუხარო ფაქტია, რომ სწორედ სამშობლოსათვის გულანთებული ადამიანები ეწირებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების დაუნდობელ პოლიტიკას. ყველა დადგენილებაში შეთქმულთა ერთი საერთო მიზანი იკვეთება – „დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენა“.

არქივში დაცული დოკუმენტაციიდან თუ ვიმსჯელებთ, შეთქმულების წევრებს დიდი დანაშაული მიუძღვით ქვეყნის წინაშე. ასე უნდოდათ ისინი გამოჩენილიყვნენ საბჭოთა „სამშობლოში“ მაშინ, როცა გერმანიის ჯარების მოსკოვთან იდგნენ. არა მარტო დაპატიმრებულებს ჰქონდათ „**ქვეყნის მტრის**“ სახელი, არამედ მათი ოჯახის წევრებსაც.

ჩვიდმეტ ადამიანს დახვრეტა მიუსაჯეს, სხვებს – გადასახლება, ყველას ქონების კონფისკაციით. მხოლოდ სამი გაათავისუფლეს. ასე დასრულდა ეს ამბავი. ამაზე საუბარს ვერავინ ბედავდა, ეს თემა საქართველოში ტაბუდადებული იყო.

ახალგაზრდა ინტელექტუალური ადამიანები, რომლებიც დიდ კულტურულ მემკვიდრეობას შექმნიდნენ, XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს თავისუფლებისა-

თვის ბრძოლას შეეწირნენ. დახვრეტილთა ოჯახებმა არ იცოდნენ, რა ბედი ეწიათ მათ ახლობლებს. ზოგი გარკვევას ითხოვდა, თუ სად იყო მათი შვილი, მამა თუ ძმა, ზოგი – მიმოწერის უფლებას, ზოგი მათ გამოიჩენას მუდმივად ელოდა, ზოგსაც ეგონა, მისმა ახლობელმა თავი დააღწია საბჭოეთს და ის უცხოეთში ეგულებოდათ. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ე. წ. „დათბობის“ პერიოდში, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებაში ნიკიტა ხრუშჩოვი მოვიდა, ზოგმა შეძლო თავისი ოჯახისათვის ჩამოერეცხა ის სამარცხვინო სახელი, რასაც „ხალხის მტერი“ ერქვა. რეპრესირებულთა ოჯახები ითხოვდნენ, ეცნობებინათ მათი ახლობლების ბედის შესახებ. ისინი, აგრეთვე, ითხოვდნენ თავიანთ ქონებას, რომელიც, მათი აზრით, სასამართლოს გზით უკანონოდ ჰქონდათ ჩამორთმეული. მსგავსი თხოვნები დაცულია არქივში. მოვიყვანთ ზოგიერთ მათგანს (კიტა ბუაჩიძისა და გიორგი არსენიძის მეუღლის წერილებს):

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო უშიშროების
კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ა. ნ. ინაურს

დრამატურგ კიტა (ნიკიტა) მიხეილის ძე ბუაჩიძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

1942 წლის იანვარში დაპატიმრებული ვიყავი საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის ორგანოების მიერ. იმავე წლის სექტემბერში ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა სისხლის სამართლის კოდექსის 58-12 მუხლით მომისაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ ამა წლის 30 სექტემბრის დადგენილებით N3H-09366(57) ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალის განაჩენი ჩემ მიმართ, როგორც უსაფუძვლო, გააუქმა და საქმე მოსპო.

გაცნობებთ, რომ დაპატიმრების გამო 1942 წელს ჩამომართვეს არა მხოლოდ ბინა (მის დაბრუნებას არ ვითხოვ), არამედ ზოგიერთი ნივთიც, ფული – 6 ათასი მანეთი, ათ

ცალამდე ჩასაწერი წიგნაკი (რუსულად – записные книги), რომლებიც ჩემთვის საჭიროა ლიტერატურულ მუშაობაში, ნაწილი ჩემი ბიბლიოთეკისა საოჯახო ნივთებთან ერთად, უსინდისოდ მითვისა ვინმე გვაზავამ, რომელიც ჩაასახლეს ჩემს ბინაში (ბროსეს ქ. N8).

გთხოვთ გასცეთ განკარგულება ჩემი კუთვნილების დაბრუნების შესახებ.

დრამატურგი კიტა ბუაჩიძე

თბილისი, მახარაძის ქ. N13

23. 12. 1957 წ. (სშსსა, 3:1-3).

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის

თავ-რეს გენერალ-მაიორს,

ამხ. ინაურს ა. ნ.

მცხ. ზესტაფონში, მარქსის 1 შესახ. 3

არსენიძე სოფიკო აბრაამის ასულის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ ჩემი მეუღლე არსენიძე გიორგი ვიქტორის ძე დაიბადა 1910 წ. დაპატიმრებული იყო 1942 წ. 17 თებერვალს შინსახკომის მიერ. ამჟამად საკავშირო უმაღლესი კოლეგიის მიერ დანაშაულის უქონლობის გამო რეაბილიტირებულია. იმ დროს ჩემი მეუღლითა და ჩემი შვილებით ვცხოვრობდით ავჭალაში. გთხოვთ, გადახედოთ თქვენთან არსებულ მასალებს და მომცეთ ცნობა იმის შესახებ, რომ რამდენი სული ვიყავით მის კმაყოფაზე დაჭერის მომენტში, აგრეთვე, რა თანამდებობაზე მუშაობდა ჩემი მეუღლე იმ დროს.

ვინაიდან ამ საკითხზე განსაკუთრებულად ვარ ჩამოსული რაიონიდან, ავადმყოფობისა გამო ლოდიანი არ შემიძლია. გთხოვთ დამიჩქაროთ პასუხი და გამომიძახოთ ელსმენით: 5-11-13.

პატივისცემით: არსენიძე ს. ა.

30.3.64 წელი (სშსსა 7:43-44).

კონსტანტინე ხიმშიაშვილის რეაბილიტაციის შესახებ მეუღლემ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ენის კათედრის თანამშრომელმა) თხოვნით მიმართა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პროკურატურას, რომელიც არ დაკმაყოფილდა:

Прокуратура ССР

Военная прокуратура Закавказского Военного Округа

21 марта 1962 г.

№5/472-54 г.

Город Тбилиси, улица Атарбекова

Гр-ке Кадеишвили Нуну Григорьевне

Гор. Тбилиси, ул. пекинская №51, кв. 92.

Военной прокуратурой ЗакВО рассмотрена ваша жалоба от 12 декабря 1961 года, в котором вы оспариваете правильность осуждения в 1942 году вашего мужа **Химшиашвили Константина Александровича**.

Проверкой дела установлено, что военным трибуналом **Химшиашвили К. А.** был осужден правильно и основания для отмены приговора по его делу не имеется. Ваши жалоба оставлена **без удовлетворения**.

Зам. Военного прокурора Закво

Полковник Юстиции **Н. Дмитрев**“ (გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი არქივი, №26770-13).

ამ უარის მიუხედავად, კონსტანტინე ხიმშიაშვილის ოჯახის წევრებს არ შეუწყვეტიათ ბრძოლა მიზნის მისაღწევად. ამის მაგალითია მისი დის, საბავშვო მწერლის **დოდო ვადაჭკორიას** წერილი, რომელიც გააგზავნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობაში.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს

გრიგოლ აბაშიძეს

დოდო ალექსანდრეს ასულ ვადაჭკორიას

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ჩემი ძმა, კოტე ხიმშიაშვილი, ახალგაზრდა მწერალი, დაპატიმრებულ იქნა 1942 წლის 30 იანვარს. 1942 წლის 8 სექტემბერს ა/კავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალის მიერ გასამართლებულ იქნა პოლიტიკურ დანაშაულთა გათვალისწინებით და შეეფარდა სასჯელის უმაღლესი ზომა, რომელიც მოყვანილია სისრულეში 1942 წლის ოქტომბერში.

იმხანად შექმნილი მდგომარეობა (უმძიმესი წლებია სსრ კავშირში) და, კერძოდ, საქართველოში, არ იძლეოდა ალბათ საშუალებას, გულდასმით და ჭეშმარიტად განსაზღვრულიყო ჩემი ძმისადმი წაყენებულ ბრალდებათა დადასტურება – უმძიმესი სასჯელის გამოტანისას და, მით უმეტეს, გამოძიების დროს. გამომძიებლებმა და ბრალმძებლებმა ჩემი ძმა გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენეს.

როგორც თქვენ მოგეხსენებათ, ბატონო გრიგოლ, კოტე ხიმშიაშვილი მაღალნიჭიერი, ერუდირებული, ენების მცოდნე, ზომიერი ხასიათის ახალგაზრდა იყო. მის ხასიათს არ ჰგავს რაღაც დაუფიქრებელი, არასერიოზული ნაბიჯები, მით უმეტეს, სამშობლოს ღალატი. იმ დროისთვის, თუმცა სულ რაღაც ოცდახუთი წლისა იყო, ისეთი დიდი ავტორიტეტები, როგორიც ბრძანდებოდნენ – ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკოლოზ ლორთქიფანიძე, კონსტანტინე გამსახურდია – მას უნიჭიერეს ახალგაზრდად თვლიდნენ, მისგან დიდ მომავალს მოელოდნენ.

მართალია, ჩემსა და ჩემს ძმას შორის ექვსი წელი იყო განსხვავება, მაგრამ კარგად ვიცოდი მისი სერიოზული და არამერყევი ხასიათი. კოტე, ჯერ კიდევ თექვსმეტი წლისა, კომკავშირის მდივანი იყო, სახელმწიფო უნივერსიტეტი ბრწყინვალედ დაამთავრა. ასევე კარგად ჩააბარა ასპირანტურაში შესასვლელი გამოცდები, თითქმის მზად ჰქონდა სადისერტაციო თემა, დაწერილი აქვს იმდროისთვის ძალიან გახმაურებული და მოწო-

ნებული რომანი „ჯონქა ხორანაული“ და ორმოცამდე მაღალი გემოვნებით დაწერილი ნოველა თუ ესკიზი.

1941 წლის ივნისამდე განუწყვეტლივ იბეჭდებოდა ჩვენს პრესაში მისი ნაწარმოებები. გამზადებული ჰქონდა სტამბაში ჩასაშვებად თხუთმეტი ფორმის რაოდენობით წიგნი, მაგრამ დაიწყო ომი და თავისივე თხოვნით კოტე სამამულო ომში წავიდა, ჯარში შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში. ყველაფერ ამის შემდეგ დააპატიმრეს და მისი შემდგომი ბედი უკვე მოგახსენეთ.

გთხოვთ, დამეხმაროთ, ჩემი ძმა, **კოტე ხიმშიაშვილი**, აღდგენილ იქნეს თავისუფლებაში, მოეხსნას არასასურველი და სამარცხვინო ლაქა, რომელიც მის სახელს აკრავს და მუდამ თან სდევს მის შთამომავლობას.

დ. ვადაჭკორია (გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი არქივი, N29058-8).

ბრძოლამ შედეგი გამოიღო. 1968 წლის 20 ივნისს საქმე გადასინჯეს და **კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ხიმშიაშვილი** რეზილიტირებულად გამოაცხადეს. ამას მოწმობს ცნობა სამხედრო პროკურატურიდან (**გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი არქივი, N26770-18**).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია ასევე ზურაბ მისაბიშვილის დის წერილი, რომელიც შემდეგი შინაარსისაა:

საქართველო სსრ პროკურორს ანხ. ვ. ა. რაზმაძეს

ელენე ნიკოლოზის ასული მისაბიშვილის

ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. 82, I სად., მე-4 სახლი

(**მცხ. რ. გ. დევდარიანი**)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

1942 წელს გაასამართლეს და სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯეს ჩემს ძმას, **ზურაბ ნიკოლოზის ძე მისაბიშვილს**, რომელიც იმდროისათვის ირიცხებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტად. **ზურაბ მისაბიშვილთან** ერთად გაასამართლეს **კ. ხიმშიაშვილი, კ. ბუაჩიძე, ლ. კვაჭაძე, კაციტაძე, იმერლიშვილები**. ჩემი ძმის მიმართ განაჩენი მოიყვანეს სისრულეში (რამდენადაც მე ვიცი). მე არ შეუდგები

იმის გადმოცემას და ალბათ ვერც შევძლებ, თუ რა სულიერი ტრამვა მიაყენა ჩვენს ოჯახს ჩემი ძმის ტრაგიკულმა ბედმა, რომელიც 25 წლის ასაკში მოკლეს.

გთხოვთ განიხილოთ მისი მსჯავრდების კანონიერების საკითხი და მაცნობოთ.

30. 12. 1988 წ. (სშსსა, 14:3-5).

გიორგი ძიგვაშვილის რეაბილიტაციაც მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში მოხდა. მისი ძმის, სულიკო მიხეილის ძე ძიგვაშვილის განცხადება დაცულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში:

თბილისი-ათარბეგოვის ქ. N32

საქ. სსრ. პროკურორის იუსტიციის მეორე კლასის სახელმწიფო მრჩევლს

ამხ. მ. ა. რაზმაძეს

ვანის რაიონის სოფელ ციხესულორში მცხოვრებ

სულიკო მიხეილის ძე ძიგვაშვილის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ჩემი ძმა, **გიორგი მიხეილის ძე ძიგვაშვილი**, დაიბადა 1917 წელს ვანის რაიონის სოფელ ციხესულორში, გლეხის ოჯახში. შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. სტუდენტობის დროს გაწვეულ იქნა წითელ არმიაში და მონაწილეობა მიიღო დასავლეთ უკრაინის განთავისუფლების ოპერაციებში.

გიორგი ძიგვაშვილი იყო პოეტი და სტუდენტობის დროსვე მისი ლექსები და თარგმანები ხშირად იბეჭდებოდა ლიტერატურულ ორგანოებში. ომის წლებში თბილისში რეპრესირებული იქნა და დახვრიტეს. **გიორგი ძიგვაშვილი** იყო ქ. თბილისში მცხოვრები, ცხოვრობდა სამღებროს ქ. 5-ში დაახლოებით 1936 წლიდან.

გიორგი ძიგვაშვილთან ერთად დახვრიტეს მისი ამხანაგი, მწერალი **კოტე ხიმშიაშვილი**, რომელიც იმავე საქმისათვის იყო რეპრესირებული. იგი ამჟამად რეაბილიტირებულია.

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი ძმის, **გიორგი მიხეილის ძე ძიგვაშვილის**, რეაბილიტაციის საკითხი.

15. 02. 1989 წ.

ს. ძიგვაშვილი (სშსსა, 13:9).

საპასუხო წერილი მიიღო გიორგი ძიგვაშვილის ძმამ.

ს. ძ. ძიგვაშვილს

მცხ. ვანის რაიონი, ს. ციხესულორი

თქვენი განცხადება ძმის, გიორგი მიხეილის ძე ძიგვაშვილის, რეაბილიტაციის შესახებ საქართველოს სსრ პროკურატურაში განხილულია.

გაცნობებთ, რომ სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1988 წლის 10 ნოემბრის დადგენილებით **გ. ძ. ძიგვაშვილის** მიმართ სისხლის სამართლის საქმე წარმოებით შეწყვეტილია მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო და იგი რეაბილიტირებულია.

საქართველოს სსრ პროკურატური

სახ. უშიშროების ორგანოებში გამოძიებაზე ზედამხედველობის

განყოფილების უფროსი **ვ. ს. გელაშვილი**

03. 03. 89 წ. (სშსსა 13:10).

დრო შეიცვალა და ეროვნული მოძრაობის პერიოდში საქართველოში ბევრმა ახლობლის ამბავი პრესის ფურცლებიდან შეიტყო, რაც მათთვის თავზარდამცემი იყო.

1990 წელს გაზეთებიდან შეიტყო **გიორგი იმერლიშვილის** ოჯახმა, რომ ის 1942 წელს დაუხვრეტიათ, რომელიც მანამდე უგზო-უკვლოდ დაკარგული ეგონათ.

1988 წლის 10 ნოემბერს სსრკ-ის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება 1942 წლის მსჯავრდებულებზე. სამხედრო კოლეგიას ხელმძღვანელობდა იუსტიციის გენერალ-მაიორი **ი. გ. სურგოვი**, წევრები იყვნენ: იუსტიციის გენერალ-მაიორები **ვ. ბ. ბელიავსკი** და **ა. დ. ტარასოვი**. მათ განიხილეს მთავარი სამხედრო პროკურორის მოვალეობის შემსრულებლის პროტესტი და იმსჯელეს შეთქმულთა

საქმეზე. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ სასამართლოს მიმდინარეობის დროს მსჯავრდებულებს ფიზიკურად უსწორდებოდნენ, რაც ზეგავლენას ახდენდა მათ აღიარებებზე. ამ საქმეში გამოირჩეოდა ა. მ. მარქაროვი, რომელიც მუდმივად ესწრებოდა სასამართლო პროცესებს. ის 1954 წელს გაათავისუფლეს უშიშროების სამსახურიდან სისხლის სამართლის კანონების უხეში დარღვევებისათვის.

საქმის მასალების გადახედვისა და განხილვის შემდეგ, სამხედრო კოლეგიამ იმსჯელა და პროტესტი დააკმაყოფილა. საქმის მსვლელობა შეაჩერეს, რადგან არ იყო საკმაო მტკიცებულებები და ვერ ნახეს მათში დანაშაულებრივი ქმედებები. დოკუმენტი მოგვყავს უცვლელად.

ВЕРХОВНЫЙ СУД СОЮЗА ССР

ОПРЕДЕЛЕНИЕ №3н-0936657

ВОЕННАЯ КОЛЛЕГИЯ ВЕРХОВНОГО СУДА СССР

В составе: Председательствующего генерал-майора юстиции Суркова И. Г. и членов: генерал-майора юстиции Белявского В. Б., генерал-майора юстиции Тарасова А. Д. рассмотрела в заседании от «10» ноября 1988 г. протест врио Главного военного прокурора по делу Имерлишвили Г. С., Имерлишвили М. Я., Джоглидзе К. С., Дзигвашвили Г. М., Кацитадзе М. И., Мисабишвили З. Н., Ахобадзе Г. М., Таргамадзе Г. Р., Сабашвили М. М., Бурдиашвили Д. И., Торадзе Л. И., Батиашвили Р. Ф., Шавианидзе Ш. Н., Шаншиашвили Т. М., Кадагидзе Г. И., Имерлишвили С. А., Лапиашвили И. Ф., Парешишвили А. Н., Имерлишвили И. С., Цибалашвили Г. Г. по приговору военного трибунала Закавказского фронта от 20 сентября 1942 года осуждены: на основании ст.ст. 58-2, 58-10 ч.2 и 58-11 УК Грузинской ССР к расстрелу с конфискацией всего лично принадлежащего им имущества Имерлишвили Георгий Семенович, 1914 года рождения, уроженец с. Шильда Кварельского района Грузинской ССР, грузин; Имерлишвили Михаил Ясонович, 1913 года рождения, уроженец села Гурджаани Гурджаанского района Грузинской ССР, грузин; Джоглидзе Константин Сергеевич, 1915 года рождения, уроженец села Кулаши Самтредского района Грузинской ССР, грузин; Дзигвашвили Георгий Михайлович, 1917 года рождения, уроженец села Цихесулари Ванского района Грузинской ССР, грузин; Кацитадзе Михаил

Ильич, 1912 года рождения, уроженец села Барсули Амбролаурского района Грузинской ССР, грузин; Мисабишвили Зураб Николаевич, 1916 года рождения, уроженец города Сухуми Грузинской ССР, грузин; Ахобадзе Георгий Михайлович, 1916 года рождения, уроженец города Самтредиа Грузинской ССР, грузин; Таргмадзе Георгий Рафаелович, 1915 года рождения, уроженец города Тбилиси, грузин; Сабашвили Михаил Михайлович, 1918 года рождения, уроженец города Махарадзе Грузинской ССР, грузин; Бурдиашвили Дмитрий Исаакович, 1914 года рождения, уроженец села Шильда Кварельского района Грузинской ССР, грузин; Торадзе Леван Иванович, 1915 года рождения, уроженец села Цинандали Телавского района Грузинской ССР, грузин; Батиашвили Роман Федорович, 1913 года рождения, уроженец села Бодбис-Хеви Сигнахского района Грузинской ССР, грузин; Шавианидзе Шалва Наумович, 1915 года рождения, уроженец города Кутаиси Грузинской ССР, грузин; Шаншиашвили Турман Моисеевич, 1914 года рождения, уроженец Квемо Мачхаани Сигнахского района Грузинской ССР, грузин; Кадагидзе Георгий Иванович, 1914 года рождения, уроженец села Алвани Телавского района Грузинской ССР, грузин; Имерлишвили Соломон Андреевич, 1904 года рождения, уроженец села Шильда Кварельского района Грузинской ССР, грузин – на основании ст. ст. 58-2, 58-10 ч. 2 и 58-11 УК Грузинской ССР каждый к десяти годам лишения свободы в исправительно-трудовых лагерях с конфискацией имущества и поражением в правах на пять лет.

Лапиашвили Иван Федорович, 1910 года рождения, уроженец села Мирзаани Сигнахского района Грузинской ССР, грузин; Парешишвили Або Николаевич, 1914 года рождения, уроженец города Тбилиси, грузин – на основании ст. 58-12 УК Грузинской ССР каждый к семи годам лишения свободы в исправительно-трудовых лагерях с конфискацией имущества и поражением в правах на три года.

Имерлишвили Исаак Семенович, 1880 года рождения, уроженец с. Шильда Кварельского района Грузинской ССР, грузин; Цибалашвили Георгий Георгиевич, 1902 года рождения, уроженец села Велисхихе Гурджаанского района Грузинской ССР, грузин. Этот же приговор в отношении Имерлишвили И. Г., Утургаидзе А. Г., Арсенидзе Г. В., Шихашвили В. И., Каландадзе Г. А., Буачидзе Н. М., Гониашвили Т. Б., Гергишвили С. С., Химшиашвили К. А. Военной коллегией Верховного Суда за недоказанностью предъявленного обвинения.

Заслушав доклад генерал-майора юстиции Тарасова А. Д. и выступления военного прокурора отдела Главной военной прокуратуры подполковника юстиции Соболева В. Н. в обоснование протеста, Военная коллегия Верховного Суда СССР, установила: Имерлишвили Г. С., Имерлишвили М. Я., Джоглидзе К. С., Дзигвашвили Г. М., Кацитадзе М. И., Мисабишвили З. Н., Ахобадзе Г. М., Таргамадзе Г. Р., Сабашвили М. М., Бурдиашвили Д. И., Торадзе Л. И., Батиашвили Р. Ф., Шавианидзе Ш. Н., Шаншиашвили Т. М., Кадагидзе Г. И., Имерлишвили С. А., Лапиашвили И. Ф. и Парешишвили А. Н. признаны виновными в том, что, будучи враждебно настроенными к социалистическому строю, в 1941 году создали военно-фашистскую повстанческую организацию, ставившую целью свержение советской власти на территории Грузии путем вооруженного восстания и восстановления власти капиталистов под протекторатом фашистской Германии, проводили среди военнослужащих и гражданского населения вербовку в эту организацию, распространяли пораженческие настроения и готовились к вооруженному свержению советской власти.

Имерлишвили И. С. и Цибалашвили Г. Г. признаны виновными в том, что, зная о существовании указанной организации, выслушивали от ее участников контрреволюционные разговоры и не донесли об этом в органы власти. В протесте врио Главного военного прокурора ставится вопрос об отмене приговора в отношении Имерлишвили Г. С., Имерлишвили М. Я., Джоглидзе К. С., Дзигвашвили Г. М., Кацитадзе М. И., Мисабишвили З. Н., Ахобадзе Г. М., Таргамадзе Г. Р., Сабашвили М. М., Бурдиашвили Д. И., Торадзе Л. И., Батиашвили Р. Ф., Шавианидзе Ш. Н., Шаншиашвили Т. М., Кадагидзе Г. И., Имерлишвили С. А., Лапиашвили И. Ф., Парешишвили А. Н., Имерлишвили И. С. и Цибалашвили Г. Г. и прекращении дела за отсутствием в их действиях состава преступления. В протесте указывается, что в материалах дела нет доказательств, свидетельствующих о совершении указанными лицами конкретных действий, направленных на создание антисоветской организации. Пораженческие разговоры осужденных были вызваны действительным тяжелым положением советских войск на фронтах в 1941 году, но эти разговоры не содержали призыва к подрыву, свержению или ослаблению советской власти или к совершению контрреволюционных преступлений. Имерлишвили И. С. и Цибалашвили Г. Г. не располагали достоверными сведениями о наличии контрреволюционной организации. В основу обвинения положены непоследовательные противоречи-

вые показания осужденных в отношении друг друга. Кроме того, в ходе дополнительного расследования установлено, что предварительное следствие было проведено с грубыми нарушениям закона, с применением незаконных методов ведения следствия. В частности, Квачадзе Л. М., Каландадзе Г. А., Гониашвили Т. Б., Тушмалишвили Т. А. показали, что вследствие систематического избиения они вынуждены были оговорить себя. Проводивший следствие Маркаров А. М. в процессе судебного разбирательства присутствовал в зале суда и оказывал влияние на подсудимых. В 1954 году он уволен из органов госбезопасности за грубые нарушения соцзаконности при расследовании уголовных дел. При таких обстоятельствах, делается вывод в протесте – упомянутые лица осуждены необоснованно. Рассмотрев материалы дела и обсудив доводы, приведенные в протесте, Военная коллегия Верховного Суда СССР находит протест подлежащим удовлетворению по изложенным в нем основаниям. Руководствуясь ст. 48 Основ уголовного судопроизводства Союза СССР и союзных республик, Военная коллегия Верховного Суда СССР

Определила

Приговор военного трибунала Закавказского Фронта от 20 сентября 1942 года в отношении Имерлишвили Георгия Семеновича, Имерлишвили Михаила Ясоновича, Джоглидзе Константина Сергеевича, Дзигвашвили Георгия Михайловича, Кацитадзе Михаила Ильича, Мисабишвили Зураба Николаевича, Ахобадзе Георгия Михайловича, Таргамадзе Георгия Рафаеловича, Сабашвили Михаила Михайловича, Бурдиашвили Дмитрия Исааковича, Торадзе Левана Ивановича, Батиашвили Роман Федоровича, Шавианидзе Шалвы Наумовича, Шаншиашвили Турмана Моисеевича, Кадагидзе Георгия Ивановича, Имерлишвили Соломона Андреевича, Лапиашвили Ивана Федоровича, Парешишвили Або Николаевича, Имерлишвили Исаака Семеновича и Цибалашвили Георгия Георгиевича отменить, а дело прекратить за отсутствием в их действиях состава преступления.

Подлинное за надлежащими подписями,

С подлинным верно:

Председательствующий судебного состава Военной коллегии,

Верховной коллегии,

Верховного Суда СССР Генерал-майор юстиции **А. Тарасов.**

თავი II. თუშთა შეთქმულება

§1. თუშების ჩაბმა შეთქმულებაში

XX საუკუნის 40-იანი წლების თუშთა შეთქმულება „სამანელების“ (საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლი ნაციონალისტები) სახელით არის ცნობილი. ამ სიტყვას ასეც განმარტავენ: „სამანი ქალაქია ირანში, შრი-ლანკური ღვთაების სახელია, ტრადიციული ინდონეზიური ცეკვაა, ძველქართული სიტყვაა და მიჯნას, სამიჯნოს აღნიშნავს“ (კერესელიძე 2018:5).

შეთქმულთა საქმეს უკვალოდ არ ჩაუვლია, ის თუშებმა გააგრძელეს. თუშებს, ისე როგორც შეთქმულებს, ერთი მიზანი და სურვილი ჰქონდათ: საქართველოს გათავისუფლება საბჭოთა რეჟიმისაგან და სამშობლოს დამოუკიდებლობის აღდგენა. მათ იმედი ჰქონდათ, რომ გერმანია ომში გაიმარჯვებდა, მით უფრო, რომ გერმანიის ჯარები უკვე კავკასიის შემოსასვლელებთან იდგნენ:

„არმავირის მხარეს ფრონტი იყო გახსნილი. გერმანელები კავკასიონთან იყვნენ მომდგრები... ფშავ-ხევსურეთის მთები ტკვავში იყო გახვეული... ხედვა-ხედვაში მეგონა ღრუბლებზე ვიჯექი“, – ასე აღწერს იმ პერიოდს უკანასკნელი სამანელი გოგალე ხოხიაიძე (არაბული 2010:23).

სამანელების აზრით, საქართველოს დიპლომატიური ნაბიჯი უნდა გადაედგა, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა გაითელებოდა და გაპარტახდებოდა. თუ გერმანიის დახმარებით საბჭოთა ხელისუფლება დამარცხდებოდა, ქართველ ხალხს ელისებოდა თავისუფალი ცხოვრება დამოუკიდებელ ქვეყანაში.

შეთქმულთა დაპატიმრების მომდევნო წლებში ხელისუფლებით უკმაყოფილო პატრიოტულად განწყობილი ადამიანები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ, ქმნიდნენ პატარ-პატარა ჯგუფებს და საქართველოს გათავისუფლების სურვილით ერთიანდებოდნენ. მათთვის მტრის მტერი უფრო მისაღები იყო, რადგან ფიქრობდნენ, რომ საკუთარ მტერს ადვილად დაამარცხებდნენ.

შეთქმულები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავის მეგობრებსა და სანდო პირებს ორგანიზაციის არსებობის შესახებ ამცნობდნენ და მასში აწევრიანებდნენ. მაგალითად, ფარული ორგანიზაციის ერთ-ერთმა აქტიურმა წევრმა, **გიორგი ქადაგიძემ** ორგანიზაციაში გააწევრიანა თანასოფლელი **ადამ იასონის ძე ბობღიაშვილი**, ამავე პრინციპით ჩართეს **მიხეილ (ზედმეტ სახელად „ფანცალა“) იმედიძე**.

მოვლენების განვითარება თუშეთში შეთქმულთა გამოაშკარავებასა და დაპატიმრებას მოჰყვა. **გიორგი ქადაგიძის** დაჭერით შეშინებული **ადამ ბობღიაშვილი**, **გიგო ქააძე** და **მიხეილ იმედიძე** დედაქალაქიდან თუშეთში ავიდნენ. 1942 წლის ოქტომბერში არალეგალურ საქმიანობაში უკვე ჩართეს ყველა საიმედო პირი და აგრეთვე წითელი არმიის დეზერტირები.

1942 წლის შემოდგომაზე მათი არსებობა გაცხადდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულ დადგენილებას (ფორმა N1) დაპატიმრების თაობაზე და დადგენილებას (ფორმა N3) ბრალის წარდგენის თაობაზე ხელს აწერს საქართველოს სსრ-ის შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების პირველი განყოფილების უფროსი, მაიორი **მოროზოვი**.

1. **ადამ იასონის ძე ბობღიაშვილი;**
2. **ზაგრატ პავლეს ძე თავბერიძე;**
3. **გიორგი ალექსანდრეს ძე ვეშაგურიძე;**
4. **ივანე დავითის ძე მაჩაბლიშვილი;**
5. **ივანე სიმონის ძე არინდაული,**
6. **გოგალე მიხეილის ძე მინდაძე;**
7. **ივანე დავითის ძე მაჩაბლიშვილი;**
8. **მიხეილ მიხეილის ძე იმედიძე**

მხილებული არიან, რომ ისინი იყვნენ ტერორისტული ორგანიზაციის წევრები და ეწინააღმდეგებოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. ჩამოთვლილი ადამიანების შესახებ თითქმის ერთი და იგივე ტექსტი არის მითითებული დადგენილებაში, ერთი და იგივე სასჯელია გამოტანილი. ყველა ფორმა N1 და ფორმა N3 დათარიღებულია 1942 წლის 1 დეკემბერით.

ჩამოთვლილ წევრებს ბრალად ედებათ: კოლმეურნეობის საწყობის ძარცვა, კომუნისტური პარტიის წევრის **აბესალა იმანოვის** მკვლელობა და რაიონული საბჭოს

თავმჯდომარე ციხისთავზე თავდასხმა. ბრალის წარდგენის დადგენილების მიხედვით, მათ საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის 58-1 „ბ“ მუხლი აქვთ შეფარებული (სშსსა,1:6-7; 9-10; 12-13; 18-19; 20-21-22; 23-24; 27-28; 30-31).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია დოკუმენტი, რომელიც შედგენილია ადამ ბობლიაშვილის დედის, მარიამ ბობლიაშვილის განცხადების საპასუხოდ შვილის რეაბილიტაციისათვის, რომელშიც გადმოცემულია ორგანიზაცია „სამანულებისა“ და ადამ ბობლიაშვილის იმდროინდელი საქმიანობა. გთავაზობთ დოკუმენტის ქართულ თარგმანს:

„ვადასტურებ“

ა/კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურორის მოადგილე

გენერალ-მაიორი ვ. გორბაშევი

6 მარტი 1968 წელი

დასკვნა

ქ. თბილისი

ა/კავკასიის ოლქის იუსტიციის სამხედრო პროკურორის თანაშემწემ, პოდპოლკოვნიკმა მეზურნიშვილმა განვიხილე დაარქივებული საგამოძიებო საქმე N3486 ბრალდებულების მ. ი. იმედიძის, ა. ი. ბობლიაშვილის, ბ. პ. თავბერიძის, გ. ა. ვეშაგურიძის და ი. დ. მაჩაბლიშვილის. ასევე მარიამ მიხეილის ასულ ბობლიაშვილის საჩივარი.

დავადგინე:

საქ. სსრ-ის პროკურორს 1967 წლის აპრილში მიმართა საჩივრით საქართველოს მოქალაქემ, მცხოვრებმა ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში მარიამ მიხეილის ასულმა ბობლიაშვილმა. მოითხოვა თავისი ვაჟის, ბრალდებულ ა. ი. ბობლიაშვილის საქმის გადახედვა.

თავის საჩივარში მ. მ. ბობლიაშვილი წერს, რომ მისმა შვილმა ა. ი. ბობლიაშვილმა იცოდა თავისი მამის იასონ თევდორეს ძე ბობლიაშვილის რევოლუციური საქმიანობის შესახებ და მიზეზი, რის გამოც ის გარდაიცვალა. ბავშვობაში კარგად იქცეოდა და

არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია. სკოლის დამთავრების შემდეგ რამდენიმე თვე იმუშავა სოფელ **ნაფარეულის** სკოლაში მასწავლებლად. შემდეგ იგი გაემგზავრა ქალაქ **ერევანში** ზოოვეტერინალურ ინსტიტუტში და დამთავრებისთანავე რამდენიმე წელი იმუშავა სპეციალობით.

ბავშვობიდან მწერლობა და პოეზია ხიბლავდა. მისი მიზანი ფილოლოგიური განათლების მიღება იყო და ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სურვილი ჰქონდა, სწავლა გაეგრძელებინა ასპირანტურაში. 1941 წელს აღმოჩნდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მტრულად განწყობილ ჯგუფში და თავისი შეცდომის გამო დაისაჯა სიკვდილით.

შემდეგ **მ. მ. ბობლიაშვილი** თავის საჩივარში წერს, რომ არის 80 წლის. არ უნდა, მოკვდეს სამშობლოს მოღალატის დედის სახელით, იმ შვილის, რომელიც 24 წლის წინ მოუკვდა. ითხოვს შვილის დანაშაულის პატიებას და მისი ლექსების, მოთხრობების გამოქვეყნებას.

საჩივრის გამო შემოწმდა **მ. მ. ბობლიაშვილის** ვაჟის, ა. ი. ბობლიაშვილისა და სხვა ბრალდებულების საარქივო-საგამომიებო საქმეები.

საქმე გადაიხედა, რომლის მიხედვითაც საქ. სსრ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ 1942 წლის დასაწყისში გამოაშკარავდა და განადგურდა ქ. თბილისში არსებული კონტრევოლუციური მემბოხე-ტერორისტული ორგანიზაცია. ხელმძღვანელები იყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტები: **იმერლი-შვილი, ჯოგლიძე** და თელავის რაიონის სოფელ ზემო ალვანის მცხოვრები **გიორგი ივანეს ძე ქადაგიძე**.

კონტრევოლუციური ორგანიზაციის რამდენიმე წევრი, მათ შორის: 1941 წელს გადაბირებული **ქადაგიძე**, რომელიც ცხოვრობდა სოფელ **ზემო ალვანში**, ასევე **ადამ იასონის ძე ბობლიაშვილი** და **მიხეილ ივანეს ძე იმედიძე** მიიმაღლნენ თბილისიდან და თელავის რაიონში კანონს გაურბოდნენ. მათ შექმნეს ბანდიტური დაჯგუფება და ცდილობდნენ თავიანთი მოქმედებით ფაშისტური გერმანიის დახმარებას.

საბჭოთა ხელისუფლების მიმართ 1942 წლის დასაწყისში საქ. სსრ-ში, **თუშეთის** ტერიტორიაზე, თელავის რაიონში დეზერტირებისა და მტრულად განწყობილი ადამიანებისაგან არალეგალებმა **ა. ი. ბობლიაშვილმა** და **მ. ი. იმედიძემ** ჩამოაყალიბეს კონტრევოლუციურ-მემბოხე ბანდა, სახელწოდებით „**სამანი**“. ეს ბანდა მიზნად ისახავდა

შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევას საბჭოთა ხელისუფლებისათვის, გეგმავდა შეიარაღებულ ტერორისტულ ქმედებებს საბჭოთა პარტიულ ორგანიზაციებზე და ფაშისტური გერმანიის დახმარებას კავკასიაში ოკუპაციის მიზნით.

ზემოხსენებულ კონტრრევოლუციურ-მემხოზე ბანდის ჩამოყალიბებას ხელმძღვანელობდნენ ადამ ბობლიაშვილი და მიხეილ იმედიძე. მისი წევრები იყვნენ საბჭოთა არმიის რიგებიდან დეზერტირები: ბაგრატ პავლეს ძე თავბერიძე, გიორგი ალექსის ძე ვეშაგურიძე, ივანე დავითის ძე მაჩაბლიშვილი, სოფელ ზემო ალვანის „HKBD“-ს სახ. კოლმეურნეობის ბუღალტერი ელიზბარ გაბრიელის ძე აბაშიძე, მისი ძმა კოლმეურნეობის ფერმის გამგე აბაშო გაბრიელის ძე აბაშიძე, სოფელ ზემო ალვანის კოლმეურნეები: გოგალე მიხეილის ძე მინდაძე, აბრაამ თევდორეს ძე ბობლიაშვილი, შიო სიმონის ძე უშურაული, გიორგი პავლეს ძე ჩაჩანაშვილი და სხვები.

კონტრრევოლუციური მემხოზე ბანდის ყველაზე აქტიურმა წევრებმა: ელიზბარ აბაშიძემ, აბაშო აბაშიძემ, ბაგრატ თავბერიძემ და გიორგი ვეშაგურიძემ თავიანთ ორგანიზაციაში ჩართეს თელავის რაიონის სხვა მცხოვრებლებიც, მათი დახმარებით 1942-1943 წლებში ჩაიდინეს დანაშაულებრივი ქმედებები:

1. 1942 წლის ოქტომბერში ოთხჯერ გაქურდეს სოფ. ზემო ალვანის „HKBD“-ს სახ. კოლმეურნეობა, საიდანაც გაიტანეს ყველი, ხორბალი და სხვა პროდუქტები.

2. მკვლელობის მიზნით 1942 წლის 8 ნოემბერს თელავის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე მ. დ. ციხისთავზე მოაწყვეს შეიარაღებული თავდასხმა.

3. 19. XI. 42 წ. სოფ. ზემო ალვანის კოლმეურნეობა გაქურდეს და წაიღეს 603 კგ. ყველი და 200 კგ. ხორბალი.

4. 1942 წლის დეკემბერში სოფ. ზემო ალვანში გაქურდეს დიმიტროვის სახ. კოლმეურნეობა.

5. 1942 წლის დეკემბერში თავს დაესხნენ და მოკლეს კომუნისტური პარტიის (ბ) წევრი აბესალა იმანოვი.

6. 1943 წლის ივლისში მოკლეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მე-8 პოლკიდან ორი წითელარმიელი – გ. დ. სევასტიანოვი და ა. მ. ტრეშენკო, გაიტაცეს იარაღი და საკვები. მათ ასევე მოკლეს დუშეთის რაიონის განყოფილების რწმუნებული ჩოხელი.

7. 1943 წლის აგვისტოში მოკლეს თიანეთის რაიონში გამანადგურებელი ბატალიონის ორი მეზრდოლი **გ. პ. ზესტავაშვილი** და **კ. გ. თამაზაშვილი** და სხვები.

კონტრევოლუციურ-მეამბოხე ბანდის წევრები: **ე. გ. აბაშიძე**, **ა. გ. აბაშიძე**, **გ. მ. მინდაძე**, **ა. ფ. ბობლიაშვილი**, **მ. ი. იმედიძე**, **ბ. პ. თავბერიძე**, **გ. ა. ვეშაგურიძე** და **ი. დ. მაჩაბლიშვილი** თელავის რაიონიდან მიიმალნენ. ზემოხსენებული პირების საქმე გადაეგზავნა კავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალს დაუსწრებლად განსახილველად.

1943 წლის 12 იანვარს კავკასიის ფრონტის სამხედრო სასამართლომ განაჩენით **ა. ი. ბობლიაშვილი**, **მ. ი. იმედიძე** და **ბ. პ. თავბერიძე** დამნაშავედ სცნო საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 17 და 58-ე „ბ“ მუხლით, **გ. ა. ვეშაგურიძე** და **დ. მაჩაბლიშვილი** საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე „ბ“ მუხლით. მათ დაუსწრებლად მიესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა – **დახვრეტა** ქონების კონფისკაციით.

კავკასიის ფრონტის მიერ 1943 წლის 12 იანვარს დაუსწრებლად გასამართლებული **ა. ი. ბობლიაშვილი** და **მ. ი. იმედიძე** არ იყვნენ დაკავებულები. სად იმყოფებოდნენ ისინი, არ იყო ცნობილი. **ი. დ. მაჩაბლიშვილი**, რომელიც 1943 წლის თებერვალში დაუსწრებლად იქნა გასამართლებული, თავისი ნებით ჩაბარდა ხელისუფლებას. იგი 1946 წლამდე, სანამ დააკავებდნენ, ცხოვრობდა საკუთარ სახლში და მუშაობდა კოლმეურნეობაში. მან აღიარა დეზერტირობა და კონტრევოლუციურ-მეამბოხე ბანდის წევრობა, რომლის ხელმძღვანელები იყვნენ **ა. ი. ბობლიაშვილი** და **მ. ი. იმედიძე**, აღნიშნული ბანდის წევრებთან ერთად კოლმეურნეობის საწყობის ქურდობა, ტერორისტული თავდასხმა თელავის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ციხისტავზე. ი. დ. მაჩაბლიშვილმა** ითხოვა, მისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინათ.

საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა 1946 წელს შუამდგომლობით მიმართა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომ **ი. დ. მაჩაბლიშვილისათვის** შეეცვალათ კავკასიის სამხედრო ტრიბუნალის განაჩენი, რომელიც 1943 წლის 12 იანვარს უნდა მოეყვანათ სისრულეში. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შეცვალა 13. XI. 1946 წლის დადგენილება (N107/13CC) ახალი დადგენილებით (N12/19CC) და **ი. დ. მაჩაბლიშვილს** სიკვდილით დასჯა შრომით-გამოსასწორებელ ბანაკებში მუშაობით შეუცვალა (ტომი II, 158-186, 194-195).

1944 წლის 17 მარტს **გ. ა. ვეშაგურიძე** დააკავეს. მან თავი დამნაშავედ ცნო, აღიარა დეზერტირობა და კონტრევოლუციურ-მემამოხურ ბანდაში მონაწილეობა, მისცა დეტალური ჩვენება ამ ბანდის საქმიანობის შესახებ.

საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 1943 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება **გ. ა. ვეშაგურიძესთან** დაკავშირებით ძალაში დატოვეს და 1945 წლის 17 იანვარს სისრულეში მოიყვანეს (ტომი II, I-17.55-67.201).

1944 წლის ნოემბერს დაუსწრებლად გასამართლებული **ბ. პ. თავბერიძე** დააკავეს. დაკითხვის დროს მან თავი დამნაშავედ ცნო, აღიარა საბჭოთა კავშირის ჯარში სამსახურებრივი მოვალეობისთვის თავი არიდება, ყაჩაღურ ჯგუფთან შეერთება, მონაწილეობა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მე-8 პოლკის წითელარმიელების **გ. დ. სევასტიანოვისა** და **ა. მ. ტრეშენკოს** და აგრეთვე დუშეთის რაიონის მილიციელის **ჩოხელის** განზრახ მკვლელობაში.

საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა **გ. ა. ვეშაგურიძეს** უშუამდგომლა 1943 წლის 12 იანვრის კავკასიის სამხედრო ტრიბუნალის დადგენილების შესაცვლელად, მაგრამ ძველი გადაწყვეტილება ძალაში დატოვეს და 1945 წლის 18 ივნისს სასჯელი სისრულეში მოიყვანეს (ტომი II, 96-115, 116-124, 133).

იმისდა მიუხედავად, რომ **ა. ი. ბობლიაშვილი** და **მ. ი. იმედიძე** არ დაუკავებიათ და საქმესთან დაკავშირებით საერთოდ არ დაკითხულან, მათი სამშობლოს ღალატი და კონტრევოლუციური საქმიანობა დაადგინეს თანამზრახველთა ჩვენებებზე დაყრდნობით. ესენი იყვნენ: **გ. ი. ქადაგიძე**, **ა. გ. ჭელიძე**, **ე. გ. აბაშიძე**, **გ. ა. ვეშაგურიძე**, **ა. ფ. ბობლიაშვილი**, **ა. გ. აბაშიძე**, **ი. დ. მაჩაბლიშვილი** და სხვები.

ბრალდებულმა **გიორგი ივანეს ძე ქადაგიძემ** დაკითხვის დროს, 1942 წლის 7 ოქტომბერს, აღიარა, რომ 1941 წლის ივლისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტებმა **ჯოგლიძემ** და **იმერლიშვილმა** გადაიბირეს და არალეგალურ სამხედრო-მემამოხე ორგანიზაციაში გააწევრიანეს. პირადად მისი გადაბირებულები იყვნენ **ა. ი. ბობლიაშვილი**, **ა. გ. ჭელიძე**, **მ. ი. იმედიძე** და სხვები.

გიორგი ქადაგიძე: „... ამის შემდეგ, როგორც მახსოვს, აგვისტოში, ჩემს სახლთან შევხვდი თანასოფლელ **ადამ იასონის ძე ბობლიაშვილს**, რომელთან ერთად ვსწავლობდი თელავის საშუალო სკოლაში. მე მას ვაცნობე ჩემი საუბრის შესახებ როგორც **ჯოგლიძესთან**, ისე **იმერლიშვილთან**. აღვნიშნე, რომ ორივე ეწეოდა არალეგალურ

მუშაობას და მეც შემიყვანეს ორგანიზაციაში, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და „დამოუკიდებელი საქართველოს“ აღდგენას. როდესაც **ბობღიაშვილს** ამის შესახებ მოუყვები, ვკითხე, რა აზრის იყო ის ამაზე. **ბობღიაშვილი** დამეთანხმა, მაგრამ შემომთავაზა, შეგვექმნა სრულიად დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც არ იქნებოდა დაკავშირებული **ჯოგლიძისა** და **იმერლიშვილის** არალეგალურ ორგანიზაციასთან (იხ. საერთო საქმის პაკეტი).

იმავე დღეს დაკითხვაზე ბრალდებულმა **ა. გ. ჭელიძემ** აღიარა, რომ ანტისაბჭოთა არალეგალურ მუშაობაში 1941 წლის ბოლოს მისი ძმის მეგობარმა **გიორგი ქადაგიძემ** ჩაიტრია. ის იყო პირველი ორგანიზებული შეკრების მონაწილე, რომელიც გაიმართა **გიორგი ქადაგიძის** ბინაში. ის იქ შეხვდა **ადამ ბობღიაშვილს**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ **გიორგი ჭიაბრიშვილს**, თელავის რაიონის ერთ-ერთი სკოლის დირექტორსა და მწერალ **ლადო ბალიაურს**.

გიორგი ჭიაბრიშვილის წინადადებით შედგა არალეგალური ორგანიზაციის კომიტეტი ხუთი წევრისაგან. შეკრებაზე არ იმყოფებოდა ერთი წევრი, მეტსახელად „**ფანცალა**“. კომიტეტის ხელმძღვანელად აირჩიეს **გიორგი ქადაგიძე**.

ა. ჭელიძის ჩვენებით, მეორე არალეგალური შეკრება შედგა დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ **ადამ ბობღიაშვილის** ბინაში. შეხვედრაზე კომიტეტის წევრები რევოლუციური მუშაობის დასაწყებად განაწილდნენ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში. ბრალდებულის თქმით, „შეხვედრას ხელმძღვანელობდა **ქადაგიძე**. მისი შეთავაზებით კომიტეტის წევრებს შორის რაიონები ასე გადანაწილდა: **გიორგი ჭიაბრიშვილი** – თელავის რაიონი, **ლადო ბალიაური** – ფშავ-ხევსურეთი, **ჭელიძე** – დუშეთის რაიონი, **ქადაგიძე** და **ბობღიაშვილი** – თუშეთი.

თითოეულ ჩვენგანს ხალხი უნდა შეგვერჩია და არალეგალურ ორგანიზაციაში გადმოგვებირებინა, მაგრამ კონსპირაციის მიზნით ახალგაძმობირებულებთან არ უნდა გვესაუბრა კომიტეტის არსებობასა და მის შემადგენლობაზე“ (იხ. საერთო საქმის პაკეტი).

1942 წლის 18 ოქტომბერს დაკითხვაზე **ჭელიძემ** განაცხადა, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელის **ქადაგიძის** დაპატიმრების შემდეგ კომიტეტის წევრები სხვადასხვა ადგილას გადავიდნენ და იგი მათ აღარ შეხვედრია. „**გიორგი ქადაგიძის** დაპატიმრებასთან დაკავშირებით თბილისში კომიტეტის წევრებს – ჩემსა, **ბალიაურსა** და **ბობღია-**

შვილს შორის დაიბადა კითხვა: რა უნდა გვექნა, რადგან, ჩვენი ვარაუდით, როგორც ქადაგიძის მეგობრებს, არალეგალური საქმიანობისათვის აუცილებლად დაგვაპატიმრებდნენ. დაპატიმრების თავიდან ასაცილებლად გადაწყვიტეთ, არალეგალურად გვეცხოვრა. **ბობლიაშვილმა** მტკიცედ გადაწყვიტა, დაეტოვებინა თბილისი და წასულიყო თავის სოფელში. **ქადაგიძის** დაკავების მეორე დღესვე ის გაემგზავრა თელავის რაიონის სოფელ ალვანში.

ბობლიაშვილი შეგვპირდა, რომ შეგვატყობინებდა ტელეგრაფით, თუ რა მდგომარეობა იყო თელავის რაიონში, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა, ჩემი და ბალიაურის იქ ჩასვლა. მაგრამ მისი გამგზავრების შემდეგ ის აღარ გვინახავს და არანაირი კავშირი არ გვქონია“ (იხ. დაკითხვა, დეტ. პაკეტი).

1942 წლის 24 ნოემბერს დაკითხეს **ელიზბარ გაბრიელის ძე აბაშიძე**. ბრალდებულმა მისცა ჩვენება, რომ 1942 წლის ზაფხულში თანასოფელელმა **დიმიტრი უქარაულმა** მას აცნობა, რომ სოფელ ზემო ალვანის ახლოს ტყეში იმალებიან სოფლის მცხოვრებლები – **მიხეილ იმედიძე, ადამ ბობლიაშვილი და ფაცო ვეშაგურიძე**, რომლებიც არალეგალურად ცხოვრობდნენ. 10-15 დღის შემდეგ ის პირადად ტყეში შეხვდა **იმედიძესა და ბობლიაშვილს**, რომლებმაც უთხრეს, რომ ისინი თბილისში კონტრრევოლუციური ჯგუფის წევრები არიან. ამ ჯგუფის ლიდერები დააპატიმრეს, რის გამოც ისინი იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ დედაქალაქი და არალეგალურად ეცხოვრათ, რომ ისინი თელავის რაიონში იყვნენ ჩასულები იმისთვის, რომ შეექმნათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ახალი კონტრრევოლუციური ორგანიზაცია.

ბობლიაშვილმა და იმედიძემ დაავალეს მას, თბილისში წასულიყო თანამოაზრე **ალექსანდრე ჭელიძესთან** და გაეგო, როგორ მოქმედებდნენ ორგანიზაციის წევრები **გიორგი ქადაგიძის** დაპატიმრების შემდეგ, არის თუ არა ნაპოვნი სტამბა, არის თუ არა მისი გამოყენების შესაძლებლობა. **ელიზბარ აბაშიძე** წავიდა თბილისში, მაგრამ **ჭელიძესთან** შეხვედრა ვერ შეძლო, უშედეგოდ დაბრუნდა სოფელში და ამის შესახებ **ბობლიაშვილსა და იმედიძეს** აცნობა.

26 ნოემბერს, ხელახალ დაკითხვაზე **ე. აბაშიძემ** ჩვენებაში თქვა, რომ **ადამ იასონის ძე ბობლიაშვილი და მიხეილ ივანეს ძე იმედიძე** სოფელში იმყოფებოდნენ. მან ჩამოთვალა გადაბირებული ადამიანები, სულ თვრამეტი სული, რომელთა შორის თავისი ძმაც, **აბაშო გაბრიელის ძე აბაშიძეც** დაასახელა. დანარჩენები იყვნენ: **გიორგი**

ალექსანდრეს ძე ვეშაგურიძე, ბაგრატ პავლეს ძე თავბერიძე, ივანე დავითის ძე მაჩაბლიშვილი, გოგალე მინდაძე, აბრამა თევდორეს ძე ბობლიაშვილი და სხვები (ტომი 1, ფ. 38-43).

აბრამ თევდორეს ძე ბობლიაშვილი 1942 წლის 3 ივლისს დაკითხეს. მან აღიარა, რომ 1942 წლის მაისს მან მიატოვა მთებში განლაგებული ახალქალაქის სამხედრო ნაწილი, სოფელ ზემო ალვანში გადავიდა და ტყეში მიიმალა, სადაც შეხვდა თავის ბიძაშვილ ადამ ბობლიაშვილს, რომელსაც აცნობა, რომ ის საბჭოთა არმიის დეზერტირი იყო. ადამ ბობლიაშვილმა მას განუცხადა, რომ ის პირადად აგროვებს ასეთ ადამიანებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ბევრი დეზერტირი და ანტისაბჭოთა განწყობილების ხალხი შეიკრიბა მის გარშემო და ჩამოყალიბდა კონტრრევოლუციონერთა ჯგუფი.

„... როდესაც ყველა შეიკრიბა, ადამ ბობლიაშვილმა დაიწყო ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ უნდა გვებრძოლა საბჭოთა კავშირის ხელისუფლებასთან. ასევე აღნიშნა, რომ ჩვენს ხალხს აუცილებლად იარაღი და პისტოლეტები უნდა ჰქონდეს, ჩვენი ორგანიზაციის წევრებს სურსათით მოამარაგებს „HKBD“-ის სახ. კოლმეურნეობის ბუღალტერი, ჩვენი ორგანიზაციის წევრი ელიზბარ აბაშიძეო.

ადამ ბობლიაშვილის რჩევით, ანტისაბჭოთა ხასიათის ბუკლეტების მოსახლეობაში გასავრცელებლად საჭირო იყო საბეჭდი მანქანის შეძენა ქართული შრიფტით. გიგო ქააძემ შესთავაზა, რომ მანქანა თელავის რაიონული განყოფილებიდან მოეპარათ, მაგრამ ტიმოთე ლაღაძე, რომელსაც ამ საქმეს ავალებდნენ, არ დათანხმდა იმ მიზეზით, რომ ასე სწრაფად გავთქვამთ თავსაო. შემდეგ ბობლიაშვილმა განაცხადა, რომ ჩვენს ორგანიზაციას უნდა დაერქვას სახელიო და მანვე შესთავაზა მოკლე დასახელება „სამანი“ – „ახალგაზრდა მებრძოლი ნაციონალები საქართველოს აყვავებისათვის“.

ადამ ბობლიაშვილმა გვითხრა, რომ ქალაქ თბილისში იყო ამავე სახელწოდების კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომლის ზოგიერთი წევრი დააპატიმრეს. მან ასევე თქვა, რომ ორგანიზაციის ამოცანაა თელავის რაიონის მოსახლეობის გააქტიურება საბჭოთა კავშირის დასასუსტებულად ისე, რომ მას აღარ შეეძლოს გერმანიის ჯარებისათვის წინააღმდეგობის გაწევა. გერმანელები საქართველოს მალე დაიპყრობენ და სახელმწიფო ძალაუფლებას ჩვენ ჩავიგდებთ ხელშიო.

რაც შეეხება შეიარაღებას, **ადამ ბობლიაშვილს** გეგმაში ჰქონდა წითელარმიელებზე თავდასხმა, მათი დახოცვა და ამ გზით იარაღის მოპოვება“ (ტომი II, ფ. 18-24).

აბრაამ ბობლიაშვილმა ჩვენებაში ისიც თქვა, რომ შეკრებაზე აურჩევიათ სამი პირი, რომლებსაც დაავალეს კოლექტიური მეურნეობის საწყობების, მწყემსებისა და მოქალაქეების ძარცვის ხელმძღვანელობა. ბობლიაშვილმა უარყო მონაწილეობა წითელარმიელებზე თავდასხმაში (ტომი 2, ფ. 25-30).

ელიზბარ გაბრიელის ძე **აბაშიძისა** და **აბრაამ ბობლიაშვილის** ჩვენებები დაადასტურეს ბრალდებულებმა **გოგალე მიხეილის** ძე **მინდაძემ**, **აბაშო გაბრიელის** ძე **აბაშიძემ** და სხვებმა, რომლებიც ამ საქმეზე იყვნენ დაკითხულები (ტომი I, ფ. 16-23, 36-37).

ბანდის წევრების, რომელთა შორის იყვნენ **ადამ ბობლიაშვილი** და **მიხეილ იმედიძე**, თავდასხმა თელავის რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ციხისტავზე** მისი მკვლელობის მიზნით დაადასტურა ციხისტავის ავტომობილის მძღოლმა **კავშიშვილმა** და მსჯავრდებულებმა **გ. ა. ვეშაგურიძემ**, **ი. დ. მაჩაბლიშვილმა**, **ე. აბაშიძემ**, **აბაშო აბაშიძემ** და სხვებმა (ტომი I, ფ. 45-48, ტომი II, ფ. 2-16, 82-87, 159-164).

როდესაც გერმანიის ჯარები კავკასიას მოადგნენ, სწორედ მაშინ დაიწყო შეიარაღებულმა ბანდამ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიური მუშაობა. ეს ბანდა ძირითადად 1942 წელს წითელი არმიის რიგების დეზერტირებისაგან შედგებოდა. მათ წინასწარ ჰქონდათ დაგეგმილი თავდასხმა თელავის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ციხისტავზე**. მათ მოკლეს კომუნისტური პარტიის (ბ) აქტიური წევრი **აბესალა იმანოვი** და კოლმეურნეობის საწყობები გაქურდეს. საქმის მასალების მიხედვით, არ არსებობდა საფუძველი, ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალს შეეცვალა 1943 წლის 12 იანვარს გამოტანილი განაჩენი (რომლის მიხედვით **ადამ იასონის ძე ბობლიაშვილს** დაუსწრებლად მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – **დახვრეტა**), რასაც ითხოვდა მსჯავრდებულის დედა **მარიამ ბობლიაშვილი**. მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

ამიერკავკასიის სამხედრო-პროკურორის თანაშემწე, იუსტიციის პოლკოვნიკი (**ტ. მეზურნიშვილი**)“ (*სტილი დაცულია*) (სშსსა, 2:361-367).

დაჯგუფების მეთაურები დაუკავშირდნენ **ჩეჩნეთ-ინგუშეთში** არსებულ შეიარაღებულ ფორმირებას, რომლის სახელწოდება იყო: „კავკასიელი ძმების განსაკუთ-

რებული პარტია“ (ОПКБ). მათ ჰიტლერებსაც უწოდებდნენ. პარტიის ცენტრი მდებარეობდა ჩეჩნეთ-ინგუშების ასსრ-ის ტერიტორიაზე. მისი წევრები იყვნენ იდრის მაგამედოვი, ხასან ტერლოევი და ხამზაევი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულ დოკუმენტებს შორის მოვიძიეთ ელიზბარ გაბრიელის ძე აბაშიძის დაკითხვის ოქმი, დათარიღებული 1942 წლის 10 დეკემბერით (დაკითხვის დოკუმენტი მოგვყავს სრულად):

„კითხვა: რამდენი ადამიანი შედიოდათ თქვენს კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში?

პასუხი: ასე, 30-32 პირი.

კითხვა: ჩამოთვალეთ გვარები.

პასუხი: ჩვენს ორგანიზაციაში უკანონოდ ირიცხებოდნენ:

1. მიხეილ იმედიძე;
2. ადამ ბოზღიაშვილი;
3. ზაგრატ თავბერიძე;
4. ფაცო ვეშაგურიძე;
5. ადამ ნაკვეთაური;
6. ივანე არინდაული;
7. აბრაამ ბოზღიაშვილი;
8. მათე აბაშიძე;
9. ივანე მაჩაბლიშვილი;
10. ილია ცისკარიშვილი;
11. გოგალე მინდაძე;
12. გიგო ქააძე;
13. გაბო კაიშვილი;
14. ჩაჩქანაძე;
15. შოთა საგიშვილი;
16. ხოხოზაშვილი;
17. უცნობი თუში;
18. ირაკლი გარსევანიძე.

კითხვა: წითელი არმიის რიგების რამდენი დეზერტირი იყო თქვენს კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში?

პასუხი: ცხრა ადამიანი: ფაცო ვეშაგურიძე, ადამ ნაკვეთაური, ივანე არინდაული, ივანე მაჩაბლიშვილი, მათე აბაშიძე, გაბო კაიშვილი, ჩაჩქანაშვილი, საგიშვილი და ერთიც თუმი.

კითხვა: რა სახის იარაღი გქონდათ?

პასუხი: კარგად არ მახსოვს. **მინდაძეს** ჰქონდა „ბერდანკას“ იარაღი, დანარჩენებს – თოფები, ზაგრატ თავბერიძეს – გერმანული „აბრეზკა“. ის ირიცხებოდა **იდრისის** ბანდაში და ჩეჩენი პარტიზანები დახოცა, რამდენი, რა ვიცი. ვაზნები ორგანიზაციის წევრებისთვის გათვალისწინებული იყო 20-30 ცალი, მეტი არა. თავბერიძეს კიდევ ჰქონდა ერთი ყუმბარა.

კითხვა: ესე იგი, თქვენს ორგანიზაციას კავშირი ჰქონდა სხვა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციასთან?

პასუხი: მხოლოდ ბოლო დროს, ისიც **იდრისთან**. ისე სხვა არავისთან არა გვექონია არანაირი კავშირი.

კითხვა: აღადგინეთ კავშირი **იდრისთან**?

პასუხი: არ ვიცი, **ზაგრატ თავბერიძე** ყვებოდა, რომ **იდრისის** პარტია სხვადასხვა სოფლებში აპირებდა 15-20 ადამიანით წასვლას.

კითხვა: ხომ არ გქონდათ კონტაქტი მტრის ძალების მედესანტეებთან?

პასუხი: მე არა.

კითხვა: თქვენი ორგანიზაციის სხვა წევრებს?

პასუხი: არ ვიცი, მაგრამ **გოგალე მინდაძე** ხშირად დადიოდა პარაშუტისტების სამებნელად, მაგრამ, როგორც ამბობდა, ის მათ ვერ პოულობდა.

დაკითხვას აწარმოებდა: საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის უშიშროების განყოფილების უფროსი (**ნიზლაძე**), კავკასიის ფრონტის პროკურორი, უმაღლესი სამხედრო-იურიდიული პერსონალი (**პეტროვსკი**), კავკასიის ფრონტის სამხედრო პროკურორის თანაშემწე, უფროსი ლეიტენანტი (**საბო**).

სწორია: საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამომძიებელი, სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი (**ცხვარაძე**) (*სტილი დაცულია*) (*სშსსა, 1:172-173*).

როგორც ელიზბარ აბაშიძის ჩვენებიდან ჩანს, მას კავშირი ჰქონია იდრის მაგამედოვთან. 1942 წელს ბ. პ. თავბერიძე, მეამბოხე ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, გაგზავნეს ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სადაც ის უნდა დაკავშირებოდა „კავკასიელი ძმების განსაკუთრებულ პარტიას“ და მოეპოვებინა ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ემუშავათ კონტრრევოლუციონერებს სამომავლოდ. მან აღადგინა კავშირი იდრის მაგამედოვთან და ხასან ტერლოევთან. 1942 წლის 17 ივლისს თელავის რაიონის სოფ. ომალოში ჩატარდა ერთობლივი სხდომა ტერლოევთან, იდრისთან და ხამზაევთან. მათი თავყრილობის მიზანი იყო 1942 წლის აგვისტო-ოქტომბრის აჯანყების მომზადება. სხდომას 14 წევრი ესწრებოდა. მოდიებული მასალებიდან ირკვევა, რომ ბ. პ. თავბერიძე, როგორც ბოლშევიზმთან გამორჩეული მებრძოლი, 1943 წლის 4 მაისს „კავკასიელი ძმების განსაკუთრებული პარტიის“ სექციამ – ჰიტლერელებმა – გერმანიის ჯარების სამხედრო ადმინისტრაციასთან წარადგინა ჯილდოზე: „ჰიტლერელების კავკასიელი არწივი“ (სშსსა, 1:161).

მიმდინარე ამბები თუშეთში ძალიან გვიან მიდიოდა, ზოგ შემთხვევაში კი ვერც აღწევდა. ამიტომ მოსახლეობამ სიმართლე ხშირად არ იცოდა. ეს გამოიყენეს „სამანელებმა“ და გაავრცელეს ხმა, რომ გერმანელები მალე ქვეყანაში შემოვიდოდნენ და ვინც მათ მხარეს იქნებოდა, ხელს არ ახლებდნენ. ამის დაჯერება სოფლის მაცხოვრებლებისთვის ძნელი არ იყო. ამიტომ თანდათან მათი თანამოაზრეთა რიცხვი გაიზარდა.

მეტად უსიამოვნო იყო ის, რომ შემდეგ ორგანიზაციის წევრებმა ჯგუფური მკვლელობები და ქურდობები დაიწყეს. „სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ერეკლე აფთარაულიც, მიხეილ ციხისთავიც და ზაქარია ჩხუბიანაშვილიც, მიუხედავად მათი პოლიტიკური მრწამსისა, სოფლის მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ და თუში ხალხისათვის ბევრი სასარგებლო საქმეც ჰქონდათ გაკეთებული. ამდენად, სამანელებმა თავიანთი მოღვაწეობა გაუმართლებელი მკვლელობებით დაიწყეს“ (კერესელიძე 2018:60).

1944 წლის 5 ნოემბრით დათარიღებულ საიდუმლო დოკუმენტში, რომელსაც ხელს აწერს სსრ კავშირის შინსახკომის ბანდიტიზმთან ბრძოლის განყოფილების უფროსი, მე-3 რანგის კომისარი ა. ლეონტიევი, აღნიშნულია ყველა ის დანაშაული, რაც

დაჯგუფების წევრებმა ჩაიდინეს და მიღებულია გადაწყვეტილება ბრალდებულ გიორგი (ფაცო) ალექსანდრეს ძე ვეშაგურიძის წინააღმდეგ.

წყაროში აღნიშნული ინფორმაციით (საგამომიებო საქმე N3486), „ბრალდებული გიორგი (ფაცო) ალექსანდრეს ძეს ვეშაგურიძე დაბადებულია 1916 წელს, დაბადების ადგილი – საქართველოს სსრ, თელავის რაიონის სოფ. ზემო ალვანი, ქართველი, უპარტიო, განათლების გარეშე, ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალის მიერ დაუსწრებლად გასამართლებულია 1943 წლის 12 იანვარს საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 „ბ“ მუხლით, რაც ითვალისწინებს სასჯელის უმაღლეს ზომას – **დახვრეტას**. დამოწმებულია ინსტრუქციით.

1942 წელს საქართველოს სსრ-ის მთიან თუშეთში, თელავის რაიონში, წითელი არმიის რიგების დეზერტირებმა, კონტრრევოლუციურად განწყობილმა ელემენტებმა, ჩამოაყალიბეს მეამბოხე ბანდა, სახელწოდებით „სამანი“, რომლის ორგანიზატორები და მეთაურები იყვნენ სამშობლოს მოღალატეები **ბობლიაშვილი, იმედიძე და ქააძე**.

დასახელებულ კონტრრევოლუციურ ბანდას მიზნად დასახული ჰქონდა შეიარაღებული ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ორგანიზებული ტერორისტული აქტები ხელმძღვანელი პარტიის საბჭოთა ორგანიზაციებზე და კავკასიის ოკუპაციისათვის გერმანულ-„ფაშისტური“ არმიის დახმარება.

ბანდის ერთ-ერთი აქტიურ მონაწილედ გვევლინება ამჟამინდელ საქმეში ჩართული სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული **ვეშაგურიძე**, რომელიც არის დეზერტირი წითელი არმიის რიგებიდან. ის თელავის რაიონში შეიარაღებული ჩამოვიდა, **ბობლიაშვილთან** შევიდა ბანდაში და ბანდიტობა დაიწყო.

გ. ა. ვეშაგურიძემ ბანდის სხვა წევრებთან ერთად ჩაიდინა შემდეგი დანაშაულებები:

1. „HKBD“-ის სახ. კოლმეურნეობიდან გაიტაცეს 87 თავი ცხვრის ყველი, 11 სკა ფუტკარი.

2. 1942 წლის 8 ნოემბერს მონაწილეობა მიიღო ტერორისტული აქტში თელავის რაიონის საბჭოს მშრომელთა დეპუტატზე, ამხ. **ციხისთავზე**.

3. 1942 წლის 19 ნოემბერს გაქურდეს **ლ. ბერიას** სახ. კოლმეურნეობის საწყობი სოფ. ზემო ალვანში, საიდანაც წაიღეს 603 კგ. ყველი და 200 კგ. ხორბალი.

4. 1942 წლის დეკემბერში გაქურდეს **დიმიტროვის** სახ. სოფ. ზემო ალვანის კოლმეურნეობა, საიდანაც მოიპარეს 37 ქათამი და ბატი, ასევე 130 ცალი კვერცხი.

5. მონაწილეობა მიიღო ტერორისტულ აქტში კომუნისტური პარტიის (ბ) წევრზე, **აბზასა იმანოვზე**.

6. 1943 წლის 15 აგვისტოს თიანეთის რაიონში ჩაიდინეს მოიერიშე პოლკის ორი მებრძოლის – **გიგო ბესტავაშვილისა და ყაზბეგ გიგოს ძე თამაზაშვილის** – მკვლელობა.

7. 1943 წელს მონაწილეობა მიიღო მარცვის მიზნით შეიარაღებულ თავდასხმაში სოფ. ზემო ალვანში მცხოვრებ **დიმიტრი ცისკარიშვილზე**, იარაღის მუქარით გაიტაცეს საოჯახო ნივთები.

მიუხედავად იმისა, რომ 1943 წლის ნოემბერს **გ. ა. ვეშაგურიძე** გათავისუფლდა, საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობაში მაინც არ ჩაერთო. 1944 წელს ის დაუკავშირდა **შიო სიმონის ძე უშურაულს**, რომელთან ერთადაც დაგეგმეს შეიარაღებული თავდასხმა სოფ. ზემო ალვანის „**HKBD**“-ის სახ. კოლმეურნეობის წისქვილზე. ბანდიტებმა წაიღეს ერთ ტონაზე მეტი ხორბალი და სიმინდი. **გ. ა. ვეშაგურიძე და გ. ბ. ჩაჩქანაშვილი** დააკავეს.

1943 წელს გათავისუფლებული **გიორგი (ფაცო) ვეშაგურიძე** მალევე დაუბრუნდა დანაშაულებრივ სამყაროს. ამიტომ მისი დატოვება თავისუფლებაში საშიშია საზოგადოებისათვის. ვითხოვთ შუამდგომლობას, საქართველოს სსრ-ის შინსახკომმა დატოვოს ძალაში და 1943 წლის 12 იანვარს სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება (საქმე N3486) მოიყვანოს სისრულეში, რაც ითვალისწინებს საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსით სასჯელის უმაღლეს ზომას – **დახვრეტას**.

სსრკ-ის შინსახკომის I განყოფილების ოპერრწმუნებული (**აბასოვი**)

1944 წლის 5 ნოემბერი (**სშსსა, 1:150-151**).

არქივში დაცულია **ლავრენტი ბერიას** სახელზე გაგზავნილი მოხსენებითი ბარათი, სადაც ახსნილია, თუ ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალმა **გიორგი (ფაცო) ალექსანდრეს ძე ვეშაგურიძეს** რატომ მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – **დახვრეტა**:

„მოგახსენებთ, რომ საგამოძიებო საქმის (N3486) მიხედვით, **გიორგი (ფაცო) ალექსანდრეს ძე ვეშაგურიძე** 1942 წლის 30 ოქტომბრიდან იყო შეიარაღებული დეზერტირი წითელი არმიის რიგებიდან, რის შემდეგ იგი შეუერთდა კონტრრევოლუ-

ციურ-მეამბოხე შეიარაღებულ ბანდად აჯგუფებას, სახელწოდებით „სამანი“ საქართველოს სსრ-ში, მთიან თუშეთში, თელავის რაიონში.

ეს კონტრრევოლუციური მეამბოხე ბანდა მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების შეიარაღებულ წინააღმდეგობასა და გერმანელ-„ფაშისტ“ დამპყრობლების დახმარებას საქართველოში შემოსასვლელად. ორგანიზაცია ტერორისტულ აქტებს აწყო და საბჭოთა პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელების წინააღმდეგ.

გ. ა. ვეზაგურიძემ ბანდის სხვა წევრებთან ერთად ჩაიდინა შემდეგი დანაშაულებები:

1. „HKBD“-ის სახ. კოლმეურნეობიდან გაიტაცეს 87 თავი ცხვრის ყველი, 11 სკა ფუტკარი.

2. 1942 წლის 8 ნოემბერს მონაწილეობა მიიღო ტერორისტული აქტში თელავის რაიონის საბჭოს მშრომელთა დეპუტატზე, **ამხ. ციხისთავზე**.

3. 1942 წლის 19 ნოემბერს გაქურდეს **ლ. ბერიას** სახ. კოლმეურნეობის საწყობი სოფ. ზემო ალვანში, საიდანაც წაიღეს 603 კგ. ყველი და 200 კგ. ხორბალი.

4. 1942 წლის დეკემბერში გაქურდეს **დიმიტროვის** სახ. სოფ. ზემო ალვანის კოლმეურნეობა, საიდანაც მოიპარეს 37 ქათამი და ბატი, ასევე 130 ცალი კვერცხი.

5. მონაწილეობა მიიღო ტერორისტულ აქტში კომუნისტური პარტიის (ბ) წევრზე, **აბბასა იმანოვზე**.

6. 1943 წლის 15 აგვისტოს თიანეთის რაიონში ჩაიდინეს მოიერიშე პოლკის ორი მებრძოლის – **გიგო ბესტავაშვილისა და ყაზბეგ გიგოს ძე თამაზაშვილის** – მკვლელობა.

7. 1943 წელს მონაწილეობა მიიღო მარცვის მიზნით შეიარაღებულ თავდასხმაში სოფ. ზემო ალვანში მცხოვრებ **დიმიტრი ცისკარიშვილზე**. ბანდიტებმა იარაღის მუქარით გაიტაცეს საოჯახო ნივთები“ (**სშსსა, 1:144**).

დაკითხვის მასალებიდან ვგებულობთ, თუ როგორ მოქმედებდნენ დაჯგუფების წევრები. 1943 წლის 5-9 მაისით დათარიღებული კავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალის სასამართლოს სხდომის ოქმი (N8143, სრულიად საიდუმლო) გვაწვდის ინფორმაციას იმ დანაშაულებების შესახებ, რაც ჩაიდინეს ბრალდებულმა **ელიზბარ აბაშიძემ** და მისმა მეგობრებმა, კერძოდ, საუბარია თელავის რაიონის საბჭოს მშრომელთა დეპუტატ **ციხისთავზე** თავდასხმისათვის შემუშავებული გეგმის შესახებ. დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს სსრ-ის იუსტიციის მაიორი **ფომინი**, მდივანი,

იუსტიციის კაპიტანი **ტომაშევსკი** და საქართველოს სსრ-ის შინსახკომის მე-4 განყოფილების უფროსი გამომძიებელი **ცხვარაძე**.

როგორც ირკვევა, **ელიზბარ აბაშიძე** ნოემბრის თვის პირველ რიცხვებში კოლმეურნეობის საქმეზე იმყოფებოდა თელავში, სადაც შეიტყო, რომ რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის მანქანა დაცხრილეს. სახლში დაბრუნებულს თავისმა ძმამ **აბაშო აბაშიძემ** მოუყვა **ციხისტავის** მკვლელობის მცდელობაზე. **აბაშო აბაშიძეს** ისიც უთქვამს, რომ **ილია ცისკარიშვილი**, **გოგალე მინდაძე**, **მათე აბაშიძე**, **ბაგრატ თავბერიძე** და **ივანე მაღალაშვილი** ჩაუსაფრდნენ და დაელოდნენ **ციხისტავს**. მათ ეგონათ, თავმჯდომარე სატვირთო მანქანით იქნებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის მსუბუქ ავტომანქანაში იჯდა. ბანდის წევრები დაიბნენ, არ იცოდნენ, ის იყო თუ სხვა ვინმე, მაგრამ როცა მანქანამ ჩამოიარა, დაუწყეს სროლა, მაგრამ უშედეგოდ. თუმცა, როგორც თქვეს, რამდენიმე ტყვია მაღაზიას მოხვედრია. 16 ნოემბერს **აბაშო აბაშიძეს** ძმისთვის უცნობებია, რომ **ადამ ნაკვეთაურს**, **ვეშაგურიძესა** და სხვებს უნდოდათ **ელიზბარ აბაშიძის** ნახვა, მაგრამ რა საკითხზე, არ იცოდა და არც უკითხავს. ძმები ერთად მისულან მათთან სოფელში, სადაც მათ დახვედრიათ **ადამ ნაკვეთაური**, **ფაცო ვეშაგურიძე**, **ბაგრატ თავბერიძე**, **გოგალე მინდაძე**, **ივანე არინდაული**, **ირაკლი გარსევანიძე** და სხვები, სულ 14 ადამიანი. ამ ჯგუფმა გაქურდა საწყობი ზემო ალვანში, საიდანაც წაიღეს 60 კგ. ყველი. ამ საწყობის ზედამხედველი იყო იმავე ორგანიზაციის წევრი **კალე ქააძე**. **ბაგრატ თავბერიძეს** შეუთავაზებია, მათთვის ზამთრისთვის ეშოვა ხორბალი და პროდუქტები, რაზეც **ელიზბარ აბაშიძე** არ დათანხმებია. იქვე მათგან გაიგო, რომ აპირებდნენ თავდასხმას წითელი არმიის ნაწილზე. ეს საკითხი განუხილავთ **ელიზბარ აბაშიძის** გარეშე. მან, როგორც აღნიშნა, ამის მეტი არაფერი იცოდა. მხოლოდ 20 ნოემბერს გაიგო, რომ **ირაკლი გარსევანიძე** დაიჭირეს.

დაკითხვაზე ბრალდებულმა **აბაშო აბაშიძემ** განაცხადა: „40 ცალი ტყვია მე ვიშოვე **ანდრო პახტერაშვილისაგან**, მან ვისგან იშოვნა, არ ვიცი. ტყვიები მე გავანაწილე ბანდიტებში. მე არ მახსოვს, ვინ თქვა, რომ **თავბერიძე** ყოფილა **იდრისის** ბანდაში“.

ბრალდებული **გოგალე მინდაძე**: „ჩემთან სახლში ორგანიზაციის წევრების თანდასწრებით **თავბერიძემ** მითხრა, რომ ის იყო **იდრისის** ბანდაში. **აბაშო** იჯდა ახლოს, თავბერიძის გვერდით და ეს საუბარი ესმოდა. **აბაშო** მაშინ ნასვამი არ იყო. საღამოს ჩვენ

შევიკრიბეთ, რათა თავს დავსხმოდით რაიონული აღმასკომის თავმჯდომარე ციხისთავს და მოგვეკლა იგი“...

„... ნოემბრის თვეში ღამით ჩემთან სახლში მოვიდნენ ფაცო ვეშაგურიძე, ბაგრატ თავბერიძე, ივანე მაჩაბლიშვილი და იუსუფ ქავთარაშვილი. მე მათ ვახშმით გავუმასპინძლდი და პური მივეცი. მეორე დღეს ისევ მოვიდნენ ჩემთან. მათთან ერთად იყვნენ აბაშო აბაშიძე და იკალო ქააძე. აბაშო აბაშიძემ გვითხრა, რომ ბანდა უნდა შევაიარაღოთო. ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთმა წევრმა, ილია ცისკარიშვილმა, რომელიც სამხედრო ნაწილში ლეიტენანტად მსახურობდა, შემოგვთავაზა მასზე თავდასხმა და ამ გზით იარაღის შოვნა“.

ბრალდებული მინდაძე: „მართალია, რომ გიგო ქააძისგან გავიგე, რომ ბაკურაძე იყო იდრისის ბანდაში. თავბერიძემ მითხრა ამის თაობაზე“.

ბრალდებული დიმიტრი ბაკურაძე: „ვესაუბრე ლევან ბექურიძეს, რომ არ წასულიყო ჯარში. ლევან ბექურიძე დამემუქრა, ამის შესახებ ვეტყვი ჩემს ნათესავ ციხისთავს, რომ შენ წითელი არმიის საწინააღმდეგო აგიტაციას ეწევიო. შედეგად, როდესაც ჩვენს სოფელში ჩამოვიდა, მე მთაში გავიქეცი და უკანონოდ ვცხოვრობდი, დაპატიმრების მეშინოდა. ვიმალებოდი ტყეში, შევხვდი ბაგრატ თავბერიძეს. მან მაცნობა, რომ არსებობდა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომელსაც გიგო ქააძე ხელმძღვანელობდა და მირჩია, შევსულიყავი ამ ორგანიზაციაში, რაზეც მე დავთანხმდი“.

შემდეგ კითხვაზე ბრალდებულმა დიმიტრი ბაკურაძემ უპასუხა: „ბაგრატ თავბერიძისგან გავიგე, რომ არსებობდა სხვა კონტრრევოლუციური ორგანიზაციაც იდრის მაგამედოვის ხელმძღვანელობით. ახალი წევრების გადმოსაბირებლად და ორგანიზაციაში ჩასართვად ხელმძღვანელად მე დამნიშნა. ბაგრატ თავბერიძის დავალებით მე უნდა დავკავშირებოდი იდრის მაგამედოვს“.

დაკითხვით დაბნეული დიმიტრი ბაკურაძე ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს იძლევა: „თავბერიძესთან და იდრისთან მე არ წავსულვარ, თავბერიძე თვითონ წავიდა, მე გვიან წავედი. სოფ. თებლოში არც გერმანელი პარაშუტისტები და თავად იდრისიც არ მინახავს, მე ამ სოფელში არ ვყოფილვარ, მე ვიყავი სოფ. ანდებოში. წავედი თუშეთში ხარისა და ცხენის საყიდლად. სულაკაურისთვის მე არ მითქვამს, რომ იდრის მაგამედოვთან ვიყავი“.

თუშები დაკითხვაზე ცდილობდნენ, არ ელიარებინათ ჯგუფური დანაშაულებები. **დიმიტრი ბაკურაძე** აგრძელებს: „წითელი არმიის ნაწილებთან შეტაკებაში **ბაგრატ თავბერიძე** მონაწილეობდა. მე იქ არ ვყოფილვარ, ამას კატეგორიულად ვუარყოფ. მე შევხვდი **ფირუზ ბექურიძეს**, რომელმაც მკითხა, შენ სად იყავიო. ვუთხარი, რომ ჩეჩნეთში, **იდრისის** ბანდაში ვიყავი და იქ წითელი არმიის ნაწილებთან მოხდა შეტაკება-მეთქი. მე გადავეცი ყველაფერი, რაც გავიგე **ბაგრატ თავბერიძის** მონათხრობიდან. მანდატებზე არაფერი ვიცი. **თავბერიძემ** მითხრა, რომ თბილისიდან მოვლენ და მოიტანენ **მანდატებს**, რომლებიც ორგანიზაციის წევრებზე დარიგდება და როცა მოვლენ გერმანელები, ვისაც მანდატი ექნება, არ შეეხებიანო“.

სამხედრო ტრიბუნალის წევრის, **ვორობიევის** კითხვას ბრალდებულმა **დიმიტრი ბაკურაძემ** ასეთი პასუხი გასცა: „როცა მე დამავალეს ორგანიზაციაში ახალი წევრების ჩართვა, უარი ვუთხარი და არანაირ გადაბირებას არ ვეწეოდი. მე თავბერიძის ორგანიზაციის მდივანი არ ვყოფილვარ. ცუდად როცა ვიყავი, მე ვიწექი მინერალური წყაროების წყლებთან, **ხლევი**“.

ბრალდებულმა **ილია ჭარელიშვილმა** სამხედრო ტრიბუნალის წევრებს აუხსნა: „სოფ. ზემო ალვანში კოლმეურნეობის საწყობის უფროსად ვმუშაობდი. 1942 წლის ივნისის თვეში ჩემთან მოვიდა **აბაშო აბაშიძე** და მითხრა, **ადამ ბოზღიაშვილი** და **მიხეილ იმედიძე** ტყეში იმალებიან, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძვიან და შენი ნახვა უნდათო. დავთანხმდი. რამდენიმე დღის შემდეგ **აბაშიძემ** წამიყვანა მდინარე „**ჩერკესთან**“, სადაც შევხვდი **ადამ ბოზღიაშვილს**, **მიხეილ იმედიძესა** და **ფაცო ვეშაგურიძეს**. **ბოზღიაშვილმა** მითხრა, რომ ისინი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძვიან და სიკვდილით დამემუქრა, მათ დავალებებს თუ არ შევასრულებდი. პროდუქტების მომარაგება დამავალეს. მათ ყველა დავალებაზე უარი განვაცხადე და ვუთხარი, რომ ვერ შევძლებდი, რადგან საწყობში დაკავებული ვიყავი. რაც შეეხებოდა პროდუქტების მიწოდებას, ამაზე თანხმობა განვუცხადე და ორჯერ ყველი და პური გავუზავნე. ეს პროდუქტები ბანდიტებისათვის **აბაშო აბაშიძემ** წაიღო. ერთხელ მეც მიხდოდა წამელო, მაგრამ დროის უქონლობის გამო ჩვენი საწყობის თანამშრომელ **ადამ ბაჩაშვილს** ვთხოვე, მაგრამ მან უარი მითხრა, მერე მე წავილე პროდუქტები ბანდიტებთან, მაგრამ პური ვერ მივუტანე, რადგან ჯერ გამომცხვარი არ იყო. ასევე ვკითხე **ფაცო ვეშაგურიძეს**, სად იყვნენ **ბოზღიაშვილი** და **იმედიძე**. **ვეშაგურიძემ** მითხრა,

რომ ისინი ახლა მთა-თუშეთში არიანო. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ ფაცო ვეშაგურიძე, ივანე მაღალაშვილი, ტიტო საგიშვილი, აბრაამ ბობლიაშვილი, ბაგრატ თავბერიძე, ადამ ნაკვეთაური, ბაგრატ ცისკარიშვილი, ელიზბარ აბაშიძე, რომლებიც გვერდით ვიღაცას, არ მახსოვს, რაღაცას ესაუბრობდნენ. დიახ, იყო ასევე აბაშო აბაშიძეც. ამ შეხვედრის მერე აბაშო და ელიზბარ აბაშიძე დაბრუნდნენ სოფელში. მეტი მე არაფერი ვიცი“ (სშსსა, 2:172).

საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები აპატიმრებდნენ და სჯიდნენ ყველას, ვინც შეთქმულებს ხელს უწყობდა ან იფარებდა. მოგვყავს ნაწყვეტი ვასილ ალექსის ძე ბექაურის დაკითხვის ოქმიდან, რომელიც 1944 წლის 27 მარტით არის დათარიღებული. ბრალდებული დაკითხა საქართველოს შინაგან საქმეთა თელავის რაიონული განყოფილების უფროსმა, ოპერრწმუნებულმა, ლეიტენანტმა ტარიელაშვილმა.

ვასილი ალექსის ძე ბექაური – დაბადებული 1917 წელს, სოფელ ომალოდან, მცხოვრები თელავის რაიონის სოფელ ბირკიანში, ეროვნებით ქართველი, ბუღალტერი, დაოჯახებული, ალკკ წევრი.

„კითხვა: თქვენ დაპატიმრებული ხართ იმ მიზეზით, რომ ხელს უწყობდით და მჭიდრო კავშირი გქონდათ შეიარაღებულ ბანდ-დეზერტირებთან, რომლებსაც ხელისუფლება სდევნის. აღიარეთ სიმართლე. სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?

პასუხი: დიახ, მე თავს დამნაშავედ ვცნობ იმაში, რომ ბანდ-დეზერტირებთან მქონდა რამდენიმე შეხვედრა და ისინი არ გავამხილე ხელისუფლებასთან.

კითხვა: დაასახელეთ, კერძოდ, რომელ ბანდიტებთან გქონდათ შეხვედრა და რა დროს?

პასუხი: 1944 წლის ივლისის თვეში მე სოფ. **ომალოდან** მუდმივ საცხოვრებლად გადავედი სოფ. **ბირკიანში**, სადაც გადავიტანე ჩემი სახლი. ვინაიდან სახლი მთლიანად დამთავრებული არ მქონდა, ამიტომ ჩემი ოჯახის წევრები დროებით ცხოვრობდნენ მშობლებთან, მე კი – სოფ. **ბირკიანში**. იმ დროს, როდესაც მე მარტო ვცხოვრობდი, ერთ ღამეს ჩემთან სახლის ეზოში მოვიდა ვიღაცა კაცი, რომელმაც დამიძახა: „ვანო, გამოდი გარეთო!“ ჩემს კითხვაზე, თუ ვინ იყო ის, ანდა რა საქმე ჰქონდა, მიპასუხა: „აბრაამი ვარო“. მე იგი ვიცანი. ის იყო **ბობლიაშვილი აბრაამი**. გარეთ გამოსვლისას **ბობლიაშვილმა** მითხრა, რომ მას და თავის ამხანაგებს მოუტანიათ ხორბლის ფქვილი და მთხოვა, რომ

დროებით შემენახა რამდენიმე ხნის მანძილზე. მე დავიწყე ყოყმანი, მაგრამ საბოლოოდ შევთანხმდით და ნება დავრთე, დაეტოვებინათ.

ჩემი თანხმობის შემდეგ ბობლიაშვილმა და მისმა ამხანაგებმა ამოიტანეს ფქვილი და აიტანეს ზედა სართულზე და წავიდნენ. მოსული იყო ოთხი კაცი, ოთხივე ცხენებით. მეორე ღამეს ისევ იმავე დროს მოვიდნენ და მომიტანეს ოცდაორი კვერი ყველი, რომელიც ჩემი სახლის სხვენში შეინახეს. მაშინ გავიგე, რომ **აბრაამის** გარდა იყვნენ ასევე **ფაცო ვეშაგურიძე, გოგალე ჩაჩქანაშვილი** და **ილიკო**, რომლის გვარი არ ვიცი. მსურს აღვნიშნო, რომ მარტო **აბრაამ ბობლიაშვილს** ვიცნობდი, სხვას არავის. იგი სოფ. **ჯოყოლოში** მოანგარიშედ მუშაობდა.

ამის შემდეგ მესამე ღამეს მოვიდნენ და მოიტანეს ხუთი კოდი ხორბალი. ისიც ჩემთან შეინახეს. ყველის მოტანის დროს პირველად მოტანილი ფქვილი წაიღეს და ასე მითხრეს, რომ ჩვენ ახლა მთაში მივდივართო.

რამდენიმე დღის შემდეგ წასული ვიყავი ქ. თელავში კოლმეურნეობის საკითხების მოსაგვარებლად. იქ დავრჩი დაახლოებით ოთხი დღე. საქმეების მოგვარების შემდეგ, როდესაც ავედი სოფ. **ბირკიანში**, ჩემმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **კანაშვილმა** მაცნობა, რომ შენი სახლი გაძარცვეს და რა წაიღეს, არ ვიციო. მხოლოდ ვიცი, რომ კოლმეურნეობის კამეჩის ტყავი წაუღიათო. მე პირადად ეჭვი მათზე მქონდა, ე. ი. ბობლიაშვილსა და მის ამხანაგებზე. ჩემი ბინის გაქურდვის შესახებ არსად არ განმიცხადებია. საბჭოს თავმჯდომარემ კი იცოდა, რომ ჩემი სახლიდან კოლმეურნეობის ტყავი იყო დაკარგული. ჩემი ბარგის დაკარგვის შესახებ მე განვაცხადე დაახლოებით 6-7 დღის გასვლის შემდეგ. ჩემთან მოვიდა უცნობი თუში, რომელმაც მაცნობა, რომ ბიჭებს აინტერესებთ, იშოვე თუ არა იარაღიო. მე ვუპასუხე, რომ მოვიდნენ ჩემთან, რატომ მერიდებიან, ჯერჯერობით იარაღი არ მიშოვია-მეთქი. თუში წავიდა და მერე აღარავინ მოსულა ჩემთან.

კითხვა: რა მიზეზით არ განაცხადეთ, რომ თქვენი სახლიდან კამეჩის ტყავი იქნა წაღებული? ჩამოთვალეთ აგრეთვე ის ნივთები, რაც წაიღეს.

პასუხი: კამეჩის ტყავის გარდა წაიღეს აგრეთვე ხორბალი, ოცი თავი ყველი არ წაუღიათ. მე რომ გამეცხადებინა ჩემი სახლის გაქურდვის შესახებ, ამით საქმეს წავახდენდი და შემდეგისათვის ნდობა აღარ მექნებოდა, რათა გამეგო მათი ადგილსამყოფე-

ლი. მე მეგონა, კიდეც მოვიდოდნენ ჩემთან და იმ დროისათვის მე მეყოლებოდა მზად რაზმელები, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, აღარ მოსულან.

კითხვა: აღიარეთ სიმართლე, შეპირდით თუ არა მათ იარაღის შეძენა? საიდან უნდა შეგეძინათ, რა სახის და როგორ?

პასუხი: დიახ, პირველ საღამოს, როდესაც ბობლიაშვილმა და მისმა ამხანაგებმა ჩემთან სახლში მოიტანეს ფქვილი, იმ მიზნით, რომ მათი ნდობა დამემსახურებინა, მე მათ შევპირდი სხვადასხვა სახის იარაღის შეძენას, მხოლოდ საიდან, რა საშუალებით, ეს მე არ მითქვამს იმიტომ, რომ, ფაქტობრივად, ვიტყუებოდი. მე მსურდა, შემესწავლა ისინი, გამეგო ყველა მათი საიდუმლოება და შემდეგ კი მეცნობებინა ორგანოებისათვის, რომლებიც სათანადო ზომებს მიიღებდნენ. მათი გამჟღავნება გართულდა, მეშინოდა მათი და დარწმუნებული ვიყავი, რომ გამჟღავნების შემდეგ ისინი მე სიცოცხლეს მომისპობდნენ.

კითხვა: აღნიშნეთ, ვის მიერ გქონდათ მოცემული დავალება ზანდელემენტებთან კავშირის დაჭერის შესახებ?

პასუხი: ოფიციალურად მე არავისგან დავალებული არ მქონია, მე ჩემი ინიციატივით მსურდა მოქმედება.

კითხვა: აღნიშნეთ, სად, რომელ ტყეში და როდის გქონდათ შეხვედრა და რა ილაპარაკეთ?

პასუხი: ასეთი არაფერი მომხდარა.

დაკითხვა შეწყდა 1:30 საათზე.

ჩვენება ჩემ მიერ ნაჩვენებია. ჩემი საუბარი ჩაწერილია სწორად, მე წამიკითხეს ჩემთვის გასაგებ ქართულ ენაზე, რაზედაც ხელს ვაწერ: **ვ. ბექაური**.

დავკითხე: საქართველოს შსსკ თელავის რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე კაპიტანი **ალხაზოვი**.

დაკითხვას დავესწარი: თელავის რაიპროკურორის მოადგილე **დარახველიძე**.

სწორია: (ხელმოწერა) (სშსსა, 1:129-130).

ხელისუფლების მხრიდან გამოაშკარავებისა და დევნის შიშით თუშები მთის სოფლებში – **შტროლთასა** და **დოჭურში** ავიდნენ. ხალხს რთავდნენ თავიანთ საქმიანობაში და თან ხელს აწერინებდნენ პირობის ფურცელზე, რომელიც რამდენიმე პუნქტისაგან შედგებოდა. თავიანთ მხარეს გადმოხირბულ ხალხს ჰპირდებოდნენ, რომ გერმანე-

ლების შემოსვლის შემდეგ საქართველო საბჭოთა მმართველობისაგან გათავისუფლდებოდა, დაიშლებოდა კოლმეურნეობები და იმ იმედით, რომ ჩამორთმეულ ქონებას დაიბრუნებდნენ, ბევრი მათ მხარეს გადადიოდა. ვინც ეწინააღმდეგებოდა, მათ ემუქრებოდნენ.

§2. თუმ შეთქმულთა მოღვაწეობა

იანვარში, ახალი წლის დღეებში, სამანელებს **გომეწრის** სოფლები შემოუვლიათ, კვლავ სააგიტაციო მუშაობა გაუწევიათ და შემდეგ გადასულან **ჭანჭახოვანში**. იქ სოფელ **ნაციხარში** მოუწვევიათ **ჭანჭახოველთა** კრება. ამ კრებაზე ხეობის ექვსივე სოფლის ყველა მამაკაცს წესდებაზე ხელს აწერინებდნენ, თუმცა ყველა ვერ დაიყოლიეს. ამის გამო **ჭანჭახოვანის** კოლმეურნეობის თავმჯდომარე **კოლა წვერაიძე**, წითელი არმიიდან დემობილიზებული **არჩილ ჭოლოკიძე** და ტუბერკულოზით დაავადებული **ლევან თათარიძე** უცემიათ და ეს უკანასკნელი გარდაცვლილა. სამანელები თუმ მეცხვარეებსა და ჯარისკაცებს თავს ესხმოდნენ და იარაღს ართმევდნენ.

ზამთარში სამანელების წევრები **ჭანჭახოვანიდან** გავიდნენ, მაგრამ მკაცრი ბუნებისა და მოყინული გზების გამო ქისტეთში გადასვლა ვერ მოახერხეს და სოფელ **დოჭურში** დარჩნენ. მათ **ბოჭორნასა** და **ხახაბოში** დაუარსებიათ ორი სადარაჯო პუნქტი მუდმივი შეიარაღებული დარაჯებით.

ადამ ბობლიაშვილი, **არჩილ კიტოშვილი**, **გიგო ქააძე** და **მიხეილ იმედაძე** დაჯგუფების მეთაურები იყვნენ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ისინი თბილისში დაუკავშირდებოდნენ შეთქმულების დარჩენილ ჯგუფს და ერთიანი ძალით გააგრძელებდნენ ბრძოლას. ამ მიზნით მათ გააგზავნეს მთიდან ბარში (კახეთში) **გიორგი (ზედმეტ სახელად „ჯაფარა“) რაინაული**, **ვახტანგ ცისკარიშვილი** და **გოგალე ხოხაიძე**, მაგრამ თანამოაზრე კიმოთე **ლაგაზიძე**, თელავის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე, ვისი იმედიც ჰქონდათ, დაჭერილი დახვდათ. ამბის მიმტანი მხოლოდ ცამეტი წლის **ივანე (ვანკა) მელაიძე** იყო, რომელსაც წერილები ქალამანში ჰქონდა დამალული (**ცოცანიძე 2004:24-25**).

ინფორმაციის ნაკლებობის გამო სახელდახელო გეგმებით მოქმედებდნენ.

ხელისუფლება სამანელთა დაპატიმრებას ჩქარობდა. სრული ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ მხოლოდ მაშინ შეიტყვეს, როცა წვერები დააკავეს და დაკითხეს. დაიწყო სერიოზული მუშაობა. ყველანაირად ცდილობდნენ, სამანელთა მხარეზე გადასული მომხრეები ჩამოეცილებინათ და ამიტომ მოსალაპარაკებლად გააგზავნეს ასაკოვანი ადამიანები: **რეზო იჭირაული, კიმოთე თავბერიძე (ზედმეტსახელად ბრუდი) და მიხო გიუნაიძე**. ეს უკანასკნელი სამანელებმა დახვრიტეს, რადგან უთქვამს, ხელისუფლებას ვერაფერს დააკლებთ და სხვებსაც თავი დაანებეთო. ამით ნდობა და ურთიერთობა, ზოგი ძალით და ზოგი ნებით შეკავშირებული, შეირყა (**ცოცანიძე 2004:24-25**). ასეთმა სასტიკმა და გაუმართლებელმა საქციელმა სამანელებს ბევრი თანამოაზრე დააკარგვინა.

დაპატიმრებული წვერების დაკითხვის შემდეგ ხელისუფლება მიხვდა, რომ საქმე გაცილებით სერიოზულად იყო, ვიდრე წარმოდგენილი ჰქონდათ. ამიტომ ეს ორგანიზაცია სასწრაფოდ უნდა გაენადგურებინათ.

თებერვლის ბოლოს მთავრობის წარმომადგენლებმა მოხერხებული ნაბიჯი გადადგეს და გამოცდილ პიროვნებას, **ალიოშა კვაშალს** მიანდეს სამანელების შემორიგება. ესენი იყვნენ: **სამსონ ინაური, შოთა ბაკურაძე, გარსევან კურდღელაიძე**, რომლებიც ტყეში იყვნენ გასულები, რადგან იცოდნენ, რომ თუ თელავში ჩავიდოდნენ, დააპატიმრებდნენ.

მთავრობამ აცნობა სამანელებს, ვინც ნებაყოფლობით დატოვებდა ამ ორგანიზაციას და ხელისუფლების მხარეზე გადავიდოდა, სიცოცხლე შეუნარჩუნდებოდათ.

ამ გეგმით ჭანჭახოვანის ხუთი სოფლის შემორიგება მოხერხდა, მხოლოდ **ხახობი** დარჩა, სადაც **კვაშალს** აცნობეს, რომ იქ გომეწრელებთან ერთად **ბობლიაშვილი** იმყოფებოდა. ალყაში მოქცეულმა სამანელებმა რამდენიმე ჯარისკაცი მოკლეს. **ალიოშა კვაშალმა** უკან დახევა ამჯობინა და ალყა მოახსნევინა.

ადამ ბობლიაშვილმა გომეწარში გადასვლა შეძლო, მაგრამ გომეწრელებს გადარჩენის იმედი მიეცათ და ხელისუფლებას შეურიგდნენ. მკაცრი ზამთრის გამო სამანელებმა ქისტეთში გადასვლა ვერ მოახერხეს და კახეთის ტყეებისაკენ წავიდნენ **ადამ ბობლიაშვილი, ფანცალე იმედიძე, გიგო ქააძე, არჩილ კიტოშვილი, დევანოზ თავბერიძე, მამა-შვილი კობორჭაიძეები, პეტო და ბიჭიკო**, წითელი არმიის დეზერტირები და რამდენიმე მათი თანასოფელი. **ალიოშა კვაშალის** დავალებით მათ დადევნებია ყოფილი სამანელი მათე წვერაიძე (**ცოცანიძე 2004:29**).

საბრალდებო დასკვნას, რომელიც დათარიღებულია 1942 წლის 2 დეკემბრით, ხელს აწერს საქართველოს სსრ-ის შინსახკომის სახელმწიფო უშიშროების I სპეციალური განყოფილების უფროსი **მოროზოვი**. საგამომიებო საქმის (N3486) მიხედვით ბრალდებულები არიან:

1. **მიხეილ (ზედმეტ სახელად „ფანცალა“) მიხეილის ძე იმედიძე;**
2. **ადამ იასონის ძე ბობლიაშვილი;**
3. **ბაგრატ პავლეს ძე თავბერიძე;**
4. **გიორგი ალექსანდრეს ძე ვეშაგურიძე;**
5. **ივანე დავითის ძე მაჩაბლიშვილი.**

ჩამოთვლილი პირებს შეეფარდათ საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის **58-1 „ბ“** მუხლი, რაც ითვალისწინებდა სასჯელის უმაღლეს ზომას – **დახვრეტას**.

დოკუმენტის მიხედვით, შინსახკომის მიერ გამოაშკარავებული იყო კონტრევოლუციური მეამბოხე-ტერორისტული ორგანიზაცია, რომლის წევრებიც – **მიხეილ იმედიძე, ადამ ბობლიაშვილი და ბაგრატ თავბერიძე** მიიმალნენ. გერმანელთა ჯარების საქართველოს ტერიტორიასთან მოახლოებისას ისინი კვლავ იმედს ამყარებდნენ მათზე და ამის გამო გააქტიურეს მუშაობა, დაიწყეს ახალი წევრების გადმოზიდვა და ჩაბმა, როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, „ბანდაში“.

მიხეილ იმედიძემ და ადამ ბობლიაშვილმა, ათიოდე შეიარაღებული დეზერტირებისაგან შემდგარი ბანდით, თელავის რაიონში დაიწყეს მოქმედება, კერძოდ, სოფელ ზემო ალვანსა და მიმდებარე სოფლებში.

მათ შორის ყველაზე აქტიურები იყვნენ **იმედიძე, ბობლიაშვილი** და წითელი არმიის დეზერტირი **გიორგი ვეშაგურიძე**, სამხედრო ნაწილის შეიარაღებული დეზერტირი **ივანე მაჩაბლიშვილი** და მობილიზაციას თავარიდებული **ბაგრატ თავბერიძე**. ეს უკანასკნელი განსაკუთრებული ნდობით გამოირჩეოდა ბანდაში და აქტიურად მონაწილეობდა ჯგუფის შეიარაღებულ თავდასხმებისა და ქურდობებში.

შეიარაღებული ბანდის წევრები თავდასხმებსა და მკვლევლობებს წინასწარ გეგმავდნენ. 7 ნოემბერს სოფელ ზემო ალვანში **გოგალე იმედიძის** ბინაში შეიკრიბნენ: **ა. აბაშიძე, თავბერიძე, ვეშაგურიძე, მაჩაბლიშვილი** და სხვები, რომლებსაც, **იმედიძისა და ბობლიაშვილის** დავალებით, ტერორისტული თავდასხმა უნდა მოეწყოთ თელავის

რაიონის აღმასრულებელი საბჭოს დეპუტატ **ციხისტავზე**. გეგმის მიხედვით, შეიარაღებული თავდასხმა უნდა მომხდარიყო 8 ნოემბერის დილის 12 საათზე სოფელ ქვემო ალვანთან, 3 კილომეტრის დაშორებით **ტახტის ბოგირთან**. ჩასაფრებულებმა ავტომანქანას 20-ჯერ ესროლეს და დაცხრილეს. **ციხისტავმა** ბანდიტებს წინააღმდეგობა გაუწია და ავტომატიდან ცეცხლი გაუხსნა. დეპუტატი ბედნიერი შემთხვევის წყალობით უვნებელად გადარჩა.

სექტემბერ-ნოემბრის თვეში ბანდამ ჩაიდინა შემდეგი დანაშაულებები:

1. კომუნისტური პარტიის წევრის, მცხოვრები სოფელ ზემო ალვანში, **აბესალა იმანოვის** მკვლელობა,

2. კოლმეურნეობის საწყობის ქურდობა.

ინფორმაცია ბრალდებულების შესახებ:

1. **მიხეილ ივანეს ძე იმედიძე**, მეტსახელად „ფანცალა“, დაბადებული 1913 წელს თელავის რაიონი სოფ. ზემო ალვანში, საქართველოს სსრ-ის მოქალაქე, კომუნისტური პარტიის (ბ) კანდიდატი, უმაღლესი განათლებით, სატყეო ინჟინერი;

2. **ადამ იასონის ძე ბობლიაშვილი**, დაბადებული 1907 წელს, დაბადების ადგილი – თელავის რაიონი, სოფ. ზემო ალვანი, საქართველოს სსრ-ის მოქალაქე, უპარტიო, განათლებით;

„... არის კონტრრევოლუციური მემოზოხე-ტერორისტული ორგანიზაციის წევრი და უკანონო მდგომარეობაში იმყოფება. გერმანიის ჯარების საქართველოს სსრ-ის ტერიტორიასთან მოახლოვებისას დაიწყო აქტიური მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. 1942 წელს წითელი არმიის რიგების დეზერტირებისგან შექმნა შეიარაღებული ბანდა, რომელმაც წინასწარი გეგმით 8 ნოემბერს, 12 საათისათვის განახორციელა შეიარაღებული თავდასხმა ტახტის ბოგირთან თელავის რაიონის რაიონული საბჭოს დეპუტატ **ამხ. ციხისტავზე**, რომლის ავტომანქანა ქვემო ალვანიდან თელავისაკენ მიდიოდა. მოკლეს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) აქტიური წევრი **ამხ. აბესალა იმანოვი** და გაძარცვეს კოლმეურნეობის საწყობი ზემო ალვანში და ა. შ. გათვალისწინებულია საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის **58-1 ნაწ. „ბ“ მუხლი**“.

3. **ბაგრატ პავლეს ძე თავბერიძე**, დაბადებული 1906 წელს, დაბადების ადგილი – თელავის რაიონი, სოფ. ზემო ალვანი, საქართველოს სსრ-ის მოქალაქე, განათლებული, ბანდაში შესვლამდე კოლმეურნეობის საწყობის უფროსი:

„ბრალი ედება კონტრევოლუციურ-ტერორისტული ორგანიზაციის წევრობაში. მან თავი აარიდა წითელი არმიის რიგებში სამსახურს, შევიდა შეიარაღებულ ბანდაში, რომლის მეთაურები არიან **იმედიძე** და **ბობღიაშვილი**. იგი არის ბანდის აქტიური წევრი და სარგებლობს ნდობით.

1942 წლის 8 ნოემბერს მონაწილეობა მიიღო თელავის რაიონის საბჭოს დეპუტატ **ციხისთავზე** თავდასხმაში, ასევე გაძარცვა სოფელ ზემო ალვანის კოლმეურნეობის საწყობი. გათვალისწინებულია საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის **58-1 ნაწ. „ბ“ მუხლი“**.

4. **გიორგი ალექსანდრეს ძე ვეშაგურიძე**, დაბადების წელი – 1916, დაბადების ადგილი – თელავის რაიონი, სოფ. ზემო ალვანი, საქართველოს სსრ-ის მოქალაქე, უპარტიო, განათლების გარეშე;

5. **ივანე დავითის ძე მაჩაბლიშვილი**, დაბადების წელი – 1913, დაბადების ადგილი – თელავის რაიონი, სოფ. ზემო ალვანი, კომკავშირის წევრი, განათლებული.

„ბრალი ედება მასზე, რომ იყო წითელი არმიის რიგების დეზერტირი, შევიდა ბანდაში, რომელსაც მეთაურობდნენ **იმედიძე** და **ბობღიაშვილი**, მონაწილეობდა უკანონო შეკრებებში. 1942 წლის 8 ნოემბერს მონაწილეობა მიიღო შეიარაღებული თავდასხმაში თელავის რაიონის საბჭოს თავჯდომარე ამხანაგ **ციხისთავზე**. გათვალისწინებულია საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის **58-1 „ბ“ მუხლი**. საქმე დაუსწრებლად განიხილა სამხედრო ტრიბუნალმა ქ. თელავში. დაადგინეს, საგამოძიებო საქმე (N3486) გადაეცეს სამხედრო ტრიბუნალის მე-16 ბრიგადის პროკურორს, რომ დაუსწრებლად მიიღონ გადაწყვეტილება“.

ხელს აწერენ: საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო უშიშროების I სპეციალური განყოფილების მაიორი (**მოროზოვი**).

ბრალდებულების სია:

1. **მიხეილ ივანეს ძე იმედიძე**;
2. **ადამ იასონის ძე ბობღიაშვილი**;
3. **ბაგრატ პავლეს ძე თავბერიძე**;
4. **გიორგი ალექსანდრეს ძე ვეშაგურიძე**;
5. **ივანე დავითის ძე მაჩაბლიშვილი**.

მოწმეები, რომლებიც დაიჭირეს აღნიშნულ საქმეზე და ჰყავდათ თბილისის შინსახკომში, იყვნენ:

1. ივანე არინდაული და

2. გოგალე მინდაძე (ბანდის მონაწილე) (სშსსა, 1:72-74).

გადაწყვეტილება-განაჩენში აღნიშნულია: „განაჩენი N4 – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით, გამოტანილი 1943 წლის 12 იანვარს.

კავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალი შედგებოდა:

თავმჯდომარე: მე-2 რანგის სამხედრო იურისტი სულუხია, წევრები: მე-2 რანგის სამხედრო იურისტი ბიჩოვსკი და მე-3 რანგის სამხედრო იურისტი გამრეკელიძე, მდივანი – სამხედრო იურისტი პეტროსიანი.

სამხედრო ტრიბუნალი გაიმართა ქ. თბილისში დახურულ სხდომაზე, სადაც განიხილეს საქმე ბრალდებულთა დაუსწრებლად. 1. მიხეილ (ფანცალა) ივანეს ძე იმედიძე; დაბადებული 1913 წელს, დაბადების ადგილი – საქართველოს სსრ, თელავის რაიონის სოფ. ზემო ალვანი, ბოლშევიკური კომუნისტური პარტიის კანდიდატი, უმაღლესი განათლებით.

2. ადამ იასონის ძე ბობლიაშვილი, დაბადებული 1907 წელს, დაბადების ადგილი – საქართველოს სსრ, თელავის რაიონის სოფ. ზემო ალვანი, განათლებული.

3. ბაგრატ პავლეს ძე თავბერიძე, დაბადებული 1906 წელს, დაბადების ადგილი – საქართველოს სსრ, თელავის რაიონი სოფ. ზემო ალვანში, უპარტიო; ყველა სამ დანაშაულში მიუძღვის ბრალი, გათვალისწინებულია საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 17-58-1 „ბ“ მუხლი (საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 17-ე მუხლი განმარტავს, რომ დანაშაულის მცდელობად ჩაითვლება განზრახი მოქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად და ამასთანავე დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი დამნაშავის ნებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო).

4. გიორგი ალექსანდრეს ძე ვეშაგურიძე, დაბადებული 1916 წელს, დაბადების ადგილი – საქართველოს სსრ, თელავის რაიონის სოფ. ზემო ალვანი, განათლების გარეშე, უპარტიო, წითელი არმიის რიგებში ირიცხებოდა 1941 წლიდან.

5. ივანე დავითის ძე მაჩაბლიშვილი, დაბადებული 1913 წელს, დაბადების ადგილი – საქართველოს სსრ, თელავის რაიონი, კომკავშირის წევრი, წითელი არმიის

რიგებში ირიცხება 1941 წლიდან, განათლების გარეშე, ორივე დანაშაულში მიუძღვის ბრალი, გათვალისწინებულია საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 „ბ“ მუხლი.

საქმიდან დადგინდა, რომ 1943 წლის დასაწყისში, მარტის თვეში, კონტრევოლუციური მეამბოხე ორგანიზაციის წევრები **იმედიძე და ბობლიაშვილი** სოფ. ზემო ალვანის ტყეში მიიმალნენ, შექმნეს შეიარაღებული ბანდა 10 დეზერტირისაგან. მათ შეუერთდათ **თავბერიძე, ვეშაგურიძე და მაჩაბლიშვილი**. კონტრევოლუციურმა-ბანდიტურმა დაჯგუფებამ მიზნად დაისახა, შეიარაღებული წინააღმდეგობა გაეწია საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებისთვის. ბანდის წევრები ტერორისტულ აქტებს აწყობდნენ პარტიული ხელმძღვანელების წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ გერმანელები, საქართველოში შემოსვლისას, მათ დახმარებას აღმოუჩენდნენ. 1942 წლის 8 ნოემბერს ისინი თავს დაესხნენ თელავის რაიონის აღმასრულებელი საბჭოს დეპუტატ **ამხ. ციხისთავს**, მის მანქანას 30-ჯერ ესროლეს, მაგრამ მათი ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა. დასახელებულმა ბანდა თავს დაესხა კომუნისტური პარტიის წევრს **ამხ.აბესაღა ამანოვს**. ისინი ასევე ქურდავენ კოლმეურნეობის საწყობებს.

სამხედრო ტრიბუნალმა ბრალდებულები: **იმედიძე, ბობლიაშვილი და თავბერიძე** დანაშაულებად ცნო საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის **17-58-1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით**, ხოლო **ვეშაგურიძე და მაჩაბლიშვილი** – საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის **58-1 „ბ“ ქვეპუნქტით** (საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 „ბ“ ქვეპუნქტით განისაზღვრებიდა უმაღლესი ზომა სასჯელის დახვრეტა და მთელი ქონების კონფისკაცია).

იხელმძღვანელებს საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის **319, 320 და 265 მუხლებით**, რის საფუძველზეც (საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე, 320-ე და 265-ე მუხლები ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას დეზერტირობისთვის, რომელიც ჩადენილი იყო სხვადასხვა გარემოებებში).

1. მიხეილ ივანეს ძე იმედიძეს,
2. ადამ იასონის ძე ბობლიაშვილს და
3. ბაგრატ პავლეს ძე თავბერიძეს

საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 17-57-1 „ბ“ მუხლით და

1. გიორგი ალექსანდრეს ძე ვეშაგურიძეს და

2. ივანე დავითის ძე მაჩაბლიშვილს

საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 „ბ“ მუხლით მიესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა – **დახვრეტა** მათ საკუთრებაში არსებული პირადი ქონების კონფისკაციით.

განაჩენი საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. ხელი მოწერილია (სშსსა, 2:18-19).

ეს განაჩენი ბრალდებულების დაუსწრებლად გამოიტანეს. მოგვიანებით, ტყეში გახიზნული ბრალდებულები ალყაში მოაქციეს და დახოცეს. **თორღვას** აბანოებთან მძინარეები უნახავთ. გამართულა ორთაბრძოლა. ადამ ბობლიაშვილისა და ფანცალე იმედიძისათვის თავები მოუჭრიათ და ტომრებით ჩამოუტანიათ (ცოცანიძე 2004:29).

1943 წლის ადრეულ გაზაფხულზე ორგანიზაციამ საბედისწეროდ დაასრულა თავისი არსებობა. თელავიდან გაგზავნილმა შინსახკომის 250-კაციანმა რაზმმა სოფელი ომალო დანადმა. როგორც აღვნიშნეთ, საიდუმლო ორგანიზაციის წევრების ერთი ნაწილი მთაშივე დახოცეს და თავები დააჭრეს, ცოცხლად დარჩენილები კი ერთმანეთს თოკით გადააბეს და ზამთრის სუსხიან ყინვაში ბარისკენ ფეხით გამორეკეს. მოძმეთა მოჭრილი თავები სოფლამდე **არჩილ კიტოშვილს, გიგო ქააძეს და მამა-შვილ ბუჟაიძეებს** ხურჯინით ატარებინეს, შემდეგ სურათი გადაუღეს და საგანგებოდ შეკრებილი ხალხის თანდასწრებით **ნარჩხავის** მხარეს წაასხეს და დააგორეს... (არაბული 2010:25).

ცოცხლად გადარჩენილი სამანელები მარტის ბოლოს თელავში თოკით ჩაბმულები ჩაუყვანიათ. **ქააძე და კიტოშვილი** თბილისში გაუგზავნიათ, დანარჩენების გამოძიება იქვე დაუწყიათ.

1946 წელს შედგენილი **ივანე დავითის ძე მაჩაბლიშვილის** შესახებ დაცული საარქივო დოკუმენტი შემდეგ ინფორმაციას გვაწვდის:

„ვამტკიცებ“

საქ. სსრ-ის შინაგან საქმეთა მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი (კარანაძე)

1946 წლის 16 აპრილი

საიდუმლოდ

გადაწყვეტილება

ქ. თბილისი

მე, საქ. სსრ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს ბანდიტიზმთან ბრძოლის განყოფილების უფროსმა გამომძიებელმა კაპიტანმა **ჯიბლაძემ**, განვიხილე საქმე **N3486** ბრალდებულ **ივანე დავითის ძე მაჩაბლიშვილის** საქ. სსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის **58-1 „ბ“** მუხლით გასამართლებული, დაბადებული 1913 წელს, ქართველი, დაბადების ადგილი – ახმეტის რაიონის სოფ. ზემო ალვანი, გლეხის ოჯახიდან, კომკავშირის ყოფილი წევრი, საშუალო განათლებით, პედაგოგი, დაოჯახებული, ადრე ნასამართლევ, დაუსწრებლად გასამართლებული და 1943 წლის 12 იანვარს კავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალის მიერ მისჯილი აქვს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა.

დაადგინა:

ივანე დავითის ძე მაჩაბლიშვილი 1942 წელს წითელი არმიის რიგებში გამოიძახეს, 1942 წელს გახდა დეზერტირი, ცხოვრობდა არალეგალურად, შეუერთდა კონტრრევოლუციურ-მეამბოხე შეიარაღებულ ბანდაჯგუფებას, სახელწოდებით **სამანი**, რომელიც 1942/43 წწ. მოქმედებდა საქ. სსრ-ის ახმეტის რაიონში, ყოფილი თელავის რაიონი.

დასახელებულ შეიარაღებულ ბანდაჯგუფებას მეთაურობდა ამჟამად ლიკვიდირებული **ბაგრატ პავლეს ძე თავბერიძე**, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლას, მონაწილეობას ღებულობდა ტერორისტულ აქტებში და იმედი ჰქონდა, რომ გერმანულ-ფაშისტური ჯარები შემოსვლისას აღმოუჩენდნენ დახმარებას.

კონტრრევოლუციურ შეიარაღებულ ბანდაში შედიოდა **ი. დ. მაჩაბლიშვილი**. 1942 წ. მან მონაწილეობა მიიღო თელავის რაიონის მშრომელთა დეპუტატ **ციხისტავზე** შეიარაღებულ თავდასხმაში მისი მოკვლის მიზნით. **ი. დ. მაჩაბლიშვილი** აგრეთვე მონაწილეობდა კომუნისტური პარტიის აქტიური წევრის **აბესალა იმანოვის** მკვლელობაში. 1942-1943 წლის სხვადასხვა დროს გაქურდა კოლმეურნეობის საწყობები, საიდანაც მიიტაცა გარკვეული რაოდენობის საკვები პროდუქტები, ასევე მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი.

1942 წლის ნოემბერში ი. დ. მაჩაბლიშვილი მონაწილეობდა სასურსათო ბაზაზე შეიარაღებულ თავდასხმაში, მე-16 მსროლელი განყოფილების ბრიგადაზე, საიდანაც მიტაცებული იქნა თოფები და საკვები პროდუქტები. იქ ყაჩაღებმა დაჭრეს ორი მებრძოლი – პავლენკო და იბრაგიმოვა.

ი. დ. მაჩაბლიშვილი დაპატიმრებამდე ირიცხებოდა კოლმეურნეობაში. მის პირად საქმეში დევს უარყოფითი დახასიათება. იგი ყოფილა მხსვილფეხა რქოსანი პირუტყვის გადამყიდველი და არც ერთი დღე არ უმუშავია.

ბრალდებული **ი. დ. მაჩაბლიშვილი** დააპატიმრეს 1946 წლის 31 იანვარს და მოათავსეს საქართველოს სსრ-ის სახელმწიფოს უშიშროების სამინისტროს ციხეში.

გამომდინარე იქიდან, რომ **ი. დ. მაჩაბლიშვილს**, ჩადენილი დანაშაულების გარდა, აქვს უარყოფითი დახასიათება, როგორც არასანდო და საზოგადოებისათვის საშიშ ელემენტს, საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს ახმეტის რაიონული განყოფილება უწევს შუამდგომლობას, რომ ძალაში დარჩეს 1946 წლის 12 იანვრის დადგენილება – მიესაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა და ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალის მიერ სისრულეში იქნას მოყვანილი.

საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს ახმეტის რაიონული განყოფილების შუამდგომლობა მხარდაჭერილია. განაჩენი დაუსწრებლად იქნა გამოტანილი.

საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს ბადიტიზმის ბრძოლის განყოფილების უფროსი გამომძიებელი კაპიტანი ჯიბლაძე

„ვეთანხმები“

საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს ბადიტიზმთან ბრძოლის განყოფილების პოლკოვნიკი (ჟღენტი) (სშსსა, 2:293-294).

სია თუშთა დაპატიმრებული მომხრეებისა, რომელიც ჩაწერილია **გოგალე ხოხიაიძის** კარნახით:

1. ქორთოშიძე საბა, 10 წელი,
2. მელაიძე როსა, 10 წელი, პატიმრობიდან ველარ დაბრუნდა,

3. ბილოიძე დანიელ, 5 წელი,
4. იჭირაული ადრო, გათავისუფლდა,
5. იჭირაული ბათირო, გათავისუფლდა,
6. თავბერიძე ფილო, გათავისუფლდა,
7. ლილაური მოსე, 10 წელი,
8. ოთიურიძე ბასილო, 10 წელი,
9. ლილაური ერეკლე, გათავისუფლდა,
10. ხვედაგურიძე გიორგი, გათავისუფლდა,
11. აბულიძე არსენა, 10 წელი, პატიმრობიდან ვეღარ დაბრუნდა,
12. მოურავიძე კოლა, გათავისუფლდა,
13. ხოხიაიძე გოგალე, 10 წელი,
14. გიგოიძე არსენა, გათავისუფლდა,
15. გაგოიძე ანდრო, 10 წელი,
16. კახოიძე გიორგი, გათავისუფლდა,
17. კარდლიძე გიორგი, 10 წელი, პატიმრობიდან ვეღარ დაბრუნდა,
18. დევდარაიძე მათე, 10 წელი, პატიმრობიდან ვეღარ დაბრუნდა,
19. ბაშინურიძე პანტო, 10 წელი,
20. ბაშინურიძე სვიმანი, 10 წელი, პატიმრობიდან ვეღარ დაბრუნდა,
21. ცაძიკიძე დათო, 10 წელი, პატიმრობიდან ვეღარ დაბრუნდა,
22. გელაურიძე როსტომი, გათავისუფლდა,
23. ღაზიაძე სანდრო, გათავისუფლდა,
24. ხელაიძე ოსე, 10 წელი,
25. თავბერიძე კოტე, 10 წელი,
26. თავბერიძე დევანოზი, გარდაიცვალა შეტაკების დროს,
27. იჩუაიძე მათე, 10 წელი, პატიმრობიდან ვეღარ დაბრუნდა,
28. რაიანული გიორგი, 10 წელი,
29. რაინაული ბაგრათი, 10 წელი, პატიმრობიდან ვეღარ დაბრუნდა,
30. ბუჭაიძე პეტო, 10 წელი,
31. ბუჭაიძე იროდი, 10 წელი.

ხელმძღვანელები:

1. ბობლიაშვილი ადამ, გარდაიცვალა შეტაკების დროს,
2. იმედიძე მიხეილ (ფანცალა), გარდაიცვალა შეტაკების დროს,
3. ქააძე გიგო, დახვრიტეს,
4. კიტომშვილი არჩილი, დახვრიტეს (ცოცხანძე 2004:33-34).

მძიმე ხვედრი ხვდა ყოველ მათგანს, ზოგი წლების მანძილზე ეწამა საბჭოთა ციხეებსა და კოლონიებში.

სამანელთა ორგანიზაციის წევრები, ვისაც საქართველოს გათავისუფლების რწმენა ჰქონდათ:

1. ივანე მაჩაბლიშვილი,
2. ალექსანდრე ჭელიძე,
3. ფაცო ვეშაგურიძე,
4. ელიზბარ აბაშიძე,
5. არჩილ კიტომშვილი,
6. პეტო და ბიჭიკო ბუჟაიძეები,
7. გოგოლა მინდაძე,
8. ილია ცისკარიშვილი,
9. ტიმოთე ლაგაზიძე,
10. ივანე არინდაული,
11. როსტომ ბეგოიძე,
12. ირაკლი გარსევანიძე,
13. აბაშო აბაშიძე,
14. ამირან ქადაგიძე,
15. ევა ოჟიაური,
16. ივანე თუგიშვილი-ცისკარიშვილი,
17. ვახტანგ ცისკარიშვილი,
18. სიმონ სულაკაური,
19. ფირუზ ბექურაიძე,
20. არჩილ მამუკიშვილი,
21. კიმოთე ლუხუმანიძე,
22. ილია ჭარელიშვილი,

23. ვახტანგ ფილიშვილი,
24. გაბრიელ ლაგაზიძე,
25. ივანე იმედიძე,
26. იოსებ ღულუნაშვილი,
27. ივანე არინდაული,
28. ირაკლი გარსევანიძე,
29. დიმიტრი ბაკურაძე,
30. გოგალა მინდაძე,
31. ბესარიონ ყვითელაშვილი,
32. როსტომ ბეგოიძე (გოიშვილი 2005:157).

ქვეყნის მტრებად აღიარებულების ახლობლებიც დიდ სასჯელს იხდიდნენ. მაჩაბლიშვილის ოჯახის წევრების შესახებ არქივის დოკუმენტებში დაცული ინფორმაციით ვგებულობთ:

საქართველოს სსრ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი

სრულიად საიდუმლო

1945 წლის 28 თებერვალი, ქ. თბილისი

